რიდესაც მიპრძანლავენ რწმენას

40 დღე
დევნილ ქრისტიანებთან

ტოდ ნეტლტონი

MALAYSIA
INTERNATIONAL
23 APR 20
KELUAR
VISA
TITULAR
VISTO
BUENO
VALIDO

განდიდება მაშინ, როდესაც რწმენა აკრძალულია

ჩემი ორ წლიანი პატიმრობის დროს თურქეთში, ერთ-ერთი რამ, რაც მაძლიერებდა, იყო, მეფიქრა იმ მორწმუნეების მაგალითზე, რომლებიც ერთგულნი დარჩნენ დევნის დროს. ბევრმა გამოიარა ტანჯვა იესო ქრისტეს გულისთვის. ზოგიერთი მეტად დაიტანჯა, ვიდრე სხვები – მეც ვიყავი მათ შორის – მაგრამ საბოლოოდ მთავარი ის არის, რომ გაძლო. ისტორიები, რომლებიც ტოდმა შეკრიბა ამ წიგნში, დიდი ფასეულობის მქონეა, თუ ვემზადებით იმ შემთხვევისთვის, რომ ჩავდგეთ ხსენებულთა რიგში და მწამს, რომ ეს გადაუდებელი და აუცილებელია, რათა ნამდვილად ვიყოთ მზად.

ხუცესი ენდრიუ ბრანსონი | ქრისტიანი ყოფილი პატიმარი თურქეთში

დიდი მოლოდინით სავსემ დავიწყე წიგნის, „როდესაც გიკრძალავენ რწმენას“, კითხვა. იმედი ნამდვილად, არ გამცრუებია. ამ წიგნს მკითხველი დამკვირვებლის კომფორტული ზონიდან გადაჰყავს იმ ადამიანების ცხოვრებაში, რომლებიც რწმენისათვის იდევნებიან. წიგნს ის ადამიანები, რომლებიც მხოლოდ წუხილს გამოთქვამდნენ დევნილების მისამართით, გადაჰყავს ნამდვილი თანამშრომლობის მდგომარეობაში. ტოდი იწვევს მკითხველს იმისათვის, რომ თანამონაწილე გახდეს იმ მორწმუნეების ცხოვრებისა, რომელთათვისაც დევნა ჩვეულებრივი ამბავია. მის მიერ ჩაწერილი ლოცვები, რომლებიც ჩართულია ამ ძალიან პერსონალურ ამბებში, იძლევა გააზრებისა და ზრდის შესაძლებლობას. მკითხველი მოწოდებულია და ეს ძალზედ მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ თავი წარმოიდგინოს, როგორც დევნილმა მორწმუნემ, რაც დაეხმარება მას აღიქვას, თუ რა არის რწმენის შესაბამისი ცხოვრება, სადაც მოწმობა და დევნა თანაარსებობენ. ვლოცულობ, რომ მკითხველმა ეს წიგნი გამოიყენოს, რათა გაუმჯობესოს იესოსადმი თავისი მსახურება. „როდესაც გიკრძალავენ რწმენას“ არის ღვთისგან გამოგზავნილი საჩუქარი იმ ოჯახებისთვის, რომლებიც ისწრაფვიან ხსენებული ადამიანების დასახმარებლად, ეს სურვილი კი გაამდიდრებს მათ ოჯახურ თაყვანისცემასა და მსახურებას.

ნიკ რიპკენი | ვეტერანი მისიონერი, რომელიც 35 წლის განმავლობაში ეწეოდა ამ საქმეს; ავტორი წიგნისა *„უგუნურნი ღმერთისთვის“*

როდესაც მორწმუნენი დასავლეთში გალობენ „მე გადავწყვიტე მივყვე იესოს,“ იშვიათად წარმოიდგენენ, რა შეიძლება იყოს ამ გადაწყვეტილების საფასური, თუმცა ქრისტეს მრავალი მიმდევარისთვის მთელს მსოფლიოში, ამ გადაწყვეტილებას შეიძლება სიცოცხლის ფასი ჰქონდეს. აუცილებელია, რომ ვიცოდეთ, ამბები დევნილი ეკლესიის შესახებ. ეს ამბები გვაძლევს პრივილეგიას, ვილოცოთ ჩვენი ძმებისა და დებისთვის, რაც თვითკმაყოფილების აბლაბუდებს აშორებს დასავლეთის ეკლესიას. წარადგინეთ თქვენი პასპორტი, შეიკარით დამცავი ღვედი და ტოდთან ერთად იმოგზაურეთ, რათა გლობალურ პერსპექტივაში დაინახოთ ის, რასაც იესოს ერთგულება ჰქვია. თქვენი რწმენა აღარასოდეს მოიკიდებს ხავსს.

ჯენეტ პარშალი | ავტორი და ეროვნული რადიომაუწყებლობის წამყვანი

მე ვარ ის წინამძღოლი, რომელიც შუა აღმოსავლეთში მსახურობს და რომელსაც უშუალო გამოცდილება აქვს ტოდთან თანამშრომლობის. მე ვეხმარებოდი ტოდს, როდესაც ის დევნის შესახებ ისტორიებს ეძებდა და ამ ისტორიებს ფართო აუდიტორიას წარუდგენდა, რათა მათ გაეაზრებინათ ყოველივე და რაღაცნაირად ჩართულიყვნენ ამ საქმეში. ტოდს იმ დროიდან ვიცნობ, როცა ის იწერდა იმას, რაც ჩვენს თავს ხდებოდა. რამდენიმე ისტორია ამ წიგნშიც არის გამოყენებული. ყოველთვის, როდესაც ვკითხულობ ტოდის წიგნს შთაგონება და მგზნებარება

მიპყრობს და მზად ვარ გავაგრძელო საქმიანობა იქ, სადაც დევნა და ტანჯვაა. მე მადლიერი ვარ იმისათვის, რომ ტოდმა თავი მიუძღვნა ამ ამბების ჩაწერასა და გადმოცემას იმგვარად, რომ ისინი არა მხოლოდ ეხება მკითხველის გულს, არამედ საშუალებას აძლევს სულიწმინდას მოქმედება დაიწყოს თქვენს ცხოვრებაში. როგორ უნდა გახდეს თქვენი რწმენა მგზნებარე მთვლემარე ჩრდილოეთ ამერიკაში? როგორ უნდა დაძლიოთ აპათიის სული? მჯერა, რომ ეს წიგნი მოგცემთ იმედს და გააღვიძებს თქვენში ცეცხლს, რათა აღასრულოთ თქვენი ცხოვრების მთავარი მოწოდება.

ანონიმური ეკლესიის წინამძღოლი შუა აღმოსავლეთში

ტოდის ბოლო წიგნი „როდესაც გიკრძალავენ რწმენას“ ნამდვილად, შთამაგონებელი და გარდამქმნელია. დაახლოებით ორი ათეული წლის მსახურების განმავლობაში ქრისტეს სხეულის დევნილ ნაწილს შორის ტოდი მათთან ერთად ცხოვრობდა და ხანდახან თავადაც დევნიდნენ. ეს წიგნი კიდევ იმიტომ არის იმედის მომცემი, რომ მოთხრობილი ისტორიები არა მხოლოდ დამოწმებებია, არამედ უფრო მეტი. ისინი გვაჩვენებს, თუ როგორ იძლევა ღმერთი სიცოცხლეს, ღიმილსა და სიხარულს, მაშინაც კი, როდესაც მისი ერთგული დევნილი შვილები იტანჯებიან, მაგრამ არ მიდიან დათმობაზე წუთისოფელთან. ყველა ქრისტიანმა, რომელსაც სურს ღვთისმოსავი ცხოვრება ქრისტე იესოსთვის, უნდა წაიკითხოს ეს წიგნი.

ბობ ფუ | დახმარების ჩინური ასოციაციის დამფუძნებელი და პრეზიდენტი; ყოფილი პატიმარი ქრისტესთვის ჩინეთში

მრავალი წელია ვიცნობ ტოდ ნეტლტონს–მას მართლაც შეუძლია ამბის მოყოლა! და რა უნდა იყოს იმაზე უკეთესი ჩვენთვის, ვიდრე ჩვენს დროში მცხოვრები გამარჯვებული წმიდების ისტორიების მოსმენა. მადლობა ტოდს, „ძლევის ეს ისტორიები“ უკვე ჩვენს თვალწინაა. ისინი ბრწყინავენ და აღმძრავენ ლოცვისთვის!

ზრაცია ბურნჰემი | Ethnos360 missionary ავტორი წიგნისა *„ჩემს მტერთა შორის“*

წიგნის, *„როდესაც გიკრძალავენ რწმენას“*, კითხვისას, თავს ისე ვგრძნობდი, თითქოსდა წმინდა მიწაზე დავდიოდი. ამ საინტერესო წიგნში გადმოცემული ისტორიები დამაჯერებლად აღწერს ქრისტიანების საცხოვრებელ გარემოს, რომელიც მათთვის ყველაზე სახიფათო ადგილია, მაგრამ ის გამარჯვებულები, რომელთა შესახებაც ტოდ ნეტლტონი წერს არა მხოლოდ უძლებენ დევნას, არამედ იზრდებიან კიდეც. ქრისტე ისეა წარმოდგენილი მათში, რომ ისინი აუღებელ ციხესიმაგრედ იქცნენ ღვთის სასუფევლის მშენებლობის საქმეში. მადლობა ტოდ იმისათვის, რომ გვაჩუქე ეს აღმაფრთოვანებელი ორმოც დღიანი მოგზაურობა! მე მიყვარს ეს წიგნი და დაბეჯითებით ვურჩევ ყველას მის წაკითხვას. რა შთაგონებული ვიყავი შევხვედროდი იმ ძმებსა და დებს, რომლებიც არა მხოლოდ ტანჯვისათვის არიან მზად, არამედ სიცოცხლის გასაწირადაც იესოსთვის. საოცარია ჩვენი მხსნელი და ასეთებივე არიან ისინიც, რომლებიც ერთგულნი არიან მისი იმისდა მიუხედავად, თუ რად დაუჯდებათ ეს!

ტოემ დღილი | CEO -ს უცნობი მსახური და თანაავტორი იოანა დოილთან ერთად წიგნისა *„ქალები, რომლებიც რისკავენ: იესოს დაფარული მსახური მუსლიმურ სამყაროში“*

მე მჯერა, რომ უფალმა განსაკუთრებულად ჩათვალა და დაავალა ტოდს დაეწერა ეს წიგნი. ბიბლია გვეუბნება ჩვენ, რომ დევნა გაძლიერდება, როდესაც მივუახლოვდებით უკანასკნელ ჟამს–მართლაც, დასავლურ ქვეყნებშიც კი, როგორიცაა ა.შ.შ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკვე დაწყებულია. ასე რომ, ჩვენთვის, დასავლეთში მცხოვრები ქრისტიანებისთვის, ამ

წიგნში მოყვანილი მორწმუნეების მაგალითები არა მხოლოდ განამტკიცებენ ჩვენს რწმენას, არამედ შთაგვაგონებენ კიდევ უფრო მჭიდრო ურთიერთობა გვქონდეს უფალთან და ასევე გვამზადებენ, რომ შესაფერისი რეაქცია გვქონდეს იმ დევნაზე, რომელსაც ზოგიერთი ჩვენგანი უკვე უპირისპირდება (2 ტიმ. 3:12), ხვალ კი ყველას მოგვიწევს მასთან დაპირისპირება (მათ. 24:9).

ᲞᲝᲠᲛᲝᲖ ᲨᲐᲠᲘᲐᲗᲘ | IranAlive.org

როდესაც ერთმანეთთან ვაკავშირებთ მიმდინარე მოვლენებს, ვაკვირდებით ამდენ უსახელო და უსახო ადამიანს, თუ მძიმდება ჩვენი გული? მაშინაც კი, როდესაც ვისმენთ ამბებსა და ისტორიებს დევნილი ეკლესიის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ თანაგრძნობა გვიპყრობს, მოქმედებს ეს ჩვენს გულზე? ღვთისმსახურების დროს ჩვენ ხშირად ვგალობთ „შემუსრე ჩემი გული იმით, რითაც შემუსრულია შენი", მაგრამ თუ გვესმის რას ნიშნავს ეს? როცა ვკითხულობთ წიგნს „როდესაც გიკრძალავენ რწმენას'', ჩვენთვის ნელ-ნელა საცნაური ხდება ის, თუ რას შეიძლება ნიშნავდეს ეს. წიგნში მოყვანილი ისტორიები შეგვახსენებს ვინ არის ღმერთი და როგორ მოქმედებს ის არეულ მსოფლიოში; ეს ისტორიები შეგვახსენებენ ჩვენს, როგორც სხეულის მდგომარეობას, ასევე ყველაფერს, რასაც ღმერთი აკეთებს ჩვენს ცხოვრებაში. სხვა თუ არაფერი, გამხნევდით იმით, რაც ხდება ირგვლივ მსოფლიოში, ვინაიდან ეს ამბები წარმოაჩენს ცვლილებათა იმ სიოს, რომელიც ყველგან ჩანს. თქვენ განწყობილი ხართ, რომ ილოცოთ, არა მხოლოდ წიგნში მოყვანილი ამბების გამო, არამედ ტოდ ნეტლტონის მიერ მათი გაანალიზების და თქვენი საკუთარი დამოკიდებულების გამოც. ამ პროექტს შეიძლება სხვა სახელი „რწმენის გამოწვევა" ჰქონოდა. არამგონია, რომ იგივე პიროვნებად დარჩეთ, როდესაც ჩაუღრმავდებით წიგნს და ლოცვისათვის განეწყობით შემდგომი ორმოცი დღის განმავლობაში.

ᲠᲨᲝ ᲙᲠᲐᲛᲬᲠᲘ | სამისიონერო ქსელის სიახლეების აღმასრულებელი პროდიუსერი და წამყვანი»

იესოსთვის, მოციქულებისთვის, გამარჯვებული და მოსვენებული ეკლესიისთვის, აღჭურვილი და მისიაში მყოფი ეკლესიისთვის, ჩვენი ძმებისა და დებისთვის მთელს მსოფლიოში... ტანჯვა ყოველთვის წინ უსწრებს დიდებას. ქრისტიანობა ჯვრის, ტკივილისა და ტანჯვის გარეშე, როგორც ეს არის დასავლეთში უკანასკნელი სამი ასწლეულის განმავლობაში (გარკვეული პერიოდების გამოკლებით) ფართოდ გავრცელებული ცდომილება, რომელსაც დიდი დღე არ უწერია. წიგნი „როდესაც გიკრძალავენ რწმენას" მახსენებს ორივეს: იმას, რაც არის ჯანსაღი ქრისტიანობა და იმასაც, რაც არის ჩვენი საერთო მომავალი ამ უკანასკნელ დღეებში, სანამ დაბრუნდება ჩვენი უფალი იესო.

ᲓᲘᲙ ᲑᲠᲝᲒᲓᲔᲜᲘ | Cofounder of the Live Dead Movement, Jeddah, Saudi Arabia

როგორც ოჯახი, ჩვენ, შეძლებისდაგვარად ხშირად ვიხსენებთ დევნილებს ლოცვაში და გვესმის ბიბლიური ჭეშმარიტება იმის შესახებ, რომ როდესაც სხეულის ერთი ნაწილი იტანჯება, ჩვენ მოწოდებულნი ვართ მასთან ერთად ვიტანჯოთ. ახლა, ამ წიგნის ფურცლებზე, ჩვენ გვეძლევა უნიკალური შესაძლებლობა შევეხმიანოთ მათ! მოგზაურობა ტოდთან ერთად ჩინეთში, შუა აღმოსავლეთში, აფრიკაში და სხვა ადგილებში იმ ქრისტიანების გვერდით ყოფნას ნიშნავს, რომლებიც სიხარულით იღებენ ყველაფერს იმისათვის, რომ იყვნენ ქრისტეს მიმდევრები. მათი რწმენის ისტორიები შთააგონებენ თქვენს რწმენას. შეუდექით ამ 40 დღიან მოგზაურობას, რათა შეხვდეთ და რათა შთაგონებულნი იყოთ ჩვენი ქრისტიანული ოჯახის ამ წევრების ცხოვრებით.

ᲑᲔᲜᲯᲐᲛᲘᲜ ᲕᲐᲢᲡᲝᲜᲘ | ავტორი და აქტივისტი, former NFL tight end

როდესაც მიკრძალავენ რწმენას

40 დღე დევნილ ქრისტიანებთან

ტოდ ნეტლტონი

The Voice of the Martyrs

Originally published in English under the title
When Faith is Forbidden by Voice of the Martyrs with Tom Nettleton
Copyright © 2021 by Voice of the Martyrs, Inc.

© 2022 by Voice of the Martyrs, Inc. for the Georgia edition.
Translated by permission. All rights reserved.
ISBN: 978-617-503-251-0

eBooks for download:
https://www.vom-ru.org
https://www.vm1.tv/ru/
https://library.mediaworks.global

© 2021 by The Voice of the Martyrs
ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არცერთი ნაწილი არანაირი ფორმით არ შეიძლება გამრავლდეს გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე, გარდა მოკლე ამონარიდებისა, რომლებიც გამოყენებული იქნება კრიტიკულ სტატიებსა და მიმოხილვებში.

მთარგმნელი: ლუხუმ მაისურაძე
რედაქტორი: ლალი ჰანმერ
კორექტორი: ელენე მადათოვი

ზოგიერთი ნაწილი ამ წიგნისა გადმოღებულია ავტორის ნაშრომიდან, რომელიც თავდაპირველად გამოქვეყნდა „წამებულთა ხმის“ ბეჭდვით ორგანოში ან და ვებ-ქსელში.

Photos: copyright © 2011 FreeTransform/iStock (115905400)
© 2016 by gurkoao/iStock (504182338)
© 2019 by Fourleaflover/iStock (1165723077)
© 2019 LifeofRileyDesign/iStock (1185821355).
© 2012 crossbrain66/iStock (171580669).
© 2016 lukbar/iStock (599273638).
ფოტომასალის საავტორო უფლება დაცულია/ზედა ილუსტრაციები. ფოტო კორი ლაკისა

მიუხედავად იმისა, რომ ამ თხრობაში ყველა აღწერილი მოვლენა სინამდვილეს შეესაბამება, ზოგიერთი სახელი და იდენტიფიკაციის დეტალები შეცვლილია უსაფრთხოების მიზნით.

წამებულთა ხმა არის ჰუმანიტარული ორგანიზაცია, მრავალდენომინაციური ქრისტიან მისიონერთა ორგანიზაცია, რომელიც მიძღვნილია მსოფლიოს გარშემო დევნილი ოჯახების მსახურებისათვის, პრაქტიკულ და სულიერ მხარდაჭერას უცხადებს მათ და ცდილობს თავისუფალი ქვეყნების ქრისტეს სხეულის წევრები ჩართას მათ საქმიანობაში და ილოცონ დევნილი მორწმუნეებისათვის.

შარლოტასთვის:

ყველა ამბავი, რომლებიც ამ გვერდებზეა მოთხრობილი, ყოველი მოგზაურობა ბენგალიაში, ჰეკინში თუ ბაქოში, ნიშნავს იმ დღეებს, როდესაც შენ მარტო იყავი და მარტო ასრულებდი მშობლის მოვალეობას, მარტო გეძინა. უარი არ გითქვამს რომ წავსულიყავი, შენ მიმანდე ღმერთს, რომელმაც დამავალა თავისი საქმის კეთება. შენ ლოცულობდი ჩემთვის, როცა შორს ვიყავი. კარგად ვხედავ რა მსხვერჰლიც გაიღე. ჩვენი ზეციერი მამაც ხედავს ამას. ეს ისტორიები ჩვენი მსახურების ნაყოფია—ვინაიდან შენ იყავი და რჩები სრულუფლებიან ჰარტნიორად თითოეულ ნაბიჯზე.

მათთვის, ვისაც სურთ იცხოვრონ ქრისტესთვის, მიუხედავად იმისა, რა ფასის გადახდა მოუწევთ ამისთვის: ვიმედოვნებ, მვირფასო მკითხველო, თქვენი სურვილია იყოთ ამ სიაში. ის ამის ღირსია!

გამგზავრების დღე

ფრენის წინა სია

რწმენისთვის დაიხოცნენ ესენი, ყველანი, და ვერ მიიღეს აღთქმული, მხოლოდ შორიდან დაინახეს იგი, ირწმუნეს და ესალმებოდნენ და აღიარებდნენ, რომ „უცხონი და ხიზნები არიან დედამიწაზე“. ხოლო ის, ვინც ამას ამბობს, ცხადჰყოფს, რომ სამშობლოს ეძებს. და თუ ემახსოვრებოდათ, საიდან გამოვიდნენ, ექნებოდათ იქ დაბრუნების ჟამიც. ახლა კი, ისინი უკეთესს ესწრაფვიან, ანუ ზეციურს. ამიტომ ღმერთსაც არ ერცხვინება, რომ მათ ღმერთად იწოდებოდეს, რადგან მან მოუმზადა მათ ქალაქი.

ებრაელთა 11:13-16

.....

აეროპორტში ოცდახუთ წუთში უნდა წავიდეთ. იმედი მაქვს მზად ხარ.

მე დავრბივარ სახლში, ვცდილობ ჩემოდნის ჩალაგებას, ვცდილობ არაფერი დამავიწყდეს, ვფიქრობ, თუ რომელი ნივთები მჭირდება მართლა ჩემი მოგზაურობის დროს. კვლავ ვამოწმებ ტელეფონს, რათა ვნახო როგორი ამინდი იქნება იქ, ადგილზე. თბილი ჟაკეტი დიდ ადგილს დაიკავებს ჩემოდანში. საჭირო თუ არის მისი წაღება? საჭირო თუ არის ფეხსაცმლის წაღება ეკლესიაში მისასვლელად? მიაქცევს ვინმე ყურადღებას მექნება თუ არა ჰალსტუხი?

თითოეული დამატებითი საგანი დამატებით ფიქრს და ანალიზს მოითხოვს. ცხადია, კარგი იქნება თუ თან მექნება სპორტული ფეხსაცმელი იმ შემთხვევისთვის თუ სასტუმროში იქნება ფიტნეს ცენტრი, მაგრამ ისინი საკმარის ადგილს იკავებს. ჰო, ძალიან მინდა ხელში მქონდეს ჩემი პირადი ბიბლია, თუმცა ჩემი სამოგზაურო ახალი აღთქმა გაცილებით პატარა და მსუბუქია–ამავე დროს მთლიანი ბიბლიაც მაქვს ტელეფონში, თუკი დამჭირდება. ყოველთვის ვცდილობ მქონდეს თავისუფალი ადგილი გამგზავრებისას, ვინაიდან, უკან მობრუნებულმა, რაიმე სუვენირი უნდა ჩამოვუტანო მეუღლეს, საჩუქრები ბიჭებს (როცა ისინი პატარები იყვნენ, მათი საყვარელი საჩუქრები იყო ხმლები, დანები, ან რომელიმე სახის იარაღი!) და რძლებსაც.

მისიონერების ოჯახში ვიზრდებოდი და მოგზაურობა ჩვენთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო; სამოგზაურო წესებიც მარტივი: თუ არ შეგეძლო რაიმეს ტარება, არ წაიღებდი და მორჩა. ეს წესი ხანდახან არ იყო ადვილი შესასრულებელი. მაგალითად, იმ დროს, როცა ჩვენ პაპუა-ახალ გვინეაში მიგვქონდა ვერცხლის ჭურჭელი თორმეტი ადამიანისთვის საკუთარი ჩანთებით. ჯერაც ვცდილობ მივყვე ამ წესს: ერთი საშუალო ზომის ჩანთა და ერთიც ხელში დასაჭერი, რომელშიც დევს ჩემი ფოტოაპარატი, ყურსასმენები, მოწყობილობა ელექტრონული წიგნების კითხვისათვის, ასევე, სხვადასხვანაირი სადენები და ადაპტორები, სასუსნავი და ერთიც პერანგი. იმიტომ, რომ ვერასოდეს იქნები დარწმუნებული, რომ თქვენი ჩემოდანი თქვენთან ერთად ჩამოვა დროულად.

ჩვენი მანქანა ათ წუთში იქნება. იქნებ დამეხმაროთ, დააწვეთ აქ, რათა შევძლო ჩემოდნის დაკეტვა? ადრე, როდესაც ჩართული ვიყავი „წამებულთა ხმის“ (VOM) საქმიანობაში, მე ძალზედ განსხვავებული აზრები მქონდა დევნილი ქრისტიანების მონახულებასთან დაკავშირებით. მახსოვს, პირველი ჩასვლა ჩინეთში VOM-ის მოგზაურობის ფარგლებში, ჩვენი გუნდი უნდა შეხვედროდა ხუცესს, რომელიც ბოლო სამი თვის განმავლობაში მრავალჯერ დააპატიმრეს. მას ჰყავდა დიდი დაურეგისტრირებელი ეკლესია, რომელიც სამშაბათობით იკრიბებოდა. პოლიცია და რელიგიურ საქმეთა განყოფილების ოფიციალური პირები აპატიმრებდნენ მას ყოველ სამშაბათ დილით, რათა არ ჩაეტარებინა ღვთისმსახურებები.

ისინი მთელ დღეს აკავებდნენ მას, ხანდახან ღამითაც ტოვებდნენ იქ, შემდეგ კი უშვებდნენ, რათა ვერ ჩაეტარებინა მსახურება თავისი მზარდი სამწყსოსთვის.

ასე რომ, როცა ჩვენ წავედით მის მოსანახულებლად, გონებაში წარმომედგინა საწყალი, დაჩაგრული ხუცესი. ვფიქრობდი, რა დიდი კურთხევა იქნებოდა მისთვის რომ უცხოელები მოვიდოდნენ მის სანახავად და გაამხნევებდნენ, ვინაიდან თავს ალბათ, ძალიან დაჩაგრულად გრძნობდა. ჩემი ფიქრები არასოდეს ყოფილა ასე შორს სინამდვილისაგან!

როდესაც მივედით მის სამყოფელთან, ის მომღიმარი და სიხარულით სავსე დაგვხვდა. ის გახარებული იყო იმით, რომ მის ახლომახლო მცხოვრები ადამიანები ხვდებოდნენ იესო ქრისტეს, გახარებული იყო იმით, რომ მისი სამწყსო იზრდებოდა. და თუ ამ შედეგიანი მსახურების ფასი, რამდენჯერმე დაპატიმრება და რამდენიმე ღამის გატარება იქნებოდა ციხის საკანში, მერე რა? ეს ღირდა ამად, რადგან ხედავდა რომ იცვლებოდა ადამიანთა ცხოვრება და იზრდებოდა ქრისტეს სამეფო.

კარგად მახსოვს, რომ გვაჩვენა თავისი ჩანთა, რომელიც ეკლესიაში წამოიღო: ჩანთაში საფარებელი და გამოსაცვლელი ტანსაცმელი ელაგა. ეს იყო ე. წ. ციხის ჩანთა, ჩალაგებული, რაც იმას ნიშნავდა, რომ იგი მზად იყო იქ წასასვლელად.

მივუბრუნდი მის ცოლს, რომელიც ჩვენს გვერდით იჯდა, როცა ჩაის ვსვამდით. „არ ღელავ მის გამო?“ ვკითხე და მეუღლეზე მივუთითე.

„ვღელავ, მაგრამ არ ვარ სასოწარკვეთილი.“ მიპასუხა მან თარჯიმნის მეშვეობით. „ღმერთი იზრუნებს მასზე.“

ღმერთი იზრუნებს მასზე და ჩვენზეც.

იმ მოგზაურობის შემდეგ, მე სრულიად განსხვავებული წარმოდგენები მაქვს ჩემი მოგზაურობების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ახარებთ სხვა მორწმუნეებთან ურთიერთობა, მათ არ სჭირდებათ გამხნევება. ფაქტია, ხშირად, მათ გვერდით ყოფნის დროს, ვისურვებდი რომ ისეთივე სიხარული შემეგრძნო, როგორიც აშკარად, ჩანდა მათ სახეებზე და მათ ცხოვრებაში. მე ჩავდივარ მათთან, რომ მოვისმინო მათი ისტორიები. ჩავდივარ როგორც შემსწავლელი, მსურს

უფრო მეტი რამ შევიტყო მათი რწმენისა და მათი სახლისაკენ სვლის შესახებ– „უკეთესი სახლის, ანუ, ზეციური სახლისაკენ“. და როცა ვბრუნდები ჩემს მიწიერ სახლში, მსურს, რომ ყველას მოვუყვე ამბები მათი საოცარი რწმენის შესახებ.

გაიხედე ფანჯარაში, თუ მოვიდა ჩვენი მანქანა?

თქვენ იწყებთ ამ წიგნის კითხვას, ჩვენ გვინდა რომ მოგზაურობაც ერთად დავიწყოთ. ჩვენ ვაპირებთ, რომ ორმოცი დღე გავატაროთ ამ მოგზაურობაში და ვნახოთ როგორია შეზღუდვებით სავსე ეს ქვეყნები და მოვინახულოთ იმ მამაცი ჩინელი ხუცესისა და მისი ცოლის მსგავსი ადამიანები. მიხარია, რომ ჩემთან ერთად აპირებთ ამ მოგზაურობას, რათა მოისმინოთ ისტორიები იმ ადამიანების შესახებ, რომელთაც შევხვდი ბოლო ოცდასამი წლის განმავლობაში.

თუმცა თუ ხართ ქრისტეს მოწაფე, უკვე იქნებოდით მოგზაურობაში, სანამ გადაშლიდით ამ წიგნს. იმ ადგილის მსგავსში, რითაც დავიწყეთ ეს თავი (ებრ. 11), რამდენიმე ადგილას, ბიბლია ქრისტეს მიმდევრებზე ლაპარაკობს, როგორც მოგზაურებზე, უცხოებზე და ხიზნებზე. ჩვენ აქ არა გვაქვს სახლი, რადგან არ ვართ ამ ქვეყნისანი. ჩვენ მხოლოდ ვმოგზაურობთ და მივემართებით ჩვენი ნამდვილი სახლის, ზეცისაკენ.

ასე რომ, ვიწყებთ რა ჩვენს მოგზაურობას დევნილ ქრისტიანებთან შესახვედრად, ვიმედოვნებ, რომ გავეცნობით გარკვეულ ჭეშმარიტებებს სხვა, უფრო მნიშვნელოვანი მოგზაურობის შესახებ: იმ მოგზაურობის შესახებ, რომელიც მიგვიყვანს ზეცაში.

უკვე აეროპორტისკენ მივდივართ და აი, პირველი გაკვეთილი: ბევრი არაფერი წაიღოთ თან.

მრავალ ქრისტიანს მოგზაურობის დროს, გაცილებით მეტი ბარგი მიაქვს თან, ვიდრე საჭიროა. ნაცვლად იმისა, რომ წაიღონ ერთი ჩანთა ტვირთისთვის და ერთიც, მსუბუქი, თან სატარებლად. მათ მიაქვთ ექვსი ჩანთა ტვირთისთვის და სამი სატარებლად. ისინი ამ ტვირთს ურიკაზე აწყობენ, რომ შეიტანონ აეროპორტის შენობაში, შემდეგ კი დიდი ძალისხმევა სჭირდებათ საჭირო ადგილზე მისატანად. ისინი უფრო მეტს ფიქრობენ იმის შესახებ, სადაც იმჟამად იმყოფებიან, ვიდრე დანიშნულების ადგილზე, იმის გამო, რომ ძალიან ბევრი რამ მიაქვთ. და ისევე როგორც ავიაკომპანიები დამატებით ფასს ახდევინებენ მგზავრებს,

ჭარბი სიმძიმის ჩანთების გამო, ეს მორწმუნეებიც ფასს იხდიან სწორედ ამ ჭარბი წონის ტვირთის გამო.

შეიძლება, თქვენი დამატებითი ჩანთა მიუტევებლობაა; გულში გაქვთ წყენა, რაც თქვენს ჩანთას ძალზედ ამძიმებს. შეიძლება, ეს აუღიარებელი ცოდვაა. შესაძლოა, თქვენ თან მიგაქვთ ძალზედ ბევრი მატერიალური საგანი, რაც არ გაძლევთ საშუალებას იფიქროთ ნამდვილ სახლზე. შეიძლება, ეს საქმე დაკავებულობაა; თქვენი განრიგი ისეა გადატვირთული, დროსაც კი ვერ პოულობთ იმისათვის, რომ დატკბეთ იმ ადგილების სილამაზით, სადაც ჩადიხართ.

აი, ჩვენი მანქანაც უკვე მივიდა აეროპორტის შესასვლელთან.

როდესაც შევდივართ აეროპორტის შენობაში და მივემგზავრებით ერთად, სთხოვთ თუ არა ღმერთს ლოცვაში, გაჩვენოთ, ძალზედ ბევრი ტვირთი ხომ არ გაქვთ ზურგზე მოგდებული ცხოვრებისეულ გზაზე? ვიმედოვნებ, რომ ჩვენი ოჯახის დევნილი წევრების დამოწმებები, დაგეხმარებათ იფიქროთ ამის შესახებ და შემდეგ იმოქმედოთ, რათა უფრო მეტი იფიქროთ ჩვენი ნამდვილი სახლის და იმ გზის შესახებ, რომელსაც იქ მივყავართ.

პასპორტი? ინებეთ.

გაქვთ თქვენი მიმართულების ამონაწერი? დიახ.

ფული? მაქვს.

კარგი, ჩვენ მზად ვართ.

მოეფერეთ თქვენს ძაღლს, აკოცეთ მეუღლესა და ბავშვებს.

აბა წავედით!

ფიქრისთვის

რამდენად ხშირად გახსენდებათ, რომ „უცხო და ხიზანი“ ხართ ამ დედამიწაზე და რომ თქვენი საბოლოო დანიშნულების ადგილი „უკეთესი ქვეყანაა“? რამდენად ზემოქმედებს ეს ცოდნა იმ გზაზე, რომელი გზითაც დადიხართ ამჟამად? ძალიან ხომ არ ხართ დამძიმებული ამ ცხოვრებაში სახლისაკენ მიმავალი? მიგაქვთ ისეთი რამ, რაც არ გჭირდებათ, რაც მხოლოდ ადგილს იკავებს და ამძიმებს თქვენს ჩანთას?

როდესაც გაიაზრებთ ამ კითხვებს, დაწერეთ პასუხები თქვენი დღიურისთვის (ქვემოთ). რა არის საჭირო იმისათვის, რომ თავი დაანებოთ ამ საგნებს და დატოვოთ ისინი ზურგს უკან?

ფრენისწინა ლოცვა

უფალო ღმერთო, გთხოვ, ჩვენთან ერთად იყო ამ მოგზაურობაში. გთხოვ, გულისხმიერი გაგვხადო იმ ადამიანებთან მიმართებით, რომლებსაც ჩვენ შევხვდებით ამ მოგზაურობაში და გთხოვ, გამოიყენო ისინი იმისათვის, რომ კიდევ უფრო საცნაური გახდეს ჩვენთვის შენი ჭეშმარიტება. ხშირად გამახსენე „უკეთესი ქვეყანა," ჩემი ნამდვილი სახლი და გთხოვ, უსაფრთხოდ მამყოფე ამ მოგზაურობის განმავლობაში, სანამ იქ არ მიმიყვან. ამიხილე თვალი, რათა დავინახო, ხომ არ მიმაქვს თან ისეთი საგნები, რომლებიც არ უნდა მიმქონდეს და დამეხმარე დავტოვო ისინი.

თქვენი დღიურისთვის

ჩემი დღიურიდან

1998 წლის 19 ოქტომბერი (წამებულთა ხმის საქმიანობის ფარგლებში, ჩემი პირველი გამგზავრების წინ, სუდანში).

ერთი კვირის შემდეგ, მე დავტოვებ ჩემს ლამაზ, უსაფრთხო, კომფორტულ ცხოვრებას ბართლსვილში, რათა ათი დღე გავატარო სუდანში საკვების დასარიგებლად და ბიბლიების გასავრცელებლად... ჩემი კომფორტის ზონიდან დაახლოებით ათი ათასი მილის მანძილზე.

საინტერესო იყო ის, თუ როგორ ვფიქრობდი ამ მოგზაურობის შესახებ და რა შეიძლება მომხდარიყო. ჰირველეოვლისა, ვფიქრობდი იმაზე, რომ შესაძლებელი იყო უკან აღარ დავბრუნებულიყავი. სუდანი სახიფათო ქვეყანაა და გულახდილად რომ ვთქვა იქაური მთავრობის ჯარისკაცები არ დაიწყებდნენ ყოყმანს იმასთან დაკავშირებით, ესროლათ თუ არა ტყვია ჩემთვის, თეთრი ამერიკელისთვის. იმაზე ფიქრი, რომ შეიძლება ასე მომხდარიყო, განსაკუთრებულ ელფერს სძენდა იმ დღეებს, რომლებიც აქ უნდა გამეტარებინა, ამიტომაც, ცხადია, მინდოდა, რომ სულ შარლოტას და ბიჭების გვერდით ვყოფილიყავი, თავი გამომეჩინა, როგორც სანიმუშო ქმარსა და მამას. მინდოდა ვყოფილიყავი მზრუნველი და თანამგრძნობი. მსურდა, გამომერთო ტელევიზორი და მეტი დრო დამეთმო საუბრისთვის, მათი მოსმენისთვის. მინდოდა, ბევრჯერ გადავხვეოდი მათ მთელი დღის განმავლობაში და მეთქვა, რომ ძალიან მიყვარს ისინი, თუმცა შემდეგ თავს დამნაშავედ ვგრძნობდი. რატომ არ უნდა ვიცხოვრო ასე ყოველთვის? რატომ მაშინებს სუდანში გამგზავრება და მაიძულებს ვიყო ისეთი კაცი, როგორიც უნდა ვიყო მუდამ, წელიწადის 365 დღეს? ნუთუ თავს უფრო მოწყვლადად ვგრძნობ ომით მოცულ სუდანში და უფრო დაცულად ჩემს ქვეყანაში? განა არ არის შესაძლებელი, რომ მთვრალმა მძღოლმა ან ვინმე იარაღიანმა, ანდაც რომელიმე ძალადობის აქტმა და ავარიამ, შეწყვიტოს ჩემი სიცოცხლე ხვალ აქვე, ამერიკაში? რატომ არ ვარ მუდამ მზად სიკვდილისთვის და ამაზე მხოლოდ ასე შორს და ასეთ ქვეყანაში გამგზავრებისას რატომ ვფიქრობ?

შესაძლოა, სწორედ ეს არის გაკვეთილი, რომელიც ამ მოგზაურობისგან უნდა ვისწავლო. არ ჩავთვალო ხვალინდელი დღე ჩემთვის გარანტირებულად, არამედ ყოველდღე ისე ვიცხოვრო, რომ მზად ვიყო დავტოვო ჰლანეტა დედამიწა და მარადისობაში შევაბიჯო.

დღე 1



ჩვენი კონტროლის მიღმა

ადამიანი ირჩევს (გეგმავს) გზას, (მაგრამ) უფალი... წარმართავს მის ნაბიჯებს.

იგავები 16:9

.....

იეი, სუდანი, 1998

არ არის გასაკვირი, რომ პირველ დღეს, საკუთარი ქვეყნიდან ასე შორს მყოფმა გაიღვიძო შუაღამით, 2:30 წუთზე, ანდა 3 საათზე. ბევრი რამ მქონდა მოსმენილი იმის შესახებ, თუ როგორ შეეძლო საათობრივი სარტყლების ცვლილებას ძილის დარღვევა, თუმცა აქამდე ეს არასოდეს მქონდა გამოცდილი. ეს დარღვევა თავის შედეგს აღწევს. დღის განმავლობაში თქვენ შესაძლებლობა გაქვთ იმდენი მზის სხივი მიიღოთ, რამდენიც შეგიძლიათ. სხვა მხრივ კი, თქვენ უბრალოდ უნდა ებრძოლოთ ამ ცვლილებას.

ჩვენი გუნდი არ ფიქრობდა, რომ სუდანში ჩამოსვლის შემდეგ პირველად იეიში წასულიყო, თუმცა მოგზაურობისას პირველი გაკვეთილი არის ის, რომ ხანდახან საქმე ისე არ მიდის, როგორც დაგეგმე. ჩვენი მიზანი იყო წავსულიყავით ტურალეიში.

ტურალეის ახლოს მდებარე სოფელ აიიენში ცხოვრობდა ხუცესი, აბრაჰამ იაკ დენგი. იგი ამ სოფელში ოთხასი სულისაგან შემდგარ ადგილობრივ ეკლესიას ედგა სათავეში. მას პატარა, წითელყდიანი, ჯიბის ბიბლია ჰქონდა. ეს ბიბლია ერთადერთი იყო მთელ საკრებულოში. აბრაჰამი ძალიან ააღელვა იმ ცნობამ, რომ სუდანში ჩასულმა წამებულთა ხმის, (VOM)-ის, პირველმა გუნდმა ტურალეიში ბიბლიებით სავსე ყუთები ჩაიტანა. იმაზე ფიქრი, რომ მისი ეკლესიის თითოეულ წევრს შესაძლებლობა ეძლეოდა ჰქონოდა საკუთარი ბიბლია, ძალიან ამაღელვებელი და საოცარი იყო.

VOM-ის გუნდის წევრმა ჰკითხა ხუცეს აბრაჰამს, თუ რომელი იყო მისი საყვარელი ბიბლიური მუხლი და მან რომაელთა 6:23-ზე მიუთითა: „რადგან ცოდვის საზღაური სიკვდილია, ხოლო ღმერთის მადლი – საუკუნო სიცოცხლე ქრისტე იესოში, ჩვენს უფალში.“

ხუცეს აბრაჰამთან ამ საუბრისა და ბიბლიების ჩატანიდან ოთხი დღის შემდეგ, რადიკალი ისლამისტების, მოჯახედების, ჯგუფი თავს დაესხა აიიენს. ახლადჩატანილი ბიბლიები დაწვეს, დაახლოებით ოცი ადამიანი გაიტაცეს სოფლიდან, ხოლო ხუცეს აბრაჰამს თავში ესროლეს.

გუნდი, რომლის ნაწილსაც მეც წარმოვადგენდი, ამ საშინელი თავდასხმიდან თვეების შემდეგ, გეგმავდა დამწვარი ბიბლიების ნაცვლად სხვა ბიბლიების ჩატანას, მაგრამ გადაუღებელმა წვიმებმა ტურალეიში დატბორა ასაფრენი ზოლი თავსა და ბოლოში და პილოტები არ იყვნენ იმაში დარწმუნებულები, რომ ზოლის მშრალად დარჩენილი ნაწილი საკმარისი იქნებოდა თვითმფრინავის დასასმელად და შემდეგ ასაფრენად. ტვირთის გადასატანად ჩვენ მიერ დაქირავებული საჰაერო ტრანსპორტი იყო რუსული ორ ძრავიანი AN-ი (ანტონოვის სახელობის).

ამ მიზეზის გამო ჩვენი გუნდის ხელმძღვანელმა გადაწყვიტა დაერღვია ჩვენი მოგზაურობის განრიგი. პირველად წავიდოდით იეიში. ვიმედოვნებდით, რომ ტურალეიში რამდენიმე დღეში მოვახერხებდით ჩასვლას. ახლა ჩვენ იეიში ვართ და ვერ ვპოულობთ მანქანას, რომ წაგვიყვანოს. გვაქვს ბიბლიები, რომლებიც უნდა მივუტანოთ SPLA-ს (სუდანელი ხალხის გათავისუფლების არმია) რაზმს, რომელიც ბრძოლის წინა ხაზზეა, მაგრამ სატვირთო ავტომობილი, რომლის დაქირავების იმედიც გვქონდა, არ არის ადგილზე. არის სხვა მანქანა,

მაგრამ ისინი საწვავის ჩამოსვლას ელოდებიან. ჩვენ ვიმყოფებით ძალიან თავაზიან და კეთილ მისიონერებთან ერთად, რომლებიც ზრუნავენ ჩვენზე, მაგრამ გვაწუხებს ის, რომ ვერ ვახერხებთ დასახული მიზნის შესრულებას.

ბოლოს, გადავაწყდით სხვა მისიონერებს, რომლებიც იმავე მხარეს მიდიოდნენ საითაც ჩვენ და შევუერთდით მათ, მაგრამ ჩვენი ერთობლივი მოგზაურობის დაწყებიდან ორი საათის შემდეგ, მივადექით მდინარეს, რომელიც არ იყო რუკაზე მონიშნული და რომელზეც არ იყო ხიდი. ჩვენი მანქანით შევედით წყალში და ისე ვცადეთ მეორე მხარეს გასვლა. ჯერაც არ ვიყავით მისულები ნახევარ გზაზე, რომ წყალმა დაძალა ჩვენი მაღალი გამავლობის მქონე სატრანსპორტო საშუალება და ქვემოთ წაიღო. ჩვენი გუნდის ერთ-ერთი წევრი გაძვრა ფანჯრიდან, მას ჩვენც მივყევით. ავედით მანქანის სახურავზე და შევძელით თოკი გადაგვეგდო ნაპირზე მდგომი ადამიანებისთვის. ამან შესაძლებლობა მოგვცა შეგვეჩერებინა ჩვენი სატრანსპორტო საშუალება და ნაპირზეც გავსულიყავით გალუმპულები.

ასე რომ, იმის ნაცვლად, რომ გადაგვეცა ბიბლიები ფრონტის ხაზთან ახლოს მყოფი ჯარისკაცებისთვის, ჩვენ აქ ვართ გაჭედილები და ველოდებით წყლის დაკლებას მდინარეში, ასევე სხვა მანქანის გამოჩენას.

რას აკეთებ, უფალო? ჩვენ შენს მხარეზე ვართ! ჩვენ გვინდა ჩავანაცვლოთ ის ბიბლიები, რომლებიც მტერმა გაანადგურა. განა არ შეგიძლია შეაჩერო წვიმა იმდენ ხანს, რომ გაშრეს ასაფრენი ზოლი? განა არ შეგეძლო მოგეწყო ისე, რომ გვენახა მანქანა, როცა გვჭირდებოდა? არ შეგეძლო, რომ მდინარე თავთხელი ყოფილიყო, რათა გადაგველახა?

რა თქმა უნდა, ღმერთს შეუძლია გააკეთოს ყველაფერი, რაც სურს რომ გააკეთოს. მას შეუძლია შეწყვიტოს ან მოიყვანოს წვიმა. მას შეუძლია დააშროს მდინარეები, ანდა წყლით აავსოს ისინი, მაგრამ ჩემი მოგზაურობისას სუდანში, ისე ჩანდა, რომ არაფერი ხდებოდა გეგმის მიხედვით. რატომ?

მინდა რომ შემეძლოს ამის ახსნა. მინდა შემეძლოს სუდანში ჩვენი მოგზაურობის ზოგიერთი მნიშვნელოვანი მომენტის აღწერა. „შეხედე, ამის გამო დაუშვა ღმერთმა წვიმა“. მინდა, რომ შემეძლოს ზოგიერთ ჯარისკაცზე მოყოლა, რომელთაც გადავეცით ბიბლიები – იქ, სადაც

არ ვაპირებდით ყოფნას – რომ ისინი სუდანელ ბილი გრეჰემებად ქცეულიყვნენ. ჩვენ ჩავიტანეთ ბიბლიები, თუმცა ბევრი ამ ბიბლიათაგან, სანამ მათ წაიკითხავდნენ, მზეზე უნდა დალაგებულიყო გასაშრობად. ჩვენ ჩავიტანეთ საკვები, ერთ შემთხვევაში პროტეინებით გამდიდრებული ნარევი მივიტანეთ „ჰოსპიტალში“ (რომელსაც თქვენ და მე ალბათ უფრო კლინიკას დავარქმევდით), რომელშიც შიმშილისგან გამოფიტული ბავშვები იწვნენ. ჩვენ ურთიერთობა გვქონდა მისიონერებთან, რომლებიც გვმასპინძლობდნენ და ვფიქრობ, რომ ისინი გავამხნევეთ.

თუმცა იმ გარემოებების გამო, რომლებიც ჩვენზე არ იყო დამოკიდებული, ვერ შევძელით დასახული მიზნების მიღწევა.

ჩვენი კონტროლის მიღმა. ეს არ არის სიტყვები, რომლებიც მე მომწონს. მე მინდა, რომ გარემოებები ემორჩილებოდეს კონტროლს. მინდა, რომ მივიღო გადაწყვეტილებები. მინდა, რომ დავგეგმო რაღაცები და შემდეგ სხვებთან ერთად განვახორციელო ეს გეგმები. მინდა, რომ ვიცოდე შედეგები. მინდა რომ ვაკონტროლო!

მაგრამ თუ ჩვენ, დილაობით, საუზმის დროს, არჩევანი უნდა გავაკეთოთ სიმინდის ფანტელებსა და ტოსტს შორის, განა არ ნიშნავს ეს იმას, რომ მთელი დარჩენილი დღე უკვე აღარ არის ჩვენი კონტროლის ქვეშ? განა არ არის ქრისტიანული ცხოვრების მთელი არსი იმაში, რომ მთელი კონტროლი გადავცეთ ჩვენს მოსიყვარულე, წმიდა მამას, რომელიც ჩვენს ცხოვრებას და ჩვენს სვლას ისე განკარგავს, რომ ჩვენთვის საუკეთესო შედეგით დასრულდეს? როგორც სოლომონი გვეუბნება: ჩვენ ვგეგმავთ ჩვენს ცხოვრებას, მაგრამ უფალი წარმართავს ჩვენს ნაბიჯებს (იგვ. 16:9). გწამთ ეს? მწამს ეს?

ადვილია ყველაფერზე ხელი ჩაიქნიო, რაც ჩვენი კონტროლის მიღმაა. დატბორილი ასაფრენი ზოლი. თვითმფრინავი, რომელიც დროულად არ მოდის. მთელი ქალაქი, სადაც არ იშოვება საწვავი. ან აქეთ, ჩვენი ქვეყნისკენ, სამუშაო სიტუაცია, რომელიც არ მიდის გეგმის მიხედვით. ექიმი, რომელიც გეუბნება, რომ დამატებითი ტესტებია საჭირო სნეულების გამოსარიცხად. შვილი, რომელიც უღმერთო ცხოვრებას ირჩევს.

ცხოვრება ჩვენი კონტროლის მიღმაა. სიკვდილი, ასევე, ჩვენი კონტროლის მიღმაა, ამიტომაც უნდა შევეგუოთ. ამიტომაც მზად უნდა ვიყოთ შევცვალოთ კურსი. ნება უნდა მივცეთ მის გეგმას შეცვალოს ჩვენი

გეგმები. ჩვენ ყოველთვის არ გვეცოდინება რატომ. რატომ, მხოლოდ მისთვის არის ცნობილი. ეს ჩვენ არ ხელგვეწიფება.

ფიქრისთვის

არის სფეროები თქვენს ცხოვრებაში, რომელთა გაკონტროლებასაც ცდილობთ, თუმცა საჭიროა აღიაროთ, რომ ის სფეროები თქვენი კონტროლის მიღმაა. რომლებია ეს სფეროები? რა უნდა გააკეთოთ იმისათვის, რომ უარი თქვათ ამ კონტროლის საჭიროებაზე?

თქვენი დღიურისთვის, დაწერეთ ერთ-ერთი ასეთი სფეროს და, ასევე, იმის შესახებ, თუ რა მოხდება, როცა თქვენ თქვენი ცხოვრების ამ ნაწილის კონტროლს გადასცემთ მოსიყვარულე მამას და ნებას მისცემთ მას წარმართოს თქვენი ნაბიჯები.

ლოცვა

მამა, მე ვაღიარებ, რომ მსურს ვაკონტროლო ჩემი ცხოვრება. მსურს, დავალაგო გეგმები და მინდა, რომ შენ აკურთხო ის, რისი გაკეთებაც მსურს. დამეხმარე, მოგენდო და დავინახო ის, რისი დანახვაც არ შემიძლია. დამეხმარე, შენ დაგიქვემდებარო ჩემში არსებული კონტროლის ეს სურვილი და ნება მოგცე, რომ ყველაფერი შენ გააკონტროლო, რათა მოგენდო და ვირწმუნო, რომ შენი გეგმები უფრო დიდი სიკეთის მომტანია ჩემთვის. დამეხმარე, რომ ყოველდღიურად მოვძებნო შენი სახე, მოვიძიო შენი ნება და უფლება მოგცე იმოქმედო ჩემში და ჩემით, რათა აღსრულდეს შენი მიზნები ჩემთვის და ჩემ ირგვლივ მყოფთათვის.

თქვენი დღიურისთვის

ჩემი დღიურიდან

1998 წლის 31 ოქტომბერი, იეი, სუდანი (ჩემს მეუღლეს, შარლოტას)

...მე ვლოცულობ შენთვის. მე ვთხოვე ღმერთს, რომ გამოგზავნოს ანგელოზები, რათა დაიცვან ჩვენი სახლი, დაიცვან ის მტრის შემოტევებისგან, ან ისეთი რამისგან, რაც გამოიწვევს მწუხარებას.

ამბის დასასრული: სუდანში ყოფნის ერთ-ერთ ღამეს, ჩემს მეუღლეს, რომელიც იმ დროს ავად იყო, გაეღვიძა შუაღამით. საწოლზე წამომჯდარმა, მკაფიოდ დაინახა მამაკაცების ლანდები, რომლებიც ჩვენი საძინებელი ოთახის ფანჯრების ჟალუზებში გამოჩნდა. ის ადგა და გაიხედა თითოეულ ფანჯარაში, თუმცა ვერავინ დაინახა გარეთ და ნაცვლად იმისა, რომ შეშინებოდა, დამშვიდდა, დაუბრუნდა საწოლს და ღრმად ჩაეძინა.

მასაც და მეც გვწამს ანგელოზების.

დღე 2

„მე ვცემდი მას“

ვმადლობ მას, ვინც მომცა ძალა – ჩვენმა უფალმა, ქრისტე იესომ, რომელმაც სარწმუნოდ შემრაცხა და განმაწესა მსახურად. მე, ვინც უწინ მგმობელი, მდევნელი და მოძალადე ვიყავი. შემიწყალა, რადგან ასე ვიქცეოდი უმეცრებისა და ურწმუნოების გამო. უფრო მეტად გამრავლდა ჩემში ჩვენი უფლის მადლი რწმენით და სიყვარულით ქრისტე იესოსთვის. სარწმუნოა და მთლიანად შეწყნარების ღირსია სიტყვა, რომ ქრისტე იესო მოევლინა ქვეყნიერებას ცოდვილთა სახსნელად, რომელთა შორის პირველი მე ვარ.

1 ტიმოთე 1:12-5

.....

ალავას მახლობლად, ეთიოპია, 2005 წლის ოქტომბერი

შერქმეული სახელი „ჰაჯი“ პატივისცემის გამომხატველი ტერმინია მუსლიმურ სამყაროში. ეს ტერმინი ეძლევა იმ ადამიანებს, რომლებმაც აღასრულეს პილიგრიმობა მექაში, რაც ისლამური რწმენის ერთ-ერთი

სვეტია, ხუთთაგან. ჩვეულებისამებრ, ეს ტერმინი არ უთანაბრდება ხუცესის ტიტულს!

ჩვენ „ხუცეს ჰაჯის“ შევხვდით მის ბალახით დაფარულ სახლში ეთიოპიის სამხრეთ ნაწილში, იმ მხარეში, რომელშიც რადიკალური ისლამის მზარდი მოძრაობა დაემუქრა ეკლესიასა და ქრისტიან მორწმუნეებს. სახლის გარეთ, კედელს ეტყობოდა დამწვრობის კვალი. ერთი კვირის წინ, რადიკალი მუსლიმები შეეცადნენ ცეცხლი წაეკიდებინათ ჰაჯის სახლისთვის. საბედნიეროდ, მან მოახერხა ცეცხლის ჩაქრობა.

ვისხედით ჰაჯის გვერდით, ვსვამდით ფორთოხლის წვენს, რომელიც შემოგვთავაზეს და ვათვალიერებდით სახლს. თვალში მოგვხვდა თხელ სახურავში არსებული ხვრელებიდან შემოჭრილი მზის სხივები. ეს ხვრელები გაჩნდა მეზობლად მცხოვრები მუსლიმების მიერ ნასროლი ქვებისგან. ამ გზით ისინი ცდილობდნენ შეევიწროვებინათ, რომ ან წასულიყვნენ იქიდან, ან დაბრუნებოდნენ ისლამს. საბედნიეროდ, ამ ნასროლი ქვების გამო ოჯახის არცერთი წევრი არ დაზიანებულა.

ჰაჯის ესმის რადიკალი მუსლიმების სიძულვილი. ის ერთ-ერთი მათგანი იყო! ის იმდენად იყო ამ საქმეში ჩართული, რომ გაგზავნეს საუდის არაბეთში სპეციალური წვრთნისთვის.

როდესაც ვიდექით გარეთ, ჰაჯიმ ხელი გაიშვირა იმ ევანგელისტისკენ, რომელმაც მიგვიყვანა მასთან შესახვედრად. თავი გააქნია მისი მისამართით და წარმოთქვა სიტყვები, რომელთაც არასოდეს დავივიწყებ.

„მე ვცემდი მას.“

რაა?

„ჰო, მე ვცემდი მას.“ ჰაჯიმ დაიწყო თავისი ამბის მოყოლა. სანამ ქრისტიანი გახდებოდა, იგი იყო ახალგაზრდებისაგან შემდგარი ერთ-ერთი რადიკალური ისლამური ჯგუფის წინამძღოლი. თავიანთი წინასწარმეტყველისთვის მათი წმინდა მოვალეობის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენდა ქრისტიანებზე თავდასხმა და მათი შევიწროვება. იმ ადამიანებს შორის, რომელთაც ისინი თავს დაესხნენ, სწორედ ეს ევანგელისტი გახლდათ. კაცი, რომელიც ახლა ჰაჯის გვერდით იდგა და მისი ხელი მხრებზე ედო.

ცემის მიუხედავად, ევანგელისტი უარს ამბობდა მათ სიძულვილზე. ამის ნაცვლად, იგი სიყვარულს აჩვენებდა მათ და სთავაზობდა კურთხევასა და სახარებას. ჰაჯი ვერანაირად ვერ ხსნიდა ამგვარ პასუხს. როგორ შეიძლება, რომ კაცმა, რომელსაც სცემ, სიძულვილის ნაცვლად სიყვარული გაჩვენოს? როგორ შეიძლება, რომ ის განრისხებამ არ მოიცვას და არ შეგებრძოლოს?

საბოლოო ჯამში, ჰაჯის გული დაპყრობილ იქნა სახარებით და იმ ქრისტიანი კაცის მიერ გამოჩენილი სიყვარულით, რომელსაც თავს ესხმოდა. მან მიატოვა ისლამური გზა, რომელიც ზიზღს და ძალადობას ასწავლიდა და დადგა იმ მშვიდობის მხარეს, რომელიც მის აზროვნებას აღემატებოდა.

მისი ისლამისტი მეგობრები, ცხადია, უკმაყოფილონი დარჩნენ მისი გადაწყვეტილებით. ჰაჯიმ ერთი წელი გაატარა ციხეში. მას მოუწია დაპირისპირებოდა იმ ტაქტიკას, რომელსაც თავადვე იყენებდა ქრისტიანების წინააღმდეგ. ახლა მას უწევს აკრიფოს ქვები იატაკიდან და დაიცვას თავისი ქოხი გადაწვისგან, მაგრამ ის არ დათმობს თავის რწმენას იესოსადმი.

კიდევ ერთხელ ვრჩები გაოცებული იმ სიხარულის აღქმით, რომელიც ჩვენი დევნილი ქრისტიანული ოჯახის წევრებს აქვთ, რომელსაც ისინი ასხივებენ. ჰაჯი ბედნიერი კაცია. მისი ღიმილი გულიანია. მხიარულად და ხშირად იცინის. ეს არ არის ის კაცი, რომელიც მუდმივ შიშში ცხოვრობს, მიუხედავად იმისა, რომ მას რეალური და ასევე, მუდმივი საფრთხე ემუქრება. ეს არის კაცი, რომელიც გულითადია, აქვს თავგადასავლები და ემსახურება დიდებულ მეფეს.

ჰაჯის აქვს სასუფევლის (სამეფოს) ზეგავლენა. ვინ დაელაპარაკება უკეთ მუსლიმებს იესოს შესახებ, თუ არა ყოფილი მუსლიმი. ის კაცი, რომელმაც აღასრულა ჰაჯი (მომლოცველობა მექაში), კაცი, რომელიც იმდენად იყო თავგანწირული თავისი საქმისადმი, რომ გაგზავნეს საუდის არაბეთში სპეციალური წვრთნისთვის? ვინ განმარტავს უკეთ იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს იმ ღმერთს, ვინც წონის ჩვენს კეთილ და ბოროტ საქმეებს, რათა ნახოს გამოიმუშავე თუ არა უფლება შეხვიდე სამოთხეში, და იმ ღმერთს შორის, ვინც იცის, რომ ჩვენი კეთილი საქმეები ვერასოდეს გადაწონის ჩვენს ცოდვიანობას, ამიტომაც გამოგზავნა თავისი საკუთარი ძე,

რათა გადაეხადა ფასი ჩვენი ბოროტი საქმეებისთვის და თავისი სისხლის საფასურად მოეპოვებინა ჩვენთვის ზეცაში შესვლის შესაძლებლობა?

ჰაჯის ამბავი არ არის უნიკალური. ეკლესიის ერთ-ერთი პირველი დიდი მისიონერი იყო კაცი, რომელიც იმდენად მოწადინებული იყო დაეცვა თავისი რელიგია, რომ ითხოვა მისთვის დაევალებინათ იმ კაცებისა და ქალების შეპყრობა, რომლებიც არ მისდევდნენ მამების სწავლებას. შემდეგ ეს კაცი შეხვდა მას, ვისაც სდევნიდა და სამუდამოდ შეიცვალა.

VOM-ის ერთ-ერთ ჩვენი ნდობით აღჭურვილ ადამიანს, რომელიც კოლუმბიაში ცხოვრობს, აქვს გამონათქვამი: „დოღის ცხენს შეუძლია ერთნაირად სწრაფი იყოს ყველა მიმართულებით.“ ადამიანი, რომელიც გულმოდგინეა ცოდვაში, ხშირად თავგამოდებული ხდება ქრისტესთვის. კაცმა, რომელიც სცემდა ქრისტიანებს, ერთ მშვენიერ დღეს, შეიძლება, თავადვე აიტანოს სიხარულით ცემა და შეურაცხყოფა, თავისი მეფის სამსახურისთვის.

ადვილია ჩვენთვის შევხედოთ ვინმეს მაღლიდან, ასე ვთქვათ მაღალი რელიგიური გადმოსახედიდან და ვთქვათ, რომ მათი სულიერება მოიკოჭლებს, რომ მათი გული ისე ძალიან იყო გაქვავებული, რომ ძნელად თუ შეიცვლება. რომ ის იმდენად არის ჩაფლული ცოდვაში, რომ ვერასოდეს შეძლებს თავი დააღწიოს ამ ხაფანგს, მაგრამ ხუცესი ჰაჯის მოწმობა–და მოციქული პავლეს მოწმობაც–ისეთია, რომ არცერთი ჩვენგანი არ არის ღმერთის მადლისა და მოწყალების გარეშე. და ისინი, რომლებმაც თავი დააღწიეს იმ ხაფანგს, ხშირად გაცილებით მოშურნენი და მოწადინებულნი არიან ქრისტესთვის და ცდილობენ უფრო მეტ ადამიანს მისწვდნენ მისთვის.

„მე ვცემდი მათ,“ ამბობს ხუცესი, ამბობს დევნილი ქრისტიანი, ამბობს სასუფევლის მუშაკი, ღიმილით.

ფიქრისთვის

არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც „ჩამოწერილი“ გყავთ სულიერად და ამბობთ, რომ მათ არაფერი ეშველებათ. ადამიანები, რომელთა

შესახებაც გადაწყვიტეთ, რომ უარი უნდა თქვან ღმერთის დახმარებაზე? შესაძლოა, სწორედ ამ პიროვნებისთვის მოგიწოდებთ ღმერთი, რომ შეიყვაროთ და მისწვდეთ მას. შესაძლოა, ღმერთს აქვს მათთვის გეგმა, რომ ისინი გახდნენ პავლეები, ან ჰაჯები, რომლებიც დიდ საქმეებს აღასრულებენ მისი სასუფევლისთვის. როგორ უპასუხებდით მათ იმგვარად, რომ ქრისტეს სიყვარულმა გამოანათოს თქვენში?

დაწერეთ ამ პიროვნების სახელი და ჩამოწერეთ ის ნაბიჯები, რომელთაც გადადგამთ იმისათვის, რომ ააგოთ ხიდი, რომლის საშუალებითაც მიაწვდით მას სახარებას.

ლოცვა

მამაო, ჩემი საკუთარი ძალით არ შემიძლია ამ პიროვნების სიყვარული. ხანდახან, მასთან ერთად ერთ ოთახში გაჩერებაც კი არ შემიძლია! გთხოვ, მომცე შენი სიყვარული, რათა გავუზიარო მათ. დამეხმარე, დავინახო ისინი ისე, როგორც შენ უყურებ მათ და გამოგზავნე სულიწმიდა, რათა მოალბოს მათი გულები.

თქვენი დღიურისთვის

ჩემი დღიურიდან

ჩვენ, ასევე, შევხვდით თორმეტ ეოფილ მუსლიმ მორწმუნეს, ახალგაზრდა ადამიანებს, რომლებიც საკუთარმა მშობლებმა გამოუარეს სახლებიდან. ისინი ახლა ქრისტიანულ ოჯახებში ცხოვრობენ, რომლებმაც შეიკედლეს ისინი და ცდილობენ განათლება მისცენ მათ. თვეში მხოლოდ 4-დან 5 დოლარამდე ჯდება მათი უცხო ოჯახებში ცხოვრება და საკვები!

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ საკუთარი მშობლები სახლიდან რომ გაგდებენ? ერთ-ერთი გოგონა, რომელსაც ასე მოექცნენ მხოლოდ ცამეტი წლისაა — ჰირდაჰირ ქუჩაში გამოაგდეს!

ჩვენ, ასევე, შევხვდით რამდენიმე ახალგაზრდას, რომლებიც ცოლებმა გამოუარეს სახლებიდან, როცა ისინი მორწმუნეები გახდნენ.

ლოცვა დევნილი ქრისტიანებისათვის

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საუბარი, რომელიც მუსლიმური წარმოშობის (ჩვენი ახალი ეთიოპიელი მეგობრის, ჰაჯის მსგავსი) ქრისტიან მორწმუნეებს უწევთ, არის ის, როდესაც ისინი ჰირველად მათთან ახლოს მეოფ ადამიანს ეტყვიან, რომ ახლა ისინი უკვე აღარ არიან მუსლიმები, არამედ არიან ისა ალ მასიფის — იესო მესია — მიმდევრები.

ამ საუბარმა, შესაძლოა, ჩვენი ახალი ძმა ან და სიკვდილის საფრთხის წინაშე დააყენოს.

ამ საუბარს, ასევე, შეუძლია გახსნას კარი სახარების გაზიარებისთვის.

ილოცეთ დღეს იმ ახალი მორწმუნეებისთვის მთელ ისლამურ სამყაროში, რომლებიც გადაწყვეტენ, თუ როდის და ვისთან ექნებათ ეს სასიცოცხლო საუბარი.

დღე 3

„ყველაფერი გვაქვს, რაც გვჭირდება“

გაჭირვების გამო არ ვამბობ ამას, რადგან ვისწავლე კმაყოფილი ვიყო იმით, რაც მაქვს. ვიცი გაჭირვება და ვიცი სიუხვე, შეჩვეული ვარ ყველაფერს და ყოველივეს: გაძღომას და შიმშილს, სიუხვესა და ხელმოკლეობას. ყველაფერი შემიძლია ჩემს განმაძლიერებელში. ჩემი ღმერთი კი დააკმაყოფილებს თქვენს ყოველ საჭიროებას, თავისი სიმდიდრისამებრ, დიდებით ქრისტე იესოში.

ფილიპელთა 4:11-13, 19

……..

ირბილის გარეუბანი, ჩრდილოეთი ერაყი, 2016 წლის იანვარი

ჩვენ ვსხედვართ იძულებით გადაადგილებული პირების კარავში, ჩრდილოეთ ერაყში. („გადაადგილებული პირები“ ის ხალხია, რომლებსაც მოუწიათ თავიანთი სახლების მიტოვება, თუმცა არ გადაუკვეთავთ

თავიანთი სახელმწიფოს საზღვრები. „ლტოლვილები“ კი ის ხალხია, რომლებმაც დატოვეს თავიანთი სახლები და ახლა ქვეყნის საზღვრებს გარეთ იმყოფებიან.)

როდესაც ISIS (ისლამური სახელმწიფო) გამოჩნდა ნინევიის დაბლობებში, ათასობით ადამიანი – ქრისტიანები, იეზიდები, შიიტი მუსლიმები და ISIS-ის თანამორწმუნე სუნიტებიც კი – გაექცნენ მათ. ჩვენი ჩასვლის დროს ჩრდილოეთ ერაყში მათი უმრავლესობა კარვებში ცხოვრობდა. ბანაკები დაყოფილი იყო: სუნიტების საცხოვრებლად, შიიტების საცხოვრებლად, ქრისტიანები კი აი, იქ არიან. კარავში, რომელშიც ჩვენ ვსხედვართ სუნიტების სექციის შუაგულშია–მის გარშემო ათასობით სუნიტი მუსლიმი ცხოვრობს.

ჩვენი მასპინძელი კარავში არის კაცი, რომელსაც მუჰამედი ჰქვია. მე მიყვარს ქრისტიანები, რომლებსაც მუჰამედის სახელი აქვთ! იანვარი დგას და გარეთ ცივა. ორიოდე დღის წინ თოვდა კიდეც; ამიტომაც გზები ტალახითაა სავსე. ქარი, თითქოს, ყველა მხრიდან უბერავს, გამჭოლი და ცივი. ნავთის პატარა ღუმელი ცოტათი ტეხავს სიცივეს კარვის შიგნით, თუმცა არა იმდენად, რომ თბილოდეს, ამიტომაც ჩემი იქ ყოფნისას პალტო სულ მეცვა.

მუჰამედი და მისი ცოლი მოსულიდან არიან, რომელიც უდიდესი ქალაქია ჩრდილოეთ ერაყში და იმ დროისათვის ყველაზე დიდი ქალაქი იყო, რომელიც ხელში ჩაიგდეს ისლამური სახელმწიფოს მებრძოლებმა. ის ადრე სუნიტი მუსლიმი იყო, როცა ჩვენს შეხვედრამდე დაახლოებით ათი წლის წინ, სიზმარი ნახა. სიზმარში იესო მივიდა მასთან და პირადად დაელაპარაკა. როცა მუჰამედს გაეღვიძა, მიიღო გადაწყვეტილება გამხდარიყო იესოს მიმდევარი – მისი მიმდევარი, ვინც მივიდა მასთან და პირადად დაელაპარაკა.

თავიდან მუჰამედის ცოლი ძალიან შეწუხდა, რომ მისი თავგამოდებული სუნიტი ქმარი უღმერთო გახდა. როგორ შეეძლო მას ზურგი ექცია ჭეშმარიტი რწმენისთვის? მაგრამ დაახლოებით სამი თვის შემდეგ, მანაც ისეთივე სიზმარი ნახა, როგორიც მუჰამედმა მანამდე უამბო მას. იესო მივიდა და პირადად დაელაპარაკა მას. როდესაც გამოეღვიძა, მანაც იგივე გადაწყვეტილება მიიღო, როგორიც მისმა ქმარმა: ისიც გახდა იესოს მიმდევარი.

მას შემდეგ, რაც მოვისმინე მუჰამედის მოწმობა, ვკითხე მის ცოლს, თუ დაინახა ცვლილებები მის ქმარში მას შემდეგ, რაც მან ეს სიზმარი ნახა. „კი, რა თქმა უნდა,“ მიპასუხა თარჯიმნის დახმარებით, „მან შეწყვიტა ჩემი ცემა.“ მართლაც, ვიფიქრე მე, პირველი კარგი ნაბიჯი კაცის რწმენის გზაზე დადგომის შემდეგ!

იქნა რა დახსნილი ქრისტეს მიერ, მუჰამედმა დაიწყო თავისი ამბის მოყოლა ირგვლივ მცხოვრებ ადამიანებთან მოსულში. ახლა ის არა მხოლოდ განდგომილი იყო, არამედ აქტიურად შთააგონებდა მუსლიმებს, მიებაძათ მისთვის. მათი სახლი დაწვეს. პოლიცია შეჰპირდა, რომ „გამოიძიებდა“ ამ საქმეს, მაგრამ, ცხადია, არავისზე მიუტანიათ ეჭვი. მუჰამედი თავის ოჯახთან ერთად ახალ სახლში გადავიდა და იქაც იგივე გააგრძელა. უყვებოდა ირგვლივ მყოფებს იესოს შესახებ.

2014 წელს, როცა ისლამური სახელმწიფოს მებრძოლები მიადგნენ მათ ქალაქს, მუჰამედმა კარგად იცოდა, რომ ოჯახი უნდა წაეყვანა სხვაგან. ISIS-ის მებრძოლები არა მხოლოდ მათ სახლს დაწვავდნენ, არამედ ისლამზე უკან დაბრუნების შესაძლებლობის მიცემის შემდეგ, დასჯიდნენ მას, რადგან ის ამაზე უარს იტყოდა. ოჯახმა დატოვა მოსული, ბოლოს ისინი ირბილის მახლობლად მდებარე გადაადგილებულთა ბანაკში დასახლდნენ. იმის გამო, რომ მუჰამედის ID ბარათში ჯერაც „სუნიტი მუსლიმის“ შტამპი იყო, ის და მისი ოჯახი დაასახლეს სუნიტების ბანაკის ამ კარავში, თუმცა ახლა ეს ბანაკი აღარ იყო 100 პროცენტით სუნიტური. ჩამოსვლის შემდეგ, მუჰამედმა და მისმა ოჯახმა ორი სხვა ოჯახიდან მოიყვანეს ადამიანები ქრისტესთან. კარავშიც კი ისინი საუბრობდნენ იესოზე. ახლა, მათი ცემენტის პატარა გამათბობელზე დგას UN-ის (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია) მიერ მათთვის მიცემული ორი კარავი. მუჰამედმა და მისმა მეუღლემ გადაწყვიტეს (მათ ხუთი შვილი ჰყავთ) ერთ კარავში მოთავსებულიყვნენ, ხოლო მეორე გამოეყენებინათ ლოცვისა და ბიბლიის შესწავლის შეხვედრებისთვის. მათ უკვე ჰქონდათ გარკვეული გავლენა, თუმცა ეს გავლენა შეუმჩნეველი არ დარჩენილა. მუჰამედმა გვითხრა, რომ ის ან მისი ცოლი მუდამ უნდა ყოფილიყვნენ კარავში, ვინაიდან უკმაყოფილო სუნიტებს შეეძლოთ გაენადგურებინათ მათი კარვები, თუ ისინი სადმე წავიდოდნენ.

ჩვენმა იქ ყოფნამ, ვინაიდან უცხოელები ვიყავით, ყურადღება მიიპყრო. ჩვენ დიდ ხანს არ შეგვიძლია აქ დარჩენა. მუჰამედის დამოწმების მოსმენის შემდეგ, ვკითხე მას, „რაზე ლოცულობ? რას სთხოვ ღმერთს?“

მან დაიწყო ლაპარაკი და შემდეგ თარჯიმანმა გადმომცა, „ჩვენ არაფერს ვთხოვთ ღმერთს, ყველაფერი გვაქვს, რაც გვჭირდება. ჩვენ კმაყოფილები ვართ!“

ჩემი პირველი ფიქრი იყო, შევკამათებოდი მუჰამედს.

კარგი რა, მუჰამედ. ხუთ შვილთან ერთად კარავში ცხოვრობ! შენს ზოგიერთ მეზობელს, ალბათ, სურს შენი მოკვლა! როგორ შეგიძლია იფიქრო, რომ ყველაფერი გაქვს, რაც გჭირდება?!

იმ მომენტში, ვიგრძენი რომ სულიწმიდამ მითხრა რაღაც ამის მსგავსი: უსმინე და ნაკლები ილაპარაკე.

არის დიდი სიმართლე იმაში, რაც მუჰამედმა თქვა. ჩვენ გვაქვს ყველაფერი, რაც გვჭირდება. გვაქვს ჭერი თავს ზემოთ. გვაქვს დღევანდელი საკვები. და ასევე გვაქვს სამოქმედო ასპარეზი ყველა მიმართულებით. აი, აქვე, ზღურბლს მიღმა. კიდევ რა უნდა ვითხოვოთ?

მუჰამედი და მისი ოჯახი ყოველდღიურად ღმერთზე არიან დამოკიდებულნი. „მოგვეცი ჩვენ დღეს პური ჩვენი არსობისა.“ ისინი ამ ლოცვას ყოველდღიურად აცოცხლებენ! ისინი ცხოვრობენ ისე, როგორც მოციქულმა პავლემ დაწერა: „კმაყოფილი [ვარ] იმით, რაც მაქვს.“

მე აღმოვაჩინე, რომ ეს ყოველდღიური დამოკიდებულება ღმერთზე, პერსონალური გამოწვევაა. ვფიქრობ, რომ მრავალი ამერიკელიც იღებს ამ გამოწვევას. ბოლოს და ბოლოს, უშველე საკუთარ თავს, ქვეყანა ვართ. თავი ხელში აიყვანე! თუ ბეჯითად იმუშავებ, ყველაფერს გააკეთებ. და მე ძალიან მომწონს ცხოვრებისადმი ასეთი დამოკიდებულება, მომწონს ის, რომ ეს არის ნაწილი ამერიკული იდეალისა.

მაგრამ რა ვთქვათ, ღმერთზე ყოველდღიური დამოკიდებულების შესახებ? ნაცვლად დამოკიდებულებისა: „შემიძლია ყველაფერი გავაკეთო ჩემი მოწადინებითა და მცდელობით,“ ვისწავლოთ, კმაყოფილები ვიყოთ იმით, რაც გვაქვს და ვიცხოვროთ ასეთი დამოკიდებულებით: „შემიძლია ყველაფერი გავაკეთო ქრისტეს, ჩემი გამაძლიერებლის, მეშვეობით“.

ფიქრისთვის

რაზე ხართ დამოკიდებული ყოველდღიურად თქვენს ცხოვრებაში? არის ეს ხელფასი, სამსახური, თქვენი გონება თუ ოჯახი? თუ ეს ღმერთია? ხართ მასზე დამოკიდებული თქვენი ყველა საჭიროების დროს, იქნება ეს ჭერი თავს ზემოთ, თუ სწორი სიტყვები ყოველი საუბრის დროს?

დაწერეთ ვისზე ან რაზე ხართ დამოკიდებული ყველაზე მეტად თქვენს ცხოვრებაში და შემდეგ დაწერეთ როგორი იქნება თქვენი ცხოვრება, თუ თქვენ ყოველდღიურად, ყოველწამიერად, იქნებით დამოკიდებული ღმერთზე.

ლოცვა

უფალო იესო, მე ვაღიარებ, რომ ხშირად დამოკიდებული ვარ _____ _____ უფრო მეტად, ვიდრე შენზე. მომიტევე ეს! დამეხმარე, რომ ჩემი რწმენა შენზე დავაფუძნო, არა მხოლოდ მთელი ცხოვრებისა და მარადისობისთვის, არამედ ყოველდღიურადაც, მომენტიდან მომენტამდე, ვიყო შენს გეგმაზე და შენს კმაყოფაზე დამოკიდებული საკუთარი თავისა და ჩემი ოჯახისთვის. დამეხმარე, დავინახო ის ნაბიჯები, რომლებიც შენ დაგეგმე ჩემთვის დღეს და მადლობა იმისათვის, რომ შენით ყველაფერი მაქვს, რაც მჭირდება.

თქვენი დღიურისათვის

ჩემი ფეისბუქის ჩანაწერიდან იმ დღეს

როცა ვკითხე მუჰამედს, „რაზე ლოცულობ? რას სთხოვ ღმერთს?“ მან მიპასუხა: „არ გვჭირდება რამე რომ ვთხოვოთ. ყველაფერი გვაქვს, რაც საჭიროა! კმაყოფილები ვართ.“

ხანდახან მიკვირს და თავს ვუსვამ კითხვას: „მაქვს ისეთი რამ, რასაც შემიძლია რწმენა ვუწოდო?“ თუ თქვენც ოდესმე გაგიჩნდებათ კითხვა: რატომ ვარ დაკავებული ამ საქმით და რატომ დავფრინავ ამდენს მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას, გიპასუხებთ: იმ შესაძლებლობებისათვის, რომ ვიჯდე კარავში იესოს ისეთ მიმდევრებთან ერთად, როგორიც ეს კაცი და მისი ოჯახია. ერთი სული მაქვს, როდის დავბრუნდები სახლში და მოვუთხრობ ადამიანებს მათ შესახებ!

დღე 4

„კინაღამ დავიხრჩე შხაპის მიღებისას“

მაგრამ როდესაც დაინახა, როგორი ძლიერი ქარი იყო, შეეშინდა, ჩაძირვისას დაიყვირა: „უფალო, მიხსენი მე!“ იესომ მყისვე გაუწოდა ხელი, ამოიყვანა და უთხრა: „რატომ დაეჭვდი, მცირედ მორწმუნევ?“

მათე 14:30-31

.....

ჰუსეინი, ნაწილი 1: ჩაკეტილი ქვეყანა, 2009

ჰუსეინი არ არის მისი ნამდვილი სახელი. ის ირანში ცხოვრობს, მაგრამ ჩვენ შევხვდით სხვა ქვეყანაში, სადაც ვიზებს აძლევდნენ როგორც ირანელებს, ასევე ამერიკელებს. ჰუსეინი იზრდებოდა მკაცრ ისლამურ სახლში. დედამისი იყო თავდადებული მუსლიმი, კითხულობდა ყურანს და დღეში ხუთჯერაც ლოცულობდა დადგენილი ფორმით. მამამისი არ ყოფილა ასეთი თავგამოდებული მორწმუნე, მაგრამ თუ ვინმე ეტყოდა, რომ ის არ იყო კარგი მუსლიმი, ბრაზდებოდა და შეიძლება ძალადობისთვისაც მიემართა. ის ცემდა ხოლმე ჰუსეინის დედას. მათი ქორწინება გაყრის პირას იყო.

მას შემდეგ, რაც დაასრულა სამხედრო სავალდებულო სამსახური, ჰუსეინი დაბრუნდა სახლში. სამუშაოს პოვნა ძნელი იყო და ნაცვლად იმისა, რომ მოეძებნა სამსახური, დაუკავშირდა ძველ მეგობარს, რომელიც ფულის გაყალბებით იყო დაკავებული. ეს ის დანაშაულია, რომელიც ირანის სახელმწიფოს მკაცრი კანონების მიხედვით, სიკვდილით ისჯება, თუმცა ის და მისი მეგობარი არ დაუჭერიათ და ჰუსეინის შემოსავალი ყოველდღიურად იზრდებოდა. ამის გამო ის აღვირახსნილ ცხოვრებას ეწეოდა: ქალები, ნარკოტიკები, წვეულებები. ცხოვრების ასეთ სტილს დროებით შეეძლო ჩაეხშო მისი ტკივილი, მაგრამ ვერცერთი მათგანი ვერ ავსებდა იმ სიცარიელეს, რომელსაც ის შინაგანად გრძნობდა.

ის და მისი მეგობარი ვერ თანხმდებოდნენ რაღაცებში, რის გამოც ჰუსეინი იძულებული გახდა თავი დაენებებინა ამ დანაშაულებრივი საქმიანობისთვის. ის მოულოდნელად, ყოველგვარი შემოსავლის გარეშე დარჩა, თუმცა მისი ნარკოტიკებზე დამოკიდებულება არსად გამქრალა, როცა მისი შემოსავლები გაქრა. ჰუსეინი თავს უბედურად გრძნობდა. მან თვითმკვლელობაზე დაიწყო ფიქრი. „მინდოდა მოვმკვდარიყავი“, მითხრა მან, „მაგრამ არ მინდოდა, რომ ეს მტკივნეული ყოფილიყო“. მან გადაწყვიტა ექსტაზამდე მისულიყო, შემდეგ გადმომხტარიყო მაღალი შენობის სახურავიდან. მოძებნა შესაფერისი შენობა, ის გზაც მონახა, თუ როგორ უნდა ასულიყო სახურავზე. ახლა რაც მოსაძებნი დარჩა, იყო ნარკოტიკები.

სანამ გაასწორებდა ცხოვრებასთან ანგარიშს, ძველმა ნაცნობმა ჯარიდან დაურეკა ჰუსეინს. ის აპირებდა ჰუსეინის ქალაქში ჩამოსვლას და იმედოვნებდა, რომ შეხვდებოდა მას. ყავის სმისას, ჰუსეინის მეგობარმა უთხრა მას, რომ იპოვა რაღაც ახალი. ჰუსეინმა ყურადღება გაამახვილა. იფიქრა, რომ ეს ახალი, რაც მისმა მეგობარმა იპოვა, შესაძლოა, ყოფილიყო ახალი ნარკოტიკი და სწორედ ამას ეძებდა იმჟამად ჰუსეინი. ამის ნაცვლად, მეგობარმა უთხრა მას, რომ იპოვა ქრისტე.

მეგობარმა მას ახალი აღთქმა გამოუგზავნა და მან წაიკითხა მათეს სახარება, თუმცა ამ პირველი წაკითხვით ბევრი ვერაფერი გაიგო ჰუსეინმა. როდესაც მისი მეგობარი დაბრუნდა მის ქალაქში, მან ის სხვა ქრისტიანებთან წაიყვანა. ისინი ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივ

პარკში, ლამაზ, მზიან დღეს. აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთ მათგანს, ქალს, რომელსაც პადინა ერქვა, ასევე ჰქონდა პრობლემები ნარკოტიკებთან, შემდეგ დეპრესია და თვითმკვლელობის გეგმაც. ქრისტიანები ყურადღებით უსმენდნენ ჰუსეინს და თანაუგრძნობდნენ იმ ტკივილის გამო, რომელსაც ის განიცდიდა.

პადინამ პირდაპირ შეხედა მას თვალებში და ჰკითხა, თუ უნდოდა, რომ თავისი ტკივილი იესოსთვის გადაეცა. ჰუსეინმა იფიქრა, რომ არაფერი ჰქონდა დასაკარგი; თუ იესო ვერ მოაგვარებდა მის პრობლემას, მსჯელობდა ის გულში, ვინღა დაუშლიდა თავის მოკვლას, ამიტომაც... რატომაც არა, ვილოცებ მათთან ერთად! რა დამიშავდება? მაგრამ, როდესაც მიმართა იესოს და სთხოვა ჩაებარებინა მისი ცხოვრება და გაეთავისუფლებინა ამ ტკივილისგან, საოცრება მოხდა. თითქოს, გული სინათლით აევსო. ჰუსეინმა მითხრა, რომ „აუხსნელი ბედნიერება“ იგრძნო, როცა ილოცა და გულში იგრძნო ქრისტეს არსებობა.

ჰუსეინის ცხოვრება შეიცვალა. მან მიატოვა ნარკოტიკები, სმა და სიგარეტი. იხილეს რა ასეთი ამოუცნობი ცვლილება მის ცხოვრებაში, მისმა ძმამ და დამ, ასევე, მიიღეს ქრისტე. ეკლესიის წინამძღოლებმა შეამჩნიეს ჰუსეინის მოწმობის სიძლიერე და მიიჩნიეს, რომ ის ეკლესიის პოტენციური ლიდერი იყო.

ჰუსეინი, მართლაც, გრძნობდა ღმერთის მოწოდებას დამატებითი მსახურებისთვის, თუმცა ის მთელი ძალით ცდილობდა შეწინააღმდეგებოდა ამ გრძნობას. ღვთის დახმარებით მან დაძლია თავისი დამოკიდებულებები და ხელახლა დაიწყო თავისი ცხოვრების შენება. მას ჰქონდა კარგი, ლეგალური სამსახური, ჰყავდა მანქანა და ჰქონდა სახლი. მას სურდა, რომ უფლისთვის ნაწილობრივ ემსახურა, რადგან ვერ შეძლებდა უფლის სამსახურში მთლიანად ჩადგომას და ამავე დროს კომფორტული ცხოვრებისა და მყარი შემოსავლის შენარჩუნებას. საეკლესიო ჯგუფს მის სახლში შეკრებაც კი შეეძლო.

თვრამეტი თვის შემდეგ, ჰუსეინი იმ ქრისტიანების ჯგუფს შეუერთდა, რომელიც ზღვის ნაპირზე გაემგზავრა განმარტოებისთვის. ზღვა, ნამდვილად, არ ყოფილა ჰუსეინის საყვარელი ადგილი. მან სარკასტულად აღნიშნა, თუ რამდენად კარგი მოცურავე იყო ის: „სახლში ბანაობის დროსაც კი, ლამის არის დავიხრჩო!“

თუმცა, როდესაც ის ლამაზ სანაპიროზე იდგა, სადაც ზღვა მშვიდი და თავთხელი იყო, მან შეაბიჯა წყალში. შემდეგ უფრო წინ წაიწია, კიდევ უფრო წინ. წყალმა ის ღრმად შეითრია და თავზარდაცემულმა ჰუსეინმა აღმოაჩინა, რომ ფეხქვეშ მიწა გამოეცალა. ის მთელი ძალით ცდილობდა მობღაუჭებოდა წყლის ზედაპირს. პანიკაში ჩავარდნილმა ჰუსეინმა უსიტყვოდ მოუხმო ღმერთს, აღიარა, რომ არ უნდოდა მომკვდარიყო იმის გამო, რომ არ უპასუხა მის მოწოდებას, სრულად მიეძღვნა თავი მისი მსახურებისთვის. იმ კაცს, რომელიც ოდესღაც გეგმავდა მაღალი შენობის სახურავიდან გადმოხტომას, ახლა აღარ უნდოდა მომკვდარიყო თუ კი არ უპასუხებდა ღვთის მოწოდებას!

ღმერთმა უპასუხა მის ლოცვას. ჰუსეინმა აღწერა: თითქოსდა ხელებმა ამოსწია ის წყლის ზედაპირზე და მისი თავი მაღლა დაიჭირა. დაინახეს რა მისი პანიკა, სამი მაშველი მიეხმარა, გამოიყვანეს წყლიდან და გადაარჩინეს. შემდეგ, როცა ის უკვე ნაპირზე იყო და ზეწარში გახვეული ცახცახებდა, მათ უთხრეს: „ჩვენ ვხედავდით, რომ თავი წყლის მაღლა გეჭირა, ამიტომაც ვიფიქრეთ, რომ კარგად იცოდი ცურვა. ასე რომ არ გვეფიქრა და გვცოდნოდა, რომ პირიქით იყო, შესაძლოა, არც მოგშველებოდით, ვინაიდან იყო იმის საფრთხე, რომ ჩვენც წყალში ჩაგვითრევდი.“

ჰუსეინმა მხოლოდ შეხედა მათ. ცხადია, ის მადლიერი იყო გაწეული დახმარებისთვის, თუმცა კარგად ხვდებოდა, სინამდვილეში რაც მოხდა: ღმერთმა ის გადაარჩინა უეჭველი სიკვდილისგან.

ჰუსეინმა უპასუხა ღვთის მოწოდებას და თავი სრულად მიუძღვნა ღვთის მსახურებას. როცა ამის შესახებ პირველად უთხრა ეკლესიის წინამძღოლებს, მათ უთხრეს, რომ ეს ემოციების გამო მიღებული გადაწყვეტილება იყო მისი მხრიდან, რაც თავის მხრივ, იყო რეაქცია იმაზე, რომ უეჭველ სიკვდილს გადაურჩა; მათ ურჩიეს დაეცადა და ელოცა ამის შესახებ რამდენიმე კვირის განმავლობაში, სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდა. ჰუსეინი ამტკიცებდა, რომ მზად იყო ყველაფერი გაეღო და დაეწყო უფლის მსახურება. მან დატოვა სამსახური, მიუხედავად იმისა, რომ უფროსი დაწინაურებას დაჰპირდა. გაყიდა მანქანა, გადაიხადა ვალები და მოემზადა ახალი ცხოვრების დასაწყებად. წინამძღოლებმა დაინახეს მისი შემართება და დაიწყეს

მისი წვრთნა. ოცდაათი დღის განმავლობაში ის ხვდებოდა ეკლესიის წინამძღოლსა და მის მეუღლეს, აკვირდებოდა და სწავლობდა იმას, რასაც ისინი აკეთებდნენ.

ღმერთმა მალევე დაადასტურა ჰუსეინის მოწოდება. როდესაც ისინი ეწვივნენ ერთ სახლს, სადაც მსახურობდნენ, იმ ოჯახის ასულმა ტირილი დაიწყო. როცა დაწყნარდა, უთხრა მათ, რომ წინა ღამეს, მან სიზმარში იხილა ქრისტე, რომ მან მიიყვანა ის მაგიდასთან, სადაც სამი ადამიანი იჯდა და ახლა სწორედ ეს სამი ადამიანი მოვიდა მის სახლში! მისთვის ეს იყო სახარების ჭეშმარიტების დადასტურება; ხოლო ჰუსეინისთვის იმის დადასტურება, რომ მან (უფალმა) მოუწოდა მას და კურთხევას გამოუგზავნიდა მსახურებაში.

ფიქრისთვის

ოდესმე გიკამათიათ ღმერთთან? შესაძლოა, გაგიცნობიერებიათ მისი მოწოდება გეკეთებინათ რაიმე უფრო მეტად ან უფრო ღრმად, ვიდრე აკეთებთ ახლა, მაგრამ წუხდით იმაზე, რომ მისი მოწოდების მიღება არევდა იმ ცხოვრებას, რომელსაც კომფორტულად ხართ მორგებული. შესაძლოა, თქვენ დღემდე ებრძვით მას.

დაწერეთ ის, რაც გაკავებთ ამისაგან, იქნება ეს დამოკიდებულება, ქონება, თუ ცხოვრების სტილი, რომელიც არ გინდათ რომ დათმოთ. ნუ დაიცდით მანამდე, სანამ ტალღები გადაგივლიან თავზე, ანდა შესაძლებლობა გადაივლის; ღმერთის გეგმა ის არის, რაც თქვენთვის საუკეთესოა. ახლავე დაეთანხმე მას იმ საქმეზე, რომლის გაკეთებასაც გთხოვს.

ლოცვა

უფალო იესო, მაპატიე ის პერიოდი, როდესაც მე ჩემს კომფორტულ ცხოვრებას ვამჯობინებდი შენს მოწოდებას. დამეხმარე, ვთქვა ჰო, მაშინვე, როგორც კი დამავალებ რაიმეს, რომ შენი სასუფევლის საქმე ჩემს კომფორტზე წინ დავაყენო. დამეხმარე, დაგეთანხმო შენ და მივიღო შენი გეგმა ჩემთვის.

თქვენი დღიურისთვის

ჩემი დღიურიდან

ჰადინა და მისი ქმარი არიან აქ. ჰადინა ის ქალია, რომლისგანაც ავიღე ინტერვიუ (დაფარულად უსაფრთხოების გამო) 2004 წელს და დავწერე ამის შესახებ წიგნში „ირანი: ღვთის თავგამოდებული ძიება“. დედამისს ძალიან გაუხარდა ჩემთან შეხვედრა და გამოხატა თავისი მადლიერება იმის გამო, რომ მე დავწერე ჰადინას ისტორია. მან ასევე, თქვა, რომ ის, რაც მე დავწერე, მხოლოდ „პირველი თავია“, რომ კიდევ ბევრი რამეა დასაწერი მის შესახებ.

დღე 5

„რომელი მათგანია ცუდი“

რადგან ვიცი, რომ ეს მე ხსნამდე მიმიყვანს თქვენი ლოცვითა და იესო ქრისტეს სულის შეწევნით, თანახმად მოლოდინისა და სასოებისა, რომ არაფერში არ შევრცხვები, არამედ მთელი სიცხადით, როგორც ყოველთვის, ისე ახლაც, განდიდდება ქრისტე ჩემს სხეულში – სიცოცხლით იქნება თუ სიკვდილით, რადგან ჩემთვის სიცოცხლე ქრისტეა და სიკვდილი – მონაგები.

ფილიპელთა 1:19-21

.....

ჰუსეინი, ნაწილი 2: ჩაკეტილი ქვეყანა, 2009

მსახურება ირანში ადამიანს გარკვეულ ფასად უჯდება. მართლაც, არ გასულა მრავალი თვე მისი ე.წ. სრული მსახურებიდან, რომ ჰუსეინს, რომელიც ბიბლიის შესწავლას უძღვებოდა, ერთ-ერთ ადგილას პოლიცია დაადგა თავს. ჰუსეინს და მორწმუნეებს ახალი მიღებული ჰქონდათ გზავნილი, სამ დიდ ყუთში ჩალაგებული ბიბლიები, რომლებიც ერთ-ერთ ოთახში ეწყო. პოლიციამ გაჩხრიკა იქაურობა. მათ ყველაფერი გადმოყარეს და სასტუმრო ოთახის შუაგულში დაახვავეს. ისინი

სურათებსაც კი ხსნიდნენ კედლებიდან და ყრიდნენ გროვაზე. ჰუსეინის სიტყვების თანახმად მათ იატაკის ფიცრებს შორის ჩაჭედილი ნემსიც კი შენიშნეს, მაგრამ სასწაული, მათ თვალში არ მოხვდათ საძინებელი ოთახის შუაში დადებული სამი დიდი ყუთი.

პოლიციამ დააპატიმრა ჰუსეინი და მისი ორი თანამშრომელი. მათ ის დიდ ციხეში ჩასვეს, მაგრამ შემდეგ აუხვიეს თვალები, ჩასვეს მანქანაში და სხვა ადგილას გადაიყვანეს. ჰუსეინი ფიქრობდა, თუ რა უნდა ეთქვა და საკუთარ თავს, თითქოსდა, უსაყვედურა კიდეც, რომ დათმო თავისი კარგი სამსახური და კომფორტული ცხოვრება. მცველებმა ის პატარა საკანში ჩაკეტეს, რომლის სიგრძე სამიდან ორ მეტრამდე იყო. დიდი პროჟექტორი ენთო ამ ოთახში ოცდაოთხი საათის განმავლობაში. როცა ჰუსეინმა სთხოვა მათ გამოერთოთ ეს პროჟექტორი, მცველმა უპასუხა: „გგონია, რომ სასტუმროში ხარ?“

ჰუსეინის თავში კითხვების ქარიშხალი დატრიალდა: ნეტავ რა თქვეს მისმა თანამშრომელმა ქალებმა? რა უნდა უთხრას პოლიციას? რამდენ ხანს დააკავებენ მას? და რას იფიქრებენ მისი მშობლები, როდესაც შეიტყობენ, რომ მათი ვაჟი ციხეშია? თავის ერთკაციან საკანში ყოფნის დროს, ჰუსეინი შეხვდა იესო ქრისტეს. ჰუსეინმა მითხრა, რომ მან მოისმინა ღვთის ხმა, რომ უფალი დაელაპარაკა მას იმგვარად, როგორც ჩვენ გვესმის წყლის ხმა მოშვებული ონკანიდან. მან თქვა: „ვგრძნობდი, რომ თითქოს, იესომ ყველაფერი გვერდით გადადო, მთელი მსოფლიო გადადო გვერდზე, რათა მოსულიყო ჩემთან და ყურში რაღაც ეთქვა. ჰუსეინმა დაიწყო ლოცვა. ყველა კითხვა, რომელიც მას აღელვებდა გაქრა. ღვთის სიმშვიდემ აავსო ის სრულად, აავსო მთელი ის საკანი. ის გრძნობდა, რომ ქრისტე ეკითხებოდა: „რატომ წუხხარ იმის შესახებ, თუ რა უნდა თქვა? არ არის საჭირო, იმაზე იფიქრო, თუ რა უნდა თქვა, რადგან მე ვაპირებ გითხრა ის, რაც უნდა თქვა.“

ჰუსეინის შიში გაქრა.

დაიწყო დაკითხვები. ჰუსეინი ლოცულობდა, რომ ბევრი კითხვა არ დაესვათ მისთვის, რომ ღმერთს მოეგვარებინა ეს და რომ მას შეძლებოდა ყველა კითხვისთვის დამაჯერებლად ეპასუხა. ის ყოველდღიურად დაჰყავდათ დაკითხვებზე, მაგრამ არცერთ პოლიციელს არ უკითხავს იმის შესახებ, თუ იყო ის ქრისტიანი, თუ მიატოვა ისლამი და გახდა ქრისტეს

მიმდევარი. როცა მათ „ბიბლიების“ შესახებ ჰკითხეს, ჰუსეინმა იფიქრა, რომ მათ იპოვეს ის ხუთასი ბიბლია, რომლებიც იმ ბინის საძინებელ ოთახში ეწყო, თუმცა ის ყურადღებით იყო და ხვდებოდა, როგორ ეპასუხა მათი კითხვებისთვის. მას უნდა ელაპარაკა, რაც შეიძლება ცოტა. მოგვიანებით, მიხვდა, რომ გამომძიებლები მხოლოდ იმ ორ ბიბლიაზე ლაპარაკობდნენ, რომლებიც ეწყო მის ზურგჩანთაში.

რამდენიმე დღის შემდეგ, ის სასამართლოში მიიყვანეს. ის წარსდგა მოსამართლის წინაშე და გამომძიებლების მსგავსად, მოსამართლესაც არაფერი უკითხავს იმის შესახებ, იყო თუ არა ქრისტიანი. ჰუსეინი დააბრუნეს ერთკაციან საკანში, სადაც მან საერთო ჯამში ათი დღე გაატარა. იქ არ იყო საწოლი და ღამითაც, მცველები წყალს ღვრიდნენ საკნის იატაკზე, რომ დასველებულიყო და ჰუსეინს არ შეძლებოდა დაწოლილიყო დაბლა და დაეძინა.

მეორე კვირის შემდეგ, მათ ჰუსეინი გადაიყვანეს რეგულარულ ციხეში და გაამწესეს მე-11 დონეზე. მან შეიტყო, რომ ამ დონეზე დაპატიმრებულები იყვნენ ისინი, რომლებსაც სიკვდილი ჰქონდათ მისჯილი. როცა ის იქ მივიდა, მცველმა თქვა, „ნუ შემოიყვანთ მას აქ, პატიმრები მოკლავენ!“ თუმცა დოკუმენტში ეწერა, რომ ის მე-11 დონეზე უნდა ყოფილიყო. მცველმა გახსნა კარი, ჰუსეინი შევიდა შიგნით და შემდეგ მცველმა დახურა ეს კარი მის ზურგსუკან. ჰუსეინი იდგა კარის წინ, სადაც 250 სიკვდილმისჯილი იმყოფებოდა, მცველი კი კარის მეორე მხარეს იყო. ამ კარის შიგნით, როგორც შემდეგ შეიტყო ჰუსეინმა, ყველაფერს განკარგავდნენ პატიმრები – სიკვდილმისჯილთა მთელ ამ არეალს აკონტროლებდა ბანდა.

ჰუსეინი ლოცულობდა და ფიქრობდა რა გაეკეთებინა. იმ ღამით, ბანდის მეთაურებმა უბრძანეს მისულიყო მათთან. ის შეშინდა, წარმოიდგინა საშინელი რაღაცები, რასაც ისინი გაუკეთებდნენ, მაგრამ ღმერთი მოქმედებდა. როგორღაც, ბანდის მეთაურებმა შეიტყვეს, რომ ჰუსეინს კონტაქტები ჰქონდა ამერიკაში. მათ უნდოდათ, რომ გარეთ მყოფი მსოფლიოსათვის ჰუსეინს მოეყოლა, თუ რა საშინელი პირობები იყო ციხეში. შეხვედრის დამთავრების შემდეგ, ჰუსეინი მიიღეს ბანდის მეთაურთა გუნდში–იგი გახდა ერთ-ერთი იმ რვა მეთაურიდან, რომლებიც აკონტროლებდნენ იმ

ტერიტორიას, სადაც ეს 250 სიკვდილმისჯილი იმყოფებოდა. მან თავისი პირველი ღამე იქ, ზემოთ, საწოლზე, გაატარა. მაშინ, როდესაც მათ, რომლებიც იქ თითქმის ხუთი წელი ისხდნენ, ჯერაც იატაკზე ეძინათ. მას საკუთარი საშხაპე ჰქონდა. ყოველდღე ახალი ხილი და ბოსტნეული ჰქონდა. მას წყლის განაწილება მიანდეს, ასე რომ, ყველა პატიმარი კარგად ექცეოდა მას, რადგან უნდოდათ დარწმუნებულები ყოფილიყვნენ, რომ მიიღებდნენ წყლის თავიანთ წილს. ღმერთმა არა მარტო დაიცვა ჰუსეინი, არამედ გარკვეული ძალაუფლებაც მისცა. (შესაძლოა, გინდათ შეჩერდეთ აქ და წაიკითხოთ, ან ხელახლა გადაიკითხოთ იოსების ამბავი დაბადების წიგნში).

ჰუსეინმა მითხრა, რომ სიკვდილმისჯილთა საკანი მისთვის სასტუმროსავით იყო. იქ მისი მისვლიდან ორი დღის შემდეგ, მცველმა შესთავაზა მას გადასულიყო ციხის უფრო „უსაფრთხო“ ადგილზე. ჰუსეინმა იუარა, თქვა, რომ ისევ აქ, სიკვდილმისჯილთა შორის დარჩებოდა.

მან ათი დღე გაატარა იქ, შემდეგ გირაოთი გაათავისუფლეს. ის კვლავ უნდა დაბრუნებულიყო იმ ქალაქში სასამართლო მოსმენებისთვის, თუმცა როცა გააკეთა ეს, აღმოაჩინა, რომ ღმერთი იქაც მოქმედებდა. როცა ჰუსეინი შევიდა სასამართლო დარბაზში, მოსამართლე, რომელიც ატარებდა გრძელ წვერს, რელიგიური მუსლიმი კლერიკალის მსგავსად, გამძვინვარებული ჩანდა, მაგრამ, როდესაც ჰუსეინის საქმეს გადახედა, მოსამართლის სახის გამომეტყველება შეიცვალა. ჰუსეინმა აჩვენა მას სააპელაციო დოკუმენტი, მაგრამ მოსამართლემ თქვა: „არა, ეს არ არის სწორი, მოდი, შევცვლი მას.“ მან პირდაპირი მნიშვნელობით შეავსო ჰუსეინის სააპელაციო დოკუმენტი. მოსამართლემ უამბო ჰუსეინს გასაჩივრების (აპელაციის) დოკუმენტის შევსების პროცედურის შესახებ, სად უნდა მისულიყო ამ დოკუმენტის შესავსებად და სად უნდა მიეტანა ეს დოკუმენტები. შემდეგ დაამატა, თუ ჰუსეინს შეექმნებოდა რაიმე დაბრკოლებები, დაერეკა მასთან და ის დაეხმარებოდა საქმის წინ წაწევაში. მოგვიანებით, მოსამართლემ უთხრა ჰუსეინს, რომ მას არ სჭირდებოდა სასამართლო მოსმენებზე მოსვლაც კი–თავად ის მოაგვარებდა ყველაფერს. სასწაული, სასწაული, სასწაული, სხვა რა უნდა ითქვას. ისე ჩანდა, რომ ჰუსეინის სულიერი მოგზაურობის ყოველ ნაბიჯზე, ღმერთი სასწაულს აღასრულებდა.

მე ვკითხე ჰუსეინს: ამდენი სასწაულის ხილვის დროს, თუ შეშინებია მას ოდესმე. „არა,“ მიპასუხა მან. „მე ხომ უკვე ამდენჯერ ვიხილე ღვთის სასწაული, რატომ უნდა შემშინებოდა?“

ჰუსეინი განაგრძობს თავის მსახურებას ირანში. მან იცის, რომ დადგება დღე და ის კვლავ შეხვდება პოლიციას. ვკითხე, თუ შფოთავდა ამის გამო. „ვფიქრობ, ორიდან ერთი რამ მოხდება,“ მიპასუხა ჰუსეინმა. „ისინი ან მომკლავენ, ან კვლავ მოხდება ამის მსგავსი სასწაული.“ შემდეგ, გაიღიმა და მკითხა: „რომელია ამათგან ცუდი?“

ფიქრისთვის

ჰუსეინი მიიჩნევდა, რომ ორი არჩევანის წინაშე იდგა: გაეგრძელებინა დედამიწაზე ცხოვრება და ეხილა ღვთის სასწაული თავის ცხოვრებაში, ან დაუყოვნებლივ გადასულიყო ზეცაში. „რომელია ამათგან ცუდი?“

ხანდახან, ჩვენ გვესაჭიროება, რომ ყურადღება გავამახვილოთ იმ „უკეთეს ქვეყანაზე,“ რომელიც გველის. პავლე შთააგონებდა კოლოსოში მცხოვრებ ქრისტიანებს, რომ „[ეფიქრათ] იმაზე, რაც არის მაღლა, და არა მიწიერზე“ (კოლ. 3:2). როგორ ამახვილებთ ყურადღებას ზეცაზე, მარადისობაზე ქრისტესთან ერთად, იმ დიდებაზე, რომელსაც გამოვცდით მას შემდეგ, რაც დავასრულებთ „უცხოობასა და ხიზნობას“ დედამიწაზე? ადვილია, აღვიქვათ ის და თვალი მივაპყროთ იმას, რასაც ვხედავთ დღეს, ამ კვირას, ამ წელს, თუმცა მარადისობაა ნამდვილად ფასეული. იესოსთან გაერთიანება მშვენიერია აქ, დედამიწაზე, თუმცა ვერაფერი შეედრება მარადისობას იმ სახლში, რომელიც მოგვიმზადა მან.

ჩამოწერე ის გარემოებები და დაბრკოლებები, რომლებიც ხელს გიშლის, თვალი მიაპყროთ მარადისობას ქრისტესთან ერთად. როგორ უნდა გადაიტანოთ თქვენი მზერა და თქვენი ფიქრი „იმაზე, რაც არის მაღლა“?

ლოცვა

იესო, დამეხმარე, რომ შევამსუბუქო ჩემი ცხოვრება აქ, დედამიწაზე, და მზერა მივაპყრო იმ დიდებას, რომელსაც გამოვცდი მაშინ, როდესაც

მოვალ შენს სამყოფელში, რათა ჰუსეინთან და მოციქულ პავლესთან ერთად ვთქვა: „...ჩემთვის სიცოცხლე ქრისტეა და სიკვდილი – მონაგები“ (ფლპ. 1:21).

თქვენი დღიურისთვის

ჩემი დღიურიდან

მას შემდეგ, რაც კვლავ შევხვდი „ჰუსეინს“, რომ დამესრულებინა მისი დამოწმება. მისი ამბავი გასაკვირია! მართლაც! ისევე როგორც იოსებისა ეგვიპტეში! ის იყო ციხეში—მოათავსეს სიკვდილმისჯილ პატიმართა შორის—სადაც სერიოზული, მძიმე, კრიმინალები ისხდნენ. მცველმაც ამიტომ თქვა: „ეს შეცდომაა. ისინი მოკლავენ მას!“

შემდეგ დილას, ის მიიღეს იმ ბანდაში, რომელიც განკარგავდა იქაურობას და იგი დააყენეს იმ ადგილზე, რომელ ადგილზე მეოფსაც წუალი უნდა მიეტანა ციხეში მეოფი პატიმრებისთვის. მას ჰქონდა პირადი შხაპი, ახალი ხილი — ისე, როგორც სასტუმროში!

მან თქვა, ისე იყო, თითქოსდა, ღმერთმა თქვა, „ხომ გითხარი, მე ვიზრუნებ შენზე!“ ჰუსეინმა ისიც თქვა, რომ მისი ბიბლიური გმირი სამუელია!—იმიტომ, რომ მან ასე მკაფიოდ მოისმინა ღვთის ხმა.

ციტატები, რომლებგეც უნდა ვიფიქროთ

კვლავ წაიკითხეთ თქვენი ახალი აღთქმა და იმედია, დამეთანხმებით, რომ საშუალო ქრისტიანულ ცხოვრებაში არ არის ის, რასაც იესო გვთავაზობს. მართლაც, ღმერთი არ არის ჰატივმიგებული ჩვენი დავიწროვებული სულიერი განვითარებით—სულიერი მდგომარეობის ჩვენი მუდმივი სანახევროობით.

ეველამ კარგად ვიცით ბიბლიის სიტყვები, რომ ჩვენ ჰატივს მივაგებთ ღმერთს ქრისტეში სრული მოწიფულობით! მაშ, რაღატომ გამოვედევნებით ხოლმე იმ ჰატარ-ჰატარა სიამოვნებებს, რომლებიც ზღუდავენ სიწმინდეს ჩვენში და იხიბლებიან მიწიერი ფანტაზიებით? იმიტომ, რომ მაშინ, როცა მოვისმინეთ მოწოდება, აგვეღო ჩვენი ჯვარი და... ნაცვლად იმისა, რომ ბაგვეწია სიმაღლეებისკენ, ვეეაჭრეთ უფალს ქუჩის მეწვრილმანეს მსგავსად! ჩვენ მოწოდებულნი ვართ ვიყოთ ქრისტესთან, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ვიყოთ, ვიწყებთ კითხვების დასმას. ჩვენ ვიწყებთ კამათს და ვაჭრობას ღმერთთან სულიერი მიღწევებისა და უნარების მისეული სტანდარტების შესახებ. ეს სრული სიმართლეა—არა ურწმუნო „ლიბერალებთან“ მიმართებით— არამედ იმათთან მიმართებით, ვინც იშვა მეორედ და ვინც ბედავს იკითხოს, „უფალო, რად დამიჯდება ეს?“

ა.ვ. ტოზერი[1]

საუვარელნო, ნუ გაგიკვირდებათ თქვენზე მოვლენილი ცეცხლოვანი განსაცდელი, თითქოს, უცხო რამ გემართებოდეთ, არამედ გიხაროდეთ, როგორც ქრისტეს ტანჯვათა მოზიარეებს, რათა მისი დიდების გამოცხადებისას თქვენც იხაროთ და იმხიარულოთ. თუ იგმობით ქრისტეს სახელისათვის, ნეტარნი ხართ, რადგან სული დიდებისა, სული ღვთისა, ივანებს თქვენზე. ოღონდ ნურცერთი თქვენგანი ნუ დაიტანჯება, როგორც მკვლელი ან ქურდი, ბოროტმოქმედი, ან სხვისაზე თვალის დამჭერი, ხოლო თუ იტანჯება როგორც ქრისტესი, ნუ შერცხვება ამის, არამედ ადიდოს ღმერთი ამის გამო.

1 პეტ. 4:12-16

---

1 ა. ვ. ტოზერი, „საშუალო ქრისტიანობა“ ყოველდღიური საკითხავები, comp. Gerald B. Smith (Chicago: Moody Publishers, 2008), April 15.

დღე 6

„ის იმედი მაძლებინებდა მე“

მიანდე უფალს შენი ბედი და ის განგამტკიცებს, არასოდეს დაუშვებს მართლის წაბორძიკებას.

ფსალმუნები 54:23

……..

ნეპალი, 2012

ეს იყო გრძელი და ცხელი გზა, რომელიც სამხრეთ ნეპალში მდებარე თუნუქით გადახურულ სახლამდე მიდიოდა, სადაც VOM-ის ჩვენი გუნდი შეხვდა დენმაიას. ჩვენი ტაქსის კონდინციონერი ვერ უმკლავდებოდა სიცხეს და ჩვენ დრო და დრო სრულ სიმძლავრეზე აგვყავდა ის, რათა როგორმე გავგრილებულიყავით; დამატებით ვხსნიდით ფანჯარასაც, რათა გრილი ნიავი მოხვედროდა ჩვენს გაოფლილ სახეებს. როდესაც ჩავედით დანიშნულების ადგილზე და შევედით აგურის სახლში, სადაც დენმაია ცხოვრობდა, იქ კიდევ უფრო ცხელოდა, ვიდრე ჩვენს ტაქსში, ისეთი სიცხე იყო, როგორიც პიცის გამოსაცხობ ღუმელში, ოღონდ პლასტიკური სკამებით შიგნით. ეს არ არის დენმაიას სახლი, ის მხოლოდ ცხოვრობს იქ. სახლი

ფაქტობრივად, მის ხუცესს ეკუთვნის. ის და მისი ოჯახიც აქ ცხოვრობს. სახლში მხოლოდ ერთი ოთახია.

ხუცესი მოგვესალმა და მიგვითითა პლასტიკურ სკამებზე, თავად ოთახში მდგარ ერთადერთ საწოლზე ჩამოჯდა, მისი ცოლი კი იატაკზე დაჯდა. მან გაგვიზიარა თავისი დამოწმება, შემდეგ დენმაიაზე დაიწყო საუბარი.

როდესაც ქრისტიანმა მეგობარმა ექვსი წლის წინ, სანამ ჩვენ შევხვდებოდით, დენმაიას სახარება გაუზიარა, მისთვის შეუძლებელი იყო სცოდნოდა მაშინ, რა ფასად დაუჯდებოდა იესოს მოწაფეობა. დენმაიამ თავისი ნებით მიიღო სახარება, კეთილი ამბავი და თავისი ცხოვრება ქრისტეს მსახურებას მიუძღვნა. ის დაღალა იმ მცდელობებმა, რომ ესიამოვნებინა მილიონობით ინდუისტური ღვთაებისთვის და მთელი გულით მიიღო ჭეშმარიტება ღვთის სიყვარულის შესახებ, რომელიც იესო ქრისტეს მეშვეობით გამოჩნდა.

როცა მან უთხრა ამის შესახებ თავის ქმარს, მას არ ეგონა, რომ ეს დიდხანს გაგრძელდებოდა. მან უთხრა, რომ ეს გულში შეენახა, რათა არ შეერცხვინა თავისი მაღალი კასტის მქონე, ინდუისტური ოჯახი, თუმცა დენმაიას რწმენა ისეთივე არ დარჩენილა. ის იზრდებოდა და მალევე ისეთი დიდი გახდა, რომ აღარ შეეძლო გულში, თავისთვის შენახვა. ცხადი იყო, რომ ეს რწმენა აღარ დაეტეოდა მათ უბრალო სახლში. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, როცა მიიღო სახარება, დენმაიამ ითხოვა ნათლობა. ახლა მისმა ქმარმა იცოდა, რომ ეს არც ახირება იყო და არც გარკვეული ეტაპი, რომელიც მის ცოლს უნდა გაეარა. ის აღარ აპირებდა დაემალა და გაჩუმებულიყო, რომ აღარ არის ინდუსი; ახლა ის ქრისტიანია და ეს მალე ყველას ეცოდინება. „ეს არ არის ჩვენებური წესი“, უთხრა ცოლს. „დაანებე თავი შენს რწმენას, თუ არა და ჩვენ დავშორდებით. მე არ მინდა ჩემთან დარჩე, ვინაიდან შენ ქრისტიანი ხარ, მე კი ბრაჰმანი (მაღალი კასტის ინდუსი).“ საბოლოო ჯამში, მან დენმაიას კუთვნილი ნივთები გარეთ გადაყარა. მას უკვე აღარ შეესვლებოდა საკუთარ სახლში. მოგვიანებით, კაცმა სხვა ცოლი მოიყვანა.

ნეპალურ კულტურაში, წესია, რომ მიტოვებული ქალი უნდა დაუბრუნდეს მშობლების სახლს, ან უფროსი ძმის სახლში დაიწყოს ცხოვრება, სადაც მას შეინახავდნენ და გამოკვებავდნენ, მაგრამ დენმაია

საკუთარმა მშობლებმა არ მიიღეს სახლში, რადგან არ ტოვებდა თავის რწმენას. სად უნდა წასულიყო დენმაია?

იესო აფრთხილებდა თავის მიმდევრებს, რომ „საკუთარი შინაურები იქნებიან ადამიანის მტრები“ (მათ. 10:36). დენმაიამ გამოსცადა ამ ნათქვამის სიმართლე. ის არ უარყოფდა ქრისტეს, რადგან შეურყეველი ერთგულება მის მიმართ, აღემატებოდა ყოველგვარ ოჯახურ ურთიერთობებს, რომელიც მას ჰქონდა ამ ქვეყნიერებაზე, მაგრამ ეს დანაკარგი იყო და იყო გაურკვეველი მომავალი–სად უნდა წასულიყო? ვინ იზრუნებდა მასზე?–ღმერთმა დენმაიას სიმშვიდე და მხნეობა უბოძა. როცა მისმა მიწიერმა ოჯახმა ის გარეთ გამოაგდო, მისმა სულიერმა ოჯახმა გაუღო თავისი სახლის კარი და მიიღო, აი, ამ პატარა აგურის სახლში, სადაც ჩვენ ვისხედით და ოფლში ვცურავდით.

დენმაიას ისტორიის მოსმენის შემდეგ, ვიფიქრე და წარმოვიდგინე, გაბრაზებული და სასოწარკვეთილი ქალი, რომელიც ქმარმა სახლიდან გამოაგდო, მაგრამ, როდესაც შევხვდი ამ უშვილო, მიტოვებულ ქალს, იგი უფლისაგან მისთვის გადაცემულ სიხარულს ასხივებდა. ის არ მიიჩნევდა, რომ ეს დახუთული, ადამიანებით სავსე, აგურის სახლი მისი მანუგეშებელი პრიზი იყო. არა, ეს მისთვის დიდი სიხარულის მომგვრელი ადგილი იყო (იაკობი 1:2).

როგორ დარჩა იგი მტკიცე მორწმუნე ამდენი განსაცდელის შემდეგ? „რა დევნაც არ უნდა დამატყდეს თავს–თუნდაც მოვკვდე–აუცილებლად ვიცოცხლებ ქრისტესთან ერთად ზეცაში,“ უთხრა მან ჩვენს გუნდს. „ამ იმედმა გამამაგრა და განმამტკიცა.“

ქმრის პატიება დენმაიასთვის იყო პროცესი და არა ადვილი გადაწყვეტილება. „თავიდან გარკვეული სიმწარე მქონდა გულში [მის მიმართ],“ თქვა მან. „თუმცა მოგვიანებით, მივხვდი, რომ თუ არ მივუტევებდი, არ იქნებოდა მართებული ღვთის წინაშე, ამიტომაც მივუტევე.“ დღეს, ის ლოცულობს თავისი ყოფილი ქმრისთვის და იმ ქალისთვისაც კი, რომელზეც მან ხელმეორედ იქორწინა, სთხოვს ღმერთს, რომ ისინი თავისთან მიიყვანოს.

ჩვენ ვკითხეთ დენმაიას, წერილის რომელი ადგილი განამტკიცებს ყველაზე მეტად და აძლევს მას ძალას. მან გადაშალა ფსალმუნი 54:23:

„მიანდე უფალს შენი ბედი და ის განგამტკიცებს, არასოდეს არ დაუშვებს მართლის წაბორძიკებას.“

ფიქრისთვის

მე ყოველთვის მაცბუნებდა იმაზე ფიქრი, თუ რა დიდი ფასის გადახდა უწევთ ჩვენს ძმებსა და დებს მტრულად განწყობილ ხალხთან, ქრისტეს ერთგულებისთვის. მაშინ, როცა ჩვენთან ქრისტიანების უმრავლესობისთვის ეს ფასი ბევრი არაფერია. კიდევ უფრო მეტად მაოცებს ის ფაქტი, რომ ისინი ამ ფასს იხდიან არა უხალისოდ, იმედგაცრუებით ან გამწარებულები, არამედ ნამდვილი, თვალშისაცემი სიხარულით.

შესაძლოა, ეს ძმები და დები ჩაეჭიდნენ იმ სიხარულს, რომლის შეხსენებაც ჩვენ გვესაჭიროება. პრივილეგიაა იარო ქრისტესთან ერთად, მოგეტევოს ცოდვები და გქონდეს ზეციური ცხოვრების გარანტია –ეს პრივილეგია ყველაფრად ღირს. კვლავ გაიაზრეთ იგავი ყანაში დაფარული განძის შესახებ: კაცი, რომელიც პოულობს ამ განძს, ყიდის ყველაფერს, რათა შეიძინოს ეს ყანა, მაგრამ მას არ გაუკეთებია ეს ყოყმანით; ის „სიხარულით მიდის და ყიდის ყოველივეს“ (მათ. 13:44). წარმოაჩენს თქვენი ცხოვრება და რწმენის გზა ასეთივე სიხარულს? არსებობს საზრუნავები და ტვირთები, რომლებიც გამძიმებენ? რომლებია ისინი? გსურთ, რომ ეს ტვირთები გადასცეთ უფალს?

ლოცვა

უფალო, მადლობა ხსნისთვის, იმისათვის, რომ მაქციე შენი სასუფევლის ნაწილად! შემახსენე, რომ ეს შეუფასებელი საჩუქარი აღემატება ყოველივეს, რასაც მე ვფლობ დედამიწაზე–ჩემს ოჯახსაც კი. დამეხმარე, რომ იგივე სიხარულით გემსახურო, როგორი სიხარულითაც დენმაია გემსახურება, მიუხედავად იმ გამოწვევებისა და ძნელბედობისა, რაც შესაძლოა, თან ახლდეს ამ გზას.

თქვენი დღიურისთვის

ჩემი დღიურიდან

მან [დენმაიამ] ეველაფერი დათმო—თუმცა სახეზე მშვენიერი, სიხარულით სავსე, ღიმილი აქვს და ჰირდაჰირ ასხივებს უფლისაგან მიღებულ მშვიდობასა და ნუგეშს.

აქეთ ფრენა გასაოცარი იყო! მთა ევერესტი ჩვენს უკან დარჩა და ვფიქრობ, რომ ჩვენ ის არ დაგვინახავს, თუმცა დავინახეთ ჰიმალაების მთაგრეხილის ზოგიერთი ძალიან მაღალი მთა, იმდენად მაღალი, რომ თვითმფრინავის ფანჯრიდან ჩვენ მაღლა შევეურებდით მათ!

დღე 7

ვისწრაფვით ვიყოთ უკეთესები – ნაწილი 1

ამრიგად, ვინც ქრისტეშია, ის ახალი ქმნილებაა. ძველი გადავიდა, აჰა, ყოველივე ახალია.

2 კორინთელთა 5:17

……..

თურქეთი, 2010

ზოგიერთი ადამიანი ისეთ შინაგან ცეცხლს ასხივებს, რომ მისი მხურვალება ედება ყველაფერს, რასაც ის აკეთებს. ჩემი ახალი ირანელი მეგობარი, იმანი, ერთ-ერთია ასეთი ადამიანებიდან, თუმცა სანამ მოყვებოდა თავის ამბავს, შეჩერდა ლოცვისთვის. მან თქვა, რომ ფიქრშიც კი აღარ სურს გაივლოს ის საქმეები, რა საქმეებსაც აკეთებდა, სანამ შეხვდებოდა ქრისტეს; მას არ უნდა, თუნდაც, პატარა ღიობი მისცეს სატანას იმისათვის, რომ ზეგავლენა ჰქონდეს მის ცხოვრებაზე, ამიტომაც სთხოვდა ღმერთს, რომ მხოლოდ ის საქმეები ამოეტივტივებინა მის ხსოვნაში, რომლებიც მას სურდა, რომ იმანს გაეზიარებინა სხვებისთვის და რომ დაეცვა იმ სატანური საქმიანობისგან, რომლითაც დაკავებული იყო მანამდე, სანამ შეხვდებოდა იესოს.

იმანმა თავისი ისტორიის გახსენება დაიწყო ზემოთხსენებული მგზნებარებით, რომელიც გავიმეორებ, მსჭვალავდა მთელ მის ცხოვრებას. როდესაც ის ჯარისკაცი იყო და იბრძოდა ირანისა და ერაყის ომში, თხოვნით მიმართა თავის მეთაურს, გაეგზავნათ ისეთ ადგილზე, სადაც ყველაზე მძიმე ბრძოლა მიმდინარეობდა და სადაც მიეცემოდა შესაძლებლობა მოწამეობრივი სიკვდილი მიეღო თავისი ქვეყნისთვის, ოცდაოთხი საათის განმავლობაში.

მაშინაც, როდესაც ქურდობდა, ცდილობდა, ყოფილიყო ყველაზე მოხერხებული, ამიტომაც იპარავდა ისეთ რამეებს, რომლებსაც სხვა ქურდები ვერ ახერხებდნენ. როდესაც ნარკომანი გახდა, ცდილობდა, ყოფილიყო ყველაზე წინ. სურდა, ეცადა ყოველგვარი ხელმისაწვდომი წამალი და გამოეყენებინა უფრო მეტი, ვიდრე რომელიმე სხვას. მოკლედ, რაც არ უნდა ეკეთებინა, ისწრაფოდა, რომ ყოფილიყო ყველაზე „მოწინავე“ იმ საქმეში.

ახალგაზრდობაში ის საშინელ ავტოავარიაში მოყვა. მანქანა დაილეწა, თუმცა ის მანქანიდან თავისი ფეხით, საღსალამათი გადმოვიდა. ადამიანებმა, რომლებიც შეესწრნენ ამ შემთხვევას, უთხრეს მას, რომ საოცარი რამ მოხდა და რომ მან შეძლო გვერდი აეარა დაბრკოლებისთვის, შეინარჩუნა რა კონტროლი მანქანაზე, თუმცა იმანი ხვდებოდა, რომ ეს თავად არ ყოფილა; მას არ შეუნარჩუნებია კონტროლი საჭეზე. მან ეს თავისი ძმის სულს მიაწერა, იმ ძმის, რომელიც ომში დაიღუპა. ან იქნებ ეს ალაჰისადმი დედის ლოცვები იყო. ამ შემთხვევიდან მხოლოდ ერთი წლის შემდეგ იპოვა მან ის, ვინც გადაარჩინა იმ დღეს.

როცა ნარკოტიკულმა დამოკიდებულებამ ღრმად ჩაავლო თავისი კბილები იმანის სხეულს, ის უკვე აღარაფერზე ფიქრობდა, ყველაფერი სულ ერთი იყო. აღარ ზრუნავდა აღარც ოჯახზე და აღარც საკვებზე. რჩებოდა მხოლოდ მწვავე მოთხოვნილება და ფიქრი იმაზე, თუ სად უნდა ეშოვა ნარკოტიკის შემდეგი დოზა. ის იდგა იმ გზაზე, რომელი გზაც მხოლოდ სტატისტიკით განისაზღვრებოდა: კიდევ ერთი ირანელი კაცი, ადამიანთა გრძელ რიგში, რომელმაც დაკარგა იმედი და ნუგეშის საპოვნელად მიმართა ნემსს.

ერთ ღამესაც, როცა ის ნარკოტიკული თრობის ქვეშ იმყოფებოდა, იჯდა ეკრანის წინ და რთავდა სხვადასხვა არხებს, წააწყდა ქრისტიანულ

სატელიტურ სატელევიზიო არხს. ის მხოლოდ რამდენიმე წამით დარჩა იქ, თუმცა მოსმენილი სიტყვები გონებაში ჩარჩა. ეს იყო სიტყვები: „როდესაც ჩემი გული იესოს გადავეცი...“

ბიჭოს, ფიქრობდა ის. ქრისტიანები ძალიან უცნაური ხალხია, ვინაიდან გულებს ვიღაცას გადასცემენ. დღეს, ადამიანებს კალმის მიცემაც კი არ სურთ ვინმესთვის [მთარგმნელი მიხსნის, რომ ეს სიტყვები (გული და კალამი) ფარსულ ენაზე ერთნაირად ჟღერს], ქრისტიანები კი თავიანთ გულებს აძლევენ! ეს ხომ სიგიჟეა!

ათი დღის შემდეგ, ის ისევ ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა და რთავდა არხებს. კვლავ ჩართო იგივე ქრისტიანული სატელევიზიო არხი. ისევ რამდენიმე წამის განმავლობაში. შეხედა ეკრანს და რამდენიმე სიტყვა, რომელიც მოისმინა ისევ ის სიტყვები იყო. ქალი ამბობდა, „როდესაც ჩემი გული იესოს გადავეცი...“ მან შეცვალა არხი და იგივე ფიქრი მოეძალა, რა უგუნურები შეიძლება იყვნენ ქრისტიანები, რომ ვიღაცას აძლევენ თავიანთ გულებს.

მისი ოჯახი გეგმავდა ქალაქიდან გასვლას, მაგრამ იმანის დამოკიდებულება ნარკოტიკებისადმი იმდენად ძლიერი იყო და ისე საშინლად გამოიყურებოდა, რომ მათ უთხრეს სახლში დარჩენილიყო. იმანი თავს განადგურებულად გრძნობდა, მის საკუთარ ოჯახსაც კი აღარ სურდა მათ გვერდით ყოფილიყო. იმ ღამით ის თავისი სახლის სახურავზე იდგა, ეწეოდა კრეკს. ნარკოტიკები თითქმის გათავდა და იმანმა იგრძნო რამდენად უბედური იყო ის. მან გააცნობიერა, რომ ძალა არ შესწევდა ებრძოლა ნარკოტიკების წინააღმდეგ. „წარმოდგენაც კი არ შემეძლო, გავძლებდი თუ არა ნარკოტიკების გარეშე, თუნდაც ერთი დღე. ვინაიდან ვცადე მანამდე, მაგრამ არაფერი გამომივიდა.“

სასოწარკვეთილმა იმანმა ზეცას მიაპყრო თვალები და თქვა, „ღმერთო, გადამარჩინე. გადამარჩინე ამ დამოკიდებულებისგან.“ იმ მომენტში გაახსენდა მას ავტოსაგზაო შემთხვევა თხუთმეტი წლით ადრე. მოულოდნელად, მიხვდა, თუ ვინ იყო ის, ვინც წარმართა მანქანა და უვნებლად გადაარჩინა იმ შემთხვევას. ის იყო ღმერთი. იმანი დაეცა მუხლებზე და ხელები ზეცისკენ აღაპყრო. მადლიერი იყო ღმერთის, რომელმაც გამოატარა ამ წლების განმავლობაში და ყველაფრისგან გადაარჩინა. ნანობდა, რომ აქამდე ვერ მიხვდა ამას და პატივი არ მიაგო

ღმერთს მისი ზრუნვისთვის. ახლა კი ევედრებოდა მას, გამოეხსნა ამ დამოკიდებულებისგან. „ველოდი, რომ ხმას გავიგონებდი, ან რაღაც ნათელს დავინახავდი, თუმცა არაფერი დამინახავს, რამაც ნამდვილად დამაღონა. წავედი დასაძინებლად. სანამ დავწვებოდი, ვთქვი: „ღმერთო, შეუძლებელია, რომ პასუხი არ გასცე ჩემს ვედრებას. ან არ ხარ სინამდვილეში, ან იმდენად ცოდვილი ვარ, რომ არ გინდა რამე გააკეთო ჩემთვის.'"

იმანი დაწვა დასაძინებლად, ვერ დაიძინა და დაუბრუნდა ტელევიზორს. კვლავ დაიწყო არხებზე გადართვა. იმ მომენტში, როცა მიაღწია ქრისტიანულ არხს, უფრო მეტ ხანს დარჩა იქ. იგივე წინადადება მოისმინა, „როდესაც გადავეცი ჩემი გული იესოს..." ამჯერად, იმანი დარჩა არხზე, რათა მოესმინა დარჩენილი სიტყვები: „...მან მიხსნა მე." ორი საათით ადრე, იმანი ლოცულობდა სახლის სახურავზე, რომ ღმერთს ეხსნა ის. ახლა მან მოისმინა ის, რა გზითაც ღმერთი გააკეთებდა ამას: ანუ, თუ გადასცემდა თავის გულს იესოს. იმანი მიეჯაჭვა ტელეეკრანს. პიროვნება, რომელიც ყვებოდა თავის დამოწმებას, ასევე ნარკოტიკებზე იყო დამოკიდებული, უსასოობაში ჩავარდნილი, თუმცა ახლა, გამომდინარე მისი სახის გამომეტყველებიდან, ვერავინ შეამჩნევდა ნარკოტიკების კვალს. ეს კაცი სრულიად ჯანსაღად გამოიყურებოდა. სიხარული ირეკლებოდა მის სახეზე! შემდეგ ხუცესი გამოჩნდა ეკრანზე და მიმართა ყველას, ვინც უყურებდა გადაცემას: თქვენც შეგიძლიათ მიიღოთ ასეთი სიხარული, ასეთივე განკურნება და ასეთივე გამარჯვება. იმანმა კვლავ ილოცა, მოინანია სრულად წარსულის ყველა ცოდვა და თავისი გული იესოს გადასცა.

„როდესაც დავხუჭე თვალები, რომ მელოცა, 100 პროცენტით ვგრძნობდი იესოს ყოფნას ჩემ გვერდით. ვგრძნობდი, რომ თუ გავახელდი თვალს, დავინახავდი მას, მაგრამ ძალიან მრცხვენოდა საკუთარი თავის და ჩემი ცოდვების გამო, ამიტომაც არ ვახელდი თვალს, რამდენადაც ცოდვილი მე არ ვიმსახურებდი, რომ მეხილა ის, თუმცა გრძნობები მეუბნებოდა, რომ „ღმერთი იყო გვერდით!'" როცა ბოლოს და ბოლოს გაახილა თვალი, იმანმა იგრძნო შინაგანი ხმა, რომელიც ეუბნებოდა, „დასრულდა; დასრულდა შენი ძველი ცხოვრება." იმანი უკვე ახალი ქმნილება იყო.

იმანს უნდოდა, რომ ყოფილიყო საუკეთესო ჯარისკაცი, მომკვდარიყო როგორც წამებული თავისი ქვეყნისთვის. შემდეგ უნდოდა, რომ ყოფილიყო ყველაზე მოხერხებული ქურდი, ყველაზე თავგადაკლული ნარკომანი. ახლა მან იპოვა ქრისტე და მისთვის ჩვეულმა მგზნებარებამ ახალი მიმართულება ჰპოვა. მას უნდოდა, რომ ყოფილიყო საუკეთესო! საუკეთესო მოწმე ქრისტესთვის, სიყვარულითა და სიხარულით სავსე მოწაფე!

მოკლედ, თუ ის იქნებოდა იესოს მიმდევარი, უნდა ყოფილიყო საუკეთესო!

ფიქრისთვის

სანამ შეხვდებოდით იესოს, თქვენ შეიძლება, არ ყოფილხართ ნარკომანი, ან ქურდი, თუმცა მაინც სასწაულია ის, რომ მან გიხსნათ თქვენ. ხანდახან, ვფიქრობ ხოლმე, რომ კარგი იქნებოდა, ხშირად გაგვეხსენებინა, თუ რანი ვიყავით–და სად უნდა დაგვესრულებინა სვლა–სანამ იესო გვიხსნიდა. ცხადია, ეს არ უნდა გავაკეთოთ ისე, რომ სატანას ფეხის მოსაკიდებელი გაუჩნდეს, არამედ უნდა გავაკეთოთ ისე და იმ გზით, რომელიც შეგვახსენებს იმ სიხარულსა და მადლიერებას, რომელთაც ვგრძნობდით, როცა ძველმა ცხოვრებამ გადაიარა და ჩვენ ახალ ქმნილებად ვიქეცით. დაწერეთ „ახალი ქმნილების“ თქვენეული ამბავი და სთხოვეთ ღმერთს, რომ მოგცეთ შესაძლებლობა ამ კვირის განმავლობაში, რათა ის გაუზიაროთ ვინმეს.

ლოცვა

იესო, მადლობა იმისათვის, რომ ხსნა მაჩუქე! მე არ დამიმსახურებია ეს; მე ვერასოდეს შევძლებდი მის გამომუშავებას და მიუხედავად ამისა, გამომიხსენი ცოდვისა და ჯოჯოხეთისგან. მადლობა შენ! დამეხმარე, რომ გემსახურო სიხარულით, რომ გული სავსე მქონდეს შენი სიყვარულით და მადლიერებით იმ ყველაფრისათვის, რაც შენ გააკეთე ჩემთვის.

თქვენი დღიურისთვის

ჩემი დღიურიდან

ძალიან კარგია იმ ადამიანების გვერდით ყოფნა, რომლებიც ერთგულები არიან უფლის და სიცოცხლეს სწირავენ მისთვის.

დღე 8

ვისწრაფვით ვიყოთ უკეთესები – ნაწილი 2

„ჩემი ცხოვრების უტკბესი დრო“

დადიოდა იესო ყველა ქალაქსა და დაბაში, ასწავლიდა მათ სინაგოგებში, ქადაგებდა სასუფევლის სახარებას და კურნავდა ყოველგვარ სენსა და უძლურებას. ხალხის სიმრავლე რომ დაინახა, შეებრალა ისინი, რადგან დამაშვრალნი და უმწეონი იყვნენ, როგორც უმწყემსო ცხვრები.

მათე 9:35-36

.....

თურქეთი, 2010

იმ ღამიდან იმანმა თავისი ცხოვრება იესოს მიუძღვნა, იყო ევანგელისტი. არა მხოლოდ კვირაობით და არა მხოლოდ ხალხის წინაშე; იგი ყველა ცალკეულ პიროვნებას, რომელთანაც უწევს კონტაქტი, განიხილავს, როგორც იმ პიროვნებას, რომელიც ღმერთმა შეახვედრა მას, რათა აუწყოს იესოს შესახებ. ისევე, როგორც იმანი ცდილობდა ყოფილიყო

ყველაზე მოხერხებული ქურდი და ყველაზე თავგადაკლული ნარკომანი, ახლა სურს, რომ იყოს საუკეთესო ევანგელისტი.

მე არ ვაფასებ ადამიანებს ქვეყნიური ფასეულობების მიხედვით; თითოეული პიროვნება ჩემთვის ფასეულია იესოს გამო. ყველა სიტუაციის დროს ვეკითხები სულიწმიდას, „რა გინდა რომ გავაკეთო?“ ამიტომაც ყოველთვის ყველას ვუზიარებ სახარებას. ამგვარ მიდგომას საოცარი შედეგები მოაქვს. როცა პირველად შევხვდი იმანს, ის მხოლოდ ოთხი წლის მორწმუნე იყო. ამ ოთხი წლის განმავლობაში მან მუხლი მოიყარა და ილოცა 1000-ზე მეტ ადამიანთან ერთად, რომლებმაც მიატოვეს თავიანთი უწინდელი ცოდვილი ცხოვრება და საკუთარი გული და ცხოვრება ქრისტეს მიუძღვნეს. ათასზე მეტი ადამიანი! იგი გახდა ქრისტიანი ლიდერების ქსელის მონაწილე ირანში, ამ ქსელის წინამძღოლების მიერ მიიღო წვრთნა და აითვისა მათგან ანგარიშვალდებულების ჩვევა. ამ ქსელის სხვა წევრთა მსგავსად, ყოველთვიურად იგი გზავნის ანგარიშს გასულ თვესთან დაკავშირებით, თუ რამდენ ადამიანს ესაუბრა ქრისტეში ხსნის შესახებ და რამდენმა მათგანმა აირჩია გამხდარიყო იესოს მიმდევარი და ილოცა მასთან ერთად.

ნათელია, რომ იმანი ცხოვრობს დახურულ, თავისუფლებაშეზღუდულ, ქვეყანაში, ირანის ისლამურ რესპუბლიკაში, და მისი ყოველდღიური მსახურება, ადამიანებთან საუბარი იესოს შესახებ, მიიპყრობს ყურადღებას. ისიც ცხადია, რომ ეს დამთავრდება მისი დაპატიმრებით, გამოძიებითა და შესაძლოა, ციხეშიც გაგზავნონ, თუმცა იმანის დამოკიდებულება მოვლენების ასეთი განვითარებისადმი, ჩვეულებრივია. თუ გამგზავნიან ციხეში, ალბათ იმიტომ, რომ ადამიანებს იქ ესაჭიროებათ მოისმინონ იესოს შესახებ.

„როდესაც უმიზეზოდ დამაპატიმრეს, ვიცოდი, რომ ღმერთი მაგზავნიდა ისეთ ადგილზე, როგორზეც დამოწმება იყო საჭირო, ამიტომაც არაფერი გამიკეთებია იმისათვის, რომ თავი დამეღწია ციხიდან. ასე რომ, ციხეში მიყვანის შემდეგ, მე ვნახე იქ ორი ადამიანი, რომლებიც შებორკილები იყვნენ იმის გამო, რომ მათი დანაშაული ძალიან სერიოზული იყო. როდესაც მივედი ამ ადამიანებთან, ვუთხარი, „ღმერთმა გამომგზავნა მე თქვენს გადასარჩენად.“ „მე მართლაც მჯერა: ღმერთმა გამაგზავნა ამ ადამიანებთან, რომ მათთვის სახარება გამეზიარებინა, ამიტომაც ძალიან

მოკლედ გადავეცი მათ კეთილი ამბავი, სულ 15 წუთში, მათ ჩემთან ერთად მოიყარეს მუხლი, ილოცეს, მოინანიეს და მიიღეს ქრისტე. „მე მხოლოდ ის 15 წუთი მქონდა სახარების გაზიარებისათვის, ვინაიდან მას შემდეგ, რაც დავასრულე, მაშინვე პოლიცია მოვიდა და მითხრა, „შენ არა ხარ დამნაშავე და არ უნდა იყო აქ. ძალიან კეთილი ხარ ჩვენ მიმართ და გვინდა შენი გათავისუფლება.“ გახსნეს კარი და მითხრეს: „შეგიძლია წახვიდე.“

„როდესაც გახსნეს კარი ჩემს გასაშვებად, მე გადავეხვიე იმ ორ კრიმინალს, რომლებსაც ცრემლები მოადგათ თვალზე და თავადაც მომეჭიდნენ. პოლიციის უფროსმა მითხრა, „მხოლოდ 15 წუთია იცნობ ამ ადამიანებს და ისინი ისე იქცევიან თითქოსდა, შენი ოჯახის წევრები არიან!’“

ასე რომ, იმანის მგზნებარება ცოდვილებს იესოში ხსნის უწყებით გადაეცა იმ ადამიანებს, რომლებსაც დაუმოწმა და რომლებთან ერთადაც ილოცა. ერთმა კაცმა, რომელიც იმანმა ქრისტესთან მიიყვანა, უწყება გადასცა იმანის მამას, ვინც უსაფრთხოების პოლიციის წევრი გახლდათ. მან, თითქოსდა, დიდი ინტერესი გამოამჟღავნა ამის მიმართ და თქვა, „ეს ძალიან საინტერესოა. ძალიან მინდა შევხვდე შენს მეგობარს, ვინც ეს უწყება შენ გაგიზიარა.“ ასე რომ, იმ კაცმა მიიწვია იმანი, დაბრუნებულიყო უკან, მის ქალაქში, და შეხვედროდა მამამისს, თუმცა, როდესაც იმანი მივიდა შეხვედრაზე, პოლიცია ელოდა იქ. დააპატიმრეს, თვალები აუხვიეს და ჩასვეს მანქანაში. პოლიციის შენობაში მას ათი საათის განმავლობაში კითხავდნენ, შემდეგ კი მიიყვანეს მოსამართლესთან.

მოსამართლის წინაშე მდგომმა იმანმა გაუზიარა მათ თავისი დამოწმება, რომ ის იყო ნარკომანი და ახლა თავისუფალია ამისაგან. მან უთხრა მოსამართლეს, რომ იმ დღიდან დაწყებული, ყოველთვის, როდესაც ხედავს ნარკომანს, სურს ესაუბროს მას და უთხრას, რომ არსებობს იმედი და თავისუფლება, რომელიც ხელმისაწვდომია მათთვის. რომ ის არ ცდილობს პოლიტიკური მოძრაობის ან თუნდაც ეკლესიის დაფუძნებას; ის მხოლოდ მოქმედებს იმ სიკეთის გამო, რომელიც ღმერთმა გააკეთა მისთვის, როდესაც ის გამოიხსნა ნარკოტიკებზე დამოკიდებულებისგან და უნდა, რომ სხვებიც გათავისუფლდნენ ამ მდგომარეობისგან.

მოსმენის ბოლოს, მოსამართლემ ის უკან დააბრუნა უფრო მეტი გამოკითხვისთვის. პირველ ღამეს იმანი დიდ შიშს გრძნობდა. იგი

დარწმუნებული იყო, რომ მცველები გეგმავდნენ მის სექსუალურ შევიწროებას. შეევედრა ღმერთს, მე ვისწავლე, გამემახვილებინა ყურადღება იესოზე და ვთქვი: „რაც არ უნდა მოხდეს, ეს ღირს იმად, რაც შენ გააკეთე ჩემთვის“. მე ვისწავლე ის, თუ რას ნიშნავს ვებრძოლო ღმერთს, ვინაიდან იმ მომენტში მე ვუთხარი ღმერთს, „თუნდაც გამაუპატიურონ, არ უარგყოფ შენ.'“

პირველად, როცა იმანმა ლოცვა დაიწყო საკანში, მცველებმა უთხრეს მას შეჩერებულიყო. „მე თქვენთან ერთად ვიყავი მთელ დღეს,“ უპასუხა მან. „ვუპასუხე ყველა კითხვას, რომლებიც დამისვით. თქვენ არ შეგიძლიათ ლოცვა ამიკრძალოთ მე.“

„ის ლოცვები,“ მითხრა მან მოგვიანებით, „საკანში, ძალიან ტკბილი იყო. როცა ვლოცულობდი, თითქმის ვტიროდი. სიტკბოების განცდას იმისი ცოდნა მაძლევდა, რომ იქ ვიყავი არა იმის გამო, რომ დანაშაული ჩავიდინე, არამედ ღმერთზე დამოწმების გამო, სწორედ ეს აძლევდა ჩემს ლოცვებს სიტკბოების განცდას.“

იმანი ლოცულობდა იმ მცველებისთვის, რომლებსაც მისთვის მწირი საჭმელი მოჰქონდათ. ის შესთხოვდა ღმერთს, რომ კურთხევა გამოეგზავნა მათ ცხოვრებაში, მათ ქორწინებაში და ოჯახებში. მალე, მცველებმა მასთან დამატებითი საკვების მიტანა დაიწყეს.

ოცდაერთი დღის განმავლობაში იმანი ერთკაციან საკანში იჯდა. შემდეგ მცველებმა ის უფრო დიდ ციხეში გადაიყვანეს, სხვა ოთხას პატიმართან ერთად. იმანი გაამწესეს იმ ადგილზე, სადაც ყველაზე უარესი საკნები იყო. ოთახში, რომელიც სავსე იყო მკვლელებით, ნარკომანებითა და ფსიქიკურად სნეული პატიმრებით. მეგობარმა, რომელსაც გარკვეული გავლენა ჰქონდა ციხეში, საკნის შეცვლა შესთავაზა. მან უარი თქვა. „თუ ღმერთი მაგზავნის ამ ოთახში, არ მინდა რომ სხვაგან გადავიდე“ თქვა იმანმა.

მის საკანში სამოცდახუთი კაცი ისხდა, მაგრამ მხოლოდ ორმოცდახუთი საწოლი იყო საკანში, რომლის ფართობიც 36 კვ. მ. იყო, იდგა თხუთმეტი სამ სართულიანი საწოლი. ერთ-ერთმა კაცმა ჰკითხა იმანს, პირდაპირ აქ შემოიყვანეს თუ არა. „არა, მე ერთკაციან საკანში ვიჯექი ოცდაერთი დღის განმავლობაში!“ „როგორ გაძელი მარტო? ექვსი დღე ვიჯექი ერთკაციანში და კინაღამ გავგიჟდი!“ „მე არ ვყოფილვარ მარტო,“ უთხრა იმანმა მას. „მე

ღმერთთან ერთად ვიყავი.“ „მინდა რომ დაგელაპარაკო,“ სხვა პატიმარმა უთხრა მას. აი, ასე დაიწყო იმანის მსახურება ციხეში. იმავე დღეს, მან გადაარჩინა ნარკომანი პატიმარი, რომელსაც „ლომკა“ ჰქონდა, ილოცა იესოს სახელით და იმ კაცის სიმპტომები გაქრა.

სამი სათვალთვალო კამერა აკვირდებოდა მათ საკანს, ამიტომაც იმანის მსახურება შეუმჩნეველი უნდა დარჩენილიყო. ის საწოლებს უნდა მოფარებოდა, რათა ელაპარაკა სხვა პატიმრებთან შეუმჩნევლად.

„ეს ჩემი ცხოვრების უტკბესი დრო იყო,“ მითხრა იმანმა. მან ამ საკანში რვა დღე გაატარა და ამ დროის განმავლობაში მისი ოცდაოთხი თანაპატიმარი ქრისტეს მორწმუნე გახდა. ორი მათგანი ნამდვილი მკვლელი იყო და სიკვდილით დასჯას ელოდა. მეხუთე დღეს იმანს უთხრეს, რომ შეეძლო გირაოს შეტანა და მას გაათავისუფლებდნენ; მან სამი დღით დააგვიანა გირაოს შეტანა, რათა გაეგრძელებინა თავისი მსახურება ციხეში, სანამ მცველებს ეჭვები არ გაუჩნდათ იმის შესახებ, თუ რატომ არ მიდიოდა ის.

„მე მჯერა, რომ როცა ღმერთი გვაგზავნის ჩვენ გარკვეულ ადგილას, ის გვამზადებს და ყველაფრით უზრუნველგვყოფს იმ ადგილისთვის,“ მითხრა იმანმა. „მე ვიცოდი, რომ საქმე მქონდა იმ ციხეში.“

მას შემდეგ, რაც გაათავისუფლეს და დაბრუნდა სახლში, იმანმა შეავსო თავისი თვიური მსახურების ანგარიში და გაუგზავნა ლიდერებს. მას არაფერი უთქვამს პატიმრობის შესახებ, ოცდაერთი დღე ერთ კაციან საკანში და რვა დღე ციხეში, სხვა პატიმრებთან ერთად. მან მხოლოდ თქვა, რომ ეს იყო მსახურების დრო: „გასულ თვეში, მე შევძელი სახარება გამეზიარებინა ასი ადამიანისთვის. მათგან ოცდაოთხმა ილოცა ცოდვების მიტევებისთვის და თავისი ცხოვრება იესო ქრისტეს მიუძღვნა.“ მხოლოდ რამდენიმე კვირის შემდეგ გაიგეს მისმა ლიდერებმა, რომ იმანის მსახურება იმ თვის განმავლობაში ციხეში მიმდინარეობდა.

„იმ დღიდანვე, როცა ციხიდან გამოვედი, განვაგრძე ჩემი მსახურება,“ მითხრა იმანმა. „ბოლო ამოსუნთქვამდე, მე იესოს ვეკუთვნი. რაც არ უნდა გავაკეთო, სულიწმიდაა ჩემთან. ვიცი ვინც ვიყავი. ისეთი სუსტი ვიყავი მანამდე... ასე რომ, მთელი დიდება იესოს ეკუთვნის. მე არაფერი ვარ; იესო ყველაფერია. იესოს გარეშე, მე ისევ ისეთივე [ცოდვილი, ნარკომანი] ვარ, როგორიც ვიყავი ადრე.“

ფიქრისთვის

მსახურების რომელი ადგილი მოამზადა ღმერთმა თქვენთვის დღეს? სად გაგზავნით ის? ვინ არის ის ადამიანი, რომელსაც უნდა შეგახვედროთ ამ გზაზე? განიხილავთ ყოველ საუბარსა და ყველა პიროვნებას, რომელსაც ხვდებით, როგორც იმ ადამიანს, რომელიც ღმერთმა გამოაგზავნა თქვენთან, რათა მოისმინოს მისი სიყვარულისა და მადლის შესახებ? თუ თქვენ ადამიანებს ისე უყურებთ, როგორც იესო უყურებდა, თანაგრძნობის თვალებით, როგორ შეცვლის ეს იმ გზას, რა გზითაც თქვენ ურთიერთობთ თქვენ ირგვლივ მყოფ ადამიანებთან?

ლოცვა

უფალო, მომეცი უნარი, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც ჩემ ირგვლივ არიან, ისეთივე თანაგრძნობით შევხედო, როგორითაც შენ უყურებდი და არა ჩემი მიწიერი თვალებით. მომეცი უნარი, რომ ამ დღიდან ყველას, ვისაც გამოგზავნი ჩემთან შესახვედრად, ვესაუბრო შენს სიყვარულზე. მე მზად ვარ ვიყო შენი მსახური, შენი ელჩი. ახლავე მიმიყვანე იმ ადამიანთან, ვისაც სჭირდება შენი სიტყვა მოისმინოს.

თქვენი დღიურისთვის

ჩემი დღიურიდან

მე მქონდა ნამდვილად კარგი საუბარი ევანგელისტთან, რომელმაც დაახლოებით ერთი თვე გაატარა ციხეში, მათ შორის 21 დღე ერთკაციან საკანში. ციხეში ყოფნის განმავლობაში მან 24 ადამიანი მიიყვანა

ქრისტესთან! და მას შემდეგ რაც, ვირაო გადაიხადა, ის დამატებით სამი დღე დარჩა ციხეში, რათა დაემოწაფებინა და დაემოწმებინა იქ მეოფთათვის, სანამ მცველებმა არ დაიწყეს ეჭვიანობა, თუ რატომ არ მიდიოდა ის სახლში! მან საინტერესო კომენტარი გააკეთა: „თუ შენ ქრისტიანი ხარ და არ განიცდი დევნას, ე. ი. გაკლია კურთხევა!“

ლოცვა დევნილი ქრისტიანებისათვის

არასოდეს დამავიწყდება საუბარი ბობ ფუსთან, ეოფილ ჰატიმართან, რომელიც თავდადებული იეო ქრისტესთვის. მე ვკითხე ბობს, თუ როგორ ლოცულობდა დაჰატიმრებული ქრისტიანებისათვის მანამდე, სანამ თავად არ ჩასვეს ციხეში თავისი აქტიური მსახურების გამო კომუნისტურ ჩინეთში. მან თქვა, სანამ ციხეში თავად მოხვდებოდა, ის იქ მეოფებისთვის ლოცულობდა, რომ ღმერთს გაეთავისუფლებინა და დაებრუნებინა თავიანთ სახლებსა და ოჯახებში. მე კვლავ შევეკითხე მას, მას შემდეგ, რაც თავადაც გაატარა გარკვეული დრო ციხეში, თუ შეიცვალა მისი ლოცვა?

ჰო, შეიცვალა, მიჰასუხა მან. ახლა ასე ვლოცულობ: მე ვთხოვ ღმერთს, რომ მისცეს მათ შესაძლებლობა დაამოწმონ ქრისტეზე და რომ ღმერთმა ამეოფოს ისინი მანამდე, სანამ ეს იქნება მისი ნება, რომ ისინი ციხეში დარჩნენ.

ილოცეთ დღეს ილოცეთ, დღეს ციხეში მეოფი ქრისტიანებისთვის. ილოცეთ, მათი დაცვისა და ჯანმრთელობისთვის, თუმცა ამავე დროს ილოცეთ იმისათვის, რომ მიეცეთ მათ შესაძლებლობა, რათა დაუმოწმონ ვინმეს იესოს სიყვარულის შესახებ. შესაძლოა, ეს მისივე საკანში მეოფი იეოს, ან მცველი, ან თუნდაც მოსამართლე. ილოცეთ, რომ ღმერთმა მისცეს მათ ასეთი შესაძლებლობა და თანმდევი გაბედულება და მადლი, რომ მათ გამოიყენონ ეს შესაძლებლობა, როდესაც ის მოვა.

დღე 9

დევნა მოლოდინია და არა შემთხვევა

თუ თქვენ ქვეყნიერებას სძულხართ, იცოდეთ, რომ თქვენზე ადრე მე მომიძულა. თქვენ რომ ქვეყნიერებისანი იყოთ, ქვეყნიერებას ეყვარებოდა თავისიანები, და რაკი არა ხართ ქვეყნიერებისანი, არამედ მე გამოგარჩიეთ ქვეყნიერებიდან, ამიტომ სძულხართ ქვეყნიერებას. გაიხსენეთ, სიტყვა, რომელიც გითხარით: „მონა არ არის თავის ბატონზე დიდი“. მე თუ მდევნიდნენ, თქვენც გაგდევნიან; თუ ჩემი სიტყვა დაიცვეს, თქვენსასაც დაიცავენ, მაგრამ ყოველივე ამას ჩემი სახელის გამო გაგიკეთებენ, რადგან არ იცნობენ ჩემს მომავლინებელს.

იოანე 15:18-21

.....

ინდოეთი, 2010

ბანგალორს ხანდახან „ინდოეთის IT დედაქალაქს“ ეძახიან, ტექნოლოგიურ ცენტრს, სადაც წარმოდგენილია მსოფლიოში ცნობილი თითქმის ყველა ტექნოლოგიური კომპანია. სწორედ ამ ადგილას, ინდოეთში, მოვისმინე მე დევნის ერთ-ერთი ყველაზე „მკვეთრი“ ისტორია, რომელიც ოდესმე მომისმენია, როდესაც სასაუბროდ

შევხვდი დევნილ ხუცესს, რომელიც მხოლოდ თორმეტი საათის წინ გაათავისუფლეს ციხიდან.

პეტრე-პავლე ატარებს ორი მოციქულის სახელს და ისევე, როგორც პეტრე და პავლე ქადაგებდნენ აღმდგარ ქრისტეს, პეტრე-პავლეც ქადაგებს სახარებას იქ, სადაც იმყოფება. პეტრე-პავლე თავის სახუცესო ძალიან მცირე ხელფასს ავსებდა იმით, რომ მუშაობდა მასწავლებლად. მიუხედავად იმისა, რომ ინდოეთი ძირითადად ინდუისტური ქვეყანაა, ის ადგილი, სადაც პეტრე-პავლე ცხოვრობდა და მუშაობდა უპირატესად მუსლიმური იყო და მისი მოსწავლეების უმრავლესობაც მუსლიმური ოჯახებიდან იყვნენ.

პეტრე-პავლემ დააფუძნა სარეპეტიტორო კურსები სკოლის შემდეგ, რათა თავის მოსწავლეებს დახმარებოდა სწავლაში. ამ კურსებს ის იმისთვისაც იყენებდა, რომ თავისი მოწაფეებისთვის გაეცნო იესო. მან ფილმ იესოს ასლები ბევრ თავის მოწაფეს გადასცა, რომლებმაც სიხარულით წაიღეს ფილმის დისკები სახლებში და ფილმი აჩვენეს თავიანთ ოჯახებს. ევანგელიზმის ეს ფაქტი როგორღაც შეუმჩნეველი დარჩა, თუმცა ამ მიმართულებით გადადგმული მისი შემდეგი ნაბიჯი, არ დარჩენილა შეუმჩნეველი: პეტრე-პავლემ ახალი აღთქმები დაურიგა თავის დაახლოებით ოც ახალგაზრდა მოწაფეს. მის მოწაფეებს არ ჰქონდათ სავსე წიგნის თაროები სახლებში, ამიტომაც ძალიან ამაყები იყვნენ ამ ახალი წიგნის გამო, თუმცა როდესაც ახალი აღთქმები თან წაიღეს მედრესეში, სადაც ისინი ისლამურ განათლებას იღებდნენ, მედრესეს წინამძღოლები განრისხდნენ. რატომ გადასცეს მუსლიმ ბავშვებს ქრისტიანული წიგნები? ისინი მოითხოვდნენ სცოდნოდათ, თუ ვინ გადასცა ბავშვებს ეს წიგნები.

მედრესეს წინამძღოლებმა შეკრიბეს დაახლოებით 150 კაცისაგან შემდგარი ბრბო, მათ ეს გაბრაზებული ადამიანები სამი ადგილობრივი მეჩეთიდან მოკრიბეს. ისინი მიადგნენ პეტრე-პავლეს სახლს იმ დროს, როცა მან იმ წამს დაასრულა დილის ლოცვა.

მათ გამოათრიეს ის გარეთ, ხელებით და ფეხებით სცემდნენ პეტრე-პავლეს და მონოტონურად იმეორებდნენ, რომ სურდათ უღმერთოს მოკვლა.

პეტრე-პავლეს ცოლმა, ნირმალამ, სცადა დალაპარაკებოდა ბრბოს. ის შეჰპირდა მათ, რომ მისი ოჯახი დატოვებდა ამ ადგილს, თუ ისინი გაუშვებდნენ მის ქმარს. პეტრე-პავლემ უთხრა თავის ცოლს, რომ მშვიდად ყოფილიყო. „ვუთხარი ჩემს ცოლს, რომ რაც იქნებოდა უფლის ნება, ის მოხდებოდა ჩემს ცხოვრებაში,'" თქვა მან ჩემთან საუბრისას. „მე არ მეშინია. ვიცი, რომ ღმერთს შეუძლია ჩემი გათავისუფლება მათი ხელიდან."

ბრბოს წევრებმა გაჩხრიკეს მათი სახლი, დაანგრიეს ყველაფერი შიგნით. შემდეგ პეტრე-პავლე წაიყვანეს იმ სკოლისკენ, სადაც ის ასწავლიდა, გამოიძახეს ადგილობრივი პოლიცია და მედიის წარმომადგენლები ამ ადგილზე და წარადგინეს მისი „დანაშაულიც"– ადამიანებთან საუბარი იესოს შესახებ. როდესაც პოლიცია მოვიდა, მათ არ დააპატიმრეს ბრბოს ის წევრები, რომლებმაც სცემეს ადამიანი და გაანადგურეს მთელი მისი ქონება. ამის ნაცვლად, მათ დააპატიმრეს პეტრე-პავლე, „თემური ჰარმონიის დარღვევის" საბაბით. ეს „დარღვევა" გამოიხატებოდა იმაში, რომ ქრისტიანული წიგნები გადასცა მუსლიმ ბავშვებს. ის გადაიყვანეს ციხეში.

ხუცესმა პეტრე-პავლემ მითხრა მე, რომ ციხეში ყოფნის დროს ის ფიქრობდა იმ ბიბლიურ ადგილებზე, რომლებშიც მოთხრობილია ღმერთის შვილების ყოფნის შესახებ საპყრობილეში. ის ფიქრობდა, პავლესა და სილაზე, რომლებიც გალობდნენ ხუნდებდადებულები ფილიპეს ციხეში ყოფნის დროს. მან გაიხსენა პეტრეს ამბავი, რომელიც შებორკილი იმყოფებოდა ორ რომაელ ჯარისკაცს შორის, როცა ანგელოზმა გაათავისუფლა ის და გაიყვანა ციხიდან. მან დაიწყო ლოცვა, თუმცა ეს არ ყოფილა ლოცვა გამოხსნაზე ან გათავისუფლებაზე. „რაც არის შენი ნება," მიმართა უფალს, „აღასრულე ის ჩემს ცხოვრებაში."

პეტრე-პავლემ სთხოვა ციხის უფროსს, თუ მისცემდა უფლებას ელაპარაკა სხვა პატიმრებთან და როცა მიიღო ეს უფლება, იგი ადგა და დაიწყო თავისი დამოწმების, თუ რა გააკეთა ღმერთმა მის ცხოვრებაში, გაზიარება სხვა პატიმრებთან. იგი ქადაგებდა იმის შესახებ, რომ დიდება უნდა მივაგოთ ღმერთს ყოველგვარი გარემოებების დროს. „სადაც არ უნდა ვიყოთ," ეუბნებოდა ის საკანში მასთან მყოფებს, „ჩვენ დიდება უნდა მივაგოთ ღმერთს. მაშინ, როდესაც გასაჭირისა და ცდუნებების

წინაშე ვდგავართ. მაშინ, როდესაც ყველაფერი კარგად არის ჩვენს ცხოვრებაში. ყოველთვის და ყველგან, ჩვენ დიდება უნდა მივაგოთ ღმერთს.“ ამ უწყების შემდეგ, რამდენიმე პატიმარმა მოძებნა ის და სთხოვეს ელოცათ მასთან ერთად.

VOM-ის თანამშრომლებმა შეძლეს მისთვის ადვოკატის დაქირავება და მოაგროვეს თანხა გირაოს გადასახდელად. პეტრე-პავლე გამოვიდა ციხიდან. ასე რომ, ციხეში თითქმის ერთ კვირიანი ყოფნის შემდეგ, ის გამოუშვეს შაბათ ღამეს. ჩვენ, კვირა დილით მასთან და ნირმალასთან ერთად ვისხედით და ვსვამდით ცხელ ჩაის. მათ ორ ლამაზ ბავშვს ჯერაც ნამძინარევი თვალები ჰქონდათ და არ იყვნენ მთლიანად გამოფხიზლებულნი.

მათ არ ჰქონდათ წასასვლელი ადგილი. იმ კვირის განმავლობაში, როცა პეტრე-პავლე ციხეში იყო, მათმა სახლის მფლობელმა იფიქრა, რომ ამ ოჯახს ძალიან ბევრი პრობლემები ჰქონდა და თუ ისინი დარჩებოდნენ მის სახლში, შესაძლებელი იყო ბრბო კვლავ მოსულიყო და აერია იქაურობა. უარესი, შეიძლება ცეცხლიც კი წაეკიდებინათ იქაურობისთვის. მას არ უნდოდა გაერისკა თავისი ქონებით, ამიტომაც გამოასახლა ნირმალა და ბავშვები სახლიდან, ჯერ კიდევ მაშინ, როცა პეტრე-პავლე ციხეში იყო.

პეტრე-პავლე გამოუშვეს გირაოთი, თუმცა ბრალდებები მის მიმართ ჯერაც ძალაში იყო. არსებობდა შესაძლებლობა, რომ მას უკან შეაბრუნებდნენ. ასე რომ, როდესაც ისინი ჩვენ გვერდით ისხდნენ და სვამდნენ ჩაის, ყველაფერი რაც მათ ეკუთვნოდათ, მხოლოდ ის იყო, რაც ტანზე ეცვათ. ოჯახის მიწიერი ქონება მთლიანად განადგურებული იყო. მათ არ ჰქონდათ სახლი, სადაც შევიდოდნენ, ამიტომ არც ის იცოდნენ სად გაათევდნენ იმ ღამეს.

და როდესაც ჩვენ ვკითხეთ პეტრე-პავლეს, თუ როგორ შეგვეძლო გველოცა მისთვის, მას ისიც კი არ უთხოვია, რომ მისთვის გველოცა. მან გვთხოვა, რომ გველოცა მისი მშობლებისთვის. მათი რწმენა, თქვა მან, ძლიერ შეირყა, როდესაც იხილეს დაპატიმრებული თავიანთი ვაჟი. თქვენ შეგიძლიათ ილოცოთ იმისათვის, რომ ღმერთმა ანუგეშოს და გააძლიეროს ისინი? მისი სხვა სათხოვარი იყო ის, რომ გველოცა მისი მსახურებისთვის. გვთხოვა, გველოცა იმისათვის, რომ შეძლოს ევანგელისტის მსახურების გაგრძელება–სწორედ იმ საქმის გაგრძელება,

რომელიც მას ციხეში ერთ კვირიან ყოფნად, სახლად და ყოველივე იმის განადგურებად დაუჯდა, რაც ეკუთვნოდა.

„დევნა არ არის შემთხვევითობა," – გვითხრა მან, „ეს მოლოდინია!"

ფიქრისთვის

შეიძლება, დევნა მოსალოდნელია ინდოეთში. შეიძლება, დევნა მოსალოდნელია იმ დროს, როცა შენ აქტიურად ცდილობ მისწვდე მუსლიმებს ქრისტესთვის, მაგრამ რა შეიძლება ვთქვათ ჩვენზე? არის დევნა მოსალოდნელი კომფორტში მცხოვრები თავისუფალი ქრისტიანებისთვის მთელ მსოფლიოში? თუ მხოლოდ იმას ველით, რომ ღმერთი მხოლოდ კომფორტს, წინსვლასა და მიწიერ წარმატებებს გამოგვიგზავნის? იესომ თქვა, „მე თუ მდევნიდნენ, თქვენც გაგდევნიან." პავლემ მისწერა ტიმოთეს, „ასევე იქნება დევნილი ყველა, ვისაც სურს ღვთისმოსავად იცხოვროს ქრისტე იესოში" (2 ტიმ. 3:12). მე ვერ ვპოულობ რომელიმე გამონაკლის პირობას, რომელიმე ეროვნებისთვის.

თქვენი დღიურისთვის: თუ დევნა შემთხვევითობა კი არა, არამედ მოლოდინია, როგორ ცვლის ეს დაშვება იმ გზას, რა გზითაც თქვენ ფიქრობთ რწმენასა და ქრისტეს მოწაფეობაზე?

ლოცვა

იესო, დამეხმარე, რომ ვილოცო იგივე ლოცვით, რა ლოცვითაც პეტრე-პავლე ლოცულობდა ციხეში: „რაც არის შენი ნება, უფალო, აღასრულე ის ჩემს ცხოვრებაში." სულ ერთია, იქნება შენი ნება კომფორტი თუ ტანჯვა, მშვიდობა თუ გულის ტკენა, ჯანმრთელობა თუ სნეულება. რაც არის შენი ნება უფალო, აღასრულე ჩემს ცხოვრებაში. დამეხმარე, რომ მოვიძიო შენი გული და შენი მყოფადობა ყოველგვარ გარემოებაში.

თქვენი დღიურისთვის

ჩემი დღიურიდან

კვირა: ჩვენ ამ დილით ვესაუბრეთ ხუცესს, რომელიც ეს ესაა გამოვიდა ციხიდან, გასულ დამეს. ჩვენ მის მეუღლესა და ორ ბავშვსაც შევხვდით. ის საოცარ მხნეობასა და ერთგულებას ასხივებდა!

ორშაბათი: მე ვილოცე იმ ხუცესისთვის, რომელსაც გუშინ შევხვდით. მადლობა გადავუხადე ღმერთს იმის გამო, რომ მომცა შესაძლებლობა მეხილა ის, რასაც აკეთებს იგი თავის ქვეყანაში. რა საოცარი ჰრივილეგიაა იეო დაკავებული იმით, რასაც მე ვაკეთებ—შეხვდე და გაესაუბრო მის ხალხს: მოისმინო მათი ისტორიები და იხილო მათი ერთგულება. მართლაც, ეს დიდი ჰატივია ჩემთვის.

დღე 10

„ჩვენ დიდხანს ვლოცულობდით...“

ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუ მიწაში ჩავარდნილი ხორბლის მარცვალი არ მოისპო, მარტო დარჩება; და თუ განადგურდა, ბევრ ნაყოფს გამოიღებს.

იოანე 12:24

.....

ტაჯიკეთი, 2004

ჯერაც იყო დარჩენილი ნატყვიარები ფანჯარაში.

რა თქმა უნდა, მათ ლენტა მიაკრეს ამ ხვრელებს, თუმცა შეუძლებელი იყო არ შეგემჩნია, რომ ეს ხვრელები იქ ტყვიებისგან იყო დარჩენილი და იმასაც ადვილად მიხვდებოდა ადამიანი, რასაც ნიშნავდა ის.

ჩვენ ისფარას (ტაჯიკეთი) სახლის წინა ოთახში ვიმყოფებით. ეს ოთახი ქალაქის ერთადერთი ეკლესიის (ამ ქალაქში 126 მეჩეთია) შეკრების ადგილიც იყო. ეს ის ოთახიც იყო, სადაც ეკლესიის ხუცესს, სერგეი

ბესარაბს, ესროლეს ზემოხსენებული ფანჯრიდან და მოკლეს ჩვენს ჩასვლამდე ოთხი თვით ადრე. სერგეის ქვრივი, თამარი, ზის ჩვენთან ერთად. გრილოდა ჯერაც, თუმცა ზამთარი მალე მიიწურებოდა. ის გვიყვებოდა თავისი ქმრის, ეკლესიის ხუცესის, შესახებ. დანაკარგისაგან გამოწვეული სევდა ისევ ჩანდა მის სახეზე.

სიკვდილამდე, სერგეი ბესარაბი ხუთჯერ იყო ციხეში, თუმცა მხოლოდ ორმოცდასამი წლის იყო ასაკით. ის არ ყოფილა ქრისტესთვის დაპატიმრებული, არც იმისათვის, რომ აქტიურ მსახურებას ეწეოდა. იგი ციხეში იჯდა იმის გამო, რომ გახლდათ ტაჯიკური იატაკქვეშა ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა. სწორედ ასეთი ცხოვრების გამო გაატარა დიდი ხანი ციხეში, თუმცა ბოლო პატიმრობის დროს, ყველაფერი შეიცვალა. ის შეხვდა ქრისტიანს, რომელიც მასთან ერთად იჯდა და რომელიც ქრისტესთან ეროვნული ბაპტისტური ეკლესიების ციხეში მსახურების შედეგად მივიდა. იმ მეგობარმა, რომელსაც ასევე სერგეი ერქვა, დაიწყო ლოცვა იმის შესახებ, რომ იესო ქრისტეს, ჩვენს მხსნელს, თავისი თავი რეალური გაეხადა სერგეი ბესარაბისთვის.

ბესარაბმა უთხრა თავის ამხანაგს, რომ შეეწყვიტა ლოცვა მისთვის. „ილოცე ვინმე სხვისთვის," უთხრა მან. „ნუ დახარჯავ დროს ჩემზე ლოცვისთვის." მაგრამ სერგეიმ არ შეწყვიტა მისთვის ლოცვა. იგი გახდა ის პატიმარი, რომელიც დაკავებული იყო ციხის სამლოცველოში საქმიანობით. სამი წლის განმავლობაში, ყოველდღიურად ლოცულობდა თავისი ამხანაგისთვის, რომ ის მისულიყო ქრისტეს შემეცნებასთან. ბოლოს, 2000 წლის აგვისტოში, მისი ლოცვები შესმენილ იქნა. სერგეი ბესარაბმა მოიყარა მუხლი, აღიარა თავისი ცოდვები და მიიღო იესო, როგორც მხსნელი და უფალი.

ის ენერგია და მგზნებარება, რომელსაც ხარჯავდა, რომ გამხდარიყო კრიმინალური ავტორიტეტი, საწინააღმდეგო მიმართულებით შებრუნდა. რწმენის გზაზე დადგომიდან ექვსი თვის შემდეგ, ბესარაბი უძღვებოდა ბიბლიის შემსწავლელ ჯგუფს. როცა ის გაათავისუფლეს 2001 წელს, იგი მოინათლა. ციხიდან გამოსვლის შემდეგაც კი, იგი ბევრჯერ მივიდა იქ, რათა მოენახულებინა, მომსახურებოდა და დაემოწაფებინა პატიმრები. ციხეში კვლავაც მრავალი ადამიანი რჩებოდა–კაცები, რომლებსაც ის

პირადად იცნობდა–რომლებსაც კვლავ ესაჭიროებოდათ იესოს შემეცნება. სერგეი ბესარაბი გრძნობდა ღვთის მოწოდებას, რომ დაეარსებინა ეკლესია იმ ქალაქში, რომელსაც ისფარა ერქვა. ეს ქალაქი ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა. ამ ქალაქში საერთოდ არ იყვნენ ქრისტიანები, თუმცა მძლავრად იგრძნობოდა რადიკალური ისლამის გავლენა. მან და მისმა მეუღლემ დაიწყეს ისფარაში მოძრაობა კვირა დღეებში, ატარებდნენ მსახურებებს და ემსახურებოდნენ ადამიანებს. 2003 წლის დასაწყისში ისინი გადავიდნენ იქ. ეკლესიამ დაიწყო ზრდა და მათი სახლის წინა, დიდი ოთახი თანდათან ივსებოდა ადამიანებით კვირა დღეებში. სერგეის ჰქონდა მგზნებარება და ქარიზმა, რაც იზიდავდა ადამიანებს მოესმინათ მისთვის. ციხეში გატარებული თვრამეტი წლის შემდეგ მან კარგად იცოდა, რომ არავინ იყო ისეთი, ვისაც ვერ მისწვდებოდა ღვთის მადლი.

ძრავა, რომელიც ძალას აძლევდა ბესარაბის საჯარო მსახურებას, იყო ღმერთთან ერთობაში გატარებული მისი დრო. ყოველ დილით ორი საათი და კიდევ ორი საათი საღამოს, სერგეი იჯდა წინა ოთახში–იმ ოთახში სადაც ეკლესია იკრიბებოდა–და უბრალოდ ატარებდა დროს ღმერთთან. კითხულობდა ბიბლიას, ლოცულობდა, იღებდა თავის გიტარას და გალობდა ქების საგალობლებს მამის მიმართ, ვინც გამოიხსნა ის სიბნელიდან და ტყვეობიდან, თუმცა ორი საათი დილით და ორი საათი საღამოს, მაინც არ იყო საკმარისი იესოსთვის. თამარმა გვითხრა ჩვენ, რომ 2003 წლის მიწურულს, სერგეი კიდევ უფრო მეტ ხანს ლოცულობდა უფლისთვის: იგი სთხოვდა ღმერთს, რომ შესაძლებელი გაეხადა დამატებით კიდევ ორი საათი შუა დღეს, რათა სერგეის ეს დროც თაყვანისცემისა და ლოცვისთვის დაეთმო. ღმერთმა უპასუხა სერგეი ბესარაბის ლოცვას, თუმცა, შესაძლოა, არა ისე, როგორც ის ელოდა.

მათი პატარა ეკლესია–იმ ქალაქში, რომელშიც არასოდეს ყოფილა ეკლესია–შესამჩნევი გახდა. 2004 წლის იანვრის დასაწყისში, ადგილობრივმა გაზეთმა დაწერა სტატია მზარდი ქრისტიანული ეკლესიის შესახებ ქალაქში და ქრისტიანების საქმიანობაზე მუსლიმთა შორის, რასაც მათი განდგომა მოსდევდა. სტატიის ერთი წინადადება ასე ჟღერდა: „რა უნდა გავაკეთოთ სერგეი ბესარაბის წინააღმდეგ?“ რა თქმა უნდა სერგეიმ წაიკითხა ეს სტატია, მაგრამ ღმერთმა მოუწოდა

მას ისფარაში და ის მოიცდიდა, რათა ღვთისგან მოესმინა და არა ადგილობრივი გაზეთიდან, როდის მოვიდოდა წასვლის დრო. ის იჯდა წინა ოთახში, გიტარით ხელში, ღიღინებდა ქების საგალობლებს, როცა პირველი გასროლის ხმა გაისმა 12 იანვარს. წყნარ ღამეში, ხმამაღლა გაისმა იარაღის ხმა. წინა ფანჯრის მინაზე ობობის ქსელია გაბმული. პირველი ტყვია სერგეის იმ ხელში მოხვდა, რომლითაც გიტარას უკრავდა და ინსტრუმენტი სისხლით მოითხვარა. მეორე ტყვია მუხლში მოხვდა. ქმრის ყვირილის ხმაზე, თამარი გამოიჭრა სახლის უკანა ოთახიდან და მივარდა მეუღლეს. საბოლოო ტყვია სერგეის მკერდში მოხვდა. თამარს არაფრის გაკეთება არ შეეძლო, ის მხოლოდ უყურებდა მეუღლეს, რომელმაც მარადისობაში შეაბიჯა. მსროლელი ჯერაც გარეთ იყო; დადიოდა სახლის გარშემო და ისროდა საითაც მოხვდებოდა. მან ბესარაბების მანქანასაც მიაყარა ტყვიების ჯერი და მწყობრიდან გამოიყვანა ის. შემდეგ დაუყვა ხეივანს და ღამის სიბნელეში გაუჩინარდა.

ახლა, იმ დღიდან ოთხი თვის შემდეგ, ჩვენ თამართან ერთად მივდივართ სასაფლაოზე, სადაც მისი მეუღლე განისვენებს. ცრემლები წვეთავდა მისი თვალებიდან, როცა ეყრდნობოდა ის საფლავის გარშემო მდგარ რკინის ღობეს. ის გატეხა ამ მკვლელობამ.

„ოცი დღის განმავლობაში არ შემეძლო ბიბლიის ხელში აღება,“ გვითხრა მან. „შემდეგ ღმერთმა დაიწყო თავისი სახიერების ჩვენება.“ ის შეჩერდა გარკვეულ ხანს, ცრემლებს იწმენდდა სახიდან. „პირველად, მე ვეკითხებოდი ღმერთს, რატომ ღმერთო? რატომ? ამის შემდეგ ნელ-ნელა დავიწყე იმის აღქმა, რომ ეს ღვთის გეგმა იყო. დავიწყე იმის გაცნობიერება, თუ როგორ უნდა ვიყო მადლიერი ღმერთთან მიმართებით და ახლა, მართლაც, ვარ მადლიერი ღვთისა.“

მისი მეუღლის საფლავის ქვას აწერია ფილიპელთა წერილის 1:21 მუხლის სიტყვები: „რადგან ჩემთვის სიცოცხლე ქრისტეა და სიკვდილი – მონაგები.“ სერგეი ღმერთს სთხოვდა, რომ ყოველდღიურად დამატებით ორი საათი მისცემოდა მასთან ურთიერთობისათვის და ახლა არა მხოლოდ ის ნანატრი ორი საათი აქვს, არამედ მთელი მარადისობა!

სამ ტყვიას იანვრის იმ ღამით არ შეეძლო ბესარაბის მოწმობის დასრულება და მისი მეუღლის სიცოცხლისა და სიკვდილის ნაყოფის

ხილვა, ერთ-ერთი ნაწილი იყო იმ ნუგეშისა, რომელიც ღმერთმა მოუვლინა თამარს. მეუღლის დასაფლავების დროსაც დაინახა თამარმა ეს ნაყოფი თავის თვრამეტი წლის ვაჟში, რომელიც მანამდე გარბოდა ქრისტესგან, ახლა კი თავისი გული მიუძღვნა ქრისტეს, როდესაც მისი მამინაცვლის სხეული მიწას მიაბარეს.

მომდევნო ოთხი თვის განმავლობაში, თამარმა წერილები მიიღო ტაჯიკეთში არსებული სხვადასხვა ციხის პატიმრებისგან, რომელთა ცხოვრებაზეც გავლენა ჰქონდა მისი მეუღლის მსახურებას, თუმცა ეს გავლენა მხოლოდ ტაჯიკეთის საზღვრებით არ შემოფარგლულა.

„მრავალმა ადამიანმა გამოიღვიძა სულიერი ძილისგან,“ თქვა იმ სერგეიმ, რომელიც ლოცულობდა ბესარაბესთვის, რომ ის ქრისტესთან მისულიყო. „არა მხოლოდ ტაჯიკეთში, არამედ ყირგიზეთშიც და ყაზახეთშიც. ბევრმა პატიმარმა, რომლებმაც მოისმინეს ეს ამბავი, გადაწყვიტეს უფრო ახლოს გაეცნონ ქრისტეს და თავიანთი ცხოვრება იესოს მიუძღვნან.“ ბესარაბე ქრისტეს მოწაფე ოთხ წელზე ნაკლები დროის განმავლობაში იყო, მაგრამ მისი მოწაფეობის ნაყოფი მთელ მსოფლიოს მისწვდა.

თამარმა ისიც იხილა, რომ მისი ქმრის სიკვდილმა კურთხევა მოუტანა ისფარას, ქალაქს, რომელშიც მოუწოდა მათ ღმერთმა. „ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში ვლოცულობდით იმის შესახებ, რომ ღმერთს ყურადღება მიექცია ისფარასთვის,“ თქვა მან, „და ახლა ეს ხდება. ღმერთს აქვს თავისი გეგმა. ახლა მან ბევრი ადამიანის [მთელი მსოფლიოდან] ყურადღება მიაპყრო ისფარას. ღმერთი განსაკუთრებულ კურთხევას ამზადებს... ჩვენს ღმერთს მხოლოდ ერთ რამეს ვთხოვთ: გაგრძელდეს ჩვენი მსახურება იმ ადგილზე, სადაც სერგეი მოკლეს, რაც მისი მსახურების გაგრძელება იქნება.“

არის ერთი კაცი, რომლის მიწვდომის იმედიც აქვთ განსაკუთრებით. ადგილობრივი მეჩეთის წინამძღოლის ვაჟი დააპატიმრეს ბესარაბეს მკვლელობისთვის. სერგეის უკვე ჰქონდა გეგმა ამ ახალგაზრდა კაცისთვის, ვინც მოკლა მისი მეგობარი, როცა ის ციხეში მივიდა.

„ერთ დღეს, ჩვენ შევხვდებით ამ პიროვნებას, ვინც მოკლა სერგეი, ვინაიდან ჩვენ გვაქვს ე. წ. ციხის მსახურება მთელ ტაჯიკეთში და ჩვენ მოხარულები ვიქნებით რაიმე ვუთხრათ მას იესოს შესახებ.“

ფიქრისთვის

მრავალი წახნაგი აქვს ბესარაბის ისტორიას, რომელიც გვიწვევს ჩვენ, თუმცა ახლა ორ მათგანზე შევაჩერებთ ყურადღებას. პირველი, იფიქრეთ თქვენს პირად დროზე ღმერთთან. სერგეი დღეში ოთხ საათს ატარებდა წერილის კითხვაში, ლოცვასა და თაყვანისცემაში–და ის არ ფიქრობდა, რომ ეს საკმარისი იყო! მას სურდა, კიდევ უფრო მეტი დრო გაეტარებინა თავის ზეციერ მამასთან ურთიერთობაში. თქვენ რამდენ დროს უთმობთ ღმერთთან ურთიერთობას? გინდათ კიდევ უფრო მეტი დრო გაატაროთ მასთან ერთად? რა არის თქვენი შემდგომი ნაბიჯი? შესაძლოა, თქვენ გესაჭიროებათ, რომ დაიწყოთ ასეთი პრაქტიკა თქვენს ცხოვრებაში. შესაძლოა, თქვენი ერთგულება ღვთის სიტყვის დამახსოვრებაში უნდა გამოჩნდეს, ან იქნებ ძირითადი ყურადღება ლოცვას უნდა დაუთმოთ. დაწერეთ, თქვენი შემდგომი ნაბიჯის შესახებ და გადადგით ეს ნაბიჯი დღესვე.

და მეორე, იფიქრეთ იმ გამოწვევაზე, რომელიც მეორე სერგეის ჰქონდა. ის სამი წლის განმავლობაში ყოველდღიურად ლოცულობდა თავისი მეგობრისთვის, რომ მას ქრისტეს შეცნობის სურვილი გასჩენოდა. მას შემდეგაც კი, როცა თავად ბესარაბემ უთხრა შეეწყვიტა მასზე დროის ხარჯვა. ჩვენ რომ ვლოცულობდეთ ვინმესთვის და რაიმესთვის ყოველდღიურად კვირის განმავლობაში, ვფიქრობ, მართლაც, მყარი მლოცველები გავხდებოდით! არადა სამ წელზეა ლაპარაკი, ყოველდღიურად. ვინ არის ის, ვისთვისაც ღმერთი მოგიწოდებთ, რომ ახსენოთ თქვენს ლოცვებში, იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც საჭირო იქნება? დაწერეთ მათი სახელები და მოინიშნეთ თქვენს ტელეფონში, რომ ყოველდღიურად გაგახსენდეთ ისინი.

ლოცვა

„როგორც ირემი მიილტვის წყლის ნაკადისკენ, ისე მოილტვის ჩემი სული შენკენ, ო, ღმერთო“ (ფს. 41:2).

იესო, მომეცი შენთან ყოფნის სურვილი, რომ ვისწავლო შენგან, გამიჩინე ისეთი ძლიერი სურვილი, რომ ოთხი საათიც არ იყოს საკმარისი დრო, ჩემი წყურვილის დასაკმაყოფილებლად. დამეხმარე,

რომ კარგად და ბრძნულად გამოვიყენო ჩემი დრო, რომლის გატარებასაც შევძლებ შენი სიტყვის შესწავლაში და დამეხმარე უფალო, რომ მტკიცე ვიყო ლოცვაში, განსაკუთრებით მათთვის, რომლებიც ჯერაც არ გიცნობენ შენ. დამეხმარე, რომ არ დავიღალო, არ მომწყინდეს და არ მიმავიწყდეს ისინი, რათა გევედრო შენ იმისათვის, რომ თავი გაუცხადო მათ.

თქვენი დღიურისთვის

ჩემი დღიურიდან

მე მოვისმინე დღეს, რომ ოთხი კაცი იმ სოფლიდან, რომელშიც ხვალ ვაპირებთ ჩასვლას, ამჟამად ვუანტანამოს **X-Ray** ბანაკში იმყოფება. ასე რომ, როგორც ჩანს, ეს ადგილი მუსლიმი ფანატიკოსების ბუდეა!

სერგეის ეკლესიის წევრები გამხნევდნენ ჩვენი იქ ყოფნით. აქამდე არცერთ უცხოელს არ მოუნახულებია ეკლესია—ისინი მხოლოდ ახლომდებარე ქალაქში იევნენ ჩასულები. მათ გვიმასპინძლეს, მოგვართვეს კარტოფილი ფრი, კარტოფილის, სოკოს და ხახვის ნარევი და ჰური—აქ ისინი ჰურს ყველაფერს ატანენ! და ჩაი. ჩვენ შესანიშნავი ერთობა გვქონდა.

ციტატები, რომლებზეც უნდა ვიფიქროთ

იმავე ღმერთმა დაუშვა, რომ სტეფანე ჩაექოლათ, ჰეტრე კი საჰერობილედან გამოიყვანა. ერთგული იყო ღმერთი და საკმარისი მისი მადლი.

როუზი, წამებული ხუცესის მეუღლე, ჩრდილოეთი ნიგერია[1]

კურთხეულია ღმერთი და მამა ჩვენი უფალი, იესო ქრისტესი, მამა მოწყალებისა და ყოველი ნუგეშის ღმერთი, ჩვენი ნუგეშისმცემელი ჩვენს ყოველ გასაჭირში, რომ ჩვენც შევძლოთ ნუგეშისცემა ყოველგვარ გასაჭირში მყოფთათვის იმავე ნუგეშით, რომლითაც გვანუგეშებს ღმერთი, რადგან, როგორც ქრისტეს ტანჯვანი მრავლობს ჩვენში, ასევე მრავლობს ჩვენი ნუგეშისცემა ქრისტეს მიერ. თუ გვიჯირს, თქვენი ნუგეშისა და ხსნისათვის გვიჯირს; თუ ნუგეშცემულნი ვართ, თქვენს გასამხნევებლად ვართ ნუგეშცემულნი, რათა შეძლოთ დაითმინოთ იგივე სატანჯველნი, რომლითაც ჩვენც ვიტანჯებით. მტკიცეა ჩვენი იმედი თქვენთან მიმართებით, რადგან ვიცით, რომ, როგორც ჩვენს სატანჯველთა თანამონაწილენი ხართ, ასევე ნუგეშისცემის თანამონაწილენიც იქნებით.

რადგან არ გვინდა, ძმებო, არ იცოდეთ ჩვენი გასაჭირის შესახებ, რაც ასიაში გადავიტანეთ, რომ უფრო მეტად დაგვამძიმა, ვიდრე ამის ატანა შეგვეძლო, მაგრამ ჩვენ თავად გვქონდა ჩვენში სასიკვდილო მსჯავრი, რათა ჩვენი თავის იმედი კი არ გვქონოდა, არამედ ღვთისა, რომელიც აღადგენს მკვდრებს და რომელმაც გვიხსნა კიდეც ასეთი სიკვდილისაგან და გიხსნის მუდამ, რომლის იმედიც გვაქვს, რომ კვლავაც გვიხსნის თქვენ მიერ ჩვენთვის აღვლენილი ლოცვით, რათა მრავალმა შესწიროს მადლობა ჩვენ გამო, იმ მადლისათვის, რომელიც მრავალთა ლოცვით გვაქვს.

2 კორინთელთა 1:3-11

1 წამებულთა ხმის ჟურნალი, ივნისი, 2001.

დღე 11

შიში ერიტრეაში

ამიტომაც აჰა, შევიტყუებ და უდაბნოში წავიყვან, რომ გულითადად ველაპარაკო.

ოსია 2:14

.....

ასმარა, ერიტრეა, 2004

ჩემი საერთაშორისო მოგზაურობების დროს VOM-ის ეგიდით, ორჯერ შევშინდი რეალურად. ერთხელ ეს იყო ორშაბათის ღამეს, როდესაც ვაპირებდი ერიტრეის დატოვებას. ჩვენმა მასპინძლებმა–ხუცესებმა, ასმარას აკრძალული ევანგელისტური ეკლესიებიდან–გვითხრეს ადრევე, რომ იმ დღეს პოლიცია კითხულობდა ჩვენ შესახებ: „ვინ არიან ეს უცხოელები? რატომ არიან ისინი აქ?“ ეს ჩვენი ბოლო დღე იყო ქვეყანაში; გვიან ღამით ჩვენ უნდა ჩავმსხდარიყავით თვითმფრინავში და გამოვფრენილიყავით სახლში.

ერიტრეაში ყოფნის დროს, ჩვენ მოვისმინეთ თვითმხილველების მონათხრობი იმის შესახებ, რომ ეკლესიის წევრებს თვეების განმავლობაში დევნიდნენ, როცა მთავრობამ დაიბარა ეკლესიის წინამძღოლები და უთხრა მათ, რომ ისინი ვეღარ გააგრძელებდნენ საჯარო მსახურებას. ჩვენ გავესაუბრეთ ქრისტიანებს, რომლებიც დაპატიმრებულები იყვნენ სატრანსპორტო კონტეინერებში, ან უდაბნოში

განლაგებულ დახუთულ ბანაკებში. ერთი კაცი დაწვა იატაკზე და გვაჩვენა როგორ იყო შებორკილი კრენდილის მსგავსად (ხელები და ფეხები ერთმანეთზე ჰქონდა მიბმული).

არასოდეს დამავიწყდება ქალი, რომელსაც ლე'ტაის ვეძახდით. თავისი სავალდებულო სამხედრო სამსახურის დროს, მეორე მორწმუნემ მიიყვანა ის ქრისტეს რწმენასთან. მისმა რწმენამ ის თავის ახალ სულიერ ოჯახში შეიყვანა, რომლის წევრებიც ერთმანეთს ეხმარებოდნენ. როდესაც მათი თანატოლები, ჩვიდმეტი ქრისტიანი დააპატიმრეს, ლე'ტაი და სხვა მორწმუნეები ჩუმად აწვდიდნენ საკვებსა და სხვა საჭირო პროდუქტებს ციხეში მყოფებს. „როგორ შემეძლო არაფერი გამეკეთებინა, როცა ჩემი ძმები იტანჯებოდნენ?" იკითხა მან.

მათი კეთილი საქმეები გამომჟღავნდა და ისინი დასაჯეს. იმისათვის, რომ შეერყია ლე'ტაის რწმენა, პრეზიდენტმა, რომელსაც ესაიას ავერკი ჰქვია და რომელსაც კვლავ უპყრია ძალაუფლება, როცა ამ სტრიქონებს ვწერ–გაგზავნა ის ციხეში, რომელიც ცხელ უდაბნოში მდებარეობდა. ისინი მას ძალიან ცოტა საკვებს აძლევდნენ და მაქსიმალურად უქმნიდნენ დისკომფორტს. ისინი ფიქრობდნენ, რომ ამით გატეხდნენ მის რწმენას და პირიქით მოხდა, მისი რწმენა განმტკიცდა. „მე ჩემი სიცოცხლე ქრისტეს გადავეცი, ამიტომაც არ უნდა შემშინებოდა," გვითხრა მან. მან მოიყვანა ოსია 2:14 მუხლის სიტყვები: „ამიტომაც აჰა, შევიტყუებ და უდაბნოში წავიყვან, რომ გულითადად ველაპარაკო." ლე'ტაი ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ ეს აღთქმა–რომელიც პირველად ისრაელის შეცდომილ შვილებს გადაეცა–ჭეშმარიტებად იქცა მისთვის, ძალიან პირადული გზით, ციხეში გატარებული თვეების განმავლობაში. ის, მართლაც, უდაბნოში იყო, მაგრამ ღმერთი იყო იქ. ის გულითადად ელაპარაკებოდა მას, მის გულსა და სულს, ამხნევებდა და აძლიერებდა მას ყოველდღიურად.

„კარგი დრო იყო მაშინ," გვითხრა ლე'ტაიმ ციხეში გატარებული ექვსი თვის შესახებ. მან ისიც თქვა, რომ დღეები სწრაფად გადიოდა, ვინაიდან ქრისტიანები დროს ერთობლივ თაყვანისცემაში ატარებდნენ. მე ვისმენდი ამგვარ ისტორიებს ერიტრეაში ჩვენი ყოფნის დროს, მაგრამ მეშინოდა, არ მინდოდა გამომეცადა ერიტრეის ციხე. თუ პოლიციამ უკვე იკითხა ჩვენ შესახებ, ალბათ, ისინი გამოითვლიდნენ, რომ უკან გასაბრუნებელი ბილეთები იმ ღამით გვექნებოდა. თუ ისინი

მოისურვებდნენ ჩვენს დაკავებას, ეს მანამდე უნდა მომხდარიყო, სანამ თვითმფრინავში ჩავსხდებოდით.

ვნერვიულობდი აეროპორტისკენ მიმავალ გზაზე. ვნერვიულობდი მაშინაც, როდესაც გავუწოდე ჩემი პასპორტი შემოწმების ადგილზე მჯდარ ქალს. ჩემი ნერვიულობა უფრო გაძლიერდა, როცა საიმიგრაციო კონტროლი გავიარე. გული ვერ დავიწყნარე ვერც მაშინ, როდესაც გავედით ასფალტზე, ავიარეთ ტრაპი და შევედით თვითმფრინავში. როდესაც გამოაცხადეს, რომ კარი დაიხურა, მაშინღა დავიმშვიდე გული. და როცა თვითმფრინავის ბორბლები მოსწყდა მიწას, შვებით ამოვისუნთქე. ჩემი მოგზაურობა სახლისკენ განრიგის მიხედვით დასრულდებოდა.

მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ, შემრცხვა იმის გამო, რომ შვებით ამოვისუნთქე თვითმფრინავის კარის დახურვის შემდეგ იმ ღამით. ფართომასშტაბიანი დარბევის დროს ერიტრეაში, რამდენიმე ეკლესიის წინამძღოლი, რომელთაც ჩვენ შევხვდით, დააპატიმრეს. ჩვენი მეგობრები ახლა ციხეში არიან. ბავშვები, რომლებიც ხელში მეჭირა, ახლა უმამოდ იზრდებიან, რადგან მათი მამები გამოაცალკევეს მათგან და საპყრობილეში ჩასვეს.

თხუთმეტ წელზე მეტი გავიდა ასმარას აეროპორტში იმ ღამის შემდეგ. როდესაც ვწერ ამ სიტყვებს, ზოგიერთი ჩემი ძმა კვლავაც ციხეშია. მე ხშირად ვფიქრობ მათზე და ვლოცულობ, რომ მათაც სულიწმიდის ისეთივე საოცარი მსახურება გაიარონ, როგორი მსახურებაც გაიარა ლე'ტაიმ; რომ ისინიც მეტყვიან ერთ დღეს, რომ ციხეში გატარებული წლები „კარგი დრო" იყო და რომ იმ წლებმა სწრაფად გაიარა.

თუ თქვენ ხართ ქრისტეს მიმდევარი, ის ოჯახები ერიტრეაში ჩვენი ოჯახებია. ვიმედოვნებ, რომ თქვენც იტყვით ლე'ტაის მსგავსად: „როგორ შეიძლება ვიყოთ წყნარად და არაფერი გავაკეთოთ იმ დროს, როდესაც ჩვენი ძმები და დები იტანჯებიან იესოსთვის?" გთხოვთ, ილოცოთ მათთვის, ვისაც ჩვენ შევხვდით და ვინც ჯერაც ციხეში არიან ერიტრეაში. ილოცეთ, რომ მათ იგრძნონ ღმერთის სიახლოვე. ილოცეთ, რომ მათი ფიზიკური საჭიროებები დაკმაყოფილდეს, რომ მათი ჯანმრთელობა შენარჩუნდეს. ილოცეთ, იმისათვის, რომ მათი მოწმობა შედეგიანი იყოს და იხილონ სასუფევლის ნაყოფები, რაც ციხეში მათ მსახურებას მოჰყვება.

მე მეშინოდა, როდესაც აეროპორტში მივდიოდით იმ ღამით, თუმცა დაახლოებით ოცი საათის შემდეგ, მე უსაფრთხოდ დავბრუნდი სახლში, გადავეხვიე ჩემს ოჯახს და ვემადლიერებოდი ღმერთს ოჯახთან სიხარულით სავსე შეხვედრის გამო. ილოცეთ, ჩემთან ერთად, რომ ერიტრეაში დაპატიმრებული ჩვენი ძმებიც მალე შეხვდნენ თავიანთ ოჯახებს და გაიხარონ მათი ნახვით. ოცი წელი დასჭირდა ამ „მალეს“ მოსვლას.

ფიქრისთვის

რა გაშინებთ? რა არევს ხოლმე თქვენს მუცელს, ან არ გაძლევთ ძილის საშუალებას? თავისი დაპატიმრების დღეს, ხუცესმა რიჩარდ ვურმბრანდმა (წამებულთა ხმის დამაარსებელმა) გაიხსენა, რომ ბიბლიას 366 სახესხვაობა აქვს ბრძანებისა „ნუ გეშინია“ – ერთი წლის ყოველი დღისთვის, თუნდაც ეს წელიწადი ნაკიანი იყოს. ეს მნიშვნელოვანი იყო ხუცესი ვურმბრანდისთვის, ვინაიდან მისი დაპატიმრების თარიღი 29 თებერვალი იყო. რა თარიღიც არ უნდა იყოს დღეს, ალბათ, თქვენ გესაჭიროებათ ერთ-ერთი იმ 366 შეხსენებიდან. იპოვეთ, ერთი იმ „ნუ გეშინიათ“ მუხლებიდან და დაწერეთ ის თქვენი დღიურისთვის. სანამ ეს კვირა გაივლის, კარგად დაიმახსოვრეთ ის და ხმამაღლა წარმოთქვით მაშინ, როდესაც შიში შეგეპარებათ გულში.

ღმერთის, რომელიც თქვენი წინამძღოლია, ნდობა შეიძლება. მას აქვს ძალა, რომ სასიკეთოდ მოაქციოს ყველაფერი და კურთხევა მოგცეთ ყოველგვარ სიტუაციაში, თუნდაც ერიტრეის უდაბნოში დადგმულ სატრანსპორტო კონტეინერში იყოთ ჩაკეტილი. და რადგანაც ის ასეთი ნდობის ღირსი და ასეთი ძალუმია, არ უნდა გეშინოდეთ.

ლოცვა

ძვირფასო უფალო, დამეხმარე, რომ შიშს არ ავყვე, უკან არ დავიხიო და არ უარვყო შენი ნება. დამეხმარე, რომ ყოველთვის ვისწრაფო
იმ ბილიკისკენ, რომელიც შენ გამოაჩინე ჩემს წინ. და უფალო,
გევედრები, აკურთხო ჩემი ძმები და დები ერიტრეაში. თვალყური

ადევნე მათ ციხეში. დაიცავი ისინი, იზრუნე მათზე და აგრძნობინე, რომ მათ გვერდით იმყოფები. გთხოვ, გააგებინე მათ სწორედ ახლა, ზებუნებრივად, შენი სულის მეშვეობით, რომ მათთვის ლოცულობენ.

თქვენი დღიურისთვის

ჩემი დღიურიდან

ამ დილით, ჩვენ ვესაუბრეთ ხუცესს, რომელიც დააპატიმრეს და სცემეს 2002 წელს, შემდეგ გადაიყვანეს საკანში ხუთი დღით დაახლოებით ერთი წლის წინ. მისი ისტორია ღვთის ერთგულების საოცარი მაგალითი იყო, ხოლო სიყვარულისა და თავმდაბლობის მისეული სული ნამდვილი კურთხევა. სანამ საუბარს გავაგრძელებდით, ის დარწმუნდა იმაში, რომ ჩვენ ვიცოდით მისი ისტორია, რომ მას არც ისე ცუდად ექცეოდნენ, როგორც სხვა ძმებს, რომლებმაც მასთან შედარებით მეტი ტანჯვა გადაიტანეს.

დღე 12

„თუ ღმერთს შეუძლია ჩვენი გამოყენება“

და მოვისმინე უფლის ხმა, რომელიც ამბობდა: „ვინ გავაგზავნო? ვინ იქნება ჩვენი მაცნე?“ და ვთქვი: „მე გამაგზავნე!“

ესაია 6:8

.....

სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, 2014

ჩვენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ერთ-ერთი დედაქალაქის ხმაურიანი ქუჩის ყავახანაში შევხვდით. როდესაც „სტივი“ და „მაი“ შიგნით შემოვიდნენ, ისინი ისეთი ადამიანები ჩანდნენ, რომელთაც მწერალი „არაფრით გამორჩეულ“ ადამიანებს უწოდებდა. მე მათ ჩვეულებრივ ადამიანებს დავუძახებ, თუმცა ისინი ისეთი ჩვეულებრივი ადამიანები არიან, რომლებმაც თავიანთი ნება მიანდეს ღვთის ნებას, რომელიც იყენებს მათ მორჩილებას და მხნეობას, რომ ჰქონდეთ გასაოცრად შედეგიანი მსახურება.

როდესაც სტივი და მაი მოყვნენ თავიანთ ისტორიას, მაშინვე გახდა ცხადი, რატომ უწოდა მათ ჩვენმა მასპინძელმა იმ ქვეყანაში კაცმა, რომელმაც გაგვაცნო ისინი, „უბრალოდ თავმდაბალი ადამიანები.“

სტივი შეერთებულ შტატებში გაიზარდა. მაი დაიბადა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, თუმცა მისმა ოჯახმა დატოვა ის რეგიონი ვიეტნამის ომის დროს. (რომელსაც, სხვათა შორის, ვიეტნამელები „ამერიკულ ომს“ უწოდებენ). მათ ორი წელი გაატარეს ლტოლვილების ბანაკში. როცა, ბოლოს და ბოლოს, მაიმ და მისმა ოჯახმა შეძლეს თვითმფრინავში ასვლა და ამერიკაში გამგზავრება, მაიმ თავის თავს უთხრა, „აღარასოდეს დავბრუნდები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში!“ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორ იღიმება ღმერთი, ვინც მომავალს ისევე ხედავს, როგორც დღევანდელ დღეს, როცა მაი ამ სიტყვებს წარმოთქვამს! მე მაგალითად, წარმომიდგენია, როგორ იღიმება ის და იქნევს თავს, როდესაც ჩვენ ვცდილობთ ვუთხრათ მას, რომ რაღაცას არასოდეს გავაკეთებთ.

მაის ოჯახი იმ ქალაქში დაფუძნდა, სადაც სტივი იზრდებოდა. სტივი და მაი ჯერ შეყვარებულები იყვნენ სკოლაში, შემდეგ კი ქმარი და ცოლი. ისინი ბეჯითად მომუშავე, „ჩვეულებრივი“, ადამიანები იყვნენ. სტივს „ევაკუატორის“ ბიზნესი ჰქონდა. მათ წინ მიჰყავდათ თავიანთი საქმე და ისწრაფოდნენ, რომ ჰქონოდათ ქრისტიანული ოჯახი.

მას შემდეგ, რაც ბავშვები გაიზარდნენ და დატოვეს სახლი, სტივმა და მაიმ იგრძნეს ღვთის მოწოდება მსახურების დასაწყებად. მკაფიო იყო მოწოდება, მაგრამ არა დეტალები. რწმენით ანთებულებმა და მსახურებისათვის მოშურნეებმა, გაყიდეს სახლი, გაყიდეს „ევაკუატორის“ ბიზნესი, ჩაალაგეს ჩანთები, გადაკოცნეს შვილები და შვილიშვილები, დაემშვიდობნენ მათ და გასწიეს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში—იმ ადგილზე, რომელზეც მაიმ თქვა, რომ აღარასოდეს დაბრუნდებოდა უკან! მათი განზრახვა იყო დაეწყოთ მსახურება და მიწვდომოდნენ იმ გოგონებს, რომლებსაც ზიანი მიადგათ ისეთი საშინელი ბოროტებით, როგორიც ადამიანებით ვაჭრობაა. ისინი ჩავიდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და დაიწყეს პირველი ნაბიჯების გადადგმა ამ მსახურების ჩამოსაყალიბებლად. მაგრამ ყოველი ნაბიჯის გადადგმისას ისინი ეჯახებოდნენ ზღუდეებსა

და დაბრკოლებებს. მათ ოდნავადაც კი ვერ შეძლეს კარის შეხსნა! იმედგაცრუებამ და ეჭვებმა მოიცვეს ისინი. იქნებ, სწორად ვერ გაიგეს ღმერთის მოწოდება? იქნებ საერთოდ არ უნდა ჩამოსულიყვნენ აზიაში? თუ ღმერთმა მოუწოდა, რატომ უგულებელყოფს ახლა მათ? რა არის პრობლემა? ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ღმერთმა ისინი ახალ გზაზე დააყენა. მაის ოჯახი იმ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი გახლდათ, რომელიც მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში იყო გავრცელებული, მათ შორის, ისეთ ჩაკეტილ ქვეყნებში, როგორებიც არიან ვიეტნამი, ლაოსი და ჩინეთი. ღმერთმა სტივსა და მაის მისცა ხედვა, რომ ყურადღება მაის ტომის ადამიანებისაკენ მიეპყროთ და მათ შორის ქრისტიანული სწავლება და მუსიკა გაევრცელებინათ.

სტივმა გადაწყვიტა დაეარსებინა პატარა ხმის ჩამწერი სტუდია საკუთარ სახლში. ის შევიდა YouTube-ზე და უყურა ვიდეო-კლიპებს ხმის ჩამწერი აღჭურვილობისა და რედაქტირებისათვის, საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის შესახებ. შემდეგ შევიდა eBay-ზე (ქსელური ყიდვა-გაყიდვა) და შეიძინა ზოგიერთი მეორადი აღჭურვილობა სტუდიისთვის. როცა ეს აღჭურვილობა ჩამოვიდა, მან ააწყო მცირე სტუდია საკუთარ სახლში, ხოლო მაიმ თავისი ტომის ხალხიდან მეგობრები მოიწვია. მათ დაიწყეს ჩაწერა. სტივმა არ იცოდა მათი ტომის ენა, ამიტომაც მისი საქმე იყო პროგრამის რედაქტირება. როცა ის სირთულეებს წააწყდებოდა, ხანდახან შედიოდა YouTube-ზე და სხვა სასწავლო ქსელურ საიტებზე ცოდნის გასაღრმავებლად.

ჩანაწერები განათავსეს ინტერნეტში. ისინი, ასევე, გადაიცემოდა შორეული აღმოსავლეთის სამაუწყებლო კომპანია FEBC -ის მიერ.

პირველყოვლისა, ეს იყო ბიბლიის სწავლება. შემდეგ მათ დაიწყეს ქრისტიანული მუსიკის ჩაწერა მაის მშობლიური ტომის ენაზე. პირველად, ამ ხალხის ჯგუფს შეეძლო მოესმინა ქრისტიანული საგალობლები თავის მშობლიურ ენაზე! ხალხი გამოეხმაურა ამ ყოველივეს. სტივი და მაი იღებდნენ წერილებს ელ-ფოსტით მთელი აზიიდან–მთელი მსოფლიოდანაც კი–მაის ტომის ხალხისგან, რომლებმაც კურთხევა მიიღეს მათი მსახურებით. ზოგიერთებმა იესოს შესახებ, საერთოდ პირველად მოისმინეს; სხვებმა კი განამტკიცეს თავიანთი რწმენა, რომ გაეძლოთ დევნისა და ოჯახური ზეწოლისთვის.

როდესაც პროფესიონალმა რადიომაუწყებლებმა მოინახულეს სტივისა და მაის სტუდია, ისინი გაოცდნენ. „ასე არ შეიძლება," თქვა ერთმა და მიუთითა იმაზე, რომ არ შეიძლებოდა კომპიუტერის მოთავსება იმავე ოთახში, სადაც მიკროფონი იწერდა ვინმეს, ვინც ლაპარაკობდა, ან მღეროდა. საქმე იმაშია, რომ მგრძნობიარე მიკროფონი კომპიუტერის ხმასაც კი დაიჭერდა, თუმცა, როდესაც მათ მოუსმინეს დასრულებულ, რედაქტირებულ, პროგრამებს, ნახეს, რომ აუდიო ჩანაწერის ხარისხი სუფთა იყო, თითქოსდა, ჩაწერეს საუკეთესო აპარატურით აღჭურვილ სტუდიაში, ნაშვილში, ან ნიუ-იორკში.

„როგორ მოახერხეთ ეს," იკითხა ერთ-ერთმა პროფესიონალმა, შეხედა რა, სტივის თავზე მორგებულ ყურსასმენებს, შემდეგ კი იმპროვიზირებულ სტუდიას მათ სახლში. „არ ვიცი," უპასუხა სტივმა. „მე მხოლოდ ევაკუატორის მძღოლი ვიყავი!"

როდესაც ვისხედით ყავახანაში და ვუსმენდი მათ მონათხრობს, ის, რაც მოდიოდა სტივისა და მაისგან უბრალოდ სასწაული იყო. მათ არ შეეძლოთ იმის გაცნობიერება, თუ როგორ შეაძლებინა ღმერთმა–სატვირთოს უბრალო მძღოლსა და დიასახლისს–ზეგავლენა ჰქონოდათ და კურთხევა მოეტანათ ადამიანებისთვის, გადაუჭარბებლად ვიტყვი, მთელს მსოფლიოში.

„მისმინე," თქვა სტივმა ჩვენი საუბრის დასასრულს. „თუ ღმერთს შეუძლია ჩვენი გამოყენება, გამოდის, რომ მართლაც, არა აქვს საზღვარი იმას, რისი გაკეთებაც მას შეუძლია!" თუ ღმერთს შეუძლია გამოიყენოს ის ქალი, რომელმაც თქვა, რომ აღარასოდეს დაბრუნდებოდა უკან, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, რომ მან დაიწყოს მსახურება ამ რეგიონში... თუ ღმერთს შეუძლია გამოიყენოს სატვირთოს უბრალო მძღოლი, ვინც მხოლოდ ინგლისურად ლაპარაკობს, დაარედაქტიროს რადიო პროგრამები იმ ტომის ენაზე, რომელზეც ის ვერ საუბრობს... თუ ღმერთს შეუძლია, გამოიყენოს ხმის ჩამწერი სტუდია, რომელიც არ იყო სწორად გამართული სუფთა აუდიო ჩანაწერის მისაღებად, იმისათვის, რომ ჩაწერონ სადიდებელი საგალობლები იმ ენაზე, რომელ ენაზეც მსგავსი საგალობლები არასოდეს ჩაწერილა... „თუ მას შეუძლია ჩვენი გამოყენება, ე. ი. ნამდვილად, არ არსებობს საზღვრები იმისა, რაც მას შეუძლია გააკეთოს!"

ფიქრისთვის

გამიგონია ნათქვამი: „ღმერთი არ მოუწოდებს კვალიფიცირებულებს, ის კვალიფიკაციას აძლევს მოწოდებულებს.“ თუ ჩვენ გვინდა დავუქვემდებაროთ მას ჩვენი ცხოვრება, ჩვენი კომფორტი, გეგმები და ჩვენი უსაფრთხოება, მაშინ ღმერთი ინებებს საოცარი გზებით გამოგვიყენოს მისი სასუფევლის ზრდისთვის. დავითი მწყემსი ბიჭი იყო, ყველაზე უმცროსი თავის ოჯახში. მოსეს გამართული ლაპარაკის პრობლემა ჰქონდა. პეტრე „მხოლოდ“ უბრალო მეთევზე იყო. არც სტივი ყოფილა სახელგანთქმული კაცი, ევაკუატორს დაატარებდა გზებზე.

სტივმა და მაიმ დატოვეს კომფორტული ცხოვრება ამერიკაში, რათა მოშურნენი ყოფილიყვნენ რწმენაში. ისინი ათასობით კილომეტრის დაშორებით წავიდნენ, დაშორდნენ თავიანთ შვილებსა და შვილიშვილებს. ისინი განმტკიცდნენ, როდესაც ისე ჩანდა, რომ ყოველი მათი მცდელობა ყრუ კედელს ეჯახებოდა, მაგრამ ახლა ისინი ხედავენ იმ ნაყოფს, რომელიც ღმერთმა მოუტანათ მათი თავმდაბალი ნებელობით ემსახურათ იქ, სადაც ის მიუთითებდა.

თქვენც ხართ სრულად მორჩილი? გულით გსურთ წახვიდეთ იქ, საითაც ღმერთი გაგიძღვებათ და გააკეთოთ ის, რის გაკეთებასაც ის მოგთხოვთ? თუ არ ხართ, რა არის ის, რაც არ გაძლევთ წასვლის საშუალებას? გინდათ თუ არა, სთხოვოთ ღმერთს, რომ შეცვალოს თქვენი გული და გაგიჩნდეთ ასეთი ნება? თქვენი დღიურისთვის, ჩამოწერეთ ის ხელისშემშლელი მიზეზები და საგნები, რომელთა მიტოვებაც გიჭირთ ქრისტეს გულისთვის. როდესაც მზად იქნებით, დაწერეთ თარიღი, როდესაც ილოცეთ და ეს რაღაც ღმერთს გადაეცით.

ლოცვა

„და ვთქვი, მე გამაგზავნე“ (ეს. 6:8).

უფალო, მინდა რომ წავიდე იქ, საითაც მიმითითებ და გავაკეთო ის, რის გაკეთებასაც დამავალებ. დამეხმარე, დავინახო და შევაფასო ის, რაც ხელს მიშლის ამაში, რათა შეძლო სრულად გამომიყენო შენი ნების აღსრულებისთვის.

თქვენი დღიურისთვის

ჩემი დღიურიდან

ახლა, ის სახლი, რომელშიც [მაი] და [სტივი] ცხოვრობენ, მხოლოდ კილომეტრნახევარზეა ლტოლვილების იმ ბანაკთან, რომელშიც ოდესღაც მისი (მაის) ოჯახი ცხოვრობდა. მან (სტივმა) თქვა, რომ ახლავე შეუძლიათ იქ წასვლა და იმ ადგილის განსაზღვრა, სადაც ეს ბანაკი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ახლა იქ სასოფლო-სამეურნეო ობიექტის მსგავსი რამ არის.

„საქმე იმაშია, რომ ადამიანები სხვა სახის ღობეს აგებენ იმ შემთხვევაში, თუ ცდილობენ არ შეუშვან იქ ადამიანები და სრულიად განსხვავებულ ღობეს იმ შემთხვევაში, თუ ცდილობენ ცხოველების ყოლას შიგნით“, თქვა მან. მე, მართლაც, გაოცებული და გამხნევებული ვიყავი მათი ისტორიით. ისინი ჩვეულებრივი ადამიანები არიან, რომლებსაც ღმერთმა მოუწოდა და მათ დადებითი პასუხი გასცეს. ახლა ისინი სწვდებიან ადამიანებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში FEBC-ს საშუალებით და მთელ მსოფლიოს ინტერნეტის მეშვეობით!

მოსმენისთვის

მოისმინეთ, როგორ ყვებიან სტივი და მაი თავიანთ ისტორიას VOM-ის რადიო გადაცემაში: www.VOMRadio.net/SteveMai.

დღე 13

სიწმინდის ნიმუშები

სანთელია ჩემი ფეხისთვის შენი სიტყვა და სინათლე – ჩემი ბილიკისათვის.

ფსალმუნი 118:105

.....

ჰონ-კონგი, 2015.

ჯონ შორტი ჩემთვის, სულ ცოტა, მისიონერული ლეგენდაა. უკვე ორმოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ღმერთმა მოუწოდა შორტს ჩინეთში მსახურებისთვის. ჯონი ავიდა ნავზე და ჩავიდა ჰონ-კონგში, რომელიც იმ დროს იმდენად ახლოს იყო ჩაკეტილ რესპუბლიკასთან, რამდენადაც ეს იყო შესაძლებელი. იგი შრომობდა იმისათვის, რომ ქრისტიანული ლიტერატურა მიეწოდებინა ჩინური ეკლესიებისათვის და ჰონ-კონგში მცხოვრები ქრისტიანებისთვის. როცა ჩინეთმა გახსნა კარები ვიზიტორებისთვის, ჯონმა სწრაფად მიმართა შესაბამის უწყებას ვიზის ასაღებად. მას შემდეგ ის ქვეყნის ყველა რეგიონში მოგზაურობს. მისი შრომის შედეგი ათასობით ბიბლიაა ჩინელი ქრისტიანებისთვის.

გარკვეული დროის შემდეგ, ღმერთმა ჯონის მსახურებისთვის აზიის სხვა ნაწილებშიც გახსნა კარი: ბირმაში, ვიეტნამში, თვით ჩრდილოეთ კორეაშიც კი.

ეს იყო 2013 წელს, როცა ჯონი ჩავიდა ჩრდილოეთ კორეაში. მისი მოგზაურობა ამ ქვეყანაში უფრო დიდხანს გაგრძელდა, ვიდრე ის გეგმავდა, იმ ფაქტის გამო, რომ ჩრდილოეთ კორეის ოფიციალურმა პირებმა დააკავეს 73 წლის ავსტრალიელი. ჯონი 13 დღის შემდეგ გაათავისუფლეს, როცა აიძულეს ხელი მოეწერა ე. წ. აღიარებაზე, რომელშიც ეწერა შემდეგი: „მე მსურდა იმდენი ჩრდილო კორეელი გამხდარიყო ქრისტიანი, რამდენიც შესაძლებელია.“ ამინ! გათავისუფლების შემდეგ, ჯონმა მხოლოდ ორ ინტერვიუზე განაცხადა თანხმობა: ერთი იყო მისი მშობლიური ქალაქის გაზეთისთვის ავსტრალიაში, მეორე ჩემთან, VOM-ის რადიოგადაცემისთვის.

მე მივფრინავ ჰონ-კონგში. მომდევნო დღეს მივედი ქრისტიანული წიგნის ოთახში. ეს არის იმ მსახურების ადგილი, რომელსაც ჯონი უძღვებოდა ათწლეულების განმავლობაში. მივედი იმ დროს, როდესაც ყოველდღიური ლოცვის დრო იყო ყველა თანამშრომლისთვის. ისინი დასხდნენ მაგიდის გარშემო და დაიწყეს ბიბლიის კითხვა, თითოეული ერთ მუხლს კითხულობდა. ბიბლია იყო მათი საუბრის საგანი. შემდეგ ვილოცეთ.

ლოცვის მერე, მე თანამშრომლებთან ერთად ვისადილე და მოგვიანებით, იმავე დღეს, როგორც იქნა, დავრჩი ჯონთან პირისპირ. მომდევნო დღეს, მე უნდა გავსაუბრებოდი მის მეუღლეს, კარენსაც, რათა მომესმინა ამ ამბის მისეული აღქმა, როცა ჯონი დაკავებული იყო, ხოლო თავად იმყოფებოდა ჰონ-კონგში, საქმე ჰქონდა ცნობისმოყვარე ჟურნალისტებთან და თვით ჩრდილო კორეელ ჯაშუშებთან.

ჯერ ჯონი ყვება თავის ამბავს: როცა ის ჩავიდა ჩრდილოეთ კორეაში, მათ ყურადღებით დაათვალიერეს მისი ჩემოდანი. ჩემოდნის მარჯვნივ, ზედაპირზე, როგორც ყოველთვის, იდო მისი ბიბლია. „სულ ვცდილობ, რომ ბიბლია დავდო მაღლა, ზედაპირზე. ჩემი პირადი ბიბლია, ჩემი ნივთების ზემოთ“. ყოველი შესვლის წინ [ჩრდილოეთ კორეაში] ამოწმებენ ბარგს. თუ ჩრდილო კორეელები მკითხავდნენ, „რა არის ეს?“ მე მივუგებდი, „ეს ბიბლიაა, ჩემი ბიბლია“. მართლაც, მათ თქვეს, „თქვენ არ შეგიძლიათ მისი შეტანა ჩრდილოეთ კორეაში“. მე მივუგე, „თუ მე არ შემიძლია მისი შეტანა ქვეყანაში, მე ვერ შევალ იქ; მაშინ თქვენ უნდა გააუქმოთ ჩემი ვიზიტი,

ვინაიდან მე ქრისტიანი ვარ და ყოველდღე ვკითხულობ ბიბლიას, მე ის სულ მჭირდება, რომ თან მქონდეს“.

მათ დაურეკეს სხვებს და ჰქონდათ ხანმოკლე საუბარი ამ საქმის შესახებ და მითხრეს, „ჩვენ ვერ მოგცემთ მისი შეტანის უფლებას“. მე ვთქვი: „მე ის მჭირდება, მე ის უნდა მქონდეს“. მე ვგრძნობდი, რომ ეს დამოწმება იყო მათთვის. შემდეგ მათ მითხრეს: „უნდა ჩაიწეროს ეს და როდესაც ქვეყნიდან გახვალთ, თან უნდა წაიღოთ ის“. ვუპასუხე: „ეს ინგლისური ბიბლიაა. არამგონია, რომ კორეელები მას ჩემსავით გამოიყენებენ. ეს ჩემი ბიბლიაა. სიტყვას გაძლევთ, რომ ის ჩემთან ერთად იქნება, როდესაც ქვეყანას დავტოვებ“. ჯონმა არ იცოდა, იმ დროს როგორ მოხვდა ის ჩრდილოეთ კორეაში, მაგრამ თან რომ ჰქონდა თავისი ბიბლია, უკვე ძალიან ბევრ რამეს ნიშნავდა.

ჯონი ტურისტული ჯგუფის წევრი იყო. ერთ-ერთი ადგილი, რომელიც მათ მოინახულეს იყო ბუდისტური ტაძარი. როდესაც ისინი მივიდნენ ტაძრის დასათვალიერებლად, ნახეს, რომ დაზიანებული იყო. ჩრდილო კორეელი გიდები, რომელთა მთელი სამუშაო ისაა, რომ ჩამოსულებს აჩვენონ, რამდენად მშვენიერია ჩრდილოეთ კორეაში ცხოვრება, საშინლად შეცბუნებულები დარჩნენ. ისინი აქეთ-იქით დარბოდნენ, ცდილობდნენ დაზიანების გამოკვლევას და იმის გაგებას, შეიძლებოდა თუ არა, მისი სწრაფად აღდგენა და ტურის გაგრძელება. და თუ ეს ძალზედ უხერხული იყო პატივცემული ლიდერისთვის, იქნებ, ჯობდა უცხოელები სადმე სხვაგან წაეყვანათ. ჩვენთვის ძნელია ამის წარმოდგენა, მაგრამ ამ გიდების თავისუფლება და შესაძლოა, სიცოცხლეც კი დამოკიდებულია იმაზე, როგორ უპასუხებდნენ ამ სიტუაციას.

ისარგებლა რა დაბნეულობით, ჯონმა დამალა რამდენიმე სახარებისეული ბროშურა ტაძრის გარეთ, ისეთ ადგილზე, სადაც იმედოვნებდა, რომ ისინი იპოვიდნენ ამ ბროშურებს, როცა ტურისტები წავიდოდნენ აქედან. მას ჰქონდა კორეულ ენაზე თარგმნილი და დაბეჭდილი ბროშურები, რომლებიც ფარულად შემოიტანა თავისი ჩემოდნით.

მეორე დილით, ჯონმა ჩაალაგა თავის ბარგი, რომ ფხენიანიდან პეკინში დაბრუნებულიყო. როდესაც ის მიუახლოვდა ავტომობილს აეროპორტში წასასვლელად, მას უთხრეს, რომ ვერ ავიდოდა თვითმფრინავში.

ბროშურები იპოვეს და ჯონს ბევრი რამ ჰქონდა ასახსნელი. ასე დაიწყო დაკითხვის დღეები, დილით და შუადღეს. შეკითხვები იწყებოდა ბროშურებით: ვინ თარგმნა ისინი? სად დაიბეჭდა? თუმცა მალევე, მათ დაიწყეს ჯონის მთელი ცხოვრების გამოძიება. მას სთხოვეს, დაეწერა წლიდან წლამდე, პირდაპირი გაგებით, თავისი ცხოვრების ყველა მოვლენა. ჩრდილოეთ კორეელები ამოწმებდნენ მას. მოგვიანებით, მან შეიტყო, რომ მათ თავისი აგენტები გაგზავნეს ჰონ-კონგში მდებარე მის ოფისში და მისი ბავშვობის ქალაქშიც კი, ავსტრალიაში.

ეს არ იყო ჯონისთვის პირველი დაკავება და დაკითხვა და მან კარგად იცოდა ისიც, რომ მოუწევდა ფასის გადახდა ღვთის მოწოდებაზე გამოხმაურებისათვის. მან თავისი გამოკვეთილი ავსტრალიური აქცენტით მომიყვა იმ დევნის შესახებ, რა დევნასაც იტანდნენ ჩინური ეკლესიის თვალსაჩინო მოღვაწეები, რომელთაც პირადად იცნობდა და რომლებთან ერთადაც შრომობდა ქვეყნის მასშტაბით. მომიყვა ის, თუ რა ზეგავლენა ჰქონდათ ამ ადამიანებს მის ფიქრებზე, ამ საკითხთან დაკავშირებით. მრავალმა მათგანმა არა მხოლოდ კვირები, არამედ ათწლეულები გაატარა ციხეში. ერთ-ერთი რამ, რაც მან გადმოსცა და რაც კარგად დამამახსოვრდა, იყო ეს ნათქვამი: „შიშსა და რწმენას არ შეუძლიათ ერთდროულად იარსებონ ჩემს გულში. როცა ჩვენ რწმენით დავდივართ და უფალს ვენდობით, შიშს არა აქვს ადგილი გულში.“

დაკითხვა გრძელდებოდ, თუმცა ჯონს ჯერაც თან ჰქონდა თავისი ბიბლია და უკვე დიდი ხანია იცოდა, რომ ამ წიგნის სიტყვები მისი ცხოვრების საფუძველს წარმოადგენდა. მას და კარენს გამომუშავებული ჰქონდათ ასევე კითხვის ჩვევა. მთელი თავისი ოჯახური ცხოვრების განმავლობაში, ისინი ბიბლიას ყოველდღე კითხულობდნენ. დამატებით სხვა საკითხავებისა, ისინი ერთ თავს კითხულობდნენ იგავების წიგნიდან და ერთ თავს იოანეს სახარებიდან ყოველდღე. თვის პირველ დღეს ისინი კითხულობდნენ ამ წიგნების პირველ თავებს. თვის მეორე დღეს, მეორე თავებს და ა. შ.

დაკავების დროს, ჯონს უფლებას არ აძლევდნენ რაიმე კავშირი ჰქონოდა გარე სამყაროსთან. მას არ შეეძლო დაერეკა თავის მეუღლესთან და ეთქვა მისთვის, რომ კარგად იყო, თუმცა მან ასეთი რამ მითხრა–

გათავისუფლებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც ცხოვრება გარკვეულწილად დამშვიდდა–ამ თავების კითხვა ყოველდღიურად და იმის ცოდნა, რომ ისიც (კარენი) კითხულობდა იმავე სიტყვებს, მას უფრო ძლიერი სულიერი კავშირის განცდას აძლევდა, ვიდრე ეს შეეძლო სატელეფონო ზარს.

მომდევნო დღეს, მე ვესაუბრებოდი კარენს. ჩვენ ტელეფონით ვისაუბრეთ იმ დროს, როდესაც ჯონი დაკავებული იყო. ახლა კი მის სახლში მაგიდასთან ერთმანეთის პირისპირ ვსხედვართ. თავისი ავსტრალიური აქცენტით, ის მშვიდად და დაფიქრებით პასუხობდა ჩემს კითხვებს. იმ წლების განმავლობაში, რაც ის და ჯონი ჩართულები იყვნენ ჩინეთის მსახურებაში, მისთვის (ჯონისთვის) უცხო არ ყოფილა დაკავებები. კარენი ლოცულობდა მისთვის და ზუსტად არც კი იცოდა, რა საფრთხის წინ შეიძლება მდგარიყო ჯონი იმ დროს, როცა ის ლოცულობდა. „ჩემი სათხოვარი ჯონისათვის, – მითხრა მან, – მხოლოდ ერთი რამ იყო. მე ვთხოვდი უფალს, რომ ჯონს ყოველთვის თან ჰქონოდა თავისი ბიბლია. ვფიქრობდი, „თუ მას თან აქვს ღვთის სიტყვა, ის კარგად იქნება. კარგად იქნება, თუ ექნება შესაძლებლობა წაიკითხოს წერილი. მადლობა უფალს, რომ ის პასუხობდა ჩემს ლოცვებს.“

მას არ ექნებოდა გამოსაცნობი ის, თუ რას კითხულობდა ჯონი იმ დროს, რადგან ჰქონდათ ყოველდღიური ჩვევა, ეკითხათ გარკვეული თავები და წიგნები ბიბლიიდან და დამატებით სხვა საკითხავები. „ამიტომაც ვიყავი დარწმუნებული, რომ თუ მას თან ექნებოდა ბიბლია, ისიც იმავე გვერდზე წაიკითხავდა.“

ამგვარად, ცამეტი დღის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ არანაირი კომინიკაცია არ ჰქონდათ ერთმანეთთან, ჯონი და კარენი ერთსა და იმავე გვერდზე იყვნენ და როდესაც გაისმა ზარი ჯონისგან, რომელმაც სთხოვა დახვედროდა პეკინში და წაეყვანა სახლში, მადლიერი იყო ღვთისა, რომელმაც უპასუხა მის ლოცვებს და ჯონი მშვიდობიანად ბრუნდებოდა შინ, თუმცა არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო იმისა, რომ ჯონი კვლავ წასულიყო ჩრდილოეთ კორეაში სამომავლოდ, თუ გამოჩნდებოდა ამის შესაძლებლობა.

ფაქტია, თქვა მან, რომ თუ უფალი გახსნიდა კარს, თავადაც გაჰყვებოდა მას იქ!

ფიქრისთვის

ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჯონისა და კარენის ისტორიამ, ასევე იმან, რომ მათ წერილი და მისი კითხვა უპირველეს ადგილზე ჰქონდათ დაყენებული, თავიანთ ცხოვრებასა და ქორწინებაში. თქვენც ასეთივე სერიოზული ხართ ღვთის სიტყვასთან მიმართებით? არის თქვენს ცხოვრებაში ღვთის სიტყვის კითხვის ისეთი ჩვევა, რომ როდესაც სხვები შეხედავენ კალენდარს, ეცოდინებათ რას კითხულობთ? ან დრო, როცა ისინი შეხედავენ საათს და ეცოდინებათ, „ახლა დილის 6 საათია. ახლა ისინი ღვთის სიტყვას კითხულობენ“? ღვთის სიტყვის კითხვა მე შინაგანად მცვლის. მას შეუძლია, შეგცვალოთ თქვენც, მაგრამ ჯონ და კარენ შორტების მსგავსად, ეს სიწმინდის ჩვევად უნდა აქციოთ, თქვენი ყოველდღიური ცხოვრების საფუძვლად.

მიიღეთ გადაწყვეტილება, იკითხოთ ღვთის სიტყვა ყოველდღიურად და დაადგინეთ გეგმა. შესაძლოა, დაიწყოთ, როგორც ჯონმა და კარენმა, კითხვა იოანეს სახარებისა და იგავების წიგნისა. შეიძლება, თქვენ გამოიყენოთ დაბეჭდილი ბიბლია, ან აპლიკაცია თქვენს ტელეფონში. თქვენი დღიურისთვის, იპოვეთ და წაიკითხეთ ადგილები წერილიდან თავისივე თავის შესახებ (შეგიძლიათ, დაიწყოთ ებრაელთა 4:12; ფსალმუნი 118; 2 ტიმოთეს 3:16-17; და ესაიას 40:8. ასეთი ადგილები ბევრია), შემდეგ კი ჩამოწერეთ ის გზები და საშუალებები, რა გზებითაც შეგიძლიათ ეს მუხლები პრაქტიკულად განახორციელოთ.

ლოცვა

უფალო, ჩანერგე ჩემს გულში შენი სიტყვის სიყვარული! დამეხმარე, რომ მწყუროდეს ის ყოველდღიურად. დამეხმარე, რომ მესმოდეს შენი ხმა, როდესაც ვფურცლავ წერილს, რომ ვიცვლებოდე კითხვისას, ვემზადებოდე უფრო მეტად და ვემსგავსებოდე შენს ძეს, იესოს.

თქვენი დღიურისთვის

ჩემი დღიურიდან

პირველად, მისტერ შორტს 1999 წლის ნოემბერში შევხვდი. ჩემი თანამშრომლები და მე მივდიოდით ჩინეთში, თუმცა გზად მოგვიწია შეჩერება ჰონ-კონგში. კვირა დილა იყო და ჩვენ მისტერ შორტის ეკლესიაში მივედით. მახსოვს, იმ დღეს მან წაგვიყვანა „შუადღის ჩაიზე“ მვირადღირებულ სასტუმრო „პენინსულაში“. მან თქვა, რომ ოთახი ამ სასტუმროში ერთი ღამით ღირს 350$. მახსოვს, მე შევუკვეთე ყინულიანი ჩაი (ახლა ვიცი, რომ ასეთი რამ არ არის ჩვეულებრივი აზიაში). იქ არ იყო უფასო დამატების წესი, ამიტომაც ჩვენი საუბრის უმეტესი დრო ცარიელი ფინჯნით გავატარე და გულში ვნატრობდი, რომ სხვა ქვეყნებშიც გადაეღოთ უფასო დამატების ჩვენებური ამერიკული წესი!

ის უკვე იყო ე. წ. მისიონერი გმირი აქ, ვინაიდან უკვე ათწლეულების განმავლობაში მუშაობდა ჩინეთში, თუმცა იმ დროს ვერც კი წარმოვიდგენდი იმას, რომ ერთ დღეს დააპატიმრებდნენ ჩრდილოეთ კორეაში.

მოსმენისთვის

თქვენ შეგიძლიათ მოისმინოთ ჩემი ინტერვიუ ჯონ და კარენ შორტებთან: www. VOM Radio. net/short.

ლოცვა დევნილი ქრისტიანებისათვის

ხანდახან, უფრო ძნელია ვხედავდეთ ადამიანს, რომელიც გვიუვარს და რომელიც იტანჯება, ვიდრე თავად რომ ვიტანჯებოდეთ.

დევნილი ქრისტიანების მეუღლეები და ბავშვები იტანენ ასეთ ტანჯვას, ასევე იმ ტანჯვას, რომელიც მოდის მაშინ, როდესაც მათი საკუთარი ცხოვრება ძნელდება და არსებობის საშუალებები მწირი ხდება, რაც ცხადია, იმით არის გამოწვეული, რომ მათი ოჯახის წევრი ციხეშია.

ილოცეთ დღეს ილოცეთ დღეს დაჰატიმრებული ქრისტიანების მეუღლეებისა და ბავშვებისთვის. ილოცეთ იმისათვის, რომ ღმერთმა გაამხნევოს ისინი და მისცეს ძალა, უზრუნველყონ თავიანთი ფიზიკური და სულიერი საჭიროებები.

ილოცეთ იმ წყვილებისთვის, რომლებიც იძულებითი განცალკევებით იტანჯებიან. ილოცეთ, რომ ღმერთმა „დააკავშიროს“ ქმარი და ცოლი სულიერად თავისი მეოფადობითა და თავისი სიტყვით.

ილოცეთ, რომ ბავშვები არ გაიზარდონ იმედგაცრუებულები და გამწარებულები უფალთან მიმართებით იმის გამო, რომ მათი მშობლები დაჰატიმრებულები არიან, არამედ განაგრძონ მემკვიდრეობითობა ღვთის სამეფოს შენებისათვის, რომლისთვისაც მათი მშობლები იტანჯებიან.

დღე 14

ტყვიებისგან დატოვებული ხვრელები შენს მოსასხამზე

ჩემმა ღმერთმა თავისი ანგელოზი მოავლინა, ლომებს პირები აუკრა და მათაც არა მავნეს რა, რადგან ღვთის წინაშეც სუფთა აღმოვჩნდი და შენ წინაშეც ბრალი არა მაქვს, მეფეო.

დანიელი 6:22

.....

ჩრდილოეთი ერაყი, 2008

ხუცესი ჰაკიმი ერთ-ერთი იყო იმ რამდენიმე პროტესტანტი ხუცესიდან, რომლებიც მოსულში დარჩნენ იმ ქაოსის დროს, რომელმაც მოიცვა ერაყი 2008 წელს. როცა ჩვენ შევხვდით მას, მან გვითხრა, რომ მის ეკლესიას ორი წლით ადრე ჰყავდა სამი ხუცესისგან შემდგარი პერსონალი. ერთ-ერთი ხუცესი მოკლეს სუნიტმა რადიკალებმა. მეორე ევროპაში წავიდა თავისი ოჯახის უსაფრთხოებისთვის, თუმცა ჰაკიმი დარჩა, რათა თავის სამწყსოსთან ერთად ყოფილიყო მოსულში.

ჩვენს შეხვედრამდე რვა დღით ადრე, ჰაკიმს, როცა ის თავის სამსახურში მანქანების გასაჩერებელ ადგილზე შევიდა, შეხვდა სამ შეიარაღებულ კაცს. ისინი გამოგზავნილები იყვნენ ხუცესის მოსაკლავად; ჰაკიმმა მოგვიანებით შეიტყო, რომ მას კითხულობდნენ. „სად არის ის ქრისტიანი?“ მოითხოვდნენ პასუხს ახლოს მცხოვრები ადამიანებისგან.

შეიარაღებულებმა უბრძანეს ჰაკიმს მანქანის გაჩერება. ჰაკიმი მიხვდა, რომ მანქანის გაჩერება გარდაუვლად ნიშნავდა სიკვდილს. მან მაშინვე ჩართო უკუსვლა და მოსწყდა ადგილს, მაგრამ სანამ თავს დააღწევდა მათ, თავიდან ვერ აიცილა სამი ნასროლი ტყვია. ჰოსპიტალში, მუსლიმმა ექიმებმა ჰკითხეს მას, თუ რატომ არ უფრთხილდებოდა თავის სიცოცხლეს. ექიმებმა თქვეს: „პირდაპირ სასწაულია, რომ ტყვიებმა გაიარეს შენი სხეული, მაგრამ აცდნენ ორგანოებს და მთავარ არტერიებს“.

ეს მოხდა სროლიდან რვა დღის შემდეგ, როცა ჰაკიმი ჩამოვიდა მეორე ქალაქში ჩემთან და ჩემს კოლეგასთან შესახვედრად. ჭრილობები ჯერაც შეხვეული ჰქონდა და კვლავაც ის ქურთუკი ეცვა, რომელიც იმ დილით ტყვიებმა გახვრიტა. მან თითი ჩაყო ერთ-ერთ ხვრელში, რომელიც ერთ-ერთი ღილის გვერდით იყო ქურთუკის წინა მხარეს. შემდეგ გაიხადა პერანგი და გვაჩვენა შეხვეული ჭრილობები, ორი ჯვრის ფორმის ბინტი მკერდის მარცხენა მხარეს. ძალიან მიჭირდა იმის გაგება, თუ როგორ იყო შესაძლებელი, რომ მის ქურთუკში გავლილმა ტყვიებმა შემდეგ მის მკერდში გაიარა და ჰაკიმი კვლავაც ცოცხალია და მოძრაობს. „ესენი ჩემი მედლებია,“ თქვა მან და ხელი გაიწოდა ნახვევებისკენ და მათ ქვემოთ დარჩენილი ნაწიბურებისკენ. მართლაც, ის გამარჯვებული იყო დიდ სულიერ ბრძოლაში, თუმცა მისი „მედლები“ ის მედლები არ არის, რომელთა „მოპოვება“ რომელიმე ქრისტიანს სურს.

ჰაკიმმა და მისმა მეუღლემ, „ნადირამ,“ გვიამბეს თავიანთი მსახურების ამბავი. ღმერთმა მოუწოდა მათ მოსულის ეკლესიაში და მიუხედავად ირგვლივ არსებული ქაოსის, ძალადობის და სიკვდილისა, მათ ვერ იგრძნეს, რომ ღმერთი მოუწოდებდა წასულიყვნენ, ამიტომაც დარჩნენ.

ზეწოლა ინტენსიური იყო. ზეწოლა სუნიტი რადიკალებისგან, რომლებსაც უნდოდათ, რომ ქალაქში მცხოვრები ყველა ქრისტიანი იძულებული გაეხადათ ან ისლამი მიეღოთ, ან წასულიყვნენ. ისინი მოუხმობდნენ ჰაკიმს და ეტყოდნენ, თუ რატომ უნდა აერჩია მუჰამედის

გზა და რა დაემართებოდა მას და მის ოჯახს, თუ არ გააკეთებდა ამას. ზეწოლა იყო, ასევე, ნათესავებისგან, რომლებმაც თავი შეაფარეს უსაფრთხო ევროპას. „წამოდი მაქედან," შეაგონებდნენ ყოველ კვირა სატელეფონო საუბრისას. „წამოდი უსაფრთხო ადგილას. ჩვენ მზად ვართ შეგხვდეთ და ვიზრუნოთ შენზე, როდესაც ჩამოხვალ."

ჰაკიმსა და ნადირას ჰყავდათ ქალიშვილები, რომლებიც მოსულის უნივერსიტეტში სწავლობდნენ. მათაც საფრთხე ემუქრობოდათ ყოველდღიურად განათლების მიღებისას. ერთი წლით ადრე, ქრისტიანი ქალი მოკლეს ბიბლიების გავრცელებისთვის. მათი ოჯახის თითოეულმა წევრმა იცოდა რამხელა რისკთან იყო დაკავშირებული ქრისტიანად ყოფნა მოსულში. მათი სიცოცხლე საფრთხის ქვეშ იყო, მაგრამ ისინი დარჩნენ, რადგან ღმერთს არ უთქვამს მათთვის წასულიყვნენ, ამიტომაც ყოველ კვირა პასუხობდნენ ევროპაში მყოფ ნათესავებს: „ღმერთმა მოგვიწოდა ვიყოთ მოსულში, ასე რომ, ვრჩებით."

ნადირამ თავისი აქცენტიანი ინგლისურით გვითხრა, თუ როგორ აძლიერებდა ღმერთი მას, სწორედ იმ დღეებში, როცა მის ქმარს ესროლეს. იგი უშუალოდ გრძნობდა მის არსებობას. იგი გრძნობდა მის მძლავრ მარჯვენას, რომელიც თითქოსდა, ფოლადს ამსგავსებდა მის არსებას იმ საათებსა და დღეებში, როცა ესროლეს მის ქმარს.

ფიქრისთვის

როდესაც ვფიქრობ ნადირაზე, ჰაკიმზე და მათ მიერ მოთხრობილ ისტორიაზე, ორი რამ იკვეთება ჩემს გონებაში. პირველია, ღმერთის უნარი დაიცვას ის ადამიანები, რომლებსაც იყენებს. ჰაკიმს სამჯერ ესროლეს, ორჯერ მკერდში მოხვდა ტყვია და სულ რაღაც რვა დღის შემდეგ, ის დადიოდა და საუბრობდა! თუ ღმერთს სურს რომ გადარჩე—არა აქვს მნიშვნელობა როგორი საშიში და სახიფათო იქნება გარემოებები—შენ გადარჩები.

მეორე ფიქრია პასუხი ღვთის მოწოდებაზე და ამ მდგომარეობაში დარჩენა სანამ ის სხვა მოწოდებას გამოაცხადებს. რამდენად ხშირად არის, რომ, როდესაც გზა კლდოვანი და უსწორმასწორო

ხდება, ჩვენ ვეძებთ განსხვავებულ, ადვილ გზას? თუმცა ხანდახან ღმერთს დიდი შემეცნება და გაცილებით დიდი კურთხევა მოაქვს იმ დროს, როცა ჩვენ ყველაზე რთულ გზაზე ვდგავართ. თუ თქვენ დღეს ძნელ გზაზე დგახართ, დაწერეთ ყველაფერი, რასაც სწავლობთ და ის საშუალებები, რომელი საშუალებებითაც ღმერთი თქვენთან მიმართებით მოქმედებს და გასწავლით რამეს. თუ თქვენ ახლა კომფორტულ და ადვილ გზაზე დგახართ, დაწერეთ მადლიერების ლოცვა ამ სიწყნარისა და სიმშვიდისათვის.

ლოცვა

უფალო იესო, მადლობა შენი საოცარი ძალისათვის, რომ დაიცვა და გამოკვებო ისინი, რომლებსაც მოუწოდე შენი მსახურებისთვის. დამეხმარე, რომ ვუპასუხო შენს მოწოდებას, რომ ყურადღებით ვიყო ყოველ დღეს და ყოველ წუთს, სანამ დამიძახებ სადმე, აქ, დედამიწაზე, ან „უკეთეს ქვეყანაში“, რომელიც ჩემი საუკუნო სახლი იქნება.

თქვენი დღიურისთვის

ჩემი დღიურიდან

ჩემი ელ-ფოსტით გაგზავნილი წერილიდან, რომელიც გავუგზავნე შარლოტას იმ ღამეს.

ეს ესაა საოცარი გასაუბრება გვქონდა... ეს, მართლაც, ბომბია! ხუცესს, რომელიც მოსულში ცხოვრობს, სამჯერ ესროლეს გასულ კვირას (შენი დაბადების დღის მეორე დღეს). ის ჩვენთან ერთად იყო, ამ ოთახებში, გვესაუბრებოდა, ცოლიც თან ახლდა. მან გვაჩვენა შეხვეული შემავალი

და გამავალი ჭრილობები. ის ჯერაც იმავე ქურთუკს ატარებს... ტყვიებით გახვრეტილ ქურთუკს! (ალბათ, ხვდები ძვირფასო, რომ ამ ეოველივემ საკმაოდ ამაღელვა!)

იგი მიუთითებს ამ ჭრილობებზე და ამბობს: „ესენი მისი მედლებია“ (სამხედრო მედლების მსგავსად). მისმა მეუღლემაც მითხრა, რომ წინა ღამეს, სანამ მას ესროდნენ, იგი უსმენდა ქრისტიანულ მუსიკას და უფალი, ნამდვილად, მივიდა მასთან და დაამშვიდა... ანუ ის რეალურად გრძნობდა მის არსებობას ძალიან ახლოს. შემდეგ წავიდა დასაძინებლად და მომდევნო დილით, მის ქმარს ესროლეს. მან საბინა ვურმბრანდი გამახსენა, როდესაც თქვა, რომ არასოდეს უთხოვია თავისი ქმრისთვის წასულიეყვნენ იმ ქალაქიდან, რადგან ღმერთმა იქ მოუწოდა მას მსახურებისთვის.

ოჯახის ეველა წევრი სთხოვდა მათ დაეტოვებინათ მოსული. ვინაიდან, იქ ეოფნა არ იეო და არც არის უსაფრთხო, რომ მათ ქალიშვილები ჰყავთ და ამიტომაც უნდა წავიდნენ, მაგრამ ისინი ამბობენ, რომ რჩებიან, ვინაიდან, იესომ აქ მოუწოდა მათ. ის ერთადერთი სახარებისეული ხუცესია, რომელიც დარჩა ქალაქში ორი მილიონი მცხოვრებით!

საოცარი, საოცარი და კიდევ ერთხელ საოცარი მოწმობაა! ნამდვილად, ღირდა აქ ჩამოსვლა!

დღე 15

მოწმობა მიწაზე

ნუ მოტყუვდებით: ღმერთი თავს არავის შეარცხვენინებს. რასაც დათესავს კაცი, იმას მოიმკის. ვინც თავისი ხორცისათვის თესავს, ხორცისაგან მოიმკის ხრწნილებას, ხოლო ვინც სულისათვის თესავს, სულისაგან მოიმკის საუკუნო სიცოცხლეს. სიკეთის კეთება ნუ მოგვეწყინება, რადგან თავის ჟამს მოვიმკით, თუ არ მოვდუნდებით.

გალატელთა 6:7-9

……..

ნეპალი, 2012

ნეპალი ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ადგილია, სადაც ოდესმე ვყოფილვარ. იმ ქალაქში, რომელშიც ჩავედი, მე შემეძლო ჩემი სასტუმროს ოთახიდან გარეთ გამოვსულიყავი და თუ დღე მზიანი იყო, შემეძლო. დამენახა მსოფლიოს ათი უმაღლესი მწვერვალიდან ოთხი. როდესაც თვითმფრინავში ზიხარ და გარეთ და ზემოთ, მთების მწვერვალებს უყურებ – უბრალოდ საოცრებაა!

მე ვიყავი ნეპალში, სადაც შევხვდი ხუცეს სალინდრას. კაცს, ვინც მზად არის აიტანოს ცემა თავისი საკრებულოს ერთი წევრის გამო, რომელიც უკვე გარდაცვლილია!

როდესაც ქრისტიანი ძმა მოკვდა, რომელსაც „ბილალს“ ვეძახდით, პატარა ნეპალურ ქალაქში, მისი ოჯახისთვის მნიშვნელოვანი იყო,

რომ მისი სხეული დაემარხათ. ბევრი ამერიკელი ქრისტიანისთვის ძნელი გასაგებია, რა მნიშვნელობას აძლევენ ამ რიტუალს ნეპალური ოჯახის წევრები, მაგრამ მათ კულტურაში დამარხვა და საფლავის ქვა, არა მხოლოდ, ცხედრისაგან გათავისუფლების გზაა, არამედ „ებენყეზერიც“ (1 მფ. 7:12)–მუდმივი ნიშანი პიროვნების რწმენისა და ღვთისადმი ერთგულებისა.

ბილალის ქალაქში, დაახლოებით 30 000 ადამიანი ცხოვრობს, თუმცა იმ დროს, იქ მხოლოდ ოთხი თუ ხუთი ქრისტიანული ოჯახი იყო. როცა ის მოკვდა, რადიკალი ინდუსები მოვიდნენ, რათა წაეღოთ მისი სხეული კრემაციისთვის, ინდუისტური წესის მიხედვით. ბილალის ოჯახმა უარი განაცხადა, მათ უნდოდათ ქრისტიანული გლოვა და ცხედრის დამარხვა.

ხუცესი სალინდრა, ახალგაზრდა პასტორი, ვინც იყო მათი ეკლესიის წინამძღოლი, მათთან ერთად იყო და ეხმარებოდა სამზადისში, როცა გაიგონა ყვირილი. სახლის გარეთ, ინდუსების დიდმა ბრბომ მოიყარა თავი. ისინი ყვიროდნენ და იმუქრებოდნენ, მოითხოვდნენ, რომ გადაეცათ მათთვის ცხედარი, რათა აღესრულებინათ მასზე ინდუისტური წესი და კრემაცია.

როცა ის ამ ამბავს მიყვებოდა, სალინდრამ ამიხსნა, რომ ინდუსის ცხოვრებაში არსებობს სამი მნიშვნელოვანი ნიშან-სვეტი: დაბადება, ქორწინება და გარდაცვალება. ბილალის ცხედრის კრემაციით, ინდუსები იმედოვნებდნენ, რომ წაშლიდნენ მის ქრისტიანულ მოწმობას. კრემაცია ყველას გააგებინებდა, რომ, სინამდვილეში, ის არ ყოფილა ქრისტიანი; რომ თავისი ცხოვრების ბოლოს, მან უარყო „უცხო“ ქრისტიანული რელიგია და დაუბრუნდა ინდუიზმს. საფლავი კი, საპირისპიროდ ამისა, იქნებოდა მუდმივი მოწმობა იმისა, რომ ეს კაცი, ვინც მოკვდა, იყო ქრისტიანი, ამიტომაც, რატომ უნდა დამარხულიყო მისი ცხედარი, ნაცვლად იმისა, რომ დაეწვათ ინდუისტური წესების მიხედვით?

სალინდრა გავიდა სახლიდან და უთხრა ინდუსებს, რომ ბილალი იყო ქრისტიანი და ოჯახს სურდა ქრისტიანული დასაფლავება. ბრბო გამძვინვარდა, ისინი დაეძგერნენ სალინდრასა და ორ სხვა ქრისტიანს და დაიწყეს მათი ცემა ჯოხებითა და მუშტებით. ქრისტიანებმა თავის გადასარჩენად, სცადეს გაქცევა, სცადეს თავიანთ მოტოციკლებზე დამსხდარიყვნენ და გასცლოდნენ იქაურობას, მაგრამ ბრბო განაგრძობდა

თავდასხმას. ქრისტიანებმა თავშესაფარი ბიმალას, მოხუცი ქრისტიანი ქვრივის, სახლში ჰპოვეს, რომელმაც გახსნა თავისი სახლის კარი და შეიფარა ისინი, მიუხედავად იმისა, რომ მათ გამძვინვარებული ბრბო მოსდევდა. რატომ გაუხსნა მან სახლის კარი ქრისტიანებს, რომლებიც ცდილობდნენ თავისათვის ეშველათ, რატომ გარისკა, რომ თავადაც გამხდარიყო მათი სამიზნე? „მე უფლის მსახური ვარ," გვითხრა მან, „ამიტომაც ძლიერი უნდა ვიყო. არ უნდა მეშინოდეს, რადგან ის ჩვენთან არის. მე ვიცი, რომ იმ ადამიანებიდან შეიძლება, ზოგიერთებმა პრობლემები შემიქმნან, მაგრამ მე ძლიერი უნდა ვიყო."

გაბრაზებულმა ინდუსებმა უკან დაიხიეს და ქრისტიანებმა შეძლეს დამსხდარიყვნენ მოტოციკლებზე და სალინდრა და ოჯახის სხვა წევრები გაერიდებინათ საფრთხისთვის. სალინდრას უნდა მიეხედა თავისი ჭრილობებისთვის, რომლებიც ცემის შემდეგ დარჩა. მისი სხეული ჯანსაღად იყო, მაგრამ მის გულში იყო ბრძოლა. თავდასხმიდან მთელი ერთი კვირის განმავლობაში ძილი გაუკრთა. „ვლოცულობდი გულში და გავიგე, როდესაც ვკითხულობდი ბიბლიას, რომ უნდა მიმეტევებინა [იმ ინდუისტებისთვის, რომლებიც თავს დამესხნენ], ვინაიდან ჩვენი უფალი ამბობს, თუ თქვენ არ მიუტევებთ სხვებს, თქვენც არ მოგეტევებათ. ამ სიტყვებმა გამსჭვალა ჩემი გული." ღმერთი განაგრძობდა სალინდრაზე ზემოქმედებას, რომ მას მიეტევებინა თავისი თავდამსხმელებისთვის, ახსენებდა რა მას იმ მიტევებას, რომელიც თავად მიიღო. „მე ბევრი არასწორი რამ მქონდა ჩადენილი, ბევრი შეცდომა, ასე რომ, უფალი მოქმედებდა; [მან მომიტევა მე], ამიტომაც მეც უნდა მივუტევო. უფალი მელაპარაკებოდა, „მიუტევე მათ. ისინიც უნდა მოვიდნენ ჩემთან, ისინიც უნდა მოვიდნენ ჩემთან. შემდეგ მე ვთქვი, ჰო. მე უნდა ვიმუშაო მათთან, რომ ისინი მივიდნენ ქრისტესთან." თავდასხმიდან ერთი თვის შემდეგ, სალინდრა მივიდა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ სრულად უნდა მიეტევებინა მათთვის, ვინც თავს დაესხა და დააზიანა ის.

ის განაგრძობდა იმ ქალაქში მსახურებას, მიუხედავად იმისა, რომ ამ თავდასხმებმა მისი საკრებულო გაანახევრა. ბევრმა ქრისტიანმა უკან დაიხია შიშის გამო. მათ არ უნდოდათ გამხდარიყვნენ რადიკალი ინდუსების სამიზნეები, თუკი ივლიდნენ ეკლესიაში, ან შეიკრიბებოდნენ სხვა ქრისტიანებთან ერთად. მათთვის, რომლებიც განაგრძობდნენ

ეკლესიაში სიარულს, სალინდრამ დაიწყო ქადაგებების სერია, რათა გაეძლიერებინა და გაემხნევებინა ისინი, რომ გაეძლოთ იმ დევნისთვის, რომელიც ემუქრებოდათ.

„ერთ დღესაც, ყველა მოკვდება," ეუბნებოდა ის თავისი საკრებულოს წევრებს. „ცხოვრება აქ [დედამიწაზე] ძალიან მოკლეა. რაც არ უნდა გაგვიკეთონ მათ, იმის გამო, რომ ქრისტიანები ვართ–რაც არ უნდა გავიაროთ ჩვენ–თუნდაც დავკარგოთ სიცოცხლე, ეს იმიტომ მოხდება, რომ გვექნება საუკუნო სიცოცხლე [მარადისობაში ქრისტესთან ერთად]."

ის მორწმუნეები, რომლებსაც ეშინოდათ ეკლესიაში მოსვლა, ხანდახან სთხოვდნენ სალინდრას, მისულიყო მათთან სახლში და ელოცა მათთან ერთად. მათ არ უნდოდათ, რომ საჯაროდ ქრისტიანებთან ყოფილიყვნენ გაიგივებულნი, მაგრამ მაინც სურდათ სიწყნარეში შეხვედროდნენ თავიანთ ხუცესს გამხნევებისა და ლოცვისათვის. სალინდრას სჯერა, რომ ერთ დღესაც, მათი გაბედულება მტკიცე გახდება და ისინი დაუბრუნდებიან ეკლესიას, დაესწრებიან ღვთის მსახურებას. „მწამს, რომ ისინი აუცილებლად, მოვლენ ერთ დღეს," ამბობს ის, „რადგან მათ ნახეს უფალი."

იმ ქალაქში არის ნიშანი, საფლავი, რომელიც მოწმობს იმას, რომ ამ ქალაქში არიან ქრისტიანები. ბილალის ოჯახის მომავალ თაობებს შეუძლიათ მივიდნენ მის საფლავთან და გაიხსენონ მისი რწმენა. „შეხედეთ! ჩვენი მამა ქრისტიანი იყო! ის რომ ინდუსი ყოფილიყო, მას კრემაციას ჩაუტარებდნენ, ამიტომაც აქ არ იქნებოდა საფლავი, არანაირი ნიშანი მისი სიცოცხლისა, მაგრამ ის ქრისტიანი იყო!" და ნიშანი მისი რწმენისა, აი, აქ არის, ჩვენ წინ.

ფიქრისთვის

დასავლურ კულტურებს ძალიან განსხვავებული იდეები აქვთ სიკვდილის შესახებ. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ საფლავის ქვა დამოწმებაა განსხვავებით ჩვენი ქრისტიანული ოჯახისა ნეპალში, თუმცა ყველა ჩვენგანი ტოვებს მოწმობას. ყველა ჩვენგანი, ჩვენი ცხოვრებით, ვტოვებთ ნიშნებს ჩვენი ოჯახებისთვის, ჩვენი ეკლესიებისთვის და ირგვლივ

მყოფი ურწმუნოებისთვის. რა ნიშნებს ტოვებთ თქვენ? რას იტყვის ხალხი მას შემდეგ, რაც თქვენ მარადისობაში გადაინაცვლებთ? იტყვიან ისინი, „ის ქრისტიანი იყო!“ თუ ეჭვები ექნებათ? დაწერეთ ათი სიტყვა, რომელი სიტყვებიც აღწერს იმ სულიერი მემკვიდრეობის სახეს, რომლის დატოვებაც გინდათ თქვენი ოჯახისა და მეგობრებისთვის, შემდეგ კი გააგრძელეთ ცხოვრება ისე, რომ დატოვოთ მკაფიო ნიშნები თქვენი ქრისტიანული რწმენის შესახებ.

ლოცვა

უფალო, სამყაროს შემოქმედო, დაუსაბამო ღმერთო, დამეხმარე, რომ ისე ვიცხოვრო დღევანდელ დღეს, რომ ჩემმა ცხოვრებამ მკაფიო ნიშნები დატოვოს მარადისობაზე მათთვის, რომლებიც ჩემ ირგვლივ ცხოვრობენ. გამაძლიერე, რომ ისე ვიცხოვრო, რომ გარდაცვალების შემდეგ, ჩემმა ოჯახმა, თანამშრომლებმა და მეგობრებმა ყოველგვარი ყოყმანის გარეშე თქვან: „ის ქრისტიანი კაცი იყო!“ ან „ის ქრისტიანი ქალი იყო!“

თქვენი დღიურისთვის

ჩემი დღიურიდან

[ჩვენ შევხვდით] ხუცესს, რომლის ცხოვრებაც მუდმივი საფრთხის ქვეშაა [იმის გამო, რომ ის სახარებას ქადაგებს]. ის არ არის დიდად განათლებული, მაგრამ წინამძღოლია ეკლესიისა, რომელმაც თოთხმეტი შვილობილი ეკლესია შვა! ძალიან ერთგული და მშრომელი მმაა! ჩვენი შეხვედრა იუმორისტულ ნოტზე დასრულდა. როცა დავამთავრეთ საუბარი,

მან გვითხრა, რომ არ უნდოდა ჩვენთან ერთად გარეთ გამოსვლა, რადგან თუ მისი ოთახის მესაკუთრე დაინახავდა მას უცხოელებთან ერთად, აუცილებლად გაუზრდიდა ბინის ქირას!

ციტატები, რომლებზეც უნდა ვიფიქროთ

როგორც ელიზაბეტ ელიოტი მიუთითებს, თვით მოწამეობრივი სიკვდილიც კი, არ შეიძლება მივიჩნიოთ განსაკუთრებული სახის მორჩილებად, როდესაც თქვენ იმ მხსნელის მიმდევარი ხართ, ვინც მოკვდა ჯვარზე. მართლაც, მოწამეობრივი სიკვდილი ჩვეულებრივ მორჩილებად უნდა აღვიქვათ.

დევიდ პლატი[1]

და არა მარტო ამით, არამედ გასაჭირითაც ვიქადით, რადგან ვიცით, რომ გასაჭირი შეიქმნს მოთმინებას, მოთმინება — სიმტკიცეს, სიმტკიცე — სასოებას, ხოლო სასოება არასოდეს გვიმტყუნებს, რადგან ღვთის სიყვარული ჩაგვესახა გულებში სულიწმინდის მეშვეობით, რომელიც მოგვეცა ჩვენ.

რომაელთა 5:3-5

1 ამონარიდები from RADICAL: TAKING BACK YOUR FAITH FROM THE AMERICAN DREAM by David Platt, copyright © 2010 by David Platt. Used by permission of WaterBrook Multnomah, an imprint of Random House, a division of Penguin Random House LLC. All rights reserved.

დღე 16

„მშვენიერი დრო იყო“

მაშინ გაოცებული ნაბუქოდონოსორი ფეხზე წამოიჭრა და უთხრა თავის მრჩეველთ: „განა ჩვენ სამი შეკრული კაცი არ ჩავაგდეთ ცეცხლში?“ მათ პასუხად მიუგეს მეფეს: „ჭეშმარიტად ასეა, მეფეო!“, მეფემ კი თქვა: „აჰა, ოთხ ხელფეხგახსნილ კაცს ვხედავ, შუაგულ ცეცხლში რომ მიმოდიან უვნებლად. მეოთხე შესახედაობით ღვთის შვილსა ჰგავს.“

დანიელი 3:24-25

.....

ჩინეთი, 2002

VOM-ის ეგიდით, ეს ჩემი მეორე ვიზიტი იყო ჩინეთში. მე შემეძლო, ჩემთან ერთად წამეყვანა ჩემი ცოლი, რომლის პირველი მოგზაურობაც იყო უცხოეთში და ასევე, შესაძლებლობა მისთვის ჩემთან ერთად ყოფილიყო იმ საქმესა და მოგზაურობაში, რომელსაც ვასრულებდი VOM-ისთვის. პირველად, ჩავედით ვიეტნამში, სადაც ვესაუბრეთ დევნილ ქრისტიანებს ჰმონგის ტომის ჯგუფიდან, როდესაც მანქანაში ვისხედით

და მივდიოდით–მათთვის სხვა უსაფრთხო ადგილი უცხოელებთან შესახვედრად, სხვაგან არსად იყო.

ვიეტნამში ყოფნის შემდეგ, ჩვენ წავედით ჩინეთში, სადაც შევხვდით და ტონგს. ის გაათავისუფლეს ციხიდან ჩვენს ჩასვლამდე რამდენიმე კვირით ადრე. მე უნდა მესაუბრა მასთან და დამეწერა ისტორია მისი მოწმობისა და ციხეში გატარებული დროის შესახებ. და ტონგმა გვიმასპინძლა ჩვენ არარეგისტრირებულ საეკლესიო შეხვედრაზე თავის სახლში. ჩინეთში ეკლესიებს ავალებენ, რომ უნდა გაიარონ რეგისტრაცია მთავრობაში და მოექცნენ კომუნისტური პარტიის, „რელიგიურ საქმეთა“, ოფიციალური პირების კონტროლის ქვეშ. ეკლესიას, რომელიც რეგისტრირდება, ეუბნებიან როდის და სად ეძლევათ შეკრების უფლება და ვის ეძლევა უფლება გაუძღვეს ამ შეკრებებს. თვრამეტ წლამდე მოზარდებს არ ეძლევათ უფლება დაესწრონ საეკლესიო შეხვედრებს. ყველა საეკლესიო აქტიურობა უნდა ჩატარდეს მხოლოდ მთავრობის დასტურით. ქრისტიანების ყოველგვარი შეკრება ამ სისტემის გარეთ და მთავრობის დასტურის გარეშე, ითვლება „არაკანონიერ რელიგიურ შეკრებად.“ ისინი, რომლებსაც „წაასწრებენ“ მსგავს შეხვედრებზე, ექვემდებარებიან დაკითხვასა და დაპატიმრებას, თუმცა ამ დროისათვის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების განყოფილების თანამშრომლები, ძირითად ყურადღებას ამახვილებდნენ შეხვედრების მასპინძლებსა და ლიდერებზე, და არა ასე ვთქვათ, „რიგითებზე“, რომლებიც ესწრებოდნენ შეხვედრებს.

ამიტომაც და ტონგი, რომელიც მასპინძლობდა მსგავს შეკრებას თავის სახლში, დააპატიმრეს და გადაიყვანეს ციხეში ექვსი თვით. მთავრობის მხრიდან ეს იყო მცდელობა მისი „ხელახალი აღზრდისა,“ რომ მას უფრო კომუნისტურად ეაზროვნა და უფრო ნაკლებად, როგორც იმ პიროვნებას, ვისაც „ქრისტეს გონება“ (1 კორ. 2:16) აქვს.

და ტონგი ჩვენთან შესახვედრად მოვიდა ისეთ ადგილზე, როგორზეც ჩვენ მეტ-ნაკლებად განმარტოებულები ვიქნებოდით; ვინაიდან, მას გაცილებით მეტი პრობლემა გაუჩნდებოდა, თუ „წაასწრებდნენ“ უცხოელებთან შეხვედრაზე. ის იყო პატარა ტანის ქალი, ვიწრო მხრებით. ჩემი ცოლი, რომელიც ხუთი ფუტისა და შვიდი დიუმის სიმაღლისაა, კოშკივით ჩანდა მის გვერდით. ჩვენ მივესალმეთ მას და მცირე ხანს ვისაუბრეთ ჩვენი მთარგმნელის დახმარებით. შემდეგ,

მე ამოვიღე ჩემი ჩამწერი, რათა დამეწყო ინტერვიუ (გასაუბრება). პირველი კითხვა: „აბა, მომიყევი ციხის შესახებ.“ მე ვფიქრობდი, რომ შევქმნიდით გარკვეულ შესავალ ისტორიას მისი ტანჯვის შესახებ. ველოდი, რომ მოვისმენდი შთამბეჭდავ დეტალებს იმასთან დაკავშირებით, თუ რა ძნელი იყო ცხოვრება ციხეში: მაგარი საწოლი, საშინელი საკვები, დიდი ვირთხები! მოუთმენლად ველოდი, როდის თარგმნიდა თარჯიმანი ჩემს კითხვას ინგლისურიდან მანდარინზე. ჩამწერი მუშაობდა, ჩემი კალამი მზად იყო ჩაეწერა ყველა დეტალი იმ სურათისა, რომელსაც წარმოგვიდგენდა მისი მონაყოლი.

როდესაც და ტონგმა მოისმინა ჩემი კითხვა მთარგმნელისგან, მისი სახე განათდა, რასაც მე ციურ ღიმილს ვუწოდებდი. მან რაღაც უთხრა მთარგმნელს ჩინურად. ის ჩვენკენ მობრუნდა. „ჰო, რა თქმა უნდა, ეს მშვენიერი დრო იყო.“ მე შევხედე მთარგმნელს. ახლა მე ვიყავი შეცბუნებული. მე ხომ ციხის შესახებ ვეკითხებოდი, ტონგმა კი თავისი ფართო ღიმილით მიპასუხა და თქვა, რომ ეს მშვენიერი დრო იყო. ალბათ, მთარგმნელმა ვერ გაიგო ჩემი შეკითხვა. ალბათ, აზრების თანმიმდევრობა გაწყდა? ვინაიდან, ჩემი გაგებით, შეუძლებელი იყო, ვინმეს ოდესმე ეთქვა, რომ ციხე მშვენიერი იყო. იქნება არც ყოფილა იქ? მთარგმნელმა დამარწმუნა, რომ მან თარგმნა ჩემი შეკითხვა–და მისი პასუხი–ზუსტად. „ჰო, რა თქმა უნდა. ეს მშვენიერი დრო იყო.“

ახლა უფრო მეტი შეკითხვა გამიჩნდა და ტონგის მიმართ. როგორ შეიძლება ციხე იყოს მშვენიერი? რა იყო იქ ისეთი, რომლის გახსენებამაც მის სახეზე ასეთი ღიმილი მოიტანა? ის სიხარულით მპასუხობდა. ციხე მშვენიერი იყო იმიტომ, რომ ღმერთი იყო მასთან იქ! და ტონგმა გვითხრა, რა უშუალო, რა განსაკუთრებული იყო მისი ურთიერთობა იესოსთან ციხეში ყოფნის დროს. ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, თითქოს, მან (ქრისტემ) დამატებითი ყურადღება დაუთმო მას იმ დროის განმავლობაში და მისი გულიც გამთბარი იყო ყოველდღიურად მისი განსაკუთრებული მყოფადობისა და მასთან შეხების გამო. ის იმდენად დიდ სიახლოვეს გრძნობდა სამყაროს შემოქმედთან ციხეში, რომ მისთვის ძნელია, სხვანაირად დაახასიათოს ის დრო, თუ არა როგორც მშვენიერი.

და ეს მხოლოდ ქრისტეს არსებობა არ იყო; მან საშუალება მისცა და ტონგს, რომ ემსახურა ციხეში. მას ჰქონდა შესაძლებლობა, რომ მის

საკანში მყოფი რამდენიმე პატიმარი ქრისტესთან ურთიერთობაში შეეყვანა. და რა უნდა იყოს იმაზე მშვენიერი, როდესაც ხედავ ადამიანს, რომელიც დაუსხლტა ჯოჯოხეთის კლანჭებს და შევიდა იესო ქრისტეს საუკუნო სამეფოში? ჰო, რა თქმა უნდა. ეს მართლაც, მშვენიერი დრო იყო.

და ტონგი, ნამდვილად, არ აპირებდა რაიმე ეთქვა ციხეში არსებულ ყოფით გარემოებებზე; ის მთავარ ყურადღებას სულიერი გარემოებებისაკენ მიმართავდა და მისთვის ხსენებული გარემოებები, მართლაც, მშვენიერი იყო!

და ტონგთან საუბარმა შემცვალა მე. მან საფუძვლიანად შეცვალა ჩემი აზრები. იმ საუბრამდე, ჩემი მსოფლმხედველობა ნამდვილად, არ იყო ისეთი, რომ ციხეში შესვლა მშვენიერებად აღმექვა. თქვენც იცით, რომ ციხეში ყოფნა ტანჯვაა, ტანჯვა, რომელიც თავიდან უნდა აირიდო, თუ კი არსებობს ამის შესაძლებლობა, ხომ ასეა? მაგრამ ტონგი არ გაქცევია ამ ტანჯვას და ფაქტია, რომ ახლა, როცა ის იხსენებს იმ დროს, მის სახეს ხსენებული საოცარი ღიმილი ეფინება, ისეთი ღიმილი, თითქოსდა, მან ზეცას შეავლო თვალი.

თუ ციხე ტანჯვა კი არა, არამედ მშვენიერი დროა, რაღა უნდა მინდოდეს? რა შეიძლება იყოს იმაზე მშვენიერი, რაც ჩვენი მოსიყვარულე მხსნელის მიერ გვაქვს მოცემული? შეიძლება სნეულება იყოს მშვენიერი? შეიძლება უმუშევრობა იყოს მშვენიერი? შეიძლება ფინანსური დანაკარგი იყოს მშვენიერი? რა, თუ ამგვარი რაღაცები ქრისტეს უშუალო სიახლოვეს აგრძნობინებს ადამიანს ახალი და ძლიერი სახით? რა, თუ ამგვარი რაღაცები მიგვმართავენ ჩვენ, რომ უფრო ღრმად შევიცნოთ იესო და საკუთარი თავი უფრო მეტად მივუძღვნათ მას? რა, თუ ამგვარი რაღაცები მსახურების კარს ახლებურად ხსნის და საშუალებას გვაძლევს სახარებით მივწვდეთ ადამიანებს, რომელთაც სხვანაირად ვერასოდეს შევხვდებოდით? რა შეიძლება იყოს იმაზე მშვენიერი, რაც გამოყენებულია ღვთის მიერ?

მთარგმნელს არ შეშლია არც შეკითხვა და არც პასუხი, თუმცა და ტონგმა „შეშალა“ ჩემი გონება იმ დღეს. მან შეცვალა ის გზა, რა გზითაც მე ვფიქრობდი ციხისა და ტანჯვის შესახებ. მან ამიხილა თვალები, რათა

დამენახა ის, რომ თვით ყველაზე „უარესი“ ადგილებიც კი დედამიწაზე, შეიძლება, იყოს კურთხევისა და ღვთის მყოფადობის ადგილები. ისინი, მართლაც, შეიძლება იყოს მშვენიერი.

ფიქრისთვის

არის ახლა თქვენს ცხოვრებაში ისეთი სიტუაცია, რომელსაც არ ელოდით? არის ის ორი ან სამი (ამ მეტი) მილით დაშორებული იმისაგან, რაზეც თქვენ ფიქრობთ, რომ არის მშვენიერი? არის შესაძლებელი, რომ ამ გარემოებისკენ ღმერთმა მიგმართათ? არის შესაძლებელი, რომ ამ სიტუაციაში, თქვენ შეიძლება განიცადოთ, გაიაზროთ ღმერთი ახალი და განსაკუთრებული გზით? ან იქნებ, ის გაყენებთ თქვენ იქ, სადაც შესაძლოა, დაუკავშირდეთ ვინმეს, ვისაც სხვანაირად ვერასოდეს შეხვდებოდით–ვინმეს, ვინც ჯერაც არ იცის იმ სიყვარულის შესახებ, რომელიც იესოს აქვს მასთან მიმართებით. გსურთ, რომ ეს სიტუაცია–რომელში მოხვედრაც შეიძლება არასოდეს გსურდათ ან რომელში აღმოჩენასაც არ მოელოდით–აღიქვათ, როგორც მშვენიერი? თქვენი დღიურისთვის, დაწერეთ იმ გარემოებების შესახებ, რომელ გარემოებებშიც ხედავთ ღვთის მოქმედებებს.

ლოცვა

უფალო ღმერთო, მადლობა შენ იმისათვის, რომ თვით ციხის საკანიც კი შეიძლება იყოს მშვენიერი. მე ჩემი მდგომარეობა _____ _____. მომაქვს შენ წინაშე. შენი სიტყვა მეუბნება, რომ „[ვიხარო] უფალში მარადის“ (ფლპ. 4:4), ასე რომ, აი, ახლა, მე ვირჩევ, ვიხარო ჩემი გარემოებების მიუხედავად. მე გთხოვ, რომ და ტონგის მსგავსად, შევძლო ვიგრძნო განსაკუთრებული სიახლოვე იესოსთან, ისეთ გარემოებებშიც კი, რომლებშიც არ მსურს ან არ ვგეგმავდი მათში მოხვედრას. გთხოვ, მომცე სულიერი თვალები, რათა დავინახო ჩემ ირგვლივ მყოფთა გასაჭირი, მომცე ნებელობა ვილაპარაკო შენზე და შენს სიყვარულზე მათთან მიმართებით, ვისაც შევხვდები. ამინ.

თქვენი დღიურისთვის

ჩემი დღიურიდან

ჩვენ დიდი გასაჭირით ვახერხებთ, ვაიძულოთ ამ ძვირფას ადამიანებს ისაუბრონ იმ მნელბედობის შესახებ, რომელსაც ისინი შეეჯახნენ. ისინი საერთოდ არ ფიქრობენ ამაზე! თითქოსდა, კბილის ამოღებას ჰგავს, რომ აიძულო ისინი მოუვნენ დაჰატიმრების, ან ციხეში გატარებული დროის შესახებ.

დღე 17

„მას ახლა უფრო მეტად უყვარს ღმერთი“

მაშინ აივსო სიცილით ჩვენი ბაგეები და ჩვენი ენა – გალობით; მაშინ ამბობდნენ ერებს შორის: დიადი საქმე მოიმოქმედა უფალმა მათთვის. დიადი საქმე მოიმოქმედა უფალმა ჩვენთვის, გავმხიარულდით.

ფსალმუნი, 125:2-3

.....

პრაღა, ჩეხეთის რესპუბლიკა, 2017

ერთია, წახვიდე და შეხვდე ვინმეს, ვინც გადაიტანა დევნა და სრულიად სხვა რამეა, როცა მიდიხარ იმ ადამიანთან შესახვედრად, ვისაც უკვე კარგად იცნობ, ზუსტად იმ დროს, როდესაც მან ეს ესაა გამოიარა ინტენსიური დევნა. ეს არის ის, რაც ამ მოგზაურობას უცვლის სახეს. გარკვეულწილად, ამ დროს კითხვები უფრო მეტია, ვიდრე VOM-ის ჩვეულებრივი მოგზაურობის დროს. მე უნდა წავსულიყავი პეტრ ჯასეკთან სასაუბროდ, რომელიც მხოლოდ რვა დღის წინ გაათავისუფლეს სუდანის ციხეში თოთხმეტთვიანი პატიმრობიდან. იგი გაასამართლეს როგორც ჯაშუში და მიუსაჯეს ციხეში ყოფნა მთელი სიცოცხლის განმავლობაში– რაც სუდანის კანონით ნიშნავს 20 წელს–რასაც დაემატებოდა კიდევ ოთხი

წელი. მადლობა ღმერთს, ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობა ჩაერია საქმეში და ის ახლა თავის სახლშია.

მე არ მივდიოდი პეტრთან უბრალოდ შესახვედრად. ჩვენ თანამშრომლები ვიყავით წლების განმავლობაში და ერთად ვმოგზაურობდით ისეთ ქვეყნებში, რომლებშიც ხალხს დევნიდნენ. ის ნამყოფი იყო ჩვენთან, ოჯახში, ასევე, ჩემი ოჯახიც იყო ნამყოფი მასთან სახლში, თუმცა ეს იყო მანამდე, სანამ ის თოთხმეტ თვეს გაატარებდა ციხეში. ამ დროს ემატებოდა ის დროც, რომელიც მან ISIS -ის (ისლამური სახელმწიფო) მებრძოლებთან ერთად გაატარა, რომლებიც ასევე, დაპატიმრებულები იყვნენ სუდანში. ვინ იცის, რამდენად განსხვავებული იქნება პეტრი, რომელსაც შევხვდებით პრაღაში, იმ ძველი პეტრისგან? ჩვენ კონსულტაცია გავიარეთ ექსპერტებთან იმის შესახებ, თუ რა შეიძლება ყოფილიყო და როგორ უნდა დავხმარებოდით პეტრს იმის გადალახვაში, რაც დარჩა გადატანილი ტანჯვის შემდეგ. რა, თუ მან გაუძლო წამებას? რა, თუ მისი გონება ან სხეული დაზიანდა? რა შეიძლება დასჭირვებოდა მას ჩვენგან? რა დროის განმავლობაში შეიძლებოდა ეტარებინა მას ამ ხანგრძლივი პატიმრობისაგან მიღებული ზიანი?

ჩემი თვითმფრინავი პრაღაში შუადღის შემდეგ ჩაფრინდა. ჩვენ პეტრს და მის ოჯახს უნდა შევხვედროდით ვახშამზე. სწრაფად გადავივლე წყალი და ჩავედი სასტუმროს ჰოლში დანიშნულ დროს. პეტრი იქ იყო, შეთხელებული, მაგრამ ფართოდ მომღიმარი. რა დიდი პატივია, გადაეხვიო მას და მიულოცო სახლში დაბრუნება, უთხრა როგორ ვლოცულობდით მისთვის ჩვენ და მრავალი სხვა ადამიანი.

ჩვენ მომდევნო ოთხი დღის განმავლობაში მრავალი საათი გავატარეთ ერთად, სანამ პეტრი მოყვებოდა თავის ისტორიას დასაწყისიდან დასასრულამდე. მან დაიწყო იმ მომენტიდან, როცა წავიდა აეროპორტში, რომ გაფრენილიყო სუდანიდან. მას შემდეგ, რაც მიიღო თავისი, თვითმფრინავში ასასვლელი ბილეთი, უსაფრთხოების ორმა ოფიცერმა დაადო მას მხარზე ხელი.... და დაასრულა იმ დღით, როცა იჯდა გარეთ, კითხულობდა ფსალმუნებს და კობერის ციხის მცველი მივიდა მასთან და უთხრა: „პეტრ, შენ თავისუფალი ხარ.“

ბევრი საოცარი რამ იყო პეტრის ისტორიაში: როდესაც ის თითქმის „დაახრჩვეს“ (წყლით წამების მეთოდი) ისლამური სახელმწიფოს

მებრძოლებმა, მასთან ერთად, რომ ისხდნენ საკანში, როდესაც ერთკაციან საკანში მოათავსეს და რაც მან დიდ შვებად მიიჩნია, როდესაც შესაძლებლობა ჰქონდა ტელეფონით რეგულარულად ესაუბრა თავის ოჯახთან ციხიდან.

მისი ისტორიის ის ნაწილი, რომელიც მე ყველაზე საოცრად მივიჩნიე, იყო ის გზა, რა გზითაც ღმერთმა მოამზადა პეტრი. მართლაც, ცხოვრებამ პეტრი მოამზადა ამისათვის. ეს დაიწყო დევნილი ხუცესის ოჯახით, რომელ ოჯახშიც იზრდებოდა კომუნისტური მმართველობის დროს. შემდეგ, მოგზაურობები მსოფლიოს ქვეყნებში, რათა შეხვედროდა და გასაუბრებოდა დევნილ ქრისტიანებს. პეტრის მიერ იმის შემეცნება, თუ რას ნიშნავს დევნა, იყო ხანგრძლივი და ინტენსიური, თუმცა ამაზე უფრო მეტად, ღმერთმა ის უნიკალური გზითაც მოამზადა. ეს იყო სიზმარი.

ორი წლით ადრე პეტრის სუდანში მოგზაურობამდე, მან ნახა სიზმარი. სიზმარი, რომელშიც ცხადად დაინახა საკუთარი თავი ციხის საკანში. ასევე, ცხადად დაინახა ის, რომ საკნის კარი დაიხურა და გაიგონა კარის დახურვის ხმა. ამავე სიზმრის დროს მიხვდა იმასაც, რომ ეს არ იქნებოდა მოკლევადიანი ყოფნა ციხეში. სიზმარი იმდენად რეალური ჩანდა, იმდენად საფუძვლიანი, რომ პეტრი შეწუხებული გამოიყურებოდა და როცა ის მეორე დილით ეკლესიაში მივიდა, მისი სახის დანახვისას მეგობარმა ჰკითხა: „პეტრ, რა მოხდა?“ ამ სიზმრიდან ორი წლის შემდეგ, ერთ ღამესაც, პეტრი დააპატიმრეს სუდანში. მისი დაკითხვა გრძელდებოდა 24 საათის განმავლობაში, სანამ ბოლოს არ გადაიყვანეს ეროვნული დაზვერვისა და უსაფრთხოების სამსახურის სათაო ოფისის საკანში. საკანი განკუთვნილი იყო ერთი პატიმრისთვის, მაგრამ შიგნით უკვე ისხდა ექვსი პატიმარი: ერთი საწოლზე, ხუთნი იატაკზე. იატაკზე მსხდომებმა დაიწყეს მიწევ-მოწევა, რათა პეტრისთვისაც გაეთავისუფლებინათ ადგილი.

ციხის ერთ-ერთმა მცველმა მიაცილა პეტრი საკნამდე, შეიყვანა შიგნით და როდესაც ის მოტრიალდა, რათა ენახა როგორ იხურებოდა კარი და როგორ რჩებოდა ის შიგნით, მყისვე გაახსენდა თავისი სიზმარი. ეს ზუსტად ის კარი იყო, რომელიც ნახა სიზმარში. იგივე ფერის, იგივე პატარა ფანჯარა კარის შუაში. დახურვის ხმაც ისეთივე იყო, როგორიც გაიგონა სიზმარში. პეტრი მიხვდა, რომ ღმერთი ამზადებდა მას ამ საკნისთვის, ჯერ კიდევ ორი წლის წინ. ეს ერთ-ერთი საოცარი მომენტთაგანი იყო

პეტრის ისტორიაში. მე ჯერაც ვცახცახებ იმის წარმოდგენაზე, რომ სუდანის ციხეში გატარებული თოთხმეტი თვის განმავლობაში, პეტრი გადაურჩა მალარიას. მე მხოლოდ ექვსი დღე ვიყავი სუდანში და სახლში ამ საძაგელ სნეულებასთან ერთად დავბრუნდი!

პეტრმა მიამბო იმ დღეზე, როცა ციხეში ყოფნისას ოთხი თვის შემდეგ, მან იმავე საკანში მყოფი რამდენიმე პატიმარი მიიყვანა ქრისტესთან. მანამდე ის იმედგაცრუებული და გამწარებული იყო, ეკითხებოდა ღმერთს რამდენ ხანს უნდა დარჩენილიყო ციხეში, მაგრამ ამ დღის შემდეგ და იმის შემდეგ, რაც მოხდა, როცა დაინახა, რომ ღმერთმა მისცა შესაძლებლობა, ზეგავლენა ჰქონოდა ციხის ცხოვრებაზე, მისი დამოკიდებულება სრულიად შეიცვალა. მისი ლოცვა, რომელიც ასეთი იყო „კიდევ რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს აქ ყოფნა?“ შეიცვალა და ასეთი სახე მიიღო: „რამდენ ხანსაც გსურს რომ ვიყო აქ და რამდენ ხანსაც მომცემ აქ მსახურების შესაძლებლობას, დავრჩები.“

ის მომიყვა, რამდენად იყო მოწყურებული ღვთის სიტყვას, როცა ბოლოს და ბოლოს მისცეს უფლება ბიბლია ჰქონოდა ციხეში. ერთადერთი ადგილი, სადაც ექნებოდა საკმარისი შუქი წიგნის წასაკითხად, იყო საკნის ფანჯრის წინ დგომა, ამიტომაც იდგა დილიდან სადილამდე და მოწყურებული კითხულობდა წერილს. მან სამ კვირაში წაიკითხა მთელი ბიბლია!

მსახურებამ, რომლის საშუალებაც ღმერთმა მისცა პეტრს, ზრდა დაიწყო ამ ადგილიდან. ის გადაიყვანეს სხვა ციხეში, სადაც არსებობდა ციხის სამლოცველო და მას ჰქონდა შესაძლებლობა ასეულობით პატიმრისთვის ექადაგა იქ. და ის მზად იყო ამისათვის, ვინაიდან, ღვთის სიტყვის შესწავლაში გატარებულმა საათებმა მას შესაძლებლობა მისცა ბევრ სხვადასხვა საკითხზე ექადაგა.

პრაღაში ჩვენი ყოფნის ბოლოს, მე გაოცებული ვიყავი იმით, თუ როგორ მოამზადა ღმერთმა პეტრი, მისი მეუღლე და ბავშვები, ამ მკაცრი გამოცდისთვის, გააძლებინა და უწინამძღოლა მას, რომ დაეძლია ეს.

როდესაც სახლში დავბრუნდი, შარლოტამ მკითხა პეტრის შესახებ, როგორ იყო და როგორ გრძნობდა თავს. ოთხი თვის განმავლობაში, ჩვენ ერთად ვლოცულობდით მისთვის და ორივე ჩვენგანი ვფიქრობდით იმის შესახებ, რა ტანჯვა გადაიტანა მან და რა კვალი შეეძლო დაეტოვებინა

ამ ტანჯვას მასზე. „გაოცებული ვარ,“ ვუთხარი ცოლს. „პეტრი ისეთივეა, თუმცა ახლა უფრო მეტად უყვარს ღმერთი.“.

ფიქრისთვის

პეტრმა მიამბო იმის შესახებ, თუ როგორ შეცვალა ღვთის ხალხის მიერ აღვლენილმა ლოცვებმა მისი ცხოვრება ციხეში. „ყოველთვის მიკვირდა შემდეგი რამ,“ მითხრა მან, „როგორც კი ბინდი ჩამოწვებოდა ციხის ირგვლივ და მე წესისამებრ უნდა დავწოლილიყავი ცხრაზე, მაშინვე მეძინებოდა.“ სახლში რომ ჩამოვიდა, აღმოაჩინა, რომ მისი ეკლესიის მორწმუნეებმა დადეს პირობა, რომ ყოველ საღამოს რვაზე, ისინი შეწყვეტდნენ ყოველგვარ საქმიანობას და ილოცებდნენ პეტრისთვის; მისი უსაფრთხოებისთვის, მისი მხნეობისთვის და მისი ჯანმრთელობისთვის. მოულოდნელად, პეტრი მიხვდა თავისი მშვიდი ძილის მიზეზს: რვა საათი ჩეხეთის რესპუბლიკაში, სუდანში ცხრა საათია. მისი უნარი, დაეძინა ყოველ საღამოს, დადგენილ დროს–მიუხედავად იმისა, რა ხდებოდა მის ირგვლივ–იყო პირდაპირი შედეგი იმ ადამიანების ლოცვებისა, რომლებიც ზუსტად იმ დროს ლოცულობდნენ მისთვის! თქვენც აიღეთ ვალდებულება ყოველ დღეს ისეთი ქრისტიანებისთვის, როგორიც პეტრია, რომელიც ციხეში იყო თავისი ქრისტიანული რწმენისთვის. თქვენ შეგიძლიათ იპოვოთ მათი სახელები და ისტორიები (და მისწეროთ მათ წერილები) www.PrisonerAlert.com. ვებ-გვერდზე. შეიძლება, ზარი დააყენოთ ტელეფონზე, ან მოათავსოთ მათი სურათები თქვენი ბიბლიის გვერდებზე, ან მაცივრის კარზე, თუმცა აკეთეთ ეს ყოველდღიურად და გახსოვდეთ პეტრის მონაყოლიდან, რამდენად ეხმარება ასეთი ლოცვა საპყრობილეში მყოფს.

ლოცვა

უფალო, დამეხმარე, რომ არასოდეს დავამცრო ლოცვის ძალა ჩემს ცხოვრებაში, ან იმ ადამიანების ცხოვრებაში, რომელთათვისაც ვლოცულობ. მადლობა იმისათვის, რომ მოგვამზადე და რომ გვაძლევ ძალას ცხოვრებისეული დაბრკოლებების გადასალახად.

დამეხმარე, გაბედულად ვიარო წინ და მქონდეს შენი იმედი. და დაე, იმ სირთულეებმა, რომელთა წინაშეც დავდგები, პეტრის მსგავსად, უფრო მეტად მიმმართოს შენი სიყვარულისკენ.

თქვენი დღიურისთვის

ჩემი დღიურიდან

მე მქონდა საუბრები ჰეტრის გათავისუფლებამდე იმის შესახებ, თუ როგორი გამოვიდოდა ის ციხიდან თოთხმეტ თვიანი ჰატიმრობის შემდეგ. როგორ გავლენას იქონიებდა ეს მასზე? რა ზიანი შეიძლება მისდგომოდა მის სხეულს ან გონებას და რაც შესაძლოა, თვალსაჩინო გამხდარიყო ციხის უმძიმესი ჰირობების შემდეგ? ბედნიერი ვარ ვთქვა, რომ არანაირი „ზიანი“ არ მისდგომია ჰეტრს. იგივე ჰეტრია... თუმცა მას ახლა უფრო მეტად უყვარს ღმერთი, ვიდრე მანამდე! საოცარი იყო მასთან გატარებული დრო.

მოსმენისთვის

თქვენ შეგიძლიათ მოისმინოთ პრაღაში ჩაწერილი ჩემი საუბრები პეტრთან, www.VOMRadio.net/Petr. ვებ-გვერდზე.

ილოცეთ დევნილი ქრისტიანებისათვის

ერთი რამ, რაზეც უნდა ვილოცოთ არის ის, რომ ჩვენი დევნილი ოჯახის წევრებს, ღმერთმა თავისი სულის მეშვეობით გააგებინოს, რომ ჩვენ ვლოცულობთ მათთვის.

ჰეტრმა აღმოაჩინა, მას შემდეგ, რაც დაბრუნდა სახლში სუდანიდან, რომ ადამიანები ლოცულობდნენ მისთვის ეოველ საღამოს.

იმ დროს, როდესაც ის დასაძინებლად წვებოდა, თუმცა ჩვენ ასევე, გვსმენია იმის შესახებაც, როგორ ჰასუხობს ღმერთი ლოცვებს უფრო მეისიერად. ამის შესახებ მე ვკითხე გრაცია ბურნჰემს, მისიონერსა და ეოფილ ტეველ, ფილიპინებზე, იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც ლოცულობდნენ მისთვის და მისი მეუღლე, მარტინისთვის, როდესაც ისინი დატეეეებული ჰეაედათ რადიკალ მუსლიმებს.

მან თქვა შემდეგი: სხვადასხვა დროს, ჩვენი ტეველობის გრძელი თვეების განმავლობაში, მარტინი შემომხედავდა ხოლმე და მეტეოდა: „ვიღაც ლოცულობს ჩვენთვის, აი, ახლა.“ სხვა დროს, თავად ეუბნებოდა ასეთ სიტეველს ქმარს. როგორღაც, მათ იცოდნენ ამის შესახებ!

ილოცეთ დღეს ილოცეთ დღეს, რომ ქრისტიანებმა, რომლებიც განიცდიან დევნას, იცოდნენ—თუნდაც იმ მომენტებში, როდესაც ლოცულობთ!—რომ ისინი არ არიან დავიწყებულნი და რომ მათთვის ლოცულობენ სწორედ ახლა, ამ მომენტში.

დღე 18

ღვთის გეგმით გამოწვეული სიცარული

იყო უფლის სიტყვა თქმული იონასადმი, ამითაის ძისადმი: „ადექი და წადი ნინევეში, დიდ ქალაქში, და აუწყე, რომ უფალი ხედავს მათ ბოროტებას.“ თუმცა იონა ადგა, რომ უფალს თარშიშში გაქცეოდა. იგი იაფოში ჩავიდა, თარშიშისაკენ მიმავალი ხომალდი მონახა, საფასური გადაიხადა და შიგნით ჩაჯდა, რათა თარშიშში წასულიყო და უფალს გასცლოდა.

იონა, 1:1-3

.....

იორდანია, 2016

ხუცესი აქილი უძღვება ევანგელურ ეკლესიას იორდანეში. ეს ქვეყანა, შუა აღმოსავლეთის უმეტესი ქვეყნების მსგავსად, თითქმის 100 პროცენტით მუსულმანურია. აქილის ეკლესია არ არის არალეგალური, მაგრამ, რასაკვირველია, არ არის პოპულარული. მუქარა და ზეწოლა მათ

მუშაობასთან დაკავშირებით–განსაკუთრებით, მუსლიმების მოქცევის გამო–არ არის იშვიათი.

ცხელი სამოქალაქო ომის შემდეგ, რომელიც გაჩაღდა მეზობელ სირიაში, რაც ამ ერს შიგნიდან ანგრევდა, ათი ათასობით ლტოლვილი გადავიდა აქილის მშობლიურ იორდანიაში. აქილმა იცოდა მათი ჩამოსვლის შესახებ და ისიც იცოდა, რა დიდ სიძნელეებთან უწევდათ მათ გამკლავება და რა რთული იყო მათთვის თავის გატანა მის ქვეყანაში, მაგრამ აქილი უკვე ეწეოდა მსახურებას: იგი წინამძღოლობდა ეკლესიას. უკვე გამოცდილი ჰქონდა ზეწოლა და დევნა.

შემდეგ დონორმა მოუხმო ეკლესიას და შესთავაზა სახსრები იმისათვის, რომ ისინი დახმარებოდნენ აქილს და ასევე, დახმარებოდნენ სირიელ ლტოლვილებს. აქილმა თავაზიანად უთხრა დონორს: „არა, დიდი მადლობა.“ საქმეები ისედაც ბლომად ჰქონდა. არ აპირებდა ახალი მსახურების დაწყებას, არც იმას, რომ თავისი ყოველკვირეული კალენდარი სხვანაირად დაეტვირთა, თუმცა გრძნობდა, ძალიან მკაფიოდ, ღმერთის ხმას, რომ არ უნდა დაეხურა თავისი გული ლტოლვილებთან მიმართებით, იმ მსახურებისთვის, რომლის დაწყება შეიძლებოდა მათ შორის. უძილოდ გატარებული ღამის შემდეგ, როდესაც ის ღმერთს „ეკამათებოდა,“ აქილი კვლავ შეხვდა დონორს. ჰო, თქვა მან, ჩავერთვები ლტოლვილებს შორის დახმარების განაწილების საქმეში, თუ დონორის შეთავაზება კვლავაც ძალაშია.

ამგვარად დაიწყო ეს მსახურება. აქილი და მისი ეკლესიის სხვა წევრები შეუდგნენ იმ ადგილებში მოგზაურობას, სადაც ათასობით ლტოლვილი ცხოვრობდა კუსტარულად დადგმულ ქოხებსა და კარვებში, ან იქ, სადაც შესაძლებელი იყო თავის შეფარება. მათ არანაირი საშუალება არ ჰქონდათ იმისათვის, რომ თავადვე მიეხედათ საკუთარი თავისთვის. მათ ბავშვებსაც ამრეზით უყურებდნენ ადგილობრივ სკოლებში.

ლტოლვილები მრავალი განსხვავებული აღმსარებლობის ადამიანები იყვნენ. ზოგნი ნომინალური ქრისტიანები, ზოგნი იეზიდები, ზოგნი შიიტები და ზოგნიც სუნიტები, თუმცა ყველა მათგანი უსასოო მდგომარეობაში იყო. ისინი შორს იყვნენ თავიანთი სახლებიდან.

ჰუმანიტარული დახმარების შეთავაზებასთან ერთად, აქილსა და მისი ეკლესიის სხვა ქრისტიანებს მათთვის უნდა შეეთავაზებინათ

ლოცვაც. ყოველთვის მკაფიოდ უნდა ეთქვათ, რომ ისინი ილოცებდნენ იესოსთვის – ისა ალ მასიფისთვის – და არა ალაჰის ან მუჰამედისთვის. იშვიათად თუ იტყოდა ვინმე უარს ამ ლოცვაზე. ბოლოს და ბოლოს, ლტოლვილები უსასოო მდგომარეობაში იყვნენ, ესაჭიროებოდათ დახმარება; რა დაშავდებოდა, თუ მიმართავდნენ იესოს?

ერთ დღესაც, ისინი იყვნენ ერთი ქალის სახლში, რომელსაც ბავშვიც ჰყავდა. ხუცესმა შესთავაზა მას ლოცვა. დედამ თანხმობა განაცხადა და თქვა, რომ კარგი იქნებოდა მათთვის ლოცვა. მან სპეციფიკურად გაუსვა ხაზი იმას, რომ მის მოზარდ ძეს გულის სნეულება ჰქონდა, რასაც დაბადებიდანვე ებრძოდა. ასე რომ ხუცესმა და სხვა ქრისტიანებმაც ილოცეს მისი ოჯახისთვის ისა ალ მასიფის სახელით, შემდეგ დატოვეს მათი სახლი და განაგრძეს თავიანთი საქმიანობა, დახმარების დარიგება. დღის ბოლოს ისინი დაბრუნდნენ ქალაქში.

რამდენიმე დღის შემდეგ, ხუცესის ტელეფონმა დარეკა. ეს ის დედა იყო, ვინც მიიღო დახმარება და რომლის ვაჟისთვისაც ილოცეს. „მე მჭირდება, რომ დამიწეროთ ის ლოცვა, რა ლოცვაც წარმოთქვით ჩემს შვილზე," უთხრა მან ხუცესს. ხუცესი შეცბა. „კარგი, შემიძლია მისი დაწერა, მაგრამ იქნებ, მითხრათ რატომ გჭირდებათ ეს დაწერილი ლოცვა?" „ჩემს შვილს გულის მანკი ჰქონდა, სნეულება, რომელსაც დაბადებიდანვე ებრძოდა, ახლა გაუარა. ექიმებმა თქვეს, რომ არანაირი ნიშანი იმისა, რომ მას ოდესმე ჰქონდა გულის სნეულება, აღარ არის! ამიტომაც მინდა დამიწეროთ ის ლოცვა, რომელიც წარმოთქვით, რომ ჩემს სხვა შვილებზეც ვილოცო ამავე ლოცვით."

მუსლიმებს ზუსტად ეუბნებიან, თუ რა უნდა უთხრან ალაჰს და როდის უნდა უთხრან. ამ ქალმა დაინახა, რომ იესომ განკურნა მისი ვაჟი, ამიტომაც უნდა ახლა მას მიმართოს, რადგან დაინახა, რომ მან უპასუხა ლოცვას, მაგრამ, ასევე, უნდა დარწმუნებული იყოს, რომ ზუსტად იმავე სიტყვებით მიმართავს მას! აქილმა გულიანად გაიღიმა და მადლობა გადაუხადა უფალს იმის გამო, რომ განკურნა ის ბიჭი. შემდეგ აუხსნა ქალს, რომ არ არის საჭირო განსაკუთრებული სიტყვების წარმოთქმა, სიტყვებისა, რამაც გამოიწვია მისი ძის განკურნება. საქმე იმაშია, თუ ვის მიმართავ შენი თხოვნით. იესო ქრისტე, ძე ღვთისა, არის ის, ვისაც მიმართა მან ლოცვით და ვინც შეისმინა ლოცვა მისი ძისთვის და სწორედ მან განკურნა მისი პატარა ბიჭის გული.

დიდი ფიქრი არ დასჭირდა დედას გადაწყვეტილების მისაღებად, რომ სურს გახდეს ისა ალ მასიფის მიმდევარი, მიმდევარი იმისა, ვინც ისმენს და პასუხობს ჩვენს ლოცვებს.

როდესაც აქილმა მიამბო ეს ამბავი, საკმაოდ დარცხვენილი ჩანდა. ის ხომ ეკამათებოდა ღმერთს, რომ არის ძალიან დაკავებული და ვერ შეძლებს თავის ყოველკვირეულ განრიგს დაუმატოს მსახურება ლტოლვილებისთვის. გარდა ამისა, მის საკუთარ ქვეყანაშიც საკმაოდ იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც სჭირდებოდათ ღმერთი, ამიტომაც ღმერთს შეეძლო ვინმე გაეგზავნა სირიელებს შორის სამუშაოდ, მაგრამ მას შემდეგ, რაც მან მიიღო ეს მსახურება, ის ხედავდა, რომ ღმერთი მოქმედებდა. მუსლიმი ლტოლვილები ხშირად შეცბუნებულები რჩებიან იმის გამო, რომ საკუთარი სარწმუნოების ადამიანები არ ეხმარებიან მათ, ქრისტიანები კი ეხმარებიან. აქილი ხედავდა ღვთის მარჯვენას ამ მსახურებაში. ის ხედავდა, რომ ღმერთი უზრუნველყოფდა საჭიროებებს, ხშირად სასწაულებრივად. ხედავდა, რომ სნეულები იკურნებოდნენ. ხედავდა იმასაც, რომ მუსლიმები–თვით მუსლიმი ლიდერები–ტოვებდნენ ისლამს და ხდებოდნენ იესოს მიმდევრები. ეს ამბები არ არის ისეთი, როგორიც წელიწადში ერთხელ ხდება; ასეთი რამ ყოველკვირეულად ხდებოდა, ადამიანები მიეჩვივნენ ამ ყველაფერს.

ის დრო, როცა ის ლტოლვილებისთვის შრომობდა, იქცა აქილის საყვარელ დროდ კვირის განმავლობაში. ეს ის ადგილი იყო, სადაც ყველაზე კარგად გრძნობდა გაწეული შრომის შედეგს. ეს ის ადგილი იყო, სადაც ჩანდა, რომ ღმერთი მოქმედებს თვალშისაცემად და ხშირად. მსახურებას, რომლისთვისაც ის თავის არიდებას ცდილობდა, ახლა მისთვის მგზნებარება და სიხარული მოაქვს.

ფიქრისთვის

როცა აქილს პირველად მისცეს შესაძლებლობა და ფინანსები, რომ ემუშავა სირიელ ლტოლვილებს შორის, მან შორს დაიჭირა თავი: „არა, დიდი მადლობა.“ ეს შესაძლებლობა არ ერგებოდა მის გეგმებს, მაგრამ ღმერთმა მშვიდად მოამზადა ის დასთანხმებოდა ამ საქმეს და ახლა

მსახურება ამ მიმართულებით იქცა აქილის ყველაზე ნაყოფიერ და კმაყოფილების მომტან საქმედ.

რასაკვირველია, აქილი მარტო არ ყოფილა, მათ შორის, ვინც ამგვარად უპასუხა ღვთის მოწოდებას. იონა პირდაპირი გაგებით გაექცა ღვთის დავალებას, რომელზეც ის ვალდებული იყო. მოსე ამბობდა: „გევედრები, უფალო! სხვა ვინმე მიავლინე“ (გამ. 4:13). ჩვენ არ შეგვიძლია ჰო ვუთხრათ ყველა შესაძლებლობას, რომელიც ვინმეს მოაქვს ჩვენს გზაზე, მაგრამ, როდესაც ღმერთი ცხადად მიგვიძღვის წინ, ჩვენ უნდა ავირჩიოთ მივყვეთ მის ხმას და მოწოდებას.

გახსნა ღმერთმა კარი თქვენთვის, რომელ კარში შესვლაც თქვენ არ მოიწადინეთ? მოგიწოდათ მან იმისათვის, რომ რაღაც გაგეკეთებინათ და თქვენ უპასუხეთ „არა, არ შემიძლია“? იფიქრეთ ამის შესახებ, რატომ თქვით უარი. დაწერეთ ის, რაც გაკავებთ იმისაგან, რომ თქვათ „დიახ.“ იფიქრეთ, იქნება შემოგთავაზათ მან ის მიმართულება, რომელი მიმართულებითაც თქვენ ნახავთ თუ რა ძალუმად მოქმედებს მისი ხელი, მიმართულება, რომელიც ისეთ სიხარულსა და კმაყოფილებას მოგიტანთ, რომელიც გასცდება თქვენს მოლოდინებს.

ლოცვა

მამაო, მაჩვენე ის გზა, რომელზეც გინდა რომ ვიარო. დამეხმარე, რომ გავიგონო შენი ხმა, გავარჩიო შენი ნება და ყოველთვის მქონდეს სურვილი დადებითად ვუპასუხო შენს მოწოდებას. მომეცი, უნარი დავინახო შენი ძალა იმ სფეროებში, რომლებშიც ვიქნები ჩართული და ვიყო შენი წარმომადგენელი ჩემ ირგვლივ მყოფთათვის ყოველგვარ სიტუაციაში.

თქვენი დღიურისათვის

მოგზაურობის შემდგომი ლოცვითი წერილიდან

აქ არის ჩემი მოგზაურობის ზოგიერთი სამახსოვრო მომენტი:

- მოისმინეს რა ლტოლვილების გახსნილობის შესახებ სახარების უწყებისადმი, ქრისტიანებმა, რომლებიც არიგებდნენ დახმარებას, უთხრეს ლტოლვილებს, რომ სურთ ილოცონ მათთვის იესოს სახელით. იშვიათმა ლტოლვილმა განაცხადა, რომ არ უნდოდა ეს. ლოცვის შემდგომ იყო განკურნებები, სასწაულები და ბევრი ადამიანი მივიდა ქრისტესთან.
- ლტოლვილების დახმარება მოიცავს სამედიცინო კლინიკას, სტომატოლოგიურ დახმარებას, სკოლას და პროფესიონალურ წვრთნას. ეოველ კვირა ასეულობით ადამიანის ცხოვრებაზე ჰქონდა ზეგავლენა, რომელთან თანამშრომლობის კურთხევა VOM-საც ჰქონდა.
- ჩვენ მოვინახულეთ სირიელი ლტოლვილი ქალი, რომელიც თავის ორ ბავშვთან ერთად ცხოვრობდა. ეს იყო სულისშემძვრელი მონახულება, ვინაიდან, ეს მუსლიმი ქალი სასოწარკვეთილ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ქმარმა მიატოვა, მისი შვილები ტრამვირებულები იყვნენ იმით, რაც სირიაში ნახეს, თუმცა ის მიესალმა ეკლესიიდან მისულ ადამიანებს, რომლებმაც მას დახმარების ხელი გაუწოდეს. სანამ წავიდოდით ჩვენ ვილოცეთ იმისათვის, რომ მან შეიცნოს ღვთის სიყვარული და რომ ღმერთმა უზრუნველყოს მისი და მისი შვილების საჭიროებები.

დღე 19

ცისის ბიბლია

ამრიგად, ვინც ქრისტეშია, ის ახალი ქმნილებაა. ძველი გადავიდა, აჰა, ყოველივე ახალია.

2 კორინთელთა 5:17

.....

თურქეთი, 2016.

„მამაჩემი ისეთი მაგარი ევანგელისტია, სამარილესაც რომ დაელაპარაკოს, ისიც მოუსმენს!“

ჩვენ ვსხედვართ მაგიდასთან რესტორნის სახურავზე, სტამბოლის ევროპულ ნაწილში, საიდანაც ყოველი მიმართულებით საოცრად ლამაზი ხედი იშლება. თავს თუ მიატრიალებთ თქვენი მზერა აია სოფიადან გადავა ლურჯ მეჩეთზე, შემდეგ კი ბოსფორის სრუტეზე, უფრო შორს, რომელშიც მიდი მოდიან გემები.

ოჯახი, რომელსაც ვხვდებით–მამა, დედა, უფროსი ვაჟი მეუღლით და მოზარდი ქალიშვილი–რამდენიმე თვით ადრე გამოიქცა ირანიდან. მამა, ჰოუმეიოუნი, ნარკოტიკებზე დამოკიდებული კაცი იყო. მისი დამოკიდებულება ძლიერი გახლდათ, ისევე როგორც ძალიან ბევრი სხვა ადამიანისა ქვეყანაში, რომელსაც ამ მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე

მაღალი მაჩვენებელი აქვს მსოფლიოში. უიმედო იყო მისი მდგომარეობა, მაგრამ შემდეგ იესო მივიდა მასთან სიზმარში და როდესაც ჰუმეიიუნმა გაიღვიძა, ეს დამოკიდებულება გაქრა. მას უკვე აღარ ჰქონდა სურვილი ნარკოტიკების მოხმარებისა. ამ სასწაულმა დაარწმუნა ის, რომ იესო არა მხოლოდ წინასწარმეტყველზე მეტი იყო, არამედ სინამდვილეში იყო ძე ღვთისა. ღმერთის ძე, ვინც გველაპარაკება და გვკურნავს ჩვენ! და ვინ არ მოიწადინებს იყოს მისი მიმდევარი?

ნარკოტიკების ყოველდღიური მოხმარების მიტოვების შემდეგ, მისი ჯანმრთელობა მკვეთრად გაუმჯობესდა, თუმცა მისი სულის ცვლილება გაცილებით მნიშვნელოვანი იყო.

თქვენ შეიძლება იფიქროთ, რომ ჰუმეიიუნის ცოლი–როდესაც დაინახა, რომ ქმარმა მიატოვა ნარკოტიკები და ახლა გაცილებით უკეთესად ექცეოდა მას, ვიდრე ადრე–აღტაცებული დარჩა, მაგრამ ასე არ მოხდა. ის ძალიან გაბრაზდა. როგორ შეეძლო მას ასე შეერცხვინა მთელი ოჯახი, რადგან მიატოვა ისლამი და გახდა იესოს მიმდევარი? მისი ოჯახი აქეზებდა, გაყროდა ქმარს, თუმცა ის არ იყო მზად დაენგრია ქორწინება და მიეტოვებინა ქმარი. მან გარკვეული ხნით მიატოვა ჰუმეიიუნი, თუმცა მისი ცხოვრებისა და გულის აშკარა შეცვლამ, ის ნელ-ნელა უკან დააბრუნა. საბოლოოდ, მანაც აირჩია ყოფილიყო იესოს მიმდევარი და მათი სახლი იქცა სახარების შუქურად ირანის ამ ქალაქში. ჰუმეიიუნს გული ერჩოდა და მიუწევდა, რომ მისულიყო სხვა ნარკომანებთან. მან დაიწყო თავისი სურვილის ასრულება და ნახა, რომ სხვებმაც მიიღეს ქრისტე და მიატოვეს ნარკოტიკები. ის ბუნებრივად იყო ევანგელისტი. ყოველი საუბარი, რომელშიც ის ერთვებოდა ბუნებრივად გადადიოდა საუბარზე რწმენის შესახებ, შემდეგ კი იესოზე, რომ ის არის ღმერთი, რომელიც პასუხობს ლოცვებს. (რასაკვირველია, მე არ მჯერა, რომ მან ოდესმე მართლაც, მიმართა სამარილეს!)

ოფიციანტმა ჩაი კიდევ მოიტანა ჩვენს მაგიდასთან და საუბარი დროებით შეწყდა, სანამ ის შეავსებდა ჩვენს ფინჯნებს და შაქრის ნატეხებიც ყველასთან მივიდოდა. მეზობლად მდგარი შენობის სახურავზე თეთრი თოლია იჯდა.

თქვენ შეიძლება იფიქროთ, რომ ნარკოტიკებზე დამოკიდებული ადამიანების დახმარება, რომ ისინი გათავისუფლებულიყვნენ ამ

დამოკიდებულებისგან, მოწონებული იქნებოდა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ. ირანში არა, იმ შემთხვევაშიც არა, თუ ამ საქმეში იესო იქნებოდა ჩართული. პოლიციისა და რელიგიური ხელისუფლების თვალში, ჰუმეიოუნი არ ეხმარებოდა ნარკოდამოკიდებულებს. ის ხელს უწყობდა განდგომილებას, ეს კი დანაშაულია. ის ციხეში გაუშვეს. ციხეში ჰუმეიოუნი ბიბლიის გარეშე იყო, თუმცა მან იპოვა სხვა მორწმუნეები საპატიმროში და მათ სწრაფადვე გადაწყვიტეს, რომ ბიბლია სჭირდებოდათ. საპყრობილეში მყოფმა ყველა ქრისტიანმა იშოვა სუფთა რვეული და თითოეულმა მათგანმა დაწერა ის მუხლები, რომლებიც დაიზეპირეს დაპატიმრებამდე. სამი წლის განმავლობაში, სანამ ჰუმეიოუნი ციხეში იჯდა, ეს რვეული იყო მისი (და სხვების) ბიბლია.

ჰუმეიოუნი არ ყოფილა ერთადერთი, ვინც დაისაჯა თავისი რწმენის გამო. მისი დაპატიმრების შემდეგ, მისი ცოლიც დააპატიმრეს, თითქოსდა, ისიც ჩართული იყო მათი სახლის ეკლესიის საქმიანობაში და სხვა ქალების მიყვანაში ქრისტესთან. მათმა ვაჟმა, ჰეიდარმა, თავისი მეთვრამეტე დაბადების დღე გაატარა ციხეში, ვინაიდან, ისიც ელაპარაკებოდა სხვა ირანელებს იესოს შესახებ, ვინც სრულად განკურნა მამამისი ნარკოტიკებზე დამოკიდებულებისაგან.

როცა ის გაათავისუფლეს ციხიდან, ჰუმეიოუნმა გააგრძელა მსახურება, რომელიც ღმერთმა გადასცა მას, თუმცა ყველაფერი უფრო მეტად გაძნელდა. ხელისუფლები მას ყველგან აკვირდებოდნენ; მისი საქმიანობის გაგრძელება ნიშნავდა სხვა ქრისტიანების სიცოცხლის რისკის ქვეშ დაყენებას.

მიუხედავად სირთულისა, ოჯახმა მიიღო გადაწყვეტილება, დაეტოვებინათ ირანი. ისინი გადავიდნენ თურქეთში, სადაც არ ჰქონდათ სტატუსი და უნდა გაევლოთ ხანგრძლივი საიმიგრაციო პროცედურები, სანამ უფლებას მისცემდნენ კანონიერად ემუშავათ.

ჰუმეიოუნის სახარებისეული საქმიანობა ირანში არ შეჩერებულა მხოლოდ იმიტომ, რომ ის ფიზიკურად არ იმყოფებოდა ქვეყანაში. ყოველ საღამოს ის მიუჯდებოდა ხოლმე თავის კომპიუტერს და ვიდეოზარის მეშვეობით ელაპარაკებოდა ირანში მყოფ ქრისტიანებს, იმოწაფებდა და მოძღვრავდა ეკლესიის წინამძღოლებს,

ამხნევებდა მათ გაეგრძელებინათ თავიანთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მსახურება.

ევანგელისტი არ წყვეტს ხარებას მხოლოდ იმიტომ, რომ ის თავისი მშობლიური ქვეყნის გარეთ იმყოფება. ჰუმეიუნმა სწრაფად დაიწყო თურქული ენის შესწავლა და ასევე, დაიწყო სახარებაზე საუბარი თურქებთან–ეს ხდებოდა პროდუქტების მაღაზიაში, რესტორანში და ყველგან სადაც ხვდებოდა ადამიანებს, – ის ესაუბრებოდა მათ ქრისტეს მიღების საჭიროებაზე. სწორედ ამ ამბების გადმოცემის გამო გაიხუმრა ჰეიდარმა, რომელიც თარგმნიდა თავისი მშობლებისთვის, რომ მამამისს შეუძლია სამარილესაც კი დაუმოწმოს!

„ასე რომ, როგორ ხედავთ თქვენს მომავალს?“ შევეკითხეთ ჩვენ და ველოდით ასეთ პასუხს: რომ ისინი ჩართულები არიან გაერთიანებული ერების ეგიდით მიმდინარე ლტოლვილების პროგრამაში და ელიან თავიანთ შანსს, მოხვდნენ დასავლეთში, თუმცა მათმა პასუხმა გაგვაოცა: მათ იმედი აქვთ, რომ დაბრუნდებიან ირანში. ასეა, მათ უნდათ დაბრუნდნენ იქ, იმ ხალხთან, რომელმაც დააპატიმრა და გაამწარა ისინი, თუმცა ისინი არ მიიჩნევენ, რომ ხალხმა დააპატიმრა ისინი. ამის ნაცვლად, ისინი ხედავენ მილიონობით ირანელს, რომლებიც ისლამისგან არიან შებორკილები და ელიან შეიტყონ, რომ არსებობს მხსნელი, რომელიც მზად არის და სურს მათი გათავისუფლება, განკურნება და დაბრუნება, რომ ამ ხალხმა ურთიერთობა აღადგინოს მასთან. როგორ შეიძლება, რომ ევანგელისტის გული წავიდეს სადმე, როდესაც ამდენი საქმეა ჯერაც გასაკეთებელი?

ფიქრისთვის

როგორ შეგცვალათ იესომ? ძველი, „ქრისტემდე“ ცხოვრების, რომელი თვისებები გაქრა თქვენი ახლანდელი ყოფიდან? როგორ გახდით „ახალი ქმნილება“? არა მხოლოდ მოქცევის შემდეგ. როგორ შეგცვალათ იესომ ბოლო თორმეტი თვის, ან ბოლო სამოცი დღის განმავლობაში? თქვენს რომელ თვისებებს გაშორებთ ის ახლა და რომელს აყალიბებს, რათა უფრო მეტად დაემსგავსოთ მას? თქვენი

დღიურისთვის, დაწერეთ ის, თუ როგორ შეგცვალათ ღმერთმა (მეუღლეს ან ახლო მეგობარს უკეთ შეუძლია დაინახოს ეს, ვიდრე თქვენ). უთხარით ვინმეს ახლახან ამ ცვლილებების შესახებ? ადამიანებს შეუძლიათ გეკამათონ, არ დაუჯერონ თქვენს ლოგიკას, თქვენს მიერ მათთვის წერილის ავტორიტეტის მტკიცებას, ან არ ირწმუნონ მათი დარწმუნების სხვა ინტელექტუალური საშუალებები, მიიღონ ქრისტე, მაგრამ მათთვის ძალიან ძნელია, გეკამათონ თქვენი გამოცდილების, თქვენი ისტორიის, შესახებ. ჰოუმეიოუნი ყვება თავის ამბავს, თუ როგორ იყო ნარკოდამოკიდებული წლების განმავლობაში და შემდეგ როგორ შეხვდა იესოს და როგორ გაუქრა სურვილი ნარკოტიკებისადმი მომენტალურად. ვის შეუძლია იკამათოს ამაზე? და ვის არ უნდა, რომ შეხვდეს იესოს?

სთხოვეთ ღმერთს, მოგცეთ შესაძლებლობა, რათა მოუყვეთ ვინმეს ამ კვირის განმავლობაში, თუ როგორ შეცვალა მან თქვენი ცხოვრება.

ლოცვა

იესო, მადლობა ისეთი გაბედული ევანგელისტებისთვის, როგორიც არის ჰოუმეიოუნი. გთხოვ, დამეხმარე, რათა ვაღიარო ის საოცარი ცვლილებები, რომლებიც მოხდა ჩემს ცხოვრებაში და დამეხმარე, რომ ამ კვირის განმავლობაში მოვუყვე ვინმეს, როგორ შემცვალე და კვლავაც მოქმედებ ჩემს ცხოვრებაში, რათა უფრო მეტად დაგემსგავსო შენ. იზრუნე და დაიცავი ჩემი ძმები და დები ირანში და მრავალი ირანელი გახადე მორწმუნე. ამინ.

თქვენი დღიურისათვის

მოგზაურობის შემდგომი ლოცვითი წერილიდან

ჩემი მოგზაურობა მშვენიერი იყო! ის მოიცავდა დიდ შესაძლებლობებს შევხვედროდი ძმებსა და დებს, რომლებიც ემსახურებიან ქრისტეს რთული მისიების ფრონტზე. მქონდა ასევე, კარგი შესაძლებლობები მენახა ლამაზი ხედები და მსოფლიოში ცნობილი ისტორიული ადგილები.

ერთ-ერთი ასეთი შესაძლებლობა იყო, შეხვედრა ირანიდან ჩამოსულ ოჯახთან; ოჯახში მამამ სამ წელზე მეტი ხანი გაატარა ციხეში, დედამ თითქმის ერთი წელი და თვით მათი ვაჟიც იყო დაპატიმრებული თავისი ქრისტიანული რწმენისთვის და იმისათვის, რომ დაესაჯათ მისი მშობლები (მან თავისი დაბადებიდან მეთვრამეტე წელი „აღნიშნა“ ციხეში). იესომ გამოიხსნა მამა ოცდაათ წლიანი ნარკოდამოკიდებულებისაგან და საპატიმროში იგი ეხმარებოდა ნარკოტიკებზე დამოკიდებულ სხვა პატიმრებსაც და თვით სიკვდილმისჯილ ადამიანებს. მან მითხრა, რომ ციხეში გაიგო, თუ როგორ შეუძლია ღმერთს გამოიყენოს ტანჯვა იმისათვის, რომ კურთხევა მოუტანოს პიროვნებას.

დღე 20

„ჩვენ ყველამ ვიცით“

ქრისტეს გულისათვის მოგემადლათ თქვენ არა მარტო მისი რწმენა, არამედ მისთვის ტანჯვაც.

ფილიპელთა, 1:29

……..

ჩინეთი, 2010

ჩემმა მასპინძელმა ჩინეთში მოაგვარა, რომ შევხვედროდი VOM-ის ბიბლიების გადატანის განყოფილების ერთ-ერთ პარტნიორს. ახლა არ მახსოვს მითხრა თუ არა მისი სახელი, ან გამომრჩა თუ არა ჩაწერა, ასე რომ, თუ ჩემს ჩანაწერებს ჩამომართმევენ, მის სახელს ვერ აღმოაჩენენ. იმისათვის, რომ თხრობა უფრო გასაგები იყოს, მე მას დავარქმევ ბატონ XI-ს და, რა თქმა უნდა, ხვდებით იმასაც, რომ ის არ ყოფილა მაღალი თანამდებობის ოფიციალური პირი.

ერთ-ერთი გზა, რითაც VOM ემსახურება დევნილ ქრისტიანებს მრავალ ადგილზე, არის ბიბლიებით მათი უზრუნველყოფა. ლოცვების შემდეგ, ეს მათი მეორე თხოვნაა. ებრაელთა წერილის ავტორმა თქვა, რომ ღვთის სიტყვა „ცოცხალია და … მოქმედი“ (4:12), და ჩვენს ძმებსა

და დებს, რომლებიც იტანჯებიან ქრისტეს სახელისთვის, სწყურიათ მისადგომი ჰქონდეთ ასეთ სიცოცხლესთან. ჩინეთში, ჩვენი დევნილი ძმებისა და დების მხარდაჭერა ნიშნავს იმას, რომ VOM-მა ბიბლიები მიაწოდოს ქრისტიანებს ქვეყნის ყველა რეგიონში, ყოველგვარი შესაძლო საშუალებით.

ბატონი XI ჩვენთან ღამით მოვიდა. მისთვის ძალიან სახიფათო იქნებოდა, თუ ჩვენ თავად მოვინახულებდით მას. ის წყნარად მოსაუბრე და მშვიდი იყო. მე მაშინვე მივხვდი, რომ ეს ის კაცი არ არის, ვინც ინერვიულებს, ასეთი რამ არ მოხდება. როცა მომიყვა თავისი ისტორია, მივხვდი რატომაც. დევნა, როგორც ჩანს, მათ ოჯახში მემკვიდრეობით გადაეცემა. მისი პაპა იყო სახლის ეკლესიის ხუცესი და მისიონერი ჩინეთის სხვა ნაწილებში, როცა ხელისუფლებაში მოვიდნენ კომუნისტები 1949 წელს. საბოლოო ჯამში XI-ის წინაპარმა ათ წელზე მეტი ხანი გაატარა ციხეში. ბატონი XI დარწმუნდა იმაში, რომ ჩვენ გვესმოდა, რომ პაპამისის პატიმრობის წლები სინამდვილეში არ იყო ბევრი, ვინაიდან, ეკლესიის წინამძღოლებმა იმ დროს ორ ათეულ წელზე მეტი გაატარეს საპატიმროებში. ბატონი XI-ის მამა დიაკვანი იყო ეკლესიაში. ისიც მრავალჯერ დააკავა პოლიციამ. ჩემმა ახალმა მეგობარმა მითხრა, რომ მისი პატარაობისას ავტომობილები დიდი იშვიათობა იყო. ასე რომ, როცა ისინი ხედავდნენ ავტომობილს, რომელიც მათ ქუჩაზე მოდიოდა, ჩვეულებრივ ეს იმას ნიშნავდა, რომ ისინი მოდიოდნენ მამამისის დასაპატიმრებლად. ბატონმა XI-მა ისიც თქვა, რომ როდესაც ხედავდნენ მომავალ მანქანას, მამამისი მშვიდად ეუბნებოდა დედას, ჩაელაგებინა მისთვის დამატებითი სამოსი, თან წასაღებად, იმ შემთხვევისთვის, თუ მისი „ვიზიტი“ პოლიციის განყოფილებაში, გაგრძელდებოდა ციხეში დღეების ან კვირების განმავლობაში. ასეთ სახლში გატარებული წლების გამო, არ იყო გასაკვირი ის, რომ ბატონი XI-ც ჩაერთო სახარების გავრცელების საქმეში. და იმის გამო, რომ კარგად ესმოდა ქრისტეს მსახურების ფასი ჩინეთში, ბატონ XI-ს არც გაკვირვებია და არც დაბნეულა, როდესაც მასაც მოუწია ამ ფასის გადახდა. ფაქტია, ის სარგებელსაც კი ხედავს დევნაში.

„დევნა ცეცხლს ჰგავს,“ მითხრა მან. „მე გამოვიყენებ სიტყვას, როგორიცაა განწმედა. თუ ჩვენ გვინდა სუფთა ოქრო, ის ცეცხლში უნდა

გავატაროთ.“ მან თქვა, რომ ჩინეთში ქრისტიანობა ასე ვთქვათ, „მაგარი რამ“ გახდა. ჩინელები ფიქრობენ, რომ ეს დასავლური რელიგიაა და რომ დასავლური კულტურის ყველა ნაწილი პოპულარულია და მაგარი. „[დევნის] კურთხევა ეკლესიისთვის იმაში მდგომარეობს, რომ როცა დგება ძნელბედობის ჟამი, სერიოზული მორწმუნეები რჩებიან. ასე რომ, მნიშვნელობა არა აქვს რა ხდება.“ დევნა ეკლესიაში სერიოზულ მორწმუნეებს ტოვებს, ისეთ მორწმუნეებს, რომლებიც სერიოზულად არიან განწყობილნი თავიანთი რწმენისთვის–იმდენად სერიოზულად, რომ დაპატიმრების საფრთხეს, ან ფიზიკური ტკივილის საფრთხეს არ შეუძლია, დააკავოს ისინი ღვთის მსახურებაში მონაწილეობის მიღებისგან, ხოლო ისინი, რომლებიც იქ მხოლოდ იმიტომ არიან, რომ ეს „მაგარი რამ“ არის, სწრაფად შორდებიან მას.

ეკლესიები, რომლებიც სავსეა სუფთა, განწმედილი ოქროთი, შეუჩერებელია. ბატონი XI ერთ-ერთი ასეთი მორწმუნეა. მიჰყვება რა თავისი ოჯახის კვალს, ისიც დაკავებულია პოლიციის მიერ ბევრ შემთხვევაში, რამდენჯერმე კი მოიხადა თხუთმეტ დღიანი „ადმინისტრაციული დაკავება.“ მე ვკითხე მას მოეყოლა იმის შესახებ, როდესაც პირველად დააპატიმრეს და პირველი სიტყვა, რომელიც მან გამოიყენა იყო პატივი. „ბოლოს და ბოლოს პაპას ვგავარ!“ მითხრა ბატონმა XI-მა. „საინტერესოა, რომ ციხეში თავისი პატიმრობის ხუთი წელი იმ პროვინციაში (არ არის ნახსენები უსაფრთხოების მიზნით) მოიხადა, სადაც მეც გადამხდა თავგადასავალი და თანაც იმ ადგილთან ძალიან ახლოს, სადაც პაპაჩემი დააპატიმრეს.

„ვფიქრობ, რომ ჩემი ოჯახი პრივილეგიებით არის სავსე. მრავალი წლის წინ, პაპაჩემი იყო აქ და იტანჯებოდა უფლისთვის, დღეს კი მე ვარ აქ. თავს ბედნიერად ვგრძნობ და მამაჩემსაც ჰქონდა ასეთი განცდა. მან თქვა: „მრავალი წლის წინ, მოვედი აქ, რათა წამეყვანა პაპაშენი და დღეს შენ მიმყავხარ აქედან“. თითქოსდა, ამბობდა: „უფალო, მადლობა შენ!’“ მე წამები დამჭირდა იმისათვის, რომ გამეაზრებინა ის, რაც ბატონმა XI-მა თქვა. რამდენი ამერიკელი მშობელი, ჩემი ჩათვლით, იქნებოდა მადლიერი იმისათვის, რომ მათი შვილები დაეპატიმრებინათ და ციხეში ჩაესვათ გარკვეული ხანი? თუმცა ბატონმა XI-მა დამატებით ამიხსნა:

> მე ვფიქრობ, რომ ქრისტიანობა სინამდვილეში, ურთიერთობაა, ღმერთი რეალურია და ჩვენ, ეს ურთიერთობა მასთან გვაქვს. ეს ურთიეთობა არ არის ამ გამონათქვამის მსგავსი: „ძალიან კარგი, ღმერთო, ჩვენ გვჯერა შენი.“ არა, ჩვენ ვენდობით მას და ვიცით იმ დიდი დავალების შესახებ, რომელიც მან მოგვცა. ასე რომ, ჩვენთვის დიდი პატივია, ვიყოთ მისი მსახურები. ვერანაირ მიზეზს ვერ ვხედავ იმისათვის, რომ არ ვიყოთ ბედნიერები. ეს, მართლაც, დიდი კურთხევაა მისგან.
>
> სხვათა შორის, თქვენ შეგიძლიათ გადაარჩინოთ ადამიანები. ვინაიდან, ციხეში არიან ადამიანები, რომლებიც, სინამდვილეში, სასოწარკვეთილები არიან, რადგან სიკვდილი აქვთ მისჯილი და მალე დატოვებენ ამ ქვეყანას. თქვენ გაქვთ შესაძლებლობა სახარება ახაროთ მათ და იხსნათ მათი სულები ჯოჯოხეთისგან. რა არაჩვეულებრივი კურთხევაა და მე პირველად რეალურად განვიცადე ეს სასწაული სწორედ იმ მშვენიერ დროს.

პირველი ვიზიტის შემდეგ ციხეში, ბატონ XI-ს ასეთი დამოკიდებულება ჰქონდა. და დღესაც მან კარგად იცის, რომ ბიბლიის გავრცელების გამო ის შეიძლება კვლავ გამოამწყვდიონ ციხეში სამი ან მეტი წლით. ამის გამო მას ძილი არ უკრთება.

„მე ვფიქრობ, რომ დევნასა და ტანჯვას რეალურად ვერ დავემალებით. თუ თქვენ ნამდვილი ქრისტიანი ხართ, თქვენ დევნილი იქნებით. არა აქვს მნიშვნელობა, ვინაიდან, თუ გსურთ იყოთ ღვთისმოსავი პიროვნება, თქვენ დევნილი იქნებით (იხ. 2 ტიმ. 3:12).

„ჩვენ, ყველამ, ვიცით, თუ ავირჩიეთ ვიშრომოთ უფლისათვის, ხანდახან, თუ ახლა არა, თქვენ, აუცილებლად, იქნებით დევნილი.“

ჩვენ დავასრულეთ საუბარი, გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს და ბატონი XI წავიდა. მისი სხეული სწრაფად გაუჩინარდა სიბნელეში. წავიდა ის თავის ოჯახში, დაუბრუნდა მსახურებას და დარწმუნებული ვარ, დაპატიმრებებს, ციხეში ჯდომასა და დევნას. როდესაც ვუყურებდი მას, როგორ მიდიოდა, გამახსენდა რა მშვიდი და გაბედული იყო და მომინდა მისი მსგავსი ვყოფილიყავი.

ფიქრისთვის

ბატონმა XI-მა ჩვენი ოჯახის სხვა მრავალი წევრის მსგავსად, მტრულად განწყობილ და თავისუფლებაშეზღუდულ ხალხში, უკვე გადაიხადა ქრისტეს მოწაფეობის ფასი. „ჩვენ, ყველამ, ვიცით,“ ამბობს ის, რომ დევნა იქნება. ასე რომ, როდესაც ის მოდის, ეს არ არის სიურპრიზი, რაც ამ გაბედულ ქრისტიანებს უკან დაახევინებს, ან რწმენას შეუსუსტებს. ისინი მომზადებულები იყვნენ მისი მოსვლისთვის და როდესაც მართლაც, უახლოვდებათ დევნა, მათი თვალსაზრისი უკვე ჩამოყალიბებულია: დიდი პატივია, ტანჯვა მიიღო ქრისტეს გამო, ვინც თავად დაიტანჯა ჩვენთვის.

როგორ შეგიძლიათ თქვენ, თქვენს გარემოში (და სავარაუდოდ, თქვენს კომფორტულ ყოფაში), წინასწარ გამოთვალოთ ქრისტეს მოწაფეობის ფასი (იხ. ლუკ. 14:278)? რად ღირს ეს თქვენთვის? ან რა გიღირდათ ეს? რას გასცემდით ნებითა და სიხარულით, იმისათვის, რომ დარჩენილიყავით იესოს მიმდევარი? თქვენი დღიურისთვის, დაწერეთ თქვენი სია–და ისიც, თუ როგორ შეგიძლიათ, თქვენ მიერ გაღებული თითოეული მსხვერპლი პატივად მიიჩნიოთ–ჩათვალოთ იმ გზად, რომელზე სიარულიც საფასურის გადახდასთან არის დაკავშირებული.

ლოცვა

იესო, მინდა, რომ ყველაზე მეტად შენ იყო ჩემს გულში. დამეხმარე, რომ დავთვალო ფასი და მივიღო გადაწყვეტილება, რომ გონებაშიც და გულშიც ღრმად ჩავიბეჭდო, რომ შენ ხარ ყველაფერი, რაც მე მჭირდება და უფრო ფასეული, ვიდრე ოჯახი, მეგობრობა, მატერიალური სიკეთეები, კომფორტი და ყველაფერი, რამაც შეიძლება ჩამომაშოროს შენგან.

თქვენი დღიურისთვის

ჩემი დღიურიდან

სწრაფმავალი მატარებლები, მართლაც, მაგარია. ახლა ამ მატარებლებში ნამდვილი საჰირფარეშოებია, ძველისაგან კვალიც აღარ დარჩა, ისევე როგორც თვითმფრინავში, საჰაერო საცობით და შემწოვი ხმით, თუმცა მას აქვს ქოთანი!

(ავტორის შენიშვნა: ჰო, მე მართლაც დავწერე ჩემს დღიურში საჰირფარეშოების ხარისხის შესახებ!)

მოსმენისთვის

თქვენ შეგიძლიათ მოისმინოთ ჩემი საუბარი „ბატონ XI-სთან“ www.VOMRadio.net/weknow. ვებ-გვერდზე.

ციტატები, რომლებზეც უნდა ვიფიქროთ

ქრისტიანობა არ უარეოფს ტანჯვისა და ბოროტების რეალურობას. გაიხსენეთ, მას მერე, რაც იესო ჩამოვიდა ფერისცვალების მთიდან, მან უთხრა თავის მოწაფეებს, რომ ის ადიოდა იერუსალიმში იმისათვის, რომ მას შეიჰურობდნენ და ჯვარს აცვამდნენ იქ და რომ შემდეგ მკვდრეთით აღსდგებოდა. იესოს ოდნავადაც არ ეჰარებოდა ეჭვი იმაში, რომ ამ გზაზე ტანჯვა ელოდა. მან იცოდა, რომ ტანჯვა საჭიროა, თუმცა ეს ტანჯვა საჭირო იყო გამართლებისთვის. ჩვენი იმედი, ჩვენი მიწვევა საქორწინო ნადიმზე, არ ეფუძნება იმ იდეას, რომ ჩვენ თავი უნდა ავარიდოთ ტკივილსა და ტანჯვას. არა, ეს ეფუძნება იმ რწმენას, რომ ჩვენ დავძლევთ ტანჯვას...

ქრისტიანული იმედი მტკიცე და მშვიდია. მტკიცე და მშვიდია თვით გაზის კამერაში, ტერმინალური სიმსივნის წინაშე. ჩვენ კარგად ვიცით, რომ იეო წითელი ჰარასკევი, და ასევე, კარგად ვიცით, რომ მას აღდგომის კვირა მოსდევს. და რა, თუ მოვკვდებით? იესოც ხომ მოკვდა და თუ იესო მოკვდა ჩვენ გვწამს, რომ ის ახლა ცოცხალია და ჩვენც ვიცოცხლებთ.

ბრენან მანინგი[1]

ეოველიევ სიხარულად ჩათვალეთ, ჩემო ძმებო, როდესაც მრავალგვარ განსაცდელს შეხვდებით, რაკი იცით, რომ თქვენი რწმენის გამოცდა შობს მოთმინებას; მოთმინებას კი უნდა ჰქონდეს სრულმქმნელი მოქმედება, რათა იეოთ სრულეოფილნი, წუნდაუდებელნი და ეოველმხრივ უნაკლონი.

იაკობი 1:2-4

1 ამონარიდები from THE RAGAMUFFIN GOSPEL: GOOD NEWS FOR THE BEDRAGGLED, BEAT-UP, AND BURNT OUT by Brennan Manning, copyright © 1990, 2000, 2005 by Brennan Manning. Used by permission of WaterBrook Multnomah, an imprint of Random House, a division of Penguin Random House LLC. All rights reserved.

დღე 21

ორმაგი წილი – ნაწილი 1

როგორც ქრისტემ მოგიტევათ, ასევე მიუტევეთ თქვენც.
კოლოსელთა 3:13

……..

მალატია, თურქეთი, მაისი 2007

დევნის გარკვეული ისტორიები პერსონალური გახდა ჩემთვის. ეს ასეა VOM-ის თანამშრომლებისთვისაც, თუმცა ის, რაც ჩვეულებისამებრ, პერსონალური ხდება მათთვის, განსხვავდება იმ ამბებისგან, რომლებიც ჩემთვის ხდება ასეთი. ერთ-ერთი ასეთი ამბავი, რომელიც ძალიან შეეხო ჩემს გულს, გახდა სამი ქრისტიანის მოწამეობა ქრისტიანული საგამომცემლო სახლის ოფისში, თურქეთის ქალაქ მალატიაში, 2007 წლის აპრილში. პირველი მედია ცნობები იყო სენსაციური. ადრეული შეტყობინებები გვაუწყებდა, რომ მკვლელებმა მათი სხეულები დაანაწევრეს და ვარაუდობდნენ, რომ მათი ტანჯვა სიკვდილის წინ წარმოუდგენელი და მტანჯველი იყო. მე ამ ინფორმაციას ინტერნეტის საშუალებით გავეცანი და არ ვიცოდი, რომ ღმერთი მომცემდა საშუალებას პირადად შევხვედროდი ამ მორწმუნეების ოჯახებს. მას

შემდეგ, რაც წავიკითხე ეს საშინელი შეტყობინება ჩემს ოფისში, საღამოს სახლში ვახშმის წინ, მე ვკითხულობდი ჩვენს საოჯახო ლოცვას. ეს ლოცვა დაკავშირებული იყო მეფეების წიგნში მოთხრობილ ამბავთან, როცა ელისემ აიღო ელიას ხალენი. ამ ამბის კითხვის დროს ფიქრები თურქეთისკენ გამექცა, იქ მყოფი ჩემი ძმების წარმოუდგენელი ტანჯვის გამო. მაგიდასთან ჯდომისას, როცა ჯერაც არ იყო ალაგებული ჭურჭელი, ცრემლები წამომივიდა. ჩემი ცოლი და შვილები მომაშტერდნენ, ფიქრობდნენ, რა დაემართაო ამ კაცს.

წერილის წაკითხვის შემდეგ, როცა ვლოცულობდით, ფიქრი მომივიდა თავში და გავაგრძელე ლოცვა, რომ იმ ბავშვებმა, რომლებიც უმამოდ დარჩნენ ძალადობის ამ აქტის შემდეგ, თურქეთში მიიღონ–ისევე როგორც ელისემ–თავიანთი მამების სულის ორმაგი წილი, იმ სულისა, რომელმაც შემართება მისცა ამ ადამიანებს, გაეწირათ თავიანთი სიცოცხლე ქრისტესთვის, ვიდრე უარი ეთქვათ მასზე ანდა აერჩიათ ადვილი ცხოვრება და „უსაფრთხო“ გარემო მსახურებისთვის.

იმ ვახშმიდან შვიდი კვირის შემდეგ, მე ვიდექი ზირვეს საგამომცემლო კომპანიის კართან მალატიაში. შენობის გარეთ პოლიციის მანქანა იდგა. მასპინძლებმა მითხრეს, რომ არ იქნებოდა გონივრული საქციელი აქ დიდხანს გაჩერება. ფიქრები მეძალებოდა და მაშფოთებდა, რომ ამ შავი კარის მეორე მხარეს, ჩემს სამ ძმას ყელი გამოჭრეს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ქრისტეს მიმდევრები იყვნენ. ორი მათგანი თურქი იყო; ისინი თანამედროვე თურქული ეკლესიის პირველი მოწამეები გახდნენ. მესამე გერმანელი ქრისტიანი იყო; ის გადავიდა თურქეთში, რომ ემსახურა ადამიანებისთვის და ყოფილიყო სახარების მოწმე იმ კულტურაში.

კაცებმა, რომლებმაც ისინი მოკლეს, თავი წარმოადგინეს, როგორც „მაძიებლებმა,“ რომლებსაც სურდათ მეტი შეეტყოთ ქრისტიანობის შესახებ და იქნებ ქრისტეს მიმდევრებიც კი გამხდარიყვნენ. ზოგიერთი მათგანი მსახურებასაც იყო დასწრებული ეკლესიაში. ხუთივე დააპატიმრეს მკვლელობის ადგილზე; ჯიბეებში უპოვეს ფურცლები, სადაც ეწერა, რომ ისინი იცავდნენ თავიანთ ქვეყანასა და თავიანთ რელიგიას – ისლამს.

„ეს მეორე დღე იყო ოცდაოთხი საათის შემდეგ?“ ვკითხე მე. „მთლად არა,“ მიპასუხა მან. „ერთი წამიც არ მქონია სიბრაზე ან სხვა რამ ჩემს

გულში–არაფერი, საერთოდ არაფერი“. ისეთი გამომეტყველება მქონდა, რომ „ეს არ არის ნორმალური“, ჩემი პატარა გოგონა, ის დახტოდა ირგვლივ და ყვიროდა ამ ცუდი თურქების შესახებ, იმის შესახებ, რომ უნდოდა გერმანიაში დაბრუნება, რომ ცუდია ეს ყოველივე. მე კი ვფიქრობდი, შეხედე, ის მართლაც, გაბრაზებულია. მე კი არ მქონდა სიბრაზე–ვერაფერს ვგრძნობდი. ვფიქრობ, ეს საინტერესო იყო. ფაქტობრივად, მათ სინამდვილეში არ იცოდნენ, რას აკეთებდნენ, [ეს ფიქრი] მომივიდა გონებაში. შემდეგ კი ვიფიქრე, რომ ასეთი მუხლი არის ბიბლიაში, ამიტომაც ვთქვი: „მე შემიძლია მივუტევო მათ, რადგან უფალმა ამდენი მომიტევა მე, ასე რომ, მეც უნდა მივუტევო მათ“.

„და, მართლაც, არაფერია მათ წინააღმდეგ. მე არ შემიძლია ვთქვა, რომ რამე მაქვს მათ წინააღმდეგ. შეიძლება, ის მოვიდეს მწუხარების დროს, ალბათ, მექნება დრო სიბრაზისა და ასეთი რაღაცებისთვის, თუმცა ვფიქრობ, რომ ... შემიძლია მივუტევო მათ ვინაიდან, მათ, მართლაც, არ იცოდნენ, რას აკეთებდნენ. თუ თქვენ მოისმენდით იმას, რაც პოლიციამ თქვა და რაც მათ თქვეს... ასეა, მათ, ნამდვილად, არ იცოდნენ. წარმოდგენა არ ჰქონდათ რას ნიშნავდა ეს, რომ ისინი... ამიტომაც შემიძლია ვთქვა, „ვპატიობ მათ გულით, ვინაიდან, უფალმა მომიტევა მე და...“, „ესე იგი, რეალურად, თითქოსდა, გრძნობდი, რომ ეს პატივი იყო... “, ვთქვი მე. „ეს უფლისგან იყო,“ თქვა სუზანმა. „ასეა, ადამიანს არ შეუძლია ამის გაკეთება თავად. არანაირად.“

ფიქრისთვის

ადამიანს არ შეუძლია ამის გაკეთება თავად. სუზანის ქცევა, ჩემი აზრით, არ იყო ჩვეულებრივი. ქრისტიანების უმრავლესობას, რომლებთანაც მისაუბრია და რომლებიც ინტენსიური დევნის მსხვერპლები გახდნენ, არ შეეძლოთ ასე სწრაფად მიტევება. უმრავლეს შემთხვევებში, ისინი გადიან გარკვეული შინაგანი ბრძოლის პროცესს, როცა ცდილობენ მიუტევონ, ცდილობენ გადაუაროთ იმ სიმწარემ და სიბრაზემ, რომელსაც გრძნობენ ღვთის მიმართ და აძლევენ მას საშუალებას თანდათან მოაცილოს ეს ყოველივე მათგან. ალბათ, ამ

წიგნის მკითხველებსაც ოდესმე მოუწიათ გაევლოთ ასეთი გარემოებები, რამაც ტრამვა მიაყენა მათ. ვიღაცამ გაწყენინათ, ვიღაცამ შეურაცხყოფა მოგაყენათ ან რომელიმე სხვა სახით დაგაყენათ მიტევების აუცილებლობის წინაშე.

ეს ძნელია! ძნელია, გაათავისუფლო ადამიანები ჩადენილ ქმედებებზე პასუხისმგებლობისგან, მხოლოდ იმის გამო, რომ „ ... არ იციან, რას აკეთებენ“ (ლუკა 23:34).–მათ მიერ გამოწვეული ტკივილი და ზიანი ხომ არსებობს? ფაქტია, ეს შეუძლებელია. თქვენ თავად ამის გაკეთება არ შეგიძლიათ. წამიერად მოხდება ეს, როგორც სუზანთან მოხდა, თუ ამას დასჭირდება კვირები, თვეები, ან წლები. თუმცა რისი გაკეთებაც თქვენ არ შეგიძლიათ, ღმერთს შეუძლია და აკეთებს კიდეც ამას. მისი მადლია, რაც გვაძლევს მიტევების უნარს.

თქვენი დღიურისთვის, დაწერეთ თქვენი ცხოვრების იმ სფეროების შესახებ, რომელშიც გჭირდებათ ღმერთი, რომ გააკეთოს თავისი საქმე. დიდი ხანია არსებობს ეს საჭიროება?

ლოცვა

ძვირფასო უფალო, იესო, მადლობა ჩემი ცოდვების პატიებისთვის; ეს არ მომხდარა მსუბუქად და ადვილად, არამედ დიდი ტკივილისა და ტანჯვის ფასად ჯვარზე, როდესაც ჩემი დანაშაული აიღე შენს ღვთაებრივ, უცოდველ, თავზე და გადაიხადე საზღაური ყველა ჩემი ცოდვისათვის.

ღმერთო, როგორც შენ მომიტევე, მე ვირჩევ, რომ მივუტევო ____ _____ ვინც ცუდად მომექცა_____ _____.

უფალო, მე ვირჩევ, რომ მივუტევო იმ პიროვნებას, მაგრამ შენი დახმარება მჭირდება! მომაცილე სიბრაზე, სიმწარე და აღშფოთება, რომელთაც ვგრძნობ. მომეცი ძალა, შენი ზებუნებრივი ძალით, მიყვარდეს ის პიროვნება, ვინც ცუდად მომექცა, რათა ვაჩვენო მას იგივე მიტევება, რაც შენ გამოიჩინე ჩემთან მიმართებით. დამეხმარე დღეს, ხვალ, ზეგ და მომავალშიც, რომ არ დარჩეს ჩემში ეს სიბრაზე და სიმწარე, არამედ ჩემი პატიება იყოს ისეთივე, როგორიც შენ მიბოძე მაგალითად.

თქვენი დღიურისთვის

ჩემი დღიურიდან

ისე ჩანს, რომ ყოველი მომდევნო საერთაშორისო მგზავრობა, ცოტათი უფრო ძნელია, ვიდრე წინა. დღეს შარლოტამ მითხრა, ალბათ, ეს იმიტომ ხდება, რომ მე ვფიქრობ, რომ ჩემი წარმატება ამოწურვის ჰირასაა... მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. მე ვფიქრობ, რომ თითოეული გასული წელი მიტოვებს განცდას, რომ ჩემი სიცოცხლე იწურება და ის დრო, რომელიც უნდა გავატარო სახლში ქემერონთან და კედრიკთან ერთად, სულ უფრო მცირდება.

მოგზაურობა ძნელია, იმიტომ, რომ ძალიან დიდხანს ზიხარ, ფიქრობ და გენატრება სახლი. როდესაც ადგილზე ჩავალ, თვითმფრინავი დაჯდება და ჩავერთვები საქმეში. ეს უკვე აღარ იქნება ასეთი ძნელი, ვინაიდან, ჩემი გონება უკვე დაკავებული იქნება ახალი საქმით.

დღე 22

ორმაგი წილი – ნაწილი 2

მამა ობოლთა და მსაჯული ქვრივთა არის ღმერთი თავის წმიდათა წმიდაში.

ფსალმუნი 67:6

……..

მალატია, თურქეთი, მაისი 2007

ის ლამაზი, ნაზი, გამხდარი იყო და გულგატეხილი. იყო მარტოხელა და ქრისტიანი თურქეთში, ნიშნავს ძალიან რთულ მდგომარეობაში ყოფნას. ეკლესია ძალიან პატარაა ამ ქვეყანაში, სადაც სამოცდაათზე მეტი მილიონი ადამიანი ცხოვრობს და შანსი მარტოხელა ქრისტიანისთვის, იპოვოს საწინააღმდეგო სქესის იდეალური მარტოხელა ქრისტიანი და შეიყვაროს, ძალზედ მცირეა. დაუმატეთ ამას მუსლიმური ოჯახი, რომელიც ღიად მტრულად არის განწყობილი მოქცეულებისადმი და თავადაც მიხვდებით, რომ მათი გზა არ არის ადვილი, მაგრამ ეს ახალგაზრდა ქალი იდგა ამ გზაზე და მან იპოვა ნამდვილი სიყვარული. მხოლოდ სამი თვე რჩებოდა, სანამ ისინი იქორწინებდნენ და ოჯახს შექმნიდნენ, მაგრამ სანამ ეს შესანიშნავი დღე დადგებოდა, მისი საქმრო მოკლეს–ერთ-ერთი

იმ სამიდან, რომლებიც ქრისტიანული საგამომცემლო კომპანიის ოფისში დახოცეს, მალატიაში, თურქეთში. ახლა მე მის წინ, მაგიდის მეორე მხარეს, ვზივარ. შუადღისით, მე მოვინახულე მისი საქმროს საფლავი და ვესაუბრე მის მუსლიმ მშობლებს, რომლებიც ჯერაც შეცბუნებულები და გაბრაზებულები არიან იმის გამო, რომ მათმა ვაჟმა მიატოვა ისლამი და ამის გამო ასე სასტიკად მოკლეს.

ჩვენმა გუნდმა მასთან ერთად ივახშმა, მისი ემოციები ყველაფერში ჩანდა. მან გვაჩვენა თავისი საქმროს, უგურ უოქსელის, ვიდეო თავის ტელეფონში. ის ანცობდა და ცეკვავდა თავის სკამზე. მე არ ვლაპარაკობ თურქულად, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ ვიდეოს გადაღების დროს მისი საქმრო თავს ბედნიერად გრძნობდა. ქალი იცინოდა კიდეც ამ ვიდეოს ყურებისას, მისი თვალები სიყვარულს ასხივებდა, თუმცა ღაწვები ცრემლებით ჰქონდა სველი ამ დანაკარგის გამო. „ის ისეთი კეთილი იყო," გვითხრა მან. საჩინო თვისება მათ კულტურაში. კარგად მექცეოდა, იყო თბილი და მხიარული. ძალიან უყვარდა ღმერთი—მაშინაც კი, როცა ოჯახმა გამოაგდო სახლიდან. მაშინაც კი, როცა დიდი ხნის მეგობრებმა ზურგი შეაქციეს. მას უყვარდა იესო; სურდა ემსახურა მისთვის მთელი თავისი სიცოცხლე და მეც მთხოვა, რომ შევერთებოდი მას ამ მსახურებაში, მაგრამ ის წავიდა. უგური ჯერაც ცოცხალი იყო, როცა პოლიციამ შეამტვრია საგამომცემლო სახლის კარი. წაიყვანეს სასწრაფო დახმარების მანქანით ჰოსპიტალში, მაგრამ მისი ჭრილობები დიდი და ღრმა იყო, ბევრი სისხლი დაკარგა. მისი სიცოცხლის გადარჩენა აქ, დედამიწაზე, არ მოხერხდა, თუმცა მისი სიცოცხლე მარადისობაში, ქრისტესთან ერთად დაიწყო. აქ კი, ეს მწუხარებით აღვსილი ახალგაზრდა ქალი დატოვა, რომლის გატეხილი გული კარგად ჩანდა მის თვალებში, საიდანაც ცრემლები წვეთავდა.

მოგვიანებით, ჩემმა მასპინძელმა ამიხსნა, რომ მკვლელობიდან შვიდი კვირის განმავლობაში, ის ძალიან იტანჯებოდა. მკვლელობამდე—რომლის შესახებაც წერდნენ მთელი თურქეთის გაზეთების პირველ გვერდებზე—ბევრმა არავინ იცოდა, რომ ის ქრისტიანი იყო. თვით მისი საკუთარი ოჯახის ზოგიერთმა წევრმაც არ იცოდა ეს. ახლა, არა მხოლოდ იციან, არამედ მის შესახებ და მისი საცხოვრებლის შესახებაც წერენ ადგილობრივ პრესაში, რაც მას სამიზნედ აქცევს მათთვის, ვინც შეიძლება მოისურვოს „ზეგავლენა" ჰქონდეს მასზე, რომ ის დაუბრუნდეს

ისლამს. შეიძლება, ისეთებიც გამოჩნდნენ, რომლებიც დადებითად გამოეხმაურებიან მისი „უღმერთო“ საქმროს მკვლელობას.

თუმცა მხოლოდ ეს არ ყოფილა მისი ტვირთი. როგორც მე ამიხსნეს, თურქულ კულტურაში მიუღებელია, ასეთ მდგომარეობაში მყოფი ქალის მხრიდან თავისი გლოვის ღიად ჩვენება. თითქოსდა, ეს ზიანს მიაყენებს მის ხასიათს; რატომ ტირი და მოთქვამ ახალგაზრდა კაცის გამო, თუ თქვენი ურთიერთობები ფიზიკურად არ იყო დასრულებული? ასე რომ, ის ყურადღებით უნდა ყოფილიყო და ეფიქრა იმაზე, თუ რამდენად შეეძლო თავისი მწუხარების გამომჟღავნება, თავისი პატარა ქრისტიანული თემის გარეთ. თავის საკუთარ ოჯახშიც კი, მისი სევდის უმეტესი წილი დაფარული უნდა ყოფილიყო და როდესაც მისი მწუხარება თანდათან შემცირდებოდა და ცრემლებიც გაშრებოდა, რა შანსი ექნებოდა მას, რომ იპოვიდა სხვა ქრისტიან ახალგაზრდა კაცს?

ბუნებრივი და ჩვეულებრივია ჩვენთვის, დასავლელი ქრისტიანებისთვის, მითუმეტეს VOM-ის თანამშრომლებისთვის, ჩავერიოთ და დავეხმაროთ ადამიანს, როდესაც მსგავს ტანჯვას ვხედავთ. ჩემმა ტვინმაც სწრაფად დაიწყო „იდეების“ მოძიება, თუ როგორ შეიძლებოდა „გამოგვეხსნა“ უბედურებაში მყოფი ეს გოგონა. იქნებ, შეგვეძლო დავხმარებოდით მას უფრო დიდ ქალაქში გადასულიყო, სადაც ქრისტიანები უფრო მრავლად არიან? ან იქნებ, შეიძლებოდა მისთვის ამერიკელი საქმროს მოძებნა და ამერიკაში გადასვლა, სადაც ის თავისი მდევნელებისგან შორს იქნებოდა?

თუმცა ის არ გამოიყურებოდა ისე, რომ სჭირდებოდა „გამოხსნა“ და ეს არც იყო ის, რაც მე ან ჩემს თანამშრომლებს შეგვეძლო შეგვეთავაზებინა მისთვის. ის, რისი შეთავაზებაც შეგვეძლო, იყო ერთობა. ჩვენ შეგვეძლო შეგვეთავაზებინა მისთვის ვახშამი, შემდეგ კი მასთან ერთად იმ ვიდეოების ყურება, რომლებიც მას ჰქონდა თავის ტელეფონში უგურზე და ღიმილი ხანდახან. შეგვეძლო, შეგვეთავაზებინა მისთვის ცრემლების შესაშრობი, როცა აუწყლიანდებოდა თვალები. შეგვეძლო, მოგვესმინა მისთვის, როდესაც გვიყვებოდა იმ სტრესის შესახებ, რომელიც ძალიან ბევრმა ადამიანმა მიიღო მთელ ქვეყანაში, როდესაც მათ მოულოდნელად შეიტყვეს, რომ მან დატოვა ისლამი და გახდა „უღმერთო“, ანუ იესო ნაზარეველის მიმდევარი. ასევე, შეგვეძლო

მასთან ერთად ლოცვა და მისთვის ლოცვა, რათა დაეძლია ის სტრესი, რომელშიც აღმოჩნდა.

მას შემდეგ, როდესაც მან იმ ღამით დატოვა რესტორანი, სადაც ვისხედით, აღარ მინახავს ეს ახალგაზრდა ქალი. ეს იყო, ცამეტი წლის წინ თურქეთის ცენტრში. გავიგე, რომ მოგვიანებით, ის გათხოვდა, თუმცა მეტი არაფერი ვიცი. იმედი მაქვს, რომ ის სევდა, რომელიც ვიხილე იმ ღამით, გაქრა და მის ადგილზე მოვიდა შემდგომი ცხოვრების ჩვეულებრივი სიხარული. იმედი მაქვს, რომ ის კვლავ ღმერთთან არის და მას მიიჩნევს თავის დამცველად (იხ. ფს. 67:6). რომ ღმერთია ის, ვინც ცდილობს მისთვის საუკეთესოს და რომ აუცილებლად მიხედავს, შეეწევა გასაჭირში და იზრუნებს მასზე.

ფიქრისთვის

ადვილია, მოისურვო იმ ადამიანის „გამოხსნა," ვისაც მწუხარებასა და ტანჯვაში ჩავარდნილს ვხედავთ, მაგრამ ხანდახან უკეთესია, დავმშვიდდეთ და ნაცვლად იმისა, რომ „გამოვიხსნათ", აქტიურად შევეცადოთ მასთან ერთობას. არის თქვენს ირგვლივ ისეთი ადამიანი, რომლის „გამოხსნასაც" ცდილობდით, მაგრამ ამის ნაცვლად, იქნებ ჯობდეს მოუსმინოთ მას, იცინოთ მასთან ერთად, იტიროთ მასთან ერთად და ილოცოთ ერთად? თქვენი დღიურისთვის, ლოცვით გაიაზრეთ, ხომ არ ცდილობთ ვინმეს „გამოხსნას," როდესაც უკეთესია შეეცადოთ მასთან ერთობას. დაწერეთ, თქვენი ლოცვა ამ პიროვნებისთვის, მიანდეთ ის უფალს. შემდეგ, იფიქრეთ იმის შესახებ, თუ როგორ მოახერხებთ მასთან გაერთიანებას.

ლოცვა

უფალო, დამეხმარე, რომ ვიყო შენი სიყვარულის დამამშვიდებელი მალამო, ყოველგვარი ურთიერთობების დროს ადამიანებთან. მომეცი უნარი გავარჩიო, როდის იქნება საჭირო გამოხსნა და როდის იქნება უკეთესი გაერთიანება. დამეხმარე, რომ ვიყო მის გვერდით, მოვუსმინო, ვიხარო თუ ვიტირო მასთან ერთად და ვილოცო იმ

ადამიანებისთვის, რომლებიც გასაჭირში არიან, რომ მათ შენი მადლი და სიბრძნე მიიღონ. ამინ.

თქვენი დღიურისთვის

ჩემი დღიურიდან

ამის შემდეგ, ჩვენ ფაქტობრივად, შევედით შენობაში. გარეთ, კართან, ჰოლიციის მანქანა იდგა, მაგრამ ჩვენ შევედით შიგნით და გადავიღეთ ოფისის კარის ვიდეო—რომელიც კვლავაც დაკეტილია. ცოტა უცნაურია, ჟურნალისტს ჩემში სურდა დოკუმენტურად დაეფიქსირებინა ეს ისტორია... ინდიანა ჯონსს უეცარდა ადრენალინის მიღება, როცა ცხვირწინ გაუვლიდა ხოლმე ჰოლიციის მანქანას, თუმცა ქრისტიანს ჩემში ღრმა მოწიწებას ჰგვრის ის აზრი, რომ ამ კარის მიღმა ჩემი სამი ძმა სიკვდილამდე დატანჯეს, როცა ისინი სთხოვდნენ დანებით შეიარაღებულ ხუთ ბიჭს შეეწუვიტათ ბოროტება, მოენანიებინათ თავიანთი ცოდვები და გაჰყოლოდნენ ქრისტეს.

დღე 23

ორმაგი წილი – ნაწილი 3

> თქვენი სირცხვილის ნაცვლად, ორმაგი სიხარული მოგეზღვებათ და შეურაცხყოფის ნაცვლად – მხიარულება, ამიტომ თავიანთ ქვეყანაში ორმაგ წილს დაიმკვიდრებენ და საუკუნო სიხარული ექნებათ.
>
> ესაია 61:7

.....

სტამბოლი, თურქეთი, 2007

ჩემი ვიზიტის შემდეგ მალატიაში, ცენტრალურ თურქეთში, გავფრინდი უკან, თურქეთის ყველაზე დიდ ქალაქში. სემსე აიდინი, მეორე ქალი, ვინც დაქვრივდა ქრისტიანულ საგამომცემლო სახლზე თავდასხმის შემდეგ, სტამბოლის ახლოს, ნათესავებთან ერთად ცხოვრობდა. გეგმა ასეთი იყო, ჩემი ხუცესი მეგობარი უნდა დამხვედროდა აეროპორტში და ჩვენ ერთად წავიდოდით მასთან გასასაუბრებლად. ის დამხვდა განრიგისამებრ და ჩვენ მანქანით გავწიეთ დანიშნულების ადგილისკენ. მისმა მობილურმა დარეკა და მან უპასუხა. 20 წამის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ხუთი თურქული სიტყვა მოვისმინე, მივხვდი, რომ საქმე ვერ იყო

კარგად. ხუცესს ბევრი არაფერი უთქვამს ინგლისურად, მაგრამ არც სჭირდებოდა იმისათვის, რომ გადმოეცა ჩემთვის ის, რაც ტელეფონით მოისმინა. „მან თქვა, რომ არ მიხვიდეთ. ის თავს დაღლილად გრძნობს.“ გული შემიღონდა. ექვსი ათასი მილი გადმოვლახე იმისათვის, რომ მას შევხვედროდი – ვფიქრობდი გაბრაზებული – განა არ შეუძლია შემხვდეს დღეს და ხვალ დაისვენოს? თუმცა როგორც წესი, ასე არ ვიქცევი ხოლმე, ამიტომაც სწრაფად გადავერთე მადლიერებაზე. ჩემი მოგზაურობა შეიძლება თამამად ითქვას, უკვე იყო წარმატებული. მე ვესაუბრე სუზანს. შევხვდი უგურის საცოლეს და მის მშობლებს. მოვაგროვე საკმარისზე მეტი მასალა VOM-ის ჟურნალის მკითხველისთვის, რადიო მსმენელებისთვის და ყველასთვის, ვინც მოიწადინებდა ჩემს მოსმენას. ჩემმა გულმა სხვანაირად დაიწყო ცემა. თუნდაც ამ ბოლო გასაუბრების გარეშე, ჩემი მოგზაურობა უკვე იყო ძალიან ნაყოფიერი, VOM-ის პასუხისმგებლობის ფარგლებში.

„მადლობა უფალო,“ ვლოცულობდი უხმოდ. „მადლობა იმ შეხვედრებისთვის, რომელი შეხვედრების შესაძლებლობაც მომეცი; აკურთხე სემსე, რომ დაისვენოს დღეს და ანუგეშე ის მისი დანაკარგის გამო და დამეხმარე, რომ მშვიდობიანად დავბრუნდე სახლში და ყველას მოვუყვე ამბავი ამ საოცარი მორწმუნეების შესახებ.“

ჩემი განრიგის ასე მოულოდნელი შეცვლისა და თავისუფალი დროის გამოჩენის გამო, ხუცესი და მე გავემართეთ ახლოს მდებარე რესტორანში გვიანი საუზმისთვის. ჩვენ ვისხედით და ვსაუბრობდით, რის საშუალებასაც გვაძლევდა ჩემი შეზღუდული თურქული და მისი ასეთივე ინგლისური. ამ დროს მისმა ტელეფონმა კვლავ დარეკა. მან ილაპარაკა თურქულად. შემომხედა, გაიღიმა და დაიქნია თავი. შემდეგ დაასრულა საუბარი. „მან თქვა, რომ ცოტა ხნით მაინც მივიდე. შეიძლება ერთი საათით.“ მე მქონია ასეთი მოკლე გასაუბრებები, საათზე ნაკლებ დროში. „ალილუია!“

ვთქვი მე. ეს სიტყვა, როგორც ჩანს, თურქულადაც ასე გამოითქმის, ვინაიდან, ჩემმა მეგობარმა ხუცესმა გაიმეორა ის: „ალილუია!“

სწრაფად დავასრულეთ საუზმე და ჩავსხედით მანქანაში, ოთხმოცდაათი წუთის შემდეგ ჩვენ შევხვდით ამერიკელს, რომელიც გამოგზავნილი იყო ჩემს შესამოწმებლად (ამის შესახებ გვიან შევიტყვე) და რომელიც, ასევე, დამეხმარებოდა თარგმანში. მე უნდა გამევლო

ეს ფინალური ტესტი. მალე მივედით იმ ადგილზე, სადაც შევხვდი სემსეს, მის ორ შვილს და მის ნათესავს, ვისთანაც ცხოვრობდა. სემსეს ინგლისური იმ დროს საკმაოდ გაუმართავი იყო, თუმცა მისი ნათესავის ინგლისური- ნორმალური.

„ეს ესთერია," წარმომიდგინა სემსემ თავისი პატარა ქალიშვილი, რომელმაც დაიმორცხვა, რადგან არ იცოდა, თუ ვინ იყო ეს უცხოელი და შეიძლებოდა თუ არა მისი ნდობა. „ეს კი ელისეა." რამდენიმე წამის განმავლობაში სუნთქვა შემეკრა. ელისე!

ამ სამი კაცის ამბავი, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე ქრისტესთვის გაწირეს მალატიაში, გულში ჩამრჩა და როდესაც ჩემს საკუთარ სახლში სავახშმოდ ვიჯექი ოჯახთან ერთად, მე წავიკითხე ელისეს ისტორია. იმ საღამოს ვილოცე, რომ ამ ხუთ ბავშვს ორმაგად მიეღოთ თავიანთი მამის მოწამეობრივი სული, ისევე როგორც, ელისემ მიიღო ორმაგი წილი ელიასგან. და ახლა, როდესაც ვხვდებოდი ამ ბავშვებიდან უკანასკნელს, მისი სახელი იყო ელისე!

ჩემმა მასპინძელმა გაიკვირვა, თუ რატომ გაჩნდა ცრემლები ჩემი თვალების უპეებში, ამიტომაც მასაც მოვუყევი ეს ამბავი. ვფიქრობ, რომ ღმერთმა გამოიყენა ეს ამბავი, რათა კავშირი გაბმულიყო ჩვენ შორის, ვინაიდან, ჩემი ვიზიტი გაგრძელდა არა მხოლოდ ერთი საათი, არამედ გაცილებით მეტი. ალბათ, რვა საათი. სემსემ გამიზიარა თავისი ისტორია და გულახდილი იყო ჩემთან საუბრის დროს. მან თავისი ბიბლიაც კი ამოიღო, რათა ეჩვენებინა ჩემთვის წერილის ზოგიერთი ადგილი, რომლებიც ღმერთმა გამოიყენა იმისათვის, რომ მას გადაელახა წინა შვიდი კვირა. იყო ღიმილი, ცრემლები, საკვები და ერთობა. დიდი ხანი არ გასულა და მე ამ ოჯახის წევრად ვიგრძენი თავი.

სემსემ დამიხატა თავის ქმრის, ნეკატის, სურათი. ნეკატი ახლადშექმნილი ეკლესიის ხუცესი იყო მალატიაში და ის კაცი, რომელმაც ოფისის კარი გაუღო იმ საბედისწერო დილით ხუთ მკვლელს, რადგან ფიქრობდა, რომ ისინი ე. წ. „მაძიებლები" იყვნენ, რომლებიც ცდილობდნენ მეტი გაეგოთ ქრისტეს შესახებ. თავისი სიცოცხლე არ ყოფილა ნეკატის პირველი მსხვერპლი ქრისტესთვის. ფაქტია, რომ მისმა მუსლიმურმა ოჯახმა ზურგი აქცია მას, როდესაც ქალმა, რომელზე დაქორწინებაც მოიწადინა, ქრისტეს მიმდევრად აქცია.

სამხედრო სამსახურის დროსაც კი, რიგითი ჯარისკაცები და ოფიცრები ყველანაირად ცდილობდნენ, რომ მას დაეტოვებინა ქრისტიანობა და დაბრუნებოდა თავის ფესვებს, ისლამს, მაგრამ მათ ვერ გატეხეს მისი ნებისყოფა. სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგ, ის დააპატიმრეს ქრისტიანული წიგნების გავრცელებისთვის.

ზოგიერთები მათგან, რომლებიც მისი მკვლელები გახდნენ, მიდიოდნენ ხოლმე ეკლესიაში. ისინი, თითქოსდა, ინტერესს ამჟღავნებდნენ სახარებასთან მიმართებით, სვამდნენ კითხვებს და მოითხოვდნენ პირად შეხვედრას. ნეკატი არ იყო დარწმუნებული, რომ მათი ინტერესი რეალური იყო; ის სრულად არ ენდობოდა მათ. თუმცა იმ დილით ის წავიდა ოფისში, რათა შეხვედროდა მათ, ეპასუხა კითხვებისთვის და შთაეგონებინა მათთვის, რომ მისულიყვნენ იმასთან, ვინც არის „გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე.“

ის დაღლილი იყო იმ დილით, ახალი დაბრუნებული მოგზაურობიდან. „რატომ მიდიხარ?“ ჰკითხა სემსემ მას. „რატომ ფლანგავ შენს დროს?“ „იმიტომ, რომ“ მიუგო ნეკატიმ, „თუნდაც მათი მოტივები არ იყოს წრფელი, სახარებას მაინც მოისმენენ.“

ისინი, შეიძლება, შეეცადონ შექმნან პრობლემები, ან დახურონ ეკლესია, მაგრამ თუნდაც ეს ასე იყოს, მათი მცდელობა იქნება ღია. ნეკატი გამოიყენებს თითოეულ შესაძლებლობას, რათა იქადაგოს ქრისტეზე.

სიკვდილისწინა აღდგომის დროს, ნეკატიმ მონაწილეობა მიიღო სპექტაკლში, რომელიც მალატიის მორწმუნეებმა დადგეს და რომელშიც მოთხრობილი იყო აღდგომის შესახებ. იგი გამოსახავდა ქრისტეს, ჯვარზე „მილურსმულს“, და ფეხზე წამოყენებულს ჯარისკაცების მიერ. არავინ იცოდა მაშინ, რომ ნეკატი მალე, მართლაც, წარმოადგენდა ქრისტეს. ამჯერად, საკუთარი სისხლისა და საკუთარი სიცოცხლის გაღებით.

როდესაც ვისხედით იმ სახლის მისაღებ ოთახში, სემსე, ასევე, ლაპარაკობდა იმ ხუთი კაცის მიტევებაზე, რომლებმაც ქმარი წაართვეს მას. მისი მონათხრობი გარკვეულად ჰგავდა სუზანის მონაყოლს, რომ სწორედ ღმერთის ძალა იყო ის, რამაც შეაძლებინა ამის გაკეთება. ნამდვილად, ეს არ ყოფილა მისი საკუთარი ძალა. მან მითხრა, რომ მისი მზადყოფნა გაეღო ეს მსხვერპლი, აღმოცენდა იესოსადმი მისი ღრმა სიყვარულის გამო, რომელმაც იხსნა და ის მუსლიმი კაცი, რომელსაც

შეხვდა ავტობუსში, გარდაქმნა მის ღვთისმოსავ ქმრად და მისი შვილების მამად. მან მითხრა, რომ პატივია მოკვდე ქრისტესთვის. პატივი იყო, ასევე, გააგრძელა მან, დაქორწინებული ვყოფილიყავი კაცზე, რომელიც ღმერთმა აირჩია და მისცა მოწამის გვირგვინი.

როდესაც დავტოვეთ ის სახლი და წამოვედით უკან, ჩემი სასტუმროსკენ, გული მადლიერებითა და ლოცვით მქონდა სავსე. ღმერთმა გამიღო კარი, რათა შევხვედროდი და გავსაუბრებოდი იმ სამ ქალს, რომლებიც ყველაზე მეტად დაზიანდნენ მალატიაში მომხდარი თავდასხმის შედეგად. მან საშუალება მომცა, რომ მათთან ერთად მეხარა, მეტირა და თანაზიარება (ერთობა) გვქონოდა ქრისტეს ტანჯვებში (ფლპ. 3:10) ქრისტეს სხეულის ამ თურქ ნაწილებთან.

მე იმის ძლიერი განცდა მქონდა, რომ ღმერთმა პირადად დამავალა ეს. არა ვინმე სხვას, არც თუნდაც VOM-ის წარმომადგენელს, არამედ მე. იმ დღიდან, როცა ტირილი მომეძალა მაგიდასთან ვახშმის დროს, იმ სიტყვების გაგონებამდე, რომ „ეს ელისეა," ღვთის ხელი იყო ჩემთან მთელი მოგზაურობის განმავლობაში. მე მარტო ვიყავი მოგზაურობისას, მაგრამ ჩემი მარშრუტი, აშკარად, მის მიერ იყო შედგენილი.

მე გავუღიმე ჩემს ხუცეს მეგობარს, როდესაც მივყავდი უკან და კიდევ ერთხელ გავიმეორე ის თურქული სიტყვა, რომელიც ვისწავლე იმ დღეს: „ალილუია!" „ალილუია!" მიპასუხა მან ღიმილით. „ალილუია!" ჩემი გული სავსე იყო და მზად ვიყავი სახლში წასასვლელად, თუმცა ღმერთმა კიდევ ერთი შესაძლებლობა გამოაჩინა, რომ სანამ ავიდოდი ჩემს რეისზე, თურქეთში დავყოვნებულიყავი.

ფიქრისთვის

არის რომელიმე სფერო, სადაც ღმერთმა მოგიწოდათ, მაგრამ თქვენ უარი თქვით, ვინაიდან მიიჩნიეთ, რომ ეს „დროის ფუჭი ფლანგვა იქნებოდა"? პიროვნება თქვენს სამსახურში, ვისი გულიც დახურულია ქრისტეს სიყვარულის გასააზრებლად? უღიმღამო მსახურება, რომელიც როგორც ჩანს, არაფერს შეცვლის? პიროვნება, რომელთანაც დაახლოებით ოცდახუთჯერ გისაუბრიათ მანამდე,

სრულიად უშედეგოდ, ამიტომაც ფიქრობთ, რომ მართლაც, დროის ფუჭი ხარჯვა იქნება, სცადოთ მასთან საუბარი ოცდამეექვსედ? ნეკატი აუდინს სურდა „გაეფლანგა თავისი დრო“ თუ ეს ვინმესთვის სახარების გაზიარებასთან იქნებოდა დაკავშირებული. მას ეჭვი ჰქონდა, რომ ის ახალგაზრდა კაცები, რომლებიც მივიდნენ მის ეკლესიაში, როგორც „მაძიებლები“ არ იყვნენ ბოლომდე პატიოსნები. და მაინც, წავიდა მათთან შესახვედრად, რადგან ფიქრობდა, რომ თუნდაც ისინი მასთან პრობლემების შესაქმნელად მისულიყვნენ, ისინი კვლავ მოისმენდნენ სახარებას და რომ არასოდეს იხარჯება დრო ფუჭად, როდესაც ვინმე ისმენს სახარებას.

თქვენი დღიურისთვის, დაწერეთ იმ ადამიანების სახელები, რომლებიც „დროს ფუჭად გახარჯვინებენ.“ ამ დღიდან დაწყებული, ყოველთვის, როცა ფიქრობთ, ან ურთიერთობა გაქვთ ამ პიროვნებებთან, გაიხსენეთ ნეკატი აუდინის ერთგულება და იყავით მტკიცე!

ლოცვა

მამაო, დაე, ყოველთვის მახსოვდეს, რომ ჩემი წამები და ჩემი დღეები შენს ხელშია. შენ დაადგინე ჩემი სავალი. დამეხმარე, რომ არასოდეს მივიჩნიო ის ამოცანები, რომლებსაც შენ დამისახავ და ის ადამიანები, რომლებსაც შემახვედრებ, „დროის ფუჭ ფლანგვად“, არამედ მომეცი უნარი, რომ ყოველთვის შესაძლებლობებად აღვიქვა ეს მომენტები შენი წარდგენისთვის და შესაძლებლობად ვინმესთვის–თუნდაც ისეთი ადამიანისთვის, რომელიც, თითქოსდა, უინტერესო ჩანს–მოისმინოს უწყება შენი სიყვარულისა, რომ მისთვის შენმა ძემ მსხვერპლი გაიღო.

თქვენი დღიურისთვის

ჩემი დღიურიდან

სემსემ მითხრა, რომ ნეკატი დაახლოებით 2000 წელს დააბატიმრეს და ერთი თვე გაატარა ციხეში—მაშინ, როცა ის ოთხი თვის ორსული იყო. სემსემ ისიც მითხრა, რომ მას შემდეგ, რაც ნეკატი გაათავისუფლეს, ისინი დასხდნენ და გულახდილად ისაუბრეს იმ რისკების შესახებ, რაც შეიძლება მოჰყოლოდა უფლის ერთგულ სამსახურს და ევანგელიზმში ჩართვას თურქეთში. მან მითხრა, რომ მათ ისაუბრეს იმ ფაქტის შესახებაც, რომ შეიძლება, ჰქონოდათ ნორმალური სამსახური, ევლოთ ეკლესიაში და ეოფილიევნენ ქრისტიანები—რაც, სავარაუდოდ, თავიდან აარიდებდა რისკებს, ციხეში ხელმეორედ მოხვედრასა და სხვა ბრობლემებს, თუმცა მათ ერთად გადაწყვიტეს, რომ მთელი გულით და ერთგულებით ჩადგებოდნენ უფლის სამსახურში, წავიდოდნენ და გააკეთებდნენ ყველაფერს, რისკენაც ის მოუწოდებდა მათ, რისკების მიუხედავად.

იმ დღის შემდეგ, ამ კითხვას ბასუხი უკვე ჰქონდა გაცემული და ისინი მთელი გულითა და ერთგულებით ემსახურებოდნენ უფალს.

ლოცვა დევნილი ქრისტიანებისათვის

VOM-ში ჩვენ ხშირად ვუზიარებთ ერთმანეთს ამბებს „წინა ხაზის მუშაკების“ შესახებ—იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც სახარებას ქადაგებენ მტრულად განწყობილ ხალხში და თავისუფლებაშეზღუდულ ქვეყნებში. მე ხშირად ვიყენებ სხვა სახელებს ამ მამაცი კაცებისა და ქალებისთვის, ანუ დევნილი ქრისტიანებისთვის. ისინი სახარებას ქადაგებენ ისეთ ადგილებში, სადაც ეს საქმიანობა მიზანშია ამოღებული. მათ იციან რისკების შესახებ, მაგრამ ისინი მოქმედებენ, ჰასუხობენ ღვთის მოწოდებას. უმეტეს შემთხვევებში, მხოლოდ დროის საკითხია, როდესაც უშუალოდ „დაეწევათ“ დევნა.

ილოცეთ დღეს ილოცეთ დღეს წინა ხაზის მუშაკებისთვის მტრულად განწყობილ ხალხში და თავისუფლებაშეზღუდულ გარემოში მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ილოცეთ იმისათვის, რომ ღმერთმა დაიცვას ისინი და მათი ოჯახები. ილოცეთ მათი გამჭრიახობისთვის, როდესაც ისინი იღებენ გადაწყვეტილებებს და ილოცეთ იმაზეც, თუ როგორ აარიდონ თავი არასასურველ ყურადღებას მათი საქმიანობისადმი. ილოცეთ მათი გაბედულებისთვის იქადაგონ სახარება და ახილონ ნაყოფი თავიანთი საქმისა.

დღე 24

ორმაგი წილი – ნაწილი 4

მე დავრგე, აპოლოსმა მორწყა, მაგრამ ღმერთმა გაზარდა, ამიტომ არც დამრგველია არაფერი, არც მომრწყველი, არამედ გამზრდელი ღმერთი. დამრგველი და მომრწყველი ერთი და იგივეა. საზღაურს კი თითოეული მიიღებს თავისი შრომისამებრ.

1 კორინთელთა, 3:6-8

.....

სტამბოლი, თურქეთი, 2007

მას შემდეგ, რაც დღის უმეტესი ნაწილი გავატარე სემსესთან და მის ოჯახთან, ჩემი გული სრულად იყო სავსე. მე გადავსებული ვიყავი ღვთის მიერ გაღებული მოწყალებით, რომ ნება მომცა განმეხორციელებინა ეს მოგზაურობა, შევხვედროდი ორივე ქვრივს და უგურის საცოლესა და მშობლებს, ვმდგარიყავი სამიდან ორი მოწამის საფლავებთან, ვყოფილიყავი მაგიდასთან და მქონოდა ერთობა, მეხარა და მეტირა ამ საყვარელ წმიდებთან ერთად.

ერთი დღე კიდევ მქონდა დარჩენილი ჩემს რეისამდე, რომელიც დილაუთენია იყო დანიშნული. მე ვიმყოფებოდი მსოფლიოში ჩემთვის

ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ ქალაქში, ვიდექი ბორცვის დაბლა ლურჯ მეჩეთსა და აია სოფიას შორის, რომლებიც მსოფლიოში ყველაზე ლამაზი და დამატყვევებელი ნაგებობებია. ვაპირებდი, რომ გამეტარებინა მშვიდი ბოლო დღე, როგორც ტურისტს, სანამ გავემზადებოდი სახლში გასამგზავრებლად, მაგრამ ღმერთმა კიდევ ერთი კურთხევა მოამზადა ჩემთვის, სანამ დავტოვებდი თურქეთს.

მე მეგობრები მყავდა, რომლებიც იმ დროს სტამბოლში ცხოვრობდნენ. გავუგზავნე წერილი (ელ-ფოსტით) მათ, რომ სცოდნოდათ, რომ იმჟამად იქ ვიმყოფებოდი. მათი სახლი თითქმის გადავსებული იყო აშშ-დან ჩამოსული კოლეჯის სტუდენტების ჯგუფით, რომლებსაც ევანგელიზაციის გამოცდილება უნდა მიეღოთ მუსლიმურ ქვეყანაში.

დიდი პატივი იყო შევერთებოდი მათ შუადღით და საღამოს. (თითქმის) ყოველთვის სასიამოვნოა ამერიკელისთვის, შეხვდეს სხვა ამერიკელს უცხო ქვეყანაში. ჩვენ ვტკბებოდით უშუალობით და ერთმანეთს ვუზიარებდით ჩვენს განცდებს თურქეთთან, თურქულ ენასა და ხალხთან დაკავშირებით. ასევე, ფანტასტიკური თურქული საჭმელების შესახებ!

საღამო რომ მოახლოვდა, მე მთხოვეს მომეყოლა მათთვის ჩემი მოგზაურობის, ჩემი საქმიანობის და განსაკუთრებით იმ დროის შესახებ, რომელიც გავატარე მალატიელ ქვრივებთან, როდესაც ვესაუბრებოდი მათ. გავხსენი ჩემი ვიდეოკამერის პაწაწინა ეკრანი და ვაჩვენე სტუდენტებს გადაღებული მასალა, როდესაც ვსაუბრობდი სუზან გესკესთან მისი დანაკარგის შესახებ, როგორ დაეხმარა მას რწმენა, რომ ეს დანაკარგი გადაეტანა და როგორ მისცა ქრისტემ მას ძალა, ეპატიებინა მისი ქმრის მკვლელებისთვის.

ჩემი გული სავსე იყო აღტაცებითა და წუხილით იმის გამო, რაც გადაიტანეს ჩემმა დებმა თურქეთში და მადლიერებით ღმერთთან მიმართებით, რომ მომცა საშუალება შევხვედროდი მათ, მომეთხრო სხვებისათვის მათ შესახებ. როგორც ხანდახან ხდება, ჩემი გული იმდენად სავსე იყო, რომ ეს, აშკარად, ჩანდა ჩემს თვალებში. არ შემეძლო მელაპარაკა უგურის საცოლეზე და მის გატეხილ გულზე, მასთან მიმართებით აშკარა თანაგრძნობისა და თანალმობის გარეშე.

ეს სტუდენტები, რომლებსაც მანამდე არასოდეს შევხვედრილვარ და არც მას შემდეგ მინახავს ისინი, ძალიან თავაზიანები იყვნენ ჩემთან მიმართებით. მათი გულები აშკარად, მიეჯაჭვა იმ სამი კაცის ისტორიას, რომლებიც დაიხოცნენ ქრისტესთვის და, ასევე, ამოცანას, მოუთხრონ თურქ მუსლიმებს იესოს შესახებ.

მე მწამს, რომ ჩემი მსახურების ერთ-ერთი ნაწილია, მისიების მიერ ღვთის დავალების აღქმა და გათავისება, რათა ყველასათვის მკაფიო გახდეს, რომ ქრისტეს მოწოდება „მოიარეთ მთელი ქვეყნიერება“, (მარკ. 16:15) არ ყოფილა მხოლოდ იმ მოწაფეებისადმი, რომლებიც უსმენდნენ მას, როდესაც წარმოთქვა ეს სიტყვები, არამედ ეს არის მოწოდება ყველა მისი მიმდევრისთვის, ყველა დროში, წავიდნენ ისეთ ადგილებში, სადაც იესოს სახელი არასოდეს სმენიათ. ერთ-ერთი ჩემი ყველაზე დიდი კურთხევა შემდეგია: ძალიან მიხარია, როდესაც გავიგებ ხოლმე იმას, რომ ღმერთმა გამოიყენა ის, რაზეც ვიშრომე—წიგნი, რადიო ეპიზოდი, თუ VOM-ის ოფიციალური ბიულეტენის სტატია—იმისათვის, რომ ვიღაც თავისი შვილებიდან ამოერჩია და მოეწოდებინა, რათა ემოქმედა ამ მიმართულებით.

როდესაც დავტოვე სტუდენტების სასტუმრო და დავადექი გზას ჩემი სასტუმროსკენ—ათი წუთის სავალზე—ვგრძნობდი, რომ მათთან გატარებული დრო იყო ერთ-ერთი ბოლო კურთხევა ღვთისგან ამ მოგზაურობის დროს. მართლაც, ეს იყო შესაძლებლობა, რომ სამისიონერო თესლი დამეთესა ამ სტუდენტების გულებში. ვცდილობ, რომ ასეთი შესაძლებლობა არასოდეს გავუშვა ხელიდან! მე არ ვიცი, მოიტანა თუ არა ნაყოფი ამ დათესილმა თესლმა. ვიმეორებ, მე აღარ მინახავს ამ სტუდენტებიდან რომელიმე და შესაბამისად არც ვიცი, რას აკეთებენ და სად არიან ისინი. მე მომეცა შესაძლებლობა დავლაპარაკებოდი მათ, დამეთესა თესლი და გავაკეთე ის, რაც შემეძლო ღვთის დახმარებით, რომ რაც შეიძლება კარგად გამომეყენებინა ეს შესაძლებლობა.

მომდევნო დილით, მე უკვე თვითმფრინავში ვიჯექი და სახლისკენ მივდიოდი, იმავე განცდით გულში, რომ ღმერთმა პირადად ჩამომიყვანა თურქეთში, რათა შევხვედროდი ამ მორწმუნეებს, მომესმინა მათი ისტორიები და შემდეგ გამეზიარებინა კიდეც ეს ისტორიები

სხვებისთვის. მოგზაურობის შემდგომ დღეებში, მე გაცილებით მეტი შესაძლებლობა მექნება, ვუამბო ადამიანებს სუზანის, სემსეს და სხვების შესახებ, რომელთაც შევხვდი თურქეთში. ეს იქნება რადიო ინტერვიუები, რომელშიც მოვუყვები ადამიანებს მათ ერთგულებაზე. ისიც მთხოვეს ახალი სტატია დამეწერა VOM-ის ჟურნალისთვის. და კიდევ უფრო გვიან, მე შევძლებ ინტერვიუ ჩამოვართვა სემსეს რადიო მაუწყებლობისთვის, შევძლებ დავეხმარო მას, რომ საკუთარი სიტყვებით გვიამბოს თავისი ისტორია.

ფიქრისთვის

ღმერთი არ გვაგზავნის სხვადასხვა ადგილას და არ უშვებს ჩვენს ცხოვრებაში გარკვეულ გამოცდილებებს მიზეზის გარეშე. ეს მიზეზები ყოველთვის საკუთარ რწმენასთან და საკუთარი ხასიათის ჩამოყალიბებასთან, არ არის დაკავშირებული. ხშირად, მიზეზი ის არის, რომ ეს გამოცდილება სხვებს გადავცეთ. ღმერთი თითოეულ ჩვენგანს გვაძლევს გამოცდილებას, რომელიც წარმოქმნის რწმენის თესლს, რომელთა დათესვაც, შეგვიძლია ჩვენ ირგვლივ მყოფი ადამიანების ცხოვრებაში. ხშირად, ის არა მხოლოდ თესლს გვაძლევს, არამედ განსაკუთრებულ ადამიანებს, განსაკუთრებულ დროს, გზავნის ჩვენს გზაზე და ამ ადამიანების გულები უკვე მომზადებული ნიადაგია, რომელშიც შეგვიძლია ჩავთესოთ ეს თესლი.

ჩვენ ყოველთვის არ ვიცით მიღებული შედეგები წინასწარ. შეიძლება, მონაწილეობა არ მივიღოთ აღმოცენებული თესლის მორწყვაში, არ ვიყოთ იქ, როცა მკის დრო დადგება, ან თუნდაც არაფერი შევიტყოთ იმის შესახებ, რომ ნაყოფი მოიმკეს. ჩვენი საქმეა ვთესოთ ის თესლი, რომელიც ღმერთმა გადმოგვცა დასათესად. „მე დავრგე, აპოლოსმა მორწყა, მაგრამ ღმერთმა გაზარდა“.

თქვენი დღიურისთვის: დაწერეთ იმ გამოცდილების შესახებ, თქვენს ცხოვრებაში, როდესაც ღმერთმა გამოგიყენათ და მოგცათ საშუალება მოგეყოლათ მისი მადლის შესახებ სხვებისთვის. ვის მოუყვებით ღვთის მადლის შესახებ ამ კვირაში?

ლოცვა

მამაო, დამეხმარე იმის დანახვაში, თუ როგორ მეხმარება ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილება, დავთესო რწმენის თესლი ჩემ ირგვლივ მყოფი ადამიანების ცხოვრებაში და დამეხმარე, რომ ვიყო ერთგული ამ საქმეში, შენგან მოცემული ყოველი შესაძლებლობისას. გთხოვ, აღმოაცენო საუკუნო, სულიერი, ნაყოფები დათესილი თესლიდან.

თქვენი დღიურისთვის

ჩემი დღიურიდან

ვფიქრობ, რომ ეს იყო შესაძლებლობა ჩემი წვლილი შემეტანა მისიონერული თესლის მორწყვაში, როდესაც ამ სტუდენტებს ვუამბე დევნილი ქრისტიანების შესახებ—ახლა ჩვენ ვხედავთ, რა ნაყოფი მოაქვს ღმერთს. მე ვგრძნობ, რომ ჩემი მოწოდების ერთ-ერთი მხარეა შევაგონო ადამიანებს, იფიქრონ მისიებზე და როცა კი მომეცემა ამის შესაძლებლობა, აუცილებლად, გავაკეთებ ამას.

დღე 25

ორმაგი წილი – ნაწილი 5

> დასაბამიდანვე ვიუწყები, რაც ბოლოს უნდა მოხდეს და ძველთაგანვე — რაც ჯერ არ მომხდარა, ვამბობ: ჩემი განაზრახი აღსრულდება და ყოველ ჩემს ნება-სურვილს აღვასრულებ.
>
> **ესაია, 46:10**

.....

კოლორადო, შობის დღე, 2017

ხშირად, მხოლოდ წარსულზე დაკვირვება გვეხმარება, მკაფიოდ დავინახოთ, როგორ მოქმედებს ღვთის ხელი, როგორ იშლება მისი დიდებული გეგმები ჩვენი ცხოვრების მდინარეების კვალობაზე.

ეს იყო შობის დღე. შარლოტა და მე მივედით მისი მშობლების სახლში, რათა გვეზეიმა ქრისტეშობის დღე ოჯახთან და მეგობრებთან ერთად. ჩვენ პირდაპირ, საშობაოდ გაწყობილ მაგიდასთან, იჯდა სემსე აუდინი, თავის შვილებთან, ესთერთან და ელისესთან, ერთად. ის ოჯახი, რომელსაც ათი წლის წინ შევხვდი, როცა ის ჭრილობები, რომელიც მათმა დანაკარგმა გააჩინა, ჯერაც მოუშუშებელი იყო.

როდესაც დავბრუნდი სახლში თურქეთიდან, სულ რამდენიმე კვირა იყო გასული, 2007 წელს მალატიაში მომხდარი მკვლელობებიდან. მქონდა პირდაპირი განცდა იმისა, რომ ღმერთმა პირადად ამირჩია, რათა ვყოფილიყავი VOM-ის წარმომადგენელი, წავსულიყავი და შევხვედროდი სამი წამებული ქრისტიანის ქვრივებსა და საცოლეს და მომესმინა მათი ისტორიები. შემდეგ კი ეს ისტორიები, როდესაც ჩამოვიდოდი უკან, ამერიკაში, გამეზიარებინა ამერიკელი ქრისტიანებისთვის. ახლა, ვსხედვართ რა საშობაო მაგიდასთან, მკაფიოდ ვხედავ ერთ მიზეზს, რის გამოც ღმერთმა გამგზავნა იქ. ღმერთი დროის მიღმა არსებობს. იგი ათი წლის წინანდელ ამბებს ისევე მკაფიოდ ხედავს, როგორც დღევანდელს. იმ წლების განმავლობაში, რომელიც გავიდა ჩემი ძმების მკვლელობიდან თურქეთში, მე შორიდან ვადევნებდი თვალყურს ამ ორ ქვრივს. როცა ვიყავი თურქეთში და ველაპარაკებოდი იმ ადამიანებს, რომლებიც იცნობდნენ მათ, ყოველთვის ვეკითხებოდი მათ შესახებ, როგორ არიან, სად არიან, როგორია მათი ცხოვრება. მოკლედ, ვიცოდი, რომ ნეკატის სიკვდილიდან მალევე, მისი ოჯახი შეეცადა მეურვეობა მიეღო მის შვილებზე, ანუ თავიანთ შვილიშვილებზე. მათ უნდოდათ, რომ ისინი კარგ მუსლიმებად აღეზარდათ, და არა ისეთად, როგორიც იყო მათი „უღმერთო“ მამა. არაფერი გასაკვირი არ იქნებოდა იმაში, რომ მუსლიმი მოსამართლე თურქულ სასამართლოში, შეიძლება, უბედურებისაგან განადგურებული პაპისა და ბებიის მხარეზე დამდგარიყო. სემსეს კი—როგორც ყველა კარგ დედას—არ შეეძლო იმაზე ფიქრი, რომ შვილებს წაიყვანდნენ მისგან. მან დატოვა ქვეყანა და საბოლოოდ აღმოჩნდა ამერიკაში. ახალ ქვეყანაში ბევრი ხეტიალის შემდეგ, ჩავიდა და დამკვიდრდა დენვერში, კოლორადოში.

ჩემი მეუღლე გაიზარდა კოლორადო სპრინგსში და მისი მშობლები ჯერაც იქ ცხოვრობენ. ამრიგად, ერთ ზაფხულსაც, როცა ვგეგმავდით როგორ გაგვეტარებინა არდადეგები, დავუკავშირდი სემსეს და ვკითხე, თუ შეგვეძლო მისი სადილზე მოპატიჟება, როდესაც კოლორადოში ვიქნებოდით. ის დამთანხმდა. ჩვენ დენვერში სხვა გეგმებიც გვქონდა—კარგად აღარ მახსოვს, ეს უნდა ყოფილიყო საბუნებისმეტყველო მუზეუმის თუ დენვერის Broncos-ის (ნახევრად ველური ცხენი) საწვრთნელი ბაზის მონახულება. ჩვენ შევთანხმდით, რომ შევხვდებოდით სემსეს, ესთერსა

და ელისეს სადილად. ეს იყო, სავარაუდოდ, 2011 წელი, ან ახლო თარიღი. შარლოტას ახლობლები ძალიან კარგი და ღვთისმოსავი ადამიანები არიან. ისინი იმ დღეს ჩვენთან ერთად იყვნენ დენვერში, ამიტომაც შემოგვიერთდნენ სადილზე.

სემსეს უნდოდა, რომ შევხვედროდით დენისში. მოგვიანებით, მან გვითხრა, რომ ეს ადგილი ახლოს იყო მათ სახლთან და შემდეგ შეეძლოთ ფეხით მისვლა სახლში. ის ჯერაც არ იყო შეჩვეული დიდი ქალაქის ხმაურსა და მოძრაობას. ჩვენ ერთად ვისადილეთ. მისი ბავშვები ბევრს არ ლაპარაკობდნენ, მათ არ იცოდნენ ვინ იყვნენ ეს ამერიკელები და რატომ უნდოდათ მათთან ერთად გვესადილა. სემსემ გაახსენა მათ, რომ მოვინახულე ისინი თურქეთში, მაგრამ იმ დროს, ნეკატის სიკვდილის შემდეგ, მათთან ბევრი იყო მიმსვლელი და, ცხადია, არ ახსოვდათ. სადილის დასასრულს, ჩემი ცოლის ნათესავებმა უთხრეს სემსეს: „ჩვენ აქვე, ახლოს, ვცხოვრობთ კოლორადო-სპრინგსში. თუ დაგჭირდება დახმარება, გთხოვთ, რომ დაგვირეკო.“ მისცეს მას ტელეფონის ნომრები და ელ-ფოსტის მისამართები. სადილის მერე ჩვენ დავუბრუნდით ჩვენს არდადეგებს. მიხაროდა, რომ კვლავ მომეცა სემსესთან შეხვედრის შესაძლებლობა, იმედი მქონდა, რომ ჩვენთან შეხვედრა გაამხნევებდა მას. მე არ ვიცოდი, რომ ჩემი იქ ყოფნა იმ დღეს აღმოჩნდებოდა ის ხიდი, რომელიც დააკავშირებდა მას ჩემი მეუღლის ახლობლებთან.

სხვა დროს, როცა ჩემი ნათესავები დენვერში იყვნენ, მათ დაურეკეს სემსეს. ისინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს სადილზე. შემდეგ კიდევ იყო სხვა სადილი. სემსეს ავტომობილს სჭირდებოდა შეკეთება, ჩემი სიმამრი კი საუკეთესო ხელოსანია, არ არსებობდა მანქანა, რომელსაც ის ვერ შეაკეთებდა, თუმცა ის თავმდაბლურად უარყოფდა ამას. შემდგომი თვეებისა და წლების განმავლობაში, მათ კიდევ ბევრჯერ ისადილეს ერთად. ცხადია, მათი ურთიერთობა გაცილებით უშუალო გახდა. ბოლოს, სემსემ გადაწყვიტა გადასულიყო სხვა საცხოვრებელ ადგილას—ახლა ის უფრო ახლოს ცხოვრობს ჩემს ნათესავებთან.

დენვერში იმ დღეს, დაიბადა მეგობრობა. ეს ისეთი მეგობრობაა, როგორიც დღესაც გრძელდება. ასე რომ, ჩემი შვილების პაპა და ბებია, ნეკატის ობლად დარჩენილი შვილების პაპა-ბებიაც გახდნენ. ასე მოვიყარეთ თავი იმ შობის დღეს მაგიდის გარშემო. ფიქრებით ისევ

დავბრუნდი თურქეთში ათი წლის წინ. იმ დღეს, როდესაც პირველი შეტყობინება ასეთი იყო: „სემსე ძალიან დაღლილია. დღეს არ არის კარგი დრო მის მოსანახულებლად.“ მეორე კი ასეთი, „კარგი, შევხვდეთ, მხოლოდ ერთი საათი.“ და ახლა, აი, აქ ვართ, ათი წლის და ათასობით მილის დაშორებით იმ დღიდან და იმ ადგილიდან თურქეთში. ჩვენი ოჯახები ერთად აღნიშნავენ შობას.

არ მახსოვს, იყო თუ არა ლოცვა საკვებისთვის, ან სხვა რამისთვის იმ დღეს, ის კი მახსოვს, რომ ჩემმა სიმამრმა სთხოვა ელისეს ელოცა. მას ახლა კაცის ხმა აქვს და ის ძალიან ჰგავს იმ ფოტოსურათებზე გამოსახულ თავის ახალგაზრდა მამას, რომლებიც მე დავათვალიერე. ელისემ დაიწყო ლოცვა—და მაშინვე ნათელი გახდა ის, რომ ეს ყმაწვილკაცი არის ის, ვინც იცნობს მას, ვისთვისაც ლოცულობს. ეს იყო ის კაცი, ვისშიც ცხოვრობდა ღვთის სული. ეს იყო კაცი, რომელმაც მიიღო მამის მემკვიდრეობა. მამისა, ვისაც იმდენად უყვარდა იესო, რომ საკუთარი სიცოცხლე გაიღო მისთვის. როდესაც ის ლოცულობდა, მე ვფიქრობდი, შესაძლებელია, რომ ჩემ მიერ აღვლენილი ლოცვები ამ წლების განმავლობაში შესმენილიყო? შესაძლებელია, რომ ელისემ, ამ ახალგაზრდა კაცმა, ვისი მამაც ეწამა ქრისტესთვის, მართლაც, მიიღო მამამისის სულის ორმაგი წილი?

ფიქრისთვის

როდესაც ფიქრობთ განვლილ ცხოვრებაზე და რწმენის გზაზე, არის ამ გზაზე ისეთი ადგილები, რომელთა შესახებაც გიყალიბდებათ გამოკვეთილი აზრი, რომ ღმერთი მოქმედებდა მაშინ. არის ისეთი რამეები, რომელთა შესახებაც იმ დროს ფიქრობდით, ან იქნებ ჩიოდით კიდეც, მაგრამ ახლა ხედავთ, რომ ეს მის მიერ განზრახული საქმის ღვთიურივე წინასწარი უწყება იყო, რომელიც უნდა ყოფილიყო? შეგიძლიათ, გაიხსენოთ თქვენ მიერ აღვლენილი ლოცვები და აღიაროთ, რომ ახლა იმ ლოცვებზე ღვთის პასუხებს იმკით? გამონახეთ დღეს იმის დრო, რომ დაწეროთ ეს პასუხგაცემული ლოცვები, მადლობა გადაუხადოთ ღმერთს მისი საქმისთვის და აღნიშნოთ ის კურთხევა, რაც მიიღეთ იმ გზაზე სიარულით, რომელიც დაადგინა თქვენთვის.

იმის აღიარებისთვისაც გამონახეთ დრო, რომ შეიძლება ღმერთს გაცილებით დიდი გეგმები ჰქონდეს თქვენთან დაკავშირებით იმ გარემოებებში, რომლებშიც იმყოფებით, მაგრამ თქვენ ვერ აღიქვამთ და ხედავთ ამას. მიიღეთ და დაელოდეთ მის მოქმედებას, თუნდაც ამას წლები დასჭირდეს, სანამ სრულად დაინახავთ მის ჩანაფიქრს. დაწერეთ თქვენი გრძნობები—თუნდაც იმედგაცრუებანი—ამ სიტუაციებთან დაკავშირებით. მომდევნო წლების განმავლობაში, შეძლებთ მოიხედოთ უკან და დაინახავთ, თუ როგორ მოქმედებს ღმერთი.

ლოცვა

მამაო, მადლობა იმისათვის, რომ დასაწყისიდანვე ხედავ დასასრულს, რომ აღასრულებ შენს ნებას ჩემს ცხოვრებასა და გარემოებებში. მე ვირჩევ, რომ ჩემი ნება და ჩემი ცხოვრება დაგიმორჩილო შენ და შენ გამოიყენო ეს ისე, როგორც გსურს. გთხოვ, მომცე უნარი, რათა დავინახო და აღვნიშნო ის საქმე, რომელსაც შენ აკეთებ და გააკეთებ ჩემი მეშვეობით მომავალი თვეებისა და წლების განმავლობაში.

თქვენი დღიურისთვის

მოსმენისთვის

თქვენ შეგიძლიათ მოისმინოთ ჩემი საუბარი სემსე აუდინთან, რომელიც ჩაწერილია VOM-ის მოსამზადებელ კონფერენციაზე: www.VOMRadio.net/Semse. ვებ-გვერდზე.

ციტატები, რომლებზეც უნდა ვიფიქროთ

ადრეულ ქრისტიანებში, სინამდვილე უკავშირდებოდა კაცს, ვინც მოკვდა თავისი მტრებისთვის, ვინც ლოცულობდა მათი მიტევებისთვის. ამაზე ფიქრს შეიძლება, მხოლოდ რადიკალურად განსხვავებული მოქმედებისაკენ მიემართა ისინი იმ ადამიანებისადმი, რომლებიც განსხვავდებოდნენ მათგან.

ტიმოთე კელერი[1]

დიახ, ჰირიქით, უველაფერი წაგებად მიმაჩნია ჩემი უფლის, ქრისტე იესოს, ცოდნის უჰირატესობისთვის, რის გამოც ეველაფერი დავკარგე და ნაგვად მივიჩნიე, რათა ქრისტე შევიძინო და აღმოვჩნდე მასში არა ჩემი სიმართლით, რაც რჯულიდანაა, არამედ იმით, რაც არის ქრისტეს რწმენის მეშვეობით, რწმენაზე დაფუძნებული ღვთის სიმართლით, რათა შევიცნო იგი და მისი აღდგომის ძალა და მის ტანჯვაში თანაზიარება, მის სიკვდილთან მსგავსებით, რათა როგორმე მივწვდე მკვდრეთით აღდგომას.

ფილიპელთა 3:8-11

1 ამონარიდები from THE REASON FOR GOD: BELIEF IN AN AGE OF SKEP-TICISM by Timothy Keller, copyright © 2008 by Timothy Keller. Used by permission of Dutton, an imprint of Penguin Publishing Group, a division of Penguin Random House LLC. All rights reserved.

დღე 26



„თუ მთელი მსოფლიო ირწმუნებდა“

რადგან ისე შეიყვარა ღმერთმა ქვეყანა, რომ მისცა თავისი მხოლოდშობილი ძე, რათა ყოველი, ვინც მას ირწმუნებს, არ დაიღუპოს, არამედ საუკუნო სიცოცხლე ჰქონდეს, რადგან იმისთვის კი არ მოავლინა ღმერთმა თავისი ძე ქვეყანაზე, რომ დასაჯოს ეს ქვეყანა, არამედ, რათა იხსნას ქვეყანა მისი მეშვეობით. ვისაც ის სწამს, არ დაისჯება, ხოლო ვისაც არ სწამს, უკვე დასჯილია, რადგან არ ირწმუნა ღვთის მხოლოდშობილი ძის სახელი.

იოანე 3:16-18

.....

ჩრდილო-დასავლეთი ჩინეთი, 2003

ეს იყო შუა ზამთარში, ამიტომაც ძალიან ციოდა. შიგნით, სასტუმროში, ვგულისხმობ! დამატებითი ტანსაცმელი ჩავიცვი, რომ თბილად ვყოფილიყავი. გარეთ თოვდა. ჩვენ ჩინეთის უკიდურეს

დასავლეთში ვიყავით, ასევე ბრძოლის შუაგულში. როგორც არის ხოლმე, ხშირად ჩინეთის კომუნისტური პარტიის შემთხვევაში, ბრძოლა არ ყოფილა ფიზიკური ტერიტორიისთვის, არამედ ფსიქოლოგიური ტერიტორიისთვის. ჩინეთის მთავრობას უნდა, რომ აკონტროლოს თავისი ხალხი. მთავრობის ლიდერებს უნდათ, რომ თითოეული პიროვნება პარტიის და სახელმწიფოს ერთგული იყოს.

ჩინეთის ამ ნაწილში, ხალხი ტრადიციულად მუსლიმურ რელიგიას მისდევს. მათი პირველი სალაპარაკო ენა არის არა პარტიის ჩინური მანდარინი (სალაპარაკო ენა), არამედ თურქული ენა უგურ („we-gur“). იმისათვის, რომ ხალხი უკეთესად გაეკონტროლებინათ, ჩინეთის მთავრობამ ათასობით ეთნიკური Han Chinese (ჩინელი) ჩაასახლა ამ ადგილებში. ეს ფაქტი თუ ვერ უზრუნველყოფდა სრულ კონტროლს, ყოველ შემთხვევაში შეამცირებდა უგურულ კულტურულ გავლენასა და დომინაციას. იყო უგური, ჩინეთის მთავრობისთვის, არის დარტყმა შენ წინააღმდეგ. იყო ქრისტიანი და უგური ერთდროულად? ეს საერთოდ საფრთხის მომასწავებელი იყო ყოველმხრივ.

ჩვენ ვიყავით ტურისტები დღის განმავლობაში, დავდიოდით ქუჩებში, ვვაჭრობდით ბაზრებში, ვიღებდით სურათებს ყველგან. მხოლოდ დაღამების შემდეგ შეგვეძლო შევხვედროდით ამ ქალაქში მცხოვრებ ქრისტიანებს, ჩვენ არ შეგვეძლო მათთან მისვლა, ეს მეტ არასასურველ ყურადღებას გამოიწვევდა მათთან მიმართებით. ისინი მოვიდნენ ჩვენთან. კაცი, რომელსაც ალის დავარქმევ, იყო სტუდენტი. როდესაც დაინახა ის დაძაბულობა, რაც არსებობდა მის მშობლიურ ხალხს— უგურებსა და ჩინელებს შორის, მან დაიწყო ფიქრი იმაზე, რომ მოენახა რაიმე საშუალება, რითაც შეძლებდა დახმარებოდა თავის ხალხს, რომ მას თავიდან აერიდებინა სასტიკი ჩაგვრა. თავიდან, ის ფიქრობდა, რომ ისლამი დაეხმარებოდა ამ გზის მოძებნაში. როდესაც ფიქრობდა და მსჯელობდა ამ მტანჯველი კითხვის შესახებ, ალი შეხვდა ქრისტიან კაცს. ალიმ გვითხრა, რომ მას მაინცდამაინც არ მოსწონდა ეს ქრისტიანი, თუმცა მის მიერ გადმოცემულმა უწყებამ, მისი გონება სრულად მოიცვა. მან დაიწყო ქრისტიანობის შესწავლა. ფიქრობდა, იქნებ, ეს არის ის, რასაც შეუძლია მშვიდობა მოუტანოს მის ხალხს. „მე ბევრი მიუღებელი რამ აღმოვაჩინე ისლამში,“ გვითხრა ალიმ, „ბევრი რამ, რისი მიღებაც

არ შემეძლო. ისლამში ვერ დავინახე სამართლიანობა და სიმართლე, ამიტომაც დავიწყე ბიბლიის შესწავლა.“

ალის მამა ადგილობრივი მეჩეთის წინამძღოლი იყო. მისი ძმა შორს წავიდა ისლამის შესასწავლად, ავღანეთში თალიბანთან, ამიტომაც მისი ოჯახი ადვილად ვერ მიიღებდა, თუნდაც თავის წევრს, ვინც ინტერესს ამჟღავნებდა ქრისტიანობასთან მიმართებით და ასეც მოხდა. როცა მათ აღმოაჩინეს, რომ ალი ბიბლიას კითხულობდა, დაწვეს მისი წიგნი. „აღარასოდეს წაიკითხო ეს წიგნი,“ უთხრეს მათ. „ის მთლიანად მცდარია. იქ ყველაფერი შეცვლილია.“

მომდევნო დღე ლოცვის ყოველკვირეული დღე იყო. როდესაც ალის ოჯახი მოემზადა მეჩეთში წასასვლელად, ალიმ გამოაცხადა, რომ არ წავიდოდა მათთან ერთად. იმ მომენტიდან, მისი ოჯახი ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდა მას. მალევე, ის საერთოდ გამოაგდეს სახლიდან. „მე უკვე აღარა ვარ მამაშენი,“ უთხრა მამამისმა, „სახლში აღარასოდეს დაბრუნდე.“ თუმცა ოჯახი არ დაკმაყოფილებულა იმით, რომ ალი უსახლკაროდ დატოვეს. მამამისი მივიდა მის სკოლაში და ხმამაღლა განაცხადა, რომ ხელმძღვანელობა ყურადღებას არ აქცევს სტუდენტებს, ვინაიდან, ასე რომ არ ყოფილიყო და მათ კარგად ეკეთებინათ თავიანთი საქმე, მისი ვაჟი არ გახდებოდა ქრისტიანი.

ალის შეეშინდა დაპატიმრების, ამიტომაც დატოვა სკოლა. ის ჩავიდა იქ, სადაც მისი ნათესავები ცხოვრობდნენ, თუმცა მამამისმა ნათესავებსაც შეატყობინა, რომ მისი შვილი აღარ იყო მუსლიმი, ამიტომ მათაც ზურგი შეაქციეს ალის. მეგობრებმაც უარი თქვეს მასზე, აღარ ესალმებოდნენ და აღარც ეხმარებოდნენ. ქუჩაში დარჩენილი ალი იქ იძინებდა, სადაც ახერხებდა. ამ მიზეზის გამო, ის ავად გახდა და აღმოჩნდა საავადმყოფოში. ჩვეულებისამებრ, ჩინეთში ოჯახის წევრებს მიაქვთ საკვები პაციენტთან, მაგრამ ალის ოჯახს არ გამოუჩენია ინიციატივა, მათ ის საბოლოოდ მიატოვეს, თუმცა, იქაც კი, ღმერთმა უზრუნველყო მისი კეთილდღეობა. სიმპათიურმა მედდამ მოუტანა მას საჭმელი. ალიმ გვითხრა, რომ ამ საკვების გარეშე ის, ალბათ, მოკვდებოდა.

ვიჯექი, ვუსმენდი, ალის მონათხრობს და წარმოვიდგენდი იმ დაბრკოლებებს, რომლებსაც აწყდებოდა ალი რწმენის გზაზე, მაგრამ მან გაუძლო, არ დაიხია უკან, არ დათმო იესო. და ყოველთვის ღმერთი

ზრუნავდა მასზე. როდესაც საავადმყოფოს ხარჯების დაფარვის დრო მოვიდა, ღმერთმა უზრუნველყო ალი ამ თანხით. სკოლისა და სახლის გარეშე დარჩენილ ალის სამუშაო სჭირდებოდა, მაგრამ ვინ დაიქირავებდა ახალგაზრდა კაცს, რომელმაც არა მხოლოდ არ დაასრულა სწავლა, არამედ ქრისტიანიც იყო? სასწაულებრივად, სწორედ შესაფერის დროს, მას შესთავაზეს სამუშაო. მოკლედ რომ ვთქვათ, ალი ხედავდა, რომ ღმერთი იცავდა და ზრუნავდა მასზე ყოველთვის.

როცა ის ახალგაზრდა სტუდენტი იყო, ფიქრობდა იმის შესახებ, თუ რა მოუტანდა მშვიდობას მის მშობლიურ უგურ ხალხს. ახლა, როცა ის ყოველდღიურად მშვიდობის მთავართან ერთად დადიოდა, სწყუროდა, რაც შეიძლება მეტი ადამიანისთვის მოეყოლა იესოს შესახებ ამ ხალხში.

ერთ-ერთი კითხვა, რომელსაც ხშირად ვუსვამ დევნილ ქრისტიანებს, რომლებსაც ვხვდები, არის შემდეგი: „რომელია თქვენი საყვარელი ბიბლიური მუხლი?“ ალის საყვარელი მუხლია ის, რომლის ციტირებაც, ალბათ, ყველა ქრისტიანს შეუძლია გულით: იოანეს 3:16. „ღმერთი ამბობს, რომ უყვარს ყველა ადამიანი,“ მპასუხობს ალი. „ეს მუხლი იმიტომ მიყვარს, რომ მეც მიყვარს ჩემი ხალხი.“

„მთელ მსოფლიოს რომ სწამდეს ქრისტიანობა, ყველგან მშვიდობა იქნებოდა,“ ამბობს ის.

ფიქრისთვის

იესო გვაფრთხილებდა, რომ მისი ჭეშმარიტება გაყოფდა ოჯახებს და რომ მტრებს გაგვიჩენდა საკუთარ სახლშიც კი:

> „რადგან მოვედი, რათა გავყო ადამიანი თავისი მამისაგან, ასული — თავისი დედისაგან და რძალი — თავისი დედამთილისაგან. და საკუთარი შინაურები იქნებიან ადამიანის მტრები. ვისაც მამა ან დედა ჩემზე მეტად უყვარს, ის არ არის ჩემი ღირსი და ვისაც ძე ან ასული ჩემზე მეტად უყვარს, ის არ არის ჩემი ღირსი. ვინც არ აიღებს თავის ჯვარს და არ გამომყვება, ის არ არის ჩემი ღირსი“ (მათე 10:35-38).

შეიძლება, თქვენ არასოდეს გამოგიცდიათ ის რეალობა, რასაც იესო ამბობს ამ ადგილას. შეიძლება, თქვენი ოჯახის წევრებმა ხელი შეგიწყვეს და შთაგაგონეს დამდგარიყავი რწმენის გზაზე და დღესაც კი განაგრძობენ ამის კეთებას, რომ თქვენ უფრო მეტად დაემსგავსოთ უფალს. თუ ასეთია თქვენი ცხოვრება, მონახეთ დრო, რომ დაწეროთ მადლიერების ლოცვა ამ კურთხევისთვის. და ამავე დროს, იმის დროც გამონახეთ, ილოცოთ, რათა დაემსგავსოთ ალის, ვისთვისაც ქრისტეს ერთგულება ნიშნავს მიწიერი ოჯახის დაკარგვას.

და თუ თქვენ იმათ შორის ხართ, ვისაც მოუწია არჩევანი გაეკეთებინა ოჯახსა და იესოს შორის, იცოდეთ, რომ არ ხართ მარტო და დავიწყებული. იესო იქნება თქვენ გვერდით და იზრუნებს თქვენზე, ისევე როგორც, იზრუნა ალიზე და ბევრ სხვაზე თავისუფლებაწართმეულ ხალხზე. როგორც იზრუნა მათზე, ვინც ასეთი არჩევანი გააკეთა.

ლოცვა

იესო, მომეცი ძალა, რომ შენ დაგაყენო ყველაზე მაღლა, საკუთარ ოჯახზე მაღლაც კი.

თქვენი დღიურისთვის

ჩემი დღიურიდან

საინტერესოა, რომ სიცივე და თოვლი ვერ აჩერებს ბიზნესს. მაღაზიები— გარეთ მდგარი „კოსკებიც“ კი—გადავსებული იყო! როგორც ჩანს, ისინი მიეჩვივნენ თოვლსა და სიცივეს.

მთელი ჩინეთი დროის ერთ ზონაშია. ასე რომ, აქ, ამ ადგილზე, დასავლეთ მხარეს, მზე ცხრა საათამდე არ ამოდის. ჩემთვის ეს თითქმის სიგიჟეა—თუმცა ვხედავ, რომ კომუნისტური პარტიისთვის, ასეთი ერთი ზონა აადვილებს აკონტროლოს, მართოს და იბატონოს თითქმის მილიარდ ადამიანზე.

დღე 27

დაპრძალვის მსახურება

წმინდაყავით თქვენს გულებში ქრისტე, როგორც უფალი და მუდამ მზად იყავით, გასცეთ პასუხი ყველას, ვინც თქვენი იმედის გამო, ახსნა-განმარტებას მოგთხოვთ.

1 პეტრე, 3:15

.....

ცენტრალური აზია, 200

პირველად, ვნახე კაცი ტიროდა, როდესაც იხსენებდა თავის წამებას. ცრემლები მოსდიოდა თვალებიდან, ხუცეს რაჰიმოვს, და ჩამოსდიოდა ლოყებზე. ზაფხულის ცხელი დღე იყო, თუმცა გრილი, სასიამოვნო, სიო უბერავდა კასპიის ზღვიდან. ჩვენ გარეთ ვისხედით.

„მცემეს,“ მითხრა მან. მისი ხმა წყნარი იყო, თუმცა ემოციებით სავსე. „ბევრჯერ მცემეს.“ შემდეგი ამოსუნთქვისას, გვითხრა, რომ ლოცულობს თავისი მდევნელებისთვის. „სხვა არაფრის გაკეთება შემიძლია მათთან დაკავშირებით,“ თქვა მან. „მხოლოდ ვლოცულობ.“

ბევრი რამ შეიცვალა მის ქვეყანაში იმ ათი წლის განმავლობაში, რაც საბჭოთა კავშირი დაინგრა და მისმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მიიღო,

თუმცა ერთი რამ არ შეცვლილა: იყო ქრისტიანი და ელაპარაკო სხვებს იესოს შესახებ, დევნით სრულდება. ცენტრალური აზიის ქვეყნებმა სამოცდაათ წლიანი კომუნისტური მმართველობა გაიარეს, რომლის დროსაც ათეისტური აღზრდა-განათლება იყო დანერგილი, ყოველგვარ რელიგიურ გამოხატვას აბუჩად იგდებდნენ, მაგრამ კომუნიზმის განადგურების შემდეგ, მის ადგილზე გამოჩნდა ისლამი, რომელსაც ისევე არ მოსწონს ქრისტიანობა, როგორც კომუნისტებს არ მოსწონდათ. კომუნისტები ფიქრობდნენ, რომ ქრისტიანები არეულობის შემომტანები იყვნენ, რადიკალი მუსლიმები კი მათ განდგომილებად მიიჩნევენ, რომლებიც სიკვდილს იმსახურებენ.

ხუცესი რახიმოვი ერთ-ერთი პირველი იყო თავის საცხოვრებელ ადგილზე, ვინც იესოს მიმდევარი გახდა. მან კომუნისტური ჩაგვრაც იხილა და რადიკალური ისლამის მოძალებაც. მან ორივეს დროს მიიღო ტანჯვა. დევნამ და ჩაგვრამ ვერ შეაჩერა, ის განაგრძობდა თავის საქმიანობას და ადამიანებს ელაპარაკებოდა იესოზე. თუ ის სოფელში იმყოფებოდა, რა მიზეზიც არ უნდა აყოფილიყო, დარწმუნებული იყო, რომ ღმერთს უნდოდა მას სახარება ექადაგა იქ მაცხოვრებლებისთვის. თუ პოლიცია დააკავებდა მას, ასევე დარწმუნებული იყო იმაში, რომ ღმერთს უნდოდა ამ პოლიციელისთვის ექადაგა. თუ რადიკალური მუსლიმების ჯგუფი შემოხვდებოდა, ესეიგი ღმერთი გზავნიდა მათთან დასამოწმებლად! მან გვიამბო, თუ როგორ მოქმედებდა მისი გზნება და გაბედულება რეალურ სიტუაციებში.

ერთხელ ის ჩავიდა ერთ სოფელში, სადაც ეს ესაა იწყებოდა ამ სოფლის ერთ-ერთი წინამძღოლის დაკრძალვის ცერემონია. დაინახა რა ეს შესაძლებლობა, რახიმოვმა საუბარი გაუბა ორ მოლას (ისლამური სწავლების სპეციალისტებს), რომლებიც წინამძღოლობდნენ ამ პროცესს. მან ჰკითხა, რას ფიქრობდნენ, რა ემართება გარდაცვლილს, როდესაც ის საბოლოოდ ამოისუნთქავს. მოლებმა ვერ გასცეს მას ზუსტი პასუხი.

„რატომ ხართ აქ, თუ თქვენ არ გაქვთ პასუხი ასეთ მნიშვნელოვან კითხვაზე?“ გამოიწვია ისინი რახიმოვმა. „თუ ასეთი ჭკვიანი ხარ,“ უპასუხა ერთმა მოლამ, „რატომ არ უნდა გამოხვიდე სიტყვით ამ პროცესიაზე?“ ეს ის შესაძლებლობა იყო, რისი ხელიდან გაშვებაც ხუცესს არ შეეძლო! ის გავიდა წინ, დაიკავა პოზიცია კუბოსთან, რომელშიც მკვდარი მუსლიმის

სხეული ესვენა. მან ილაპარაკა მარადისობაზე ღმერთთან ერთად, რომლის იმედიც ადამიანს იესო ქრისტეს მეშვეობით ეძლევა. იქ მყოფები ყურადღებით უსმენდნენ მას. დაახლოებით ას ორმოცდაათი ადამიანი, ორი მოლაც და სოფლის პოლიციელიც.

დამკრძალავი პროცესიის დასრულების შემდეგ, სოფლის ბევრი მცხოვრები მივიდა მასთან კითხვების დასასმელად. ისინი ორივე ლოყაზე კოცნიდნენ მას, რაც მიღებისა და პატივისცემის ნიშანია მათ კულტურაში. „ეს მულა ყველაზე უკეთესია, ვისთვისაც ოდესმე მოგვისმენია," უთხრეს მათ მუსლიმ მულებს. „ჩვენ გვინდა, რომ ის კვლავ ჩამოვიდეს ჩვენს სოფელში." რახიმოვი გახარებული იყო მათი მოთხოვნი. მოგვიანებით, ის, მართლაც, დაბრუნდა იქ და აჩვენა ფილმი „იესო". ეს იყო მისი ერთ-ერთი ბედნიერად დასრულებული ამბავი, თბილი მიღება და ღია კარი სახარებისთვის, თუმცა იყო სხვა ისტორიებიც, სრულიად განსხვავებული დასასრულით. ერთ სოფელში, ჩვენი ჩასვლიდან სულ რამდენიმე თვის წინ, მიღება არ ყოფილა ასეთი თბილი. როცა რახიმოვი ჩავიდა იმ სოფელში, შევიდა ერთ-ერთ ოჯახში სასაუბროდ. მისი წასვლის შემდეგ საიდუმლო პოლიცია შევარდა იმ ოჯახში, გადაიღო ოჯახის წევრების პირადობის მოწმობები და უთხრეს მათ, რომ შემდეგ, როცა რახიმოვი მოვიდოდა მათთან, მათთვის უკეთესი იქნებოდა, მაშინვე დაერეკათ პოლიციაში. ფაქტია, მათ უთხრეს, რომ მათთვისვე იქნებოდა უკეთესი და გაცილებით უსაფრთხო, თუ მათ არც ურთიერთობა ექნებოდათ და არც თანამშრომლობა ქრისტიანებთან. არც ის ოჯახი შეშინებულა და არც ხუცესი რახიმოვი. ის ალაგებდა გეგმებს ჩვენი საუბრის დროს, რათა დაბრუნებულიყო იმ სოფელში. მას ახსოვს ცემა, ტკივილი და ტანჯვა, რომელიც გადაიტანა, თუმცა ის იმედი და სიხარულიც ახსოვს, რომელსაც განიცდიდა, როდესაც აღმოაჩინა სახარების ჭეშმარიტება იმის შესახებ, რომ ღმერთმა გამოგზავნა თავისი ძე, როგორც გამოსასყიდი მსხვერპლი, არა მხოლოდ ცენტრალური აზიის ხალხისთვის, არამედ ყველასთვის ყველგან.

ის სიხარული, რასაც რახიმოვი გრძნობს, როდესაც ხედავს თავის ხალხს, რომელიც პირველად ისმენს ამ უწყებას, უწყებას ღმერთის სიყვარულზე და ქრისტესთან ერთად მარადისობის გატარებაზე, ხედავს მათ თვალებში გაჩენილ სინათლეს და ორმაგდება მისი სიხარული,

რომელთან შედარებითაც არაფერია დროებითი ტანჯვა, თუნდაც, ცრემლები ცემის გამო.

ფიქრისთვის

როგორ შეგვიძლია, ყოველთვის ვიყოთ მზად ყველას დასაცავად და ყოველი სიტუაცია მივიჩნიოთ სახარების ქადაგების შესაძლებლობად? რახიმოვი არ არის პირველი მორწმუნე, რომელსაც შევხვედრივარ, ვინც დაკრძალვის პროცესს სახარების ქადაგების დიდ შესაძლებლობად მიიჩნევს მტრულ და თავისუფლებაშეზღუდულ ხალხში. მახსოვს, ჩინელი ხუცესი, რომელმაც მითხრა, რომ ძალიან უყვარს დაკრძალვებზე ქადაგება, ვინაიდან, ადამიანები ბუნებრივად არიან განწყობილნი, იფიქრონ მარადისობაზე და იმის გამოც, რომ პოლიცია თითქმის არასოდეს გიშლის ხელს დასაფლავების დროს.

თქვენც ისე გწამთ, როგორც ხუცეს რახიმოვს, რომ ყველა ადამიანი, რომელსაც ხვდები, მოყვანილია შენს გზაზე, რათა სახარებით გქონდეს ზეგავლენა ამ ადამიანზე? როგორი ზეგავლენა აქვს ამგვარ წესს თქვენს მოქმედებებსა და საუბრებზე? დააყენეთ შემახსენებელი ზარი თქვენს ტელეფონზე, რათა ყოველდღიურად ილოცოთ იმის შესახებ, რომ ღმერთმა კარი გახსნას იმ დღეს, როდესაც იესოს სიყვარულის შესახებ გაესაუბრებით იმ ადამიანს, ვისაც ღმერთი მოიყვანს თქვენს გზაზე.

ლოცვა

უფალო, დამეხმარე, რომ თითოეული პიროვნება, რომელსაც ვხვდები შენი თვალით დავინახო და ყოველი შეხვედრა და საუბარი მივიჩნიო შესაძლებლობად, რათა იმ პიროვნებას ვესაუბრო შენი მადლისა და სახარების ჭეშმარიტების შესახებ, შენი სიყვარულისა და მისი ცოდვების გამოსასყიდად შენი ჯვარცმის შესახებ.

თქვენი დღიურისთვის

ჩემი დღიურიდან

თვითმფრინავში ეოფნა თავვადასავალი იეო. მე ვიჯექი საავარიო გასასვლელის გვერდით და როცა გავედით ასაფრენ ზოლზე, ისეთი ხმა შემომესმა, თითქოსდა, ჰაერი შემოდიოდა სალონში! ჩემმა თანამშრომელმა იკითხა, იეო თუ არა, კარი კარგად დახურული. ბორტგამცილებელმა დაგვარწმუნა, რომ კარი კარგად იეო დახურული. შემდეგ, როცა ავფრინდით, ჰანელი, რომელიც ფარავდა ბარგის შესალაგებელს, ჩამოიხსნა — გვარიანად შეეშინდი! თვითმფრინავი თითქმის ოცი წლისაა, შეღებილია ავოკადოსფრად, აქვს ყვითელი ზოლები, შიგნით კი გახუნებული ცისფერი სკამებია. სკამები წინ იკეცება, ასე რომ, თუ სკამზე არავინ ზის და თვითმფრინავი შეირყევა, ისინი წინ იკეცება. სასაცილოა, არა! და კიდევ, ბენზინის სუნიც ვიგრძენი!

აფრენამდე, მე გამალებული ვლოცულობდი, თუმცა, როცა ავფრინდით, მოვეშვი და ცოტა წავთვლიმე კიდეც.

დღე 28

„გამოიყენე ის საპირფარეშოში“

აგრიპამ უთხრა პავლეს: „ცოტაც და ქრისტიანად მაქცევ.“ პავლემ კი უპასუხა: „ღმერთს ვევედრები, რომ ადრე თუ გვიან, არა მარტო შენ, არამედ ყველა, ვინც დღეს მე მისმენს, ისეთი გახდეს, როგორიც მე ვარ, გარდა ამ ბორკილებისა.“

საქმეები 26:28-29

.....

ცენტრალური აზია, 2002

მრავალ ქრისტიანს, რომლებსაც შევხვედრივარ, გასაოცარი ცხოვრება ჰქონდათ ქრისტესთან მოსვლამდე. როდესაც ტელმანს შევხვდი, ის მივლინებული იყო მისიონერად თავისი ქვეყნის ერთ იზოლირებულ ნაწილში, ცენტრალურ აზიაში, ისეთ ადგილზე, როგორზეც არ არსებობდა ეკლესია. მე მისმა მორწმუნეობამდელმა ცხოვრებამაც ძალიან დამაინტერესა.

ტელმანი, სანამ ქრისტესთან მოვიდოდა, იყო კრიმინალი. კრიმინალურ ოჯახში გაიზარდა. თავისი დანაშაულისთვის იჯდა ციხეში, როგორც თქვა, სრულიად დამსახურებულად. მისი ძმებიც კრიმინალები იყვნენ.

მე ვკითხე ტელმანს, როგორ შეიძლება, რომ მუსლიმი, კრიმინალების ოჯახიდან იესო ქრისტეს მიმდევარი გახდეს.

„სულიწმიდა უნდა შეეხოს მას," მიპასუხა. „სხვა გზა არ არსებობს."

თბილი დღე იყო და ჩვენ გარეთ ვისხედით, როცა ტელმანი მიყვებოდა თავის ისტორიას. იქვე, ახლოს, ქალაქის სკვერში, შადრევანი ხმაურობდა. შესაძლოა, სწორედ ამ სასიამოვნო გარემომ არ მისცა საშუალება ტელმანს, მოეყოლა ჩემთვის თავისი მოქცევის არასასიამოვნო დეტალები. მიამბო თავის კრიმინალურ წარსულზე. მიამბო, ასევე, მსახურებაზე და ამ მსახურების ზოგიერთ სირთულეზე, თუმცა არაფერი უთქვამს მოქცევის მომენტზე და იმ უსიამოვნებებზე, რომლებიც თან ახლდა ამას. მისი ისტორიის ამ ნაწილის შესახებ, მე შევიტყვე სხვა ქრისტიანისგან, რომელიც ტელმანის მეგობარი იყო.

როცა ტელმანი, ნომინალური მუსლიმი კრიმინალი, გახდა იესოს მიმდევარი, მისი ოჯახი გაამძვინვარა მისმა „ღალატმა." მან მთელი ოჯახი შეარცხვინა და საჭირო იყო ვინმე დასჯილიყო. ისლამის მიტოვება ვერ იქნებოდა ტელმანის იდეა. ის ვიღაცას უნდა დაეყენებინა განდგომილების გზაზე. ტელმანის ოჯახი ბრალს მის ცოლს სდებდა ამ ცუდი გადაწყვეტილების მიღებისათვის. ტელმანის ძმებმა სცემეს მისი ცოლი, რათა დაესაჯათ. როგორც ქმარმა, შემიძლია წარმოვიდგინო, ის ბრაზი და სირცხვილი, რომელიც ტელმანმა იგრძნო. განა არ უნდა დაიცვას ქმარმა თავისი ცოლი? თუ მის ოჯახში რაიმე ჰქონდათ მის წინააღმდეგ, განა ამაზე მისთვის არ უნდა ეთქვათ, ნაცვლად იმისა, რომ მისი ცოლი ეცემათ? ასე რომ, სრულად მესმოდა, რატომაც მოვისმინე ეს ისტორია სხვისგან და არა პირდაპირ ტელმანისგან. ქმრისთვის ძალიან ძნელი იქნებოდა, სხვა კაცისთვის ამის მოყოლა.

დევნამ ვერ დააფრთხო ტელმანი და მისი მეუღლე. ფაქტია, ამან მხოლოდ გააძლიერა მათი გადაწყვეტილება, მტკიცედ მდგარიყვნენ იმ გზაზე, რომელზეც ღმერთმა მოუწოდა და დააყენა. მან დაიწყო ბიბლიის შემსწავლელი კურსები თავის ეკლესიაში და შედეგად, დაევალა ყოფილიყო მისიონერი თავისი ქვეყნის სხვა ნაწილში. მან და მისმა ცოლმა ჩაალაგეს ბარგი და გადავიდნენ. თავიდან ცოლის ნათესავებთან გაჩერდნენ. ამავდროულად, დაიწყეს სახარების ქადაგება იქ მცხოვრებ მოსახლეობაში.

ადგილობრივ ხელისუფლებს ცხადია, რომ არ სურდათ ეკლესია გამოჩენილიყო მათ ქალაქში. ტელმანი დაიბარეს პოლიციაში, გამოკითხეს და გააღიზიანეს. უთხრეს, რომ მას არ ჰქონდა მთავრობის ნებართვა, მათ ქალაქში ეკლესიის დასაფუძნებლად. საბოლოოდ, მას საცხოვრებელი ადგილის დოკუმენტები ჩამოართვეს და უბრძანეს დაეტოვებინა ქალაქი და დაბრუნებულიყო დედაქალაქში, სადაც მანამდე ცხოვრობდა. ტელმანი და მისი მეუღლე დაუპირისპირდნენ დევნას, როცა მან გადაწყვიტა გამხდარიყო ქრისტეს მიმდევარი, თუმცა მას ფარ-ხმალი არ დაუყრია. ის არ აპირებდა, შეეწყვიტა ეკლესიის დაფუძნების მცდელობები, თუნდაც, დევნა გაცილებით გამანადგურებელი ყოფილიყო. უკან, დედაქალაქში, ჩამოსული დაელაპარაკა თავის ხუცესს. დედაქალაქში არსებული ეკლესია მთავრობის მიერ იყო დარეგისტრირებული, აქედან გამომდინარე, ხუცესმა შეადგინა დოკუმენტი ტელმანის სამისიონერო მსახურებისთვის, რომ ეს მსახურება წარმოადგენდა დარეგისტრირებული ეკლესიის ნაწილს.

ტელმანი დაბრუნდა იმ ქალაქში და განაგრძო სახარების ქადაგება. ის კიდევ ერთხელ დაიბარეს პოლიციაში. ადგილობრივი პოლიციის უფროსის წინ მჯდარმა ტელმანმა, წარუდგინა მას ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც ნახსენები იყო, რომ ამ ქვეყნის მთავრობა იწონებდა მის საქმიანობას იმ ქალაქში. პოლიციის უფროსმა იქედნურად გაიღიმა. „აიღეთ ეს ქაღალდები და გამოიყენეთ ისინი საპირფარეშოში,“ თქვა მან. „მე ვარ აქ კანონი.“ ტელმანი კვლავ გამოაგდეს ქალაქიდან. და მაინც, მას არ დაუხევია უკან იმ საქმის კეთებისას, რა საქმეზეც მოუწოდა ღმერთმა. თუ მას არ მისცემდნენ ქალაქში ცხოვრების საშუალებას, შეეძლო ხშირად ჩამოსულიყო აქ და ისე გაეგრძელებინა ეს საქმე, ასეც მოიქცა. მან დაიწყო ამ ქალქში მოგზაურობა, ჯერ ავტომობილით, შემდეგ ავტობუსით, ყოველ კვირა. ტელმანის მოწადინებისა და გულმოდგინების შედეგად, ამ ქალაქში ქრისტიანების რიცხვი გაიზარდა. მრავალს, ვინც შეიტყო მის შესახებ, ცნობისმოყვარეობა გაუჩნდა და სურდა მასთან საუბარი. გაგიჟდა? რატომ ჩამოდის აქ, თუ ხელისუფლებმა მკაფიოდ მიანიშნეს მას, რომ ის აქ არასასურველი სტუმარია? რამ შეცვალა ის ასე, მას შემდეგ, რაც ციხეში იჯდა. ის ხომ კრიმინალი იყო, ახლა კი გამოკითხვებზე იბარებენ პოლიციაში, იმის გამო, რომ ცდილობს

ეკლესიის დაფუძნებას? რას აკეთებს, რას ლაპარაკობს ისეთს, რის გამოც ხელისუფლება ასე ნერვიულობს?

მან გვთხოვა ჩვენ, რომ ვილოცოთ მისი შემდგომი მსახურებისთვის, რომ ამ ქალაქში მცხოვრები უფრო ბევრი მუსლიმი მივიდეს ქრისტესთან და აღიაროს ის მხსნელად და მეფედ. ის, ასევე, აგრძელებს ლოცვას იმის შესახებ, რომ ღმერთმა ამ ქალაქში ცხოვრების საშუალება მისცეს მას, რომ ის და მისი ცოლი იქ გადავიდნენ და უფრო ახლოს იყვნენ იმ მსახურებასთან, რომლისკენაც მოუწოდა მათ ღმერთმა. მსახურებასთან, რომელიც ასე ცხადად აკურთხა მან.

ფიქრისთვის

როდესაც ღმერთი მოგიწოდებს რაღაც გააკეთო, რამდენად გაფრთხობთ წინააღმდეგობა? რამდენად სწრაფად ნებდებით, თუ საქმეები არ მიდის ისე კარგად, როგორც თავიდან, როდესაც შეუდექით ამ მსახურებას?

ტელმანს უთხრეს, რომ მას არ ჰქონდა ნებართვა ემოქმედა ამ ქალაქში, ამიტომაც მან მოიპოვა საჭირო დოკუმენტი. შემდეგ უთხრეს, რომ ეს დოკუმენტი გამოუსადეგარია, მაგრამ მან განაგრძო თავისი საქმიანობა. შემდეგ უთხრეს, რომ არ შეეძლო იქ ცხოვრება, თუმცა მან განაგრძო მსახურება რეგულარული ვიზიტებით. ვერანაირმა დაბრკოლებამ ვერ დაახევინა მას უკან. ის ერთგული დარჩა თავისი მოწოდებისა ამ ქალაქში. გაქვთ იგივე გადაწყვეტილება? მზად ხართ ილოცოთ და იმოქმედოთ, დასახოთ გზები, რათა გადალახოთ შემხვედრი დაბრკოლებები და აღასრულოთ ღვთის მოწოდება თქვენს ცხოვრებაში? თქვენი დღიურისთვის, დაწერეთ, იმ დაბრკოლებების შესახებ, რომლებსაც აწყდებით ახლა თქვენს სულიერ ცხოვრებაში. ჩამოთვალეთ სამი იდეა, თუ როგორ შეგიძლიათ მათი დაძლევა.

ლოცვა

უფალო იესო, დამეხმარე, რომ გაბედულად განვაგრძო იმის კეთება, რისი კეთებაც შენ დამავალე, მიუხედავად წინააღმდეგობებისა,

უსიამოვნებებისა, ან შემხვედრი დაბრკოლებებისა. მომეცი, შემოქმედებითი იდეები, რათა გადავლახო ის დაბრკოლებები, რომელთაც ვაწყდები ახლა.

თქვენი დღიურისთვის

ჩემი დღიურიდან

[მოგზაურობის პირველი დღე:] დაახლოებით ოცდარვა საათი ვიჟავი გზაში, როცა აქეთ მოვდიოდი, მათ შორის, იუო ხანგრძლივი ექვს საათიანი შესვენება ლონდონში. ჩამოვედი შუაღამით გასულ ღამეს და ორ საათზე დავწექი. ცხადია, ძილი გამიკრთა, არეული დროის გამო. ასე რომ, დაახლოებით სამი საათი ძილი გამომივიდა.

ჩვენ სასტუმრო დავტოვეთ დილის რვა საათის შემდეგ და აღარ შევსულვართ უკან, ჩვიდმეტნახევარი საათის განმავლობაში, მეორე დღის ორის ნახევრამდე, თუმცა თავს მაინც კარგად ვგრძნობდი მთელ დღეს! ჩვენ ამავე დროში, მანქანით, ათას ასი კილომეტრი გავიარეთ. ჩვენმა მასპინძელმა თქვა, რომ მე ნამდვილი გმირი ვარ, ვინაიდან, უველა უცხოელი ტირილს დაიწუებდა, თუნდაც, ასი კილომეტრის გავლის შემდეგ!

ციტატები, რომლებზეც უნდა ვიფიქროთ

როდესაც ეკლესია სრულად იყო გამოცალკევებული ქვეყნიერებისგან, მისი საქმიანობა ყოველთვის უფრო ვითარდებოდა. პირველი სამი საუკუნის განმავლობაში, ქვეყნიერებას სძულდა ეკლესია. ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ ქრისტიანები ცისეს, ძელსა და გაგიჟებული ცხენის ფლოქვებს იმსახურებენ. ასე ფიქრობდა ქვეყნიერება. როცა ადამიანი ქრისტიანი ხდება, ის ტოვებს მამას და დედას, სახლსა და მიწებს, საკუთარ ცოლსაც კი... მაგრამ იმ დროს გმირები მოდიოდნენ, ის დრო გიგანტების დრო იყო. არასოდეს ყოფილა ეკლესია ისეთი ძლიერი და ისეთი მზარდი, როგორიც მაშინ, როდესაც ის სისხლით ინათლებოდა. ეკლესიის გემს არასოდეს დაუძლევია წუთისოფლის აბობოქრებული ზღვა ასე მძლავრად, ვიდრე მაშინ, როცა მისი წამებულების სისხლით იღებებოდა გემბანი. ჩვენ უნდა ვიტანჯოთ და ჩვენ უნდა მოვკვდეთ, რათა შევიძინოთ, რათა მოვიპოვოთ ეს ქვეყნიერება ქრისტესთვის.

ჩარლზ სპერჯენი[1]

ამრიგად, შენ, ჩემო შვილო, გაძლიერდი მადლით, რომელიც ქრისტე იესოშია და რაც მოისმინე ჩემგან მრავალ მოწმესთან ერთად, გადაეცი სარწმუნო ადამიანებს, რომელთაც სხვების სწავლების უნარი ექნებათ. გაიზიარე ჩემი ტანჯვა, როგორც ქრისტე იესოს კეთილმა მეომარმა.

2 ტიმოთე 2:1-3

1 ჩარლზ სპერჯენი, „გამოვაცალკევოთ ძვირფასი“ sermon deliv¬ered March 25, 1860, in The New Park Street Pulpit, vol. 6 (Grand Rapids, MI: Zondervan, 1964), 154.

დღე 29

„ვერავინ შეძლებს სახარების შეჩერებას“

გაფიცებ და მოგიწოდებ ღვთისა და ქრისტე იესოს წინაშე, რომელიც განიკითხავს ცოცხლებსა და მკვდრებს თავისი გამოცხადებით და თავისი სუფევით. იქადაგე სიტყვა, მზად იყავ დროულად და უდროოდ ამხილო, შერისხო, შეაგონო სრული სულგრძელებითა და დამოძღვრით.

2 ტიმოთე 4:1-2

.....

აზერბაიჯანი, 2002

სანამ ხუცესი იალოვი მგზნებარე ქრისტიანად და გაბედულ ევანგელისტად იქცეოდა, ის თავგამოდებული მუსლიმი იყო—უფრო მეტად თავგამოდებული, ვიდრე მისი ხალხის უმრავლესობა. ის იყო განათლებული, შეძლებულიც გახლდათ, თუმცა ისე ჩანდა, რომ ნამდვილ სიმშვიდეს ვერსად პოულობდა. ისლამისადმი თავისი თავდადების გამო, მან წაიკითხა ყურანი, რათა ეპოვა პასუხები იმ კითხვებზე, რომელ კითხვებსაც მისი გული სვამდა. მან, ასევე, შეასრულა ერთ-ერთი ისლამური მოვალეობა, მოილოცა მექა, აღასრულა ჰაჯი. აკეთებდა ყველაფერს, რასაც მისი რელიგია ავალებდა და ასწავლიდა გაეკეთებინა, თუმცა ნანატრ მშვიდობას

მაინც ვერ პოულობდა. უსასოობაში ჩავარდნილმა, დაიწყო მომზადება იმისათვის, რომ დაესრულებინა სიცოცხლე. „ვცდილობდი მეცხოვრა შარიათის მიხედვით," გვითხრა მე და ჩემთან მყოფს, აზერბაიჯანის დედაქალაქში ვიზიტისას. „ვგრძნობდი, რომ რაღაც არ მყოფნიდა ცხოვრებაში. ყურანში ვერ ვიპოვე პასუხი ჩემს კითხვებზე. ვფიქრობდი, რომ სულელი ვიყავი, რომ საკმარისი ცოდნა არ მქონდა, ამიტომაც უფრო და უფრო მეტს ვკითხულობდი, მაგრამ ამ დაუღალავმა კითხვამაც მეტი კითხვები გააჩინა."

ერთმა ხუცესმა დაპატიჟა იალოვი, რომ შეერთებოდა ქრისტიანულ შეხვედრას, სადაც უკვე იყო ექვსი აზერბაიჯანელი მორწმუნე. იალოვი მეშვიდე კაცი იყო ჯგუფში, ერთადერთი, ვინც ჯერ არ იყო ქრისტეს მიმდევარი. ექვსი თვის განმავლობაში, იალოვი ესწრებოდა ჯგუფის შეხვედრებს და კითხულობდა ბიბლიას. ხუცესმა უამბო მას იესოს შესახებ და იმაშიც გაარკვია, თუ სად მიდის ადამიანი გარდაცვალების შემდეგ. იალოვი ყურანის კითხვასაც განაგრძობდა და ერთმანეთს ადარებდა მუჰამედის სიტყვებსა და ქრისტეს სიტყვებს. ერთ დღესაც, როდესაც გადაშალა ბიბლია, მისი თვალები წააწყდა ფსალმუნის 90:14 სიტყვებს: „რაკი შემიყვარა, ვიხსნი მას, დავიფარავ, რადგან შეიცნო სახელი ჩემი." „მე მჭირდება, რომ მოვუხმო ღმერთს," ფიქრობდა იალოვი ლოცვის დროს. „მაგრამ არ ვიცი, მისი სახელი." ღმერთმა შეისმინა მისი ლოცვა და ექვსი თვის შემდეგ, იმ ბიბლიურ ჯგუფში, რომელშიც ის ერთადერთი ურწმუნო წევრი იყო, ბიბლიის მუხლების კითხვისა და ხუცესის განმარტების შემდეგ, ბოლოს და ბოლოს გაიხსნა მისი გული და გონება. იალოვმა თავისი ცხოვრება ქრისტეს მიუძღვნა. ახლა ჯგუფში უკვე შვიდი მორწმუნე წევრი იყო, რომლებიც ერთად კითხულობდნენ ბიბლიას.

ცვლილება იალოვში მყისიერი და დრამატული იყო. დაინახა რა ის, რაც იესომ შეცვალა მისი ქმრის ცხოვრებაში, იალოვის ცოლიც მალევე გახდა იესოს მიმდევარი, თუმცა ყველა არ დარჩენილა მის ოჯახში იალოვის არჩევანით ნასიამოვნები. მისმა საკუთარმა დედამ გააგდო ის ოჯახიდან და უთხრა: „იმის გამო, რომ მიატოვე ისლამი, შენ შეარცხვინე საკუთარი თავი და ნათესავები".

იმ დღიდან ორი წლის განმავლობაში, იალოვს საკუთარ ოფისში ეძინა. მას ერთმანეთისთვის უნდა მიედგა ორი მერხი და მოეწყო თავისი საწოლი. იგი ცდილობდა კიდევ უფრო უკეთ შეესწავლა სახარება და მიჰყოლოდა იესოს. მას უნდა, რომ ქრისტესთან არა მხოლოდ თავისი საკუთარი ოჯახი მიიყვანოს, არამედ თავისი თანამემამულეებიც. იგი დაიმოწაფეს და გააგზავნეს მსახურებისთვის. ამგვარი მსახურება გარკვეული ფასი ჯდება მუსლიმურ ქვეყანაში. მალე, იალოვი დააპატიმრეს სხვა მორწმუნესთან ერთად, რომელიც მასთან ერთად შრომობდა. ისინი დაკავებულები იყვნენ თხუთმეტი დღე. დაჰყავდათ დაკითხვებზე და ფსიქოლოგიურად ძალადობდნენ, რათა დაბრუნებოდნენ ისლამს და შეეწყვიტათ ევანგელისტური საქმიანობა.

მომდევნო წელს, ის კვლავ დააპატიმრეს სხვა ხუცესთან ერთად, შუა ღვთისმსახურების დროს. ისინი რვა დღე ისხდნენ მიწისქვეშა ერთკაციან საკნებში. საკნებს ერთი მეტრი სიგანე და მეტრნახევარი სიგრძე ჰქონდა. იმის ადგილიც კი არ იყო, რომ ადამიანი იატაკზე დაწოლილიყო. საკნის კარში დატანებული იყო პატარა დარაბა, რათა ციხის მცველებს პატიმრისთვის თვალყური ედევნებინათ. იალოვმა, ვისაც, როგორც ჩანს, ახსოვდა პავლეს შეგონება, ტიმოთესთან მიმართებით მზად ყოფილიყო, რომ „დროულად და უდროოდ“ ... იფიქრა, რომ ეს პატარა დარაბა იმისათვის იყო კარში დატანებული, რომ მას და მის თანამშრომელს ექადაგათ მცველებისთვის. იალოვი და სხვა ხუცესი შეუდგნენ საქმეს, ისინი ერთმანეთს ცვლიდნენ. ერთ-ერთი მცველი საშინელ კუჭის ტკივილს უჩიოდა. იალოვმა, თავისი საკნის კარის პატარა დარაბიდან, ილოცა, რომ იესოს განეკურნა ის კაცი. მცველმა მაშინვე უკეთ იგრძნო თავი, იალოვის ლოცვა შეისმინა ღმერთმა. „მცველებმა იცოდნენ, რომ ჩვენ არ ვიყავით კრიმინალები,“ მითხრა იალოვმა. მან და სხვა ხუცესმა სთხოვეს მცველებს, მოეტანათ მათთან ფილმ „იესოს“ ასლი. მცველები დასთანხმდნენ. მათ არა მხოლოდ ამ ფილმის ასლი მოიტანეს, არამედ ორ ხუცესს იმის უფლებაც მისცეს, რომ ფილმი სხვა პატიმრებისთვის ეჩვენებინათ! „ჩვენ იესოს ფილმი, პირდაპირ ციხეში ვაჩვენეთ,“ თქვა იალოვმა. „ბევრმა მცველმა მიიღო იესო.“

„საკნის (ციხის) ეკლესია“ იზრდებოდა. ათმა პატიმარმა გადაწყვიტა გამხდარიყო ქრისტეს მიმდევარი და მიეღო მიტევების

მისეული შემოთავაზება. როცა მე იალოვს შევხვდი, ციხიდან მისი გათავისუფლების შემდეგ, მისი სამი თანაპატიმარიც გაათავისუფლეს. ახლა ისინი მისი ეკლესიის წევრები არიან.

ჩვენი შეხვედრების დრო იწურებოდა. მე ვკითხე ჩემს ახალ მეგობარს, უშვებდა თუ არა იმას, რომ მას კვლავ დააპატიმრებდნენ. უცნაურად მომეჩვენა მე, როდესაც მან ამ კითხვას ფართო ღიმილით უპასუხა. „ძალიანაც მინდა, რომ კვლავ დამაპატიმრონ," თქვა მან. „ყველა, ვინც მე დამაპატიმრებს, მოისმენს ღვთის სიტყვას. ეს კიდევ ერთი შესაძლებლობა იქნება სახარების ქადაგებისთვის. არა აქვს მნიშვნელობა რა დამემართება მე, მილიონობით ადამიანი იქადაგებს სახარებას. ძალიან გვიანია ამის შეჩერება. ვერავინ შეძლებს სახარების შეჩერებას!"

ზიქრისთვის

არსებობს ისეთი „დარაბები" თქვენს ცხოვრებაში, რომელთა მეშვეობითაც სხვები შეძლებენ დაგაკვირდნენ? შეიძლება ასეთი დარაბები თქვენს სამსახურშია, თქვენს სამეზობლოში, ან სხვა მშობლებს შორის იმ სკოლაში, სადაც თქვენი ბავშვები დადიან. თქვენი დღიურისთვის, აღწერეთ ის გზები, რომელ გზებსაც ასეთი „დარაბები" გაძლევენ თქვენ, შესაძლებლობებს, რათა სახარება უქადაგოთ და იესოს სიყვარული დაანახოთ მათ. გინდათ შეხვდეთ უსიამოვნებებს, თუნდაც, სიძნელეებს, თუ ეს ის შესაძლებლობა იქნება, რომ ადამიანებს ქრისტე გააცნოთ?

ლოცვა

უფალო, მადლობა ჩემი ძმა, იალოვის, გაბედულებისთვის, რომელმაც თქვა, „თუ ვინმე დამაპატიმრებს მე, ის, აუცილებლად, მოისმენს ღვთის სიტყვას." დამეხმარე, რომ მეც ვიყო ასეთი გაბედული, „რომ ყველამ, ვინც ჩემთან ერთად მუშაობს... ყველამ, რომლის ბავშვებიც იმავე კლასში არიან, რომელშიც ჩემი ბავშვები... ყველამ, ვისაც ღმერთი გზაზე შემახვედრებს... მოისმინოს ღვთის სიტყვა."

თქვენი დღიურისთვის

ჩემი დღიურიდან

კარგი ამბავი ის არის, რომ არსებობს ახალი სასტუმრო იმ [ქალაქში, რომელშიც ვიმყოფებით, რათა შევხვდეთ ადგილობრივ ქრისტიანებს].

ცუდი ამბავი კი ის არის, რომ ჩვენ არ ვართ იმ სასტუმროში.

ახალი სასტუმრო ქალაქგარეთ არის. ჩვენი მიზნებიდან გამომდინარე, იქ დარჩენა არ გამოვა, რადგან ერთი საათი უნდა დაელოდო ტაქსს ქალაქში ჩამოსასვლელად, ამიტომაც ვართ ქალაქში და გავჩერდით ამ სასტუმროში, რომელთან შედარებითაც [ბოლო სასტუმრო, სადაც ვიუავით], ნამდვილი ოაზისი იყო! არ იყო საპირფარეშოში ქაღალდი. არ იყო უნიტაზებზე დასაჯდომები. არ იყო ზეწრები. წყალი მხოლოდ შვიდი საათი მოდიოდა დღეში და იყო უცნაური, გოგირდის, სუნი, როცა წყალი მოდიოდა ონკანიდან.

თუ ჩვენს შეხვედრებთან დაკავშირებით დღესვე გავერკვევით, ალბათ, ხვალისათვის ახალ სასტუმროს მოვძებნით. ახლა, იმაზე ფიქრი, რომ კიდევ შეიძლება ორი ღამე აქ მოგვიწიოს ყოფნა, ჩემს ძალებს აღემატება. ჩვენ გადაგვიყვანეს „ლუქსში,“ სადაც არის კონდინციონერი, თუმცა სხვა მხრივ, ბევრი არაფრით განსხვავდება სხვა ნომრებისგან. ძალიან მინდა, რომ ახლა სახლში ვიყო.

დღე 30

მოციქულთა კვალზე

ამისათვის ხართ მოწოდებულნი, ქრისტეც ხომ იტანჯა თქვენთვის
და მაგალითიც დაგიტოვათ, რათა მის კვალს მიჰყვეთ.
1 პეტრე 2:21

……..

ჩინეთი, ადრეული 2000-იანები

როცა თქვენ ჩადიხართ ჩინელ ქრისტიანებთან, დიდი ხანი არ დაგჭირდებათ იმაში გასარკვევად, რომ რელიგიური თავისუფლების ის სურათი, რომელსაც მთავრობა ცდილობს წარუდგინოს უცხოელებს, არ შეესაბამება სინამდვილეს. ერთ-ერთი მოგზაურობის დროს, სასტუმროში მე მომცეს ჟურნალ „Beijing Review-ს“ უფასო ეგზემპლიარი. ამ ჟურნალის ყდაზე გამოსახული იყო ქალი, აშკარად, საეკლესიო საგუნდო მანტიით და ჯვრით წინა პლანზე. ყდის სათაური ამბობდა: „გარანტირებული თავისუფლება,“ რაც მსხვილი ასოებით იყო დაწერილი, ხოლო ქვესათაური გვაუწყებდა: „ყველა რელიგიურ საქმეს, დამოუკიდებლად განაგებენ რელიგიური ჯგუფები.“

„დანიელმა“, რომელმაც დახლართული გზებით იმისთვის იარა, რომ დარწმუნებულიყო, არავინ უთვალთვალებდა, სრულიად განსხვავებული ამბავი მოგვიყვა „ყველა რელიგიური საქმის შესახებ.“ დანიელი ერთ-ერთი წინამძღოლია დიდი, არარეგისტრირებული, ეკლესიისა. ის ხშირად მსახურობს, როგორც ხუცესის მარჯვენა ხელი, რომელმაც მრავალი წელი გაატარა ციხეში თავისი მსახურებისთვის. და, რა თქმა უნდა, საჯარო უსაფრთხოების ბიურომ კარგად იცის ვინც არის დანიელი.

„ჩემი მეზობლის სატელეფონო ხაზი ძალზე კარგია, ყოველთვის მუშაობს,“ გვითხრა მან. „ჩემი სატელეფონო ხაზი კი ხშირად ჩაჭრილია და ხმაური ისმის ხაზზე.“ ბევრი ჩვენგანი, შეიძლება, გააღიზიანოს იმისმა ცოდნამ, რომ მუდამ გვისმენენ, გვაკვირდებიან, რომ ყველა საუბარი იწერება. დანიელი ამ ყველაფერს ცოტათი განსხვავებულად აღიქვამს: „თუ არიან ადამიანები, რომლებიც გვისმენენ, ესე იგი, მაქვს შესაძლებლობა დავუმოწმო მათ ქრისტე. მხოლოდ მთავრობა არ გვადევნებს თვალყურს,“ ამბობს ის, „არამედ ჩვენი ურწმუნო თანამოქალაქეებიც.“ ამ მიზეზის გამო, ის გააზრებულად ირჩევს იცხოვროს ქრისტეს სიყვარულით და მიტევებით სავსემ. დანიელი სიმშვიდესა და ქრისტესთან მიმართებით ურყევ რწმენას ასხივებს. ის ყურადღებით წარმოთქვამს სიტყვებს. ისე ჩანს, რომ მას არ უნდა, თუნდაც, ერთი სიტყვა წარმოთქვას ფუჭად. ის თავს კომფორტულად გრძნობს, როდესაც არის პაუზა სიტყვებს შორის ჩვენი საუბრის განმავლობაში. მე ვფიქრობ, რომ ის ისეთი კაცია, რომელსაც შეუძლია იჯდეს პოლიციაში დაკითხვაზე და ისე მშვიდად იყოს, რომ პულსიც არ აუჩქარდეს. ეს ესაა შევხვდით, მაგრამ უკვე მეგობრობასა და აღტაცებას ვგრძნობ ამ კაცთან მიმართებით.

რა მოხდება, ვკითხეთ დანიელს, თუ ის დაჭერილი იქნება უცხოელ ქრისტიანებთან —ჩვენს მსგავს ადამიანებთან—შეხვედრისას? “თქვენ, ალბათ, გაგაძევებენ ჩინეთიდან და შავ სიაში შეგიყვანენ, ასე რომ, ვეღარ შეძლებთ ჩამოსვლას.“ „ჰო, მაგრამ შენ რაღა მოგივა?“ „ეს ჯერ არ მომხდარა, მაგრამ მე მზად ვარ, როგორც პავლე ამბობს, [საქმეების 21:12-13 მუხლებში] წავიდე იერუსალიმში და მოვკვდე კიდეც იქ.“ ურწმუნოსთვის ეს შეიძლება, ფატალურად

და ნეგატიურად ჟღერდეს, მაგრამ დანიელი ამას სულ სხვანაირად ხედავს. „ძნელბედობა და დევნა კურთხევის ერთ-ერთი სახეა,“ გვითხრა მან. „დევნა და ძნელბედობა ქრისტიანს აძლიერებს და მოწიფულს ხდის. ადრეული ეკლესია პირველ საუკუნეში არ ჰგავდა იმ ეკლესიებს, რომლებიც ახლა გაერთიანებულ სამეფოში, ანდაც შეერთებულ შტატებშია. ის უფრო იმ ეკლესიებს ჰგავდა, რომლებიც პაკისტანში, ავღანეთში, ჩინეთსა და ჩრდილოეთ კორეაშია. „ჩვენ ყოველთვის ვამბობთ, ‘მიჰყევი მოციქულთა ნაბიჯებს.’ და სად არის მათი ნაბიჯები? ძნელბედობაში. დევნაში.“

ჩვენი საუბრის წინა წელს, იმ ეკლესიამ, რომელშიც დანიელი მსახურობს, მონათლა ოთხას ორმოცდაათი ახალი მორწმუნე. ძნელია, საიდუმლოდ შეინახო ის ფაქტი, რომ ეკლესია ასე სწრაფად იზრდება. მიზეზი ასეთი ზრდისა მარტივია. ერთგული ქრისტიანები სახარებას უზიარებენ ყველა პიროვნებას. ისინი არ მიიჩნევენ, რომ ევანგელიზმი ხუცესის საქმეა, ან ეკლესიის სხვა წინამძღოლებისა. ისინი მიიჩნევენ, რომ ქრისტეს ყოველი მორწმუნე ევანგელისტია.

ჩვენი შეხვედრა დანიელთან დასასრულს უახლოვდება. ის პირველი წავა, ყურადღებით დაათვალიერებს ირგვლივ ყველაფერს და მიხვეულ-მოხვეული გზებით დაბრუნდება სახლში. ჩვენ ცოტას დავიცდით, სანამ წავალთ, ერთი ფინჯანი ჩაის დალევასაც მოვასწრებთ, იმ შემთხვევისთვის, თუ ვინმე აკვირდება შენობაში შემოსასვლელს.

მე ვკითხე დანიელს, როგორ ემზადება იმ შემთხვევისთვის, თუ დააპატიმრებენ მისი სახარებისეული მსახურებისთვის. „ყველაზე მნიშვნელოვანი სულიერი მომზადებაა,“ თქვა მან. „მაგალითად, უფრო მეტად იკითხო ბიბლია ყოველდღიურად და დაიმახსოვრო ზეპირად. მე ეს უნდა მოვახერხო, იმ დღისთვის, თუ არ მექნება ბიბლია.“ „ელოდები, რომ ეს მოხდება?“ ვკითხე მას. „ელოდები, რომ დაგაპატიმრებენ?“ „თუ ეს ღვთის ნებაა,“ მიპასუხა მან წყნარად, „მე დავემორჩილები ამას. მთელი ხელმწიფება იესოს აქვს გადაცემული და მან გვიბრძანა ჩვენ დავიმოწაფოთ ადამიანები, მაგრამ მე არ ვფიქრობ, რომ მარტო და მიტოვებულები ვართ. როგორც ნეემია ამბობს (4:20-ში), ეს ბრძოლა ჩვენი არ არის.

უფალი იბრძოლებს ჩვენთვის. ეს არ არის ისე, თითქოს, ‘ჩვენ ვიბრძვით’ ან ‘ჩვენ ვიბრძოლებთ ჩვენთვის’. არა, არა და არა. ღმერთი იბრძოლებს ჩვენთვის.“

ის იცვამს თავის ქურთუკს და ჩვენ ვემშვიდობებით ერთმანეთს. იგი უჩინარდება სიბნელეში, ცივ ღამეში, იმ გზაზე, რომელზეც მოუწოდა ღმერთმა მსახურებისთვის, „მოციქულთა კვალზე.“.

ფიქრისთვის

როდესაც ჩვენ ვფიქრობთ, ვიაროთ „მოციქულთა კვალზე,“ ჩვენი უმრავლესობა, ალბათ, წარმოიდგენს იმ დროს, როცა ისინი იესოსთან ერთად კოცონის ირგვლივ ისხდნენ, ან ხედავდნენ მესიის რწმენასთან მოსულ ათასობით ადამიანს ორმოცდაათობისას, ან იხილეს როგორ განიკურნა სნეული და ფეხზე წამოდგა ხეიბარი იესოს დახმარებით, თუმცა ასეთივე თბილ და სასიამოვნო გრძნობებს არ განვიცდით, როდესაც ვფიქრობთ, ხუნდებში გატარებულ გრძელ, ცივ, ღამეებზე ფილიპეს საპყრობილეში, გამათრახებაზე, ხომალდის მსხვრევაზე, ან თავდაყირა ჯვარცმაზე. მოციქულებმა ასეთი რამეებიც გამოსცადეს. მათმა მუხლმა არა მხოლოდ რწმენის მწვერვალები დალაშქრა, არამედ სიბნელის, ტკივილისა და ეჭვების ველებიც გადალახა. მიჰყვებით თქვენ მოციქულთა კვალს დღეს? დღეს ამ კვალს მთათა მწვერვალებისკენ მიჰყავხართ თუ დაბლა ველებისკენ? და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მიუხედავად იმისა, თუ სად იმყოფებით ამ გზაზე, ერთგულნი ხართ?

ლოცვა

უფალო, დამეხმარე, მზად ვიყო შენი მსახურებისთვის, მიუხედავად იმისა, შენი ნების აღსრულების გზა კომფორტული იქნება თუ ადვილი, მტანჯველი თუ ტკივილიანი. დამეხმარე, ვიაროო ერთგულად „მოციქულთა კვალზე,“ მაშინაც, როცა ის ადვილია და მაშინაც, როცა ის ძნელი და ტკივილიანი. დაეხმარე მათ, რომლებიც აკვირდებიან ჩემს ცხოვრებას, დაგინახონ შენ ჩემში.

თქვენი დღიურისთვის

ჩემი დღიურიდან

დანიელმა გვითხრა ჩვენ, რომ ის მზად არის იტანჯოს თავისი რწმენისთვის. მან აირჩია, რომ მოემზადოს ამ დღისთვის. ეს ის თემაა, რომელსაც ვაწყდებოდით მთელი ჩვენი მოგზაურობისას... ეს ის თემაა, რომ ეს მორწმუნეები მზად არიან ტანჯვისთვის, ვინაიდან, მოემზადნენ. მათ იცოდნენ, რომ ეს დღე მოვიდოდა და ამიტომაც მოემზადნენ. საინტერესოა, იქნებ, ამაში მდგომარეობს ამ მოგზაურობის მთავარი აზრი—ვიყოთ მზად!

დღე 31

„მე მოგცემ შენ სიმშვიდეს“

აფრუზი, 1-ლი ნაწილი

მოდით ჩემთან ყველა, მაშვრალნო და ტვირთმძიმენო, და მე მოგასვენებთ თქვენ.

მათე, 11:28

.....

თურქეთი, 2003

ჩემი თანამშრომელი და მე აფრუზს შევხვდით ეკლესიაში, თურქეთში, სადაც ის გამოიქცა, როგორც ლტოლვილი, თავისი მშობლიური ირანიდან. როდესაც მათ ქრისტეს რწმენა მიიღეს ირანში, ის და მისი ქმარი გაბედულად ემსახურებოდნენ ადამიანებს, მაგრამ, როცა მთავრობა დაემუქრა მათ, რომ წაართმევდნენ ასულს, მათ დატოვეს ქვეყანა. ახლა ეძებდნენ უსაფრთხო გარემოს და თავშესაფარს სხვა ქვეყანაში.

აფრუზმა ქრისტე იპოვა მაშინ, როდესაც არ ეძებდა მას. მისი ცხოვრება აღარასოდეს იქნებოდა იგივე. მიუხედავად იმისა, რომ მან დატოვა თავისი სამშობლო, მიუხედავად იმისა, რომ არ იცოდა თუ

სად გადაიხვეწებოდა მისი ოჯახი და სად იქნებოდა მათი მუდმივი საცხოვრებელი, აფრუზი მშვიდად იყო, რაც, აშკარად, გამოსჭვიოდა მისგან. საქმე იმაშია, რომ მან იპოვა სიმშვიდე ქარიშხლის გულში, რომლის სახელი იყო იესო.

ჩვენ ვისხედით ეკლესიის უკანა ოთახში, ლტოლვილების დახმარების ცენტრში. იქ ტრიალებდნენ ადამიანები, რომლებიც ზრუნავდნენ საკვების მომზადებასა და სხვა საჭიროებათა მოსაგვარებლად. ჩვენ ვსვამდით ჩაის და ვუსმენდით აფრუზს, რომელიც გვიყვებოდა თავის ისტორიას.

მე ვსწავლობდი, დავდიოდი კოლეჯში და ვმუშაობდი. ვიყავი ზეწოლის ქვეშ, დედა და მამა არ იდგნენ ჩემ გვერდით, ასე რომ, სულ მარტო ვიყავი, ამიტომაც ვეველდრებოდი ალაჰს დამხმარებოდა, შვება მოეცა ჩემთვის, რომ ეს წნეხი გამქრალიყო. როგორც მუსლიმი, ვცდილობდი, ყველაფერი შემესრულებინა. ვიცავდი ისლამის რელიგიურ დადგენილებებს, ვაკეთებდი, რაც შემეძლო და როგორც შემეძლო, ვცდილობდი ალაჰთან ახლოს ვყოფილიყავი, მაგრამ ფაქტობრივად, სტრესი იზრდებოდა, მენტალური ზეწოლა აშკარად დიდი იყო და მთელ ჩემს ენერგიას შთანთქავდა. სამსახურში, ერთი თვით სხვა კომპანიაში გამგზავნეს, თუმცა ჰრობლემები და სამუშაო დამემატა, გარდა იმისა, რომ ვსწავლობდი. ერთ ღამეს, ჩემს ოთახში, მე ველაპარაკებოდი ალაჰს და ვჩიოდი: „ამდენი ზეწოლა? საკმარისია უკვე! რამდენს უნდა გავუძლო? მე ვმუშაობ და ვსწავლობ. რატომ არ მეხმარები? რატომ არ მაძლევ შვებას?“ მე ვიმუქრებოდი, „თუ აპირებ ჩემს დახმარებას, ამ ღამით თავი უნდა გამომიცხადო. თუ ამ ღამით ნიშანს არ მაჩვენებ, მაშინ მივუბრუნდები მატერიალურ ცხოვრებას და გავხდები ცოდვილი.“ ასე რომ, გასრულების შემდეგ, ვთქვი, „მთელ ღამეს თვალს არ მოვხუჭავ და დაველოდები შენს ნიშანს, რათა დავინახო და ვირწმუნო, რომ აქ ხარ ჩემთან.“ მე ველაპარაკებოდი მუჰამედის ღმერთს. ველოდი, რომ დამენახა ალაჰი. ვჩიოდი დაახლოებით ერთ საათს. დავიღალე, ამიტომაც თავი ხალიჩაზე დავდე. შუაღამე იყო. დავინახე, სინათლე შემოდიოდა ჩემს ოთახში და ავსებდა იქაურობას. შემეშინდა და ოთახიდან გამოვვარდი. შემდეგ თავს ვუთხარი, „განა ამას არ ითხოვდი?“, ამიტომაც დავარწმუნე თავი, რომ უნდა შევსულიყავი შიგნით, დავმჯდარიყავი სალოცავ ადგილზე

და მენახა რა მოხდებოდა. ოთახი სავსე იყო სინათლით. ვიფიქრე, რომ გათენდა, მაგრამ მოგვიანებით, მივხვდი, რომ შუაღამე იყო. ავწიე თავი და დავინახე იესო ქრისტე. თეთრი სამოსი ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს მქონდა ნანახი მესიის სურათი, მივხვდი, რომ ეს მხოლოდ მესია შეიძლება ყოფილიყო.

ყოველთვის მომწონდა ლექსების წერა, ამიტომაც თან მქონდა ფურცელი და კალამი იმის ჩასაწერად, რაც გონებაში მომივიდოდა. იმ დროს, მაშინვე, დავიწყე ჩანაწერების შექმნა. დავწერე [ფარსულ ენაზე], „მოდით ჩემთან, ყველა მაშვრალნო და ტვირთმძიმენო, და მე მოგასვენებთ თქვენ.“ ფაქტობრივად, ამან ცოტა გამაბრაზა კიდეც. მე ვეძებდი მუჰამედის ღმერთს და იესო, მესია, მოვიდა ჩემთან?! რა არის ეს?! ამიტომაც დავკეცე სამლოცველო ხალიჩა და ვთქვი, „საკმარისია! ახლა უნდა დავიძინო!“ მომდევნო ღამეს, სიზმარში მესია ვიხილე. მან მითხრა, „განა არ გითხარი მოსულიყავი ჩემთან, ჩემი ჩრდილის ქვეშ, და ყოფილიყავი უსაფრთხოდ?“ „ჩემს თავს ვეუბნებოდი, მესია მოვიდა ჩემთან. არის ის ნამდვილი ღმერთი? მე ხომ ან ალაჰი უნდა მენახა ან მუჰამედი.“

ერთ-ერთმა ჩემმა კოლეგამ [სამსახურში] შეამჩნია, რომ ნირწამხდარი ვიყავი და მკითხა, „რა გჭირს, ხომ კარგად ხარ?“ მე ვუპასუხე, „დედაჩემი ამერიკაშია, ამდენი ხანია არ მინახავს. ახლა აღარ ვიცი, კიდევ შევძლებ მის ნახვას თუ ვერა. აი, ამის გამო ვარ ასე.“ ის შეუდგა ჩემს დაწყნარებას და მითხრა: „ღმერთი ყოველთვის შენთან არის. ღმერთი სიყვარულია. მიიტანე მასთან შენი საჩივრები.“ ირანში, როგორც წესი, ადამიანები, რომლებიც კომპანიაში მუშაობენ არ მოვლენ შენთან და არ გეტყვიან, „მე ქრისტიანი ვარ.“ სამი კვირის შემდეგ, ის მოვიდა ჩემთან და მითხრა, რომ ქრისტიანი იყო. ასე რომ, როდესაც ის მელაპარაკებოდა ღვთის სიყვარულზე, მე ჩივილი დავიწყე. „რომელი ღმერთი დაუშვებს იმას, რომ ასე ვგრძნობდე თავს, ასეთი წნეხის ქვეშ ვიყო?“

აფრუზმა ამოიღო თავისი ჩანაწერების ბლოკნოტი, რომელსაც ყოველთვის თან ატარებს და მაჩვენა მისი ახალი მეგობარი. ის სიტყვები, რომლებიც მან დაწერა თავის ოთახში იმ ჩვენების ღამეს: „მოდით ჩემთან, ყველა მაშვრალნო და ტვირთმძიმენო, და მე მოგასვენებთ თქვენ.“ მისმა

თანამშრომელმა ამოიღო თავისი წიგნი, ყურადღებით გაჰყვა ფურცლებს, სანამ არ იპოვა ის, რასაც ეძებდა. მან დაიჭირა ეს წიგნი აფრუზის წინ და მიუთითა იმ განსაკუთრებულ მუხლზე. აფრუზი დააკვირდა, მითითებულ ადგილსა და მუხლს, (მათ. 11:28) სადაც იგივე სიტყვები ეწერა, რომლებიც ჩაწერა თავის ბლოკნოტში. „რა წიგნია ეს?“ მოითხოვა მან პასუხი. ეს იყო პირველი ბიბლია, რომელიც მან ნახა. მეგობარმა უთხრა რა წიგნიც იყო ეს და შესთავაზა, რომ მისთვისაც მოიტანდა სხვას. „ეს,“ გვითხრა აფრუზმა, „იყო ჩემი რწმენის საწყისი წერტილი.“ ეს იყო პირველი ნაბიჯი გრძელ გზაზე, რომელიც არ იქნებოდა ადვილი გზა.

ფიქრისთვის

შეიძლება, საკუთარ თავს ხედავთ აფრუზის მონათხრობში. შესაძლოა, მოუხმობთ ღმერთს, „დამენახე, სად ხარ! სასოწარკვეთილი ვარ!“ თუ ასეა საქმე, გული გაიმაგრე, მეგობარო. ღმერთი პასუხობს ლოცვას და ის წარმოაჩენს საკუთარ თავს რეალურად და ძალუმად ჩვენს ცხოვრებაში, თუმცა, შეიძლება, არ ხართ უსასოობაში ჩავარდნილი ახლა და ეს ლოცვა შორს დგას თქვენგან. თუ ასეა საქმე, შეიძლება, თქვენ სწორედ მოთხრობაში მოყვანილი ქრისტიანი თანამშრომელი ხართ. თუ ღმერთი გაძლევთ საშუალებას, დაინახოთ გასაჭირი თქვენ ირგვლივ, მზად ხართ მოიმარჯვოთ მისი სიტყვა და მშვიდობისა და იმედის სიტყვები მოძებნოთ რომელიმე სასოწარკვეთილი სულისთვის? მზად ხართ მიუთითოთ თქვენს თანამშრომელს, მეგობარს, ან მეზობელს მასზე, ვისაც ჭეშმარიტად მოაქვს მშვიდობა? თქვენი დღიურისთვის, დაწერეთ, რომელ პოზიციაში იმყოფებით. იმ პოზიციაში, როცა ადამიანი გამალებით ეძებს, თუ იმ პოზიციაში, რომელშიც ადამიანს შეუძლია დახმარება აღმოუჩინოს ვინმეს. რომელ პოზიციაშიც არ უნდა იმყოფებოდეთ, რას ნიშნავს ეს თქვენთვის, რომ იესო გთავაზობთ „სიმშვიდესა და მოსვენებას?“

ლოცვა

უფალო იესო, მინდა, რომ გიხილო შენ ამ კვირის განმავლობაში! მინდა, რომ ვიხილო შენი ძლიერი მარჯვენა, რომელიც მოქმედებს

ჩემს ცხოვრებაში. აღმავსე ახლიდან, მომეცი სიმშვიდე დაღლილობისა და ბრძოლის ველზე. მომეცი საშუალება, ვესაუბრო შენს მშვიდობაზე ჩემ ირგვლივ მყოფ მაძიებლებს.

თქვენი დღიურისთვის

ჩემი დღიურიდან

როდესაც აფრუზმა აჩვენა ის სიტყვები, რომლებიც მან დაწერა, მან (მეგობარმა) იგივე სიტყვები აჩვენა ბიბლიაში. ამის შემდეგ, მან მალევე მიიღო ხსნა! განა არ არის ეს საოცარი! სადაც მისიონერებს არ შეუძლიათ მისვლა და სადაც ბიბლიაზე ხელმისაწვდომობა ძალიან ძნელია, ღმერთი წარმოაჩენს თავს სიზმრებსა და ხილვებში!

ილოცეთ დევნილი ქრისტიანებისთვის

აფრუზის ისტორია იესოსთან ჰერსონალური შეხვედრის შესახებ, არ არის უჩვეულო მუსლიმურ სამყაროში. ფაქტია, მე მისაუბრია სახარების მსახურებთან, რომლებსაც უთქვამთ: როცა ისინი ჰირველად ხვდებიან მუსლიმს, ხშირად ეკითხებიან მათ, „გქონიათ უცნაური სიზმრები უკანასკნელ ხანებში?“ მუსლიმებს უკვე სწამთ, რომ ღმერთი ერთია. მათ უკვე სწამთ, რომ ღმერთს უნდა დაემორჩილო. ასე რომ, ისინი მზად არიან გახდნენ იესოს მიმდევრები, როდესაც ისინი ხვდებიან ერთმანეთს, რომლის დროსაც იესო აჩვენებს მათ, რომ ის არის ღმერთი.

ილოცეთ დღეს, ილოცეთ, დღეს ღვთის სულისთვის, რომ იმოქმედოს ძალუმად—მუსლიმურ ქვეყნებში და მთელს მსოფლიოში. ილოცეთ, რომ ხალხს—მუსლიმებს, ინდუისტებს, ათეისტებს, ბუდისტებსა და სხვებს—ჰქონდეთ ზებუნებრივი შეხვედრები იესო ქრისტესთან და მის ძალასთან, რომ გული განეწყოთ მისი სიტყვისადმი და გაიგონ, რომ ესაჭიროებათ მხსნელი.

დღე 32

„დაამტკიცეთ, რომ ქრისტიანები ხართ“

აფრუზი, მე-2 ნაწილი

„ამრიგად, ვინც ღმერთმა შეაუღლა, კაცი ნუ გაყრის მათ.“
მარკოზი, 10:9

.....

თურქეთი, 2003

აფრუზის რწმენა დაიწყო მაშინ, როცა იესო ეჩვენა მას გვიან ღამით მის ოთახში, მშობლიურ ირანში, და აღუთქვა, რომ მისცემს სიმშვიდეს მასაც და ყველას, ვინც „მაშვრალი და ტვირთმძიმეა.“ აფრუზმა სულიერი მშვიდობა იპოვა მხსნელში, მაგრამ მისი მიწიერი ცხოვრება ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ფაქტობრივად, გაცილებით გაძნელდა მას შემდეგ, რაც დატოვა ალაჰი და მიენდო იესოს. როდესაც მან დაიწყო ახალი სამსახურის ძებნა, აფრუზი მიხვდა, რომ არცერთი დამქირავებელი

არ აიყვანდა მას, რადგან ცნობილი გახდა, რომ ის აღარ არის მუსლიმი, არამედ ახლა ქრისტიანია. ირანის მთავრობა სირთულეებს უქმნის იმ კომპანიებს, რომლებიც დაიქირავებენ „განდგომილს.“ ასე რომ, თუნდაც, მისთვის შეეთავაზებინათ რაიმე სამუშაო, მას გაცილებით დაბალ ხელფასს გადაუხდიდნენ და ვერც ბენეფიტებით ისარგებლებდა, თუმცა სირთულეები სამსახურის პოვნის მცდელობისას, მხოლოდ შესავალი იყო აფრუზის დევნისა.

ეკლესიაში ის შეხვდა ქრისტიან კაცს. მათ გადაწყვიტეს ექორწინათ. საქორწინო ცერემონიალი ეკლესიაში გადაიხადეს, მაგრამ ამ გადაწყვეტილებამ მათ საიდუმლო პოლიციის რისხვა დაატეხა თავს. პოლიცია შეიჭრა სასტუმროს იმ ნომერში, რომელშიც მათ გადაწყვიტეს საქორწინო ღამის გატარება და დააპატიმრეს ორივე, აფრუზიც და მისი ქმარიც. „საიდან უნდა ვიცოდეთ, რომ თქვენ დაქორწინებულები ხართ?“ იკითხეს მათ, ვინაიდან, წყვილს არ ჰქონდა დოკუმენტაცია მათი ადგილობრივი მეჩეთიდან ქორწინების შესახებ. „რაც მაცვია, ის მეტყველებს იმაზე, რომ მე ახალდაქორწინებული ვარ,“ მიუგო ხმამაღლა აფრუზმა. „და ის, რაც მას აცვია მოწმობს იმაზე, რომ ის ქმარია!“ პოლიცია არ დაკმაყოფილდა ამ პასუხით. ისინი მოითხოვდნენ სცოდნოდათ, სად ჩატარდა ქორწინება და იმ სასულიეროს სახელს, ვინც ჩაატარა ეს ცერემონია. როდესაც მათ შეიტყვეს აფრუზის ხუცესის ვინაობა, ისინი მასაც დაემუქრნენ, რომ დააპატიმრებდნენ.

ბოლოს, წყვილი გაათავისუფლეს. მათ გადაწყვიტეს ირანის სხვა ნაწილში გადასულიყვნენ, სადაც არ ეცოდინებოდათ იმის შესახებ, რომ ისინი განდგომილები არიან. ისინი იმედოვნებდნენ, რომ ზეწოლა მათზე გაცილებით ნაკლები იქნებოდა იქ, თუმცა ამ „უსაფრთხო“ ადგილასაც კი, მათ დაემუქრნენ რადიკალი მუსლიმები, რომლებმაც რაღაცნაირად შეიტყვეს, რომ მათ დატოვეს ისლამი და გახდნენ იესო ქრისტეს მიმდევრები.

მას შემდეგ, რაც დაიბადა მათი ასული, აფრუზი და მისი ქმარი დამატებით მუქარასა და საფრთხეს დაუპირისპირდნენ. მათ თავიანთ ასულს ემანუელი, ქრისტიანული სახელი, დაარქვეს, მაგრამ, როდესაც მივიდნენ დაბადების მოწმობის ასაღებად, ოფიციალურმა პირებმა მოითხოვეს „მტკიცებულება,“ რომ ეს, მართლაც, ქრისტიანული

სახელი იყო. და კიდევ, „ჩვენ ის დოკუმენტებიც გვჭირდება, რომლებიც დაადასტურებს, რომ თქვენ ქრისტიანები ხართ.“

განდგომილება, შეიძლება, სიკვდილით დაისაჯოს ირანში. დოკუმენტები, რომლებიც „დაადასტურებდნენ“ იმას, რომ აფრუზმა და მისმა ქმარმა დატოვეს ისლამი, შეიძლება, გამხდარიყო იმისი „მტკიცებულებაც“, რომ ისინი იმსახურებდნენ დასჯას. და თუნდაც, მოენდომებინათ ამგვარი დოკუმენტების აღება, რომელი მეჩეთი გასცემდა მათ? გაცილებით ადვილია მიიღო დოკუმენტაცია, რომ შეიცვალე შენი რელიგია და მიიღე ისლამი, მაგრამ თითქმის შეუძლებელია მიიღო რაიმე საბუთი, რომელიც იტყოდა იმას, რომ შენ დატოვე ისლამური რწმენა. აფრუზი და მისი ქმარი სთხოვდნენ ღმერთს, რომ დახმარებოდათ პრობლემის გადაჭრაში. ამავე დროს, ისინი განაგრძობდნენ თავიანთ ეკლესიაში მსახურებას. აფრუზი ქალების ლიდერი გახდა ეკლესიაში და მოგზაურობდა ხოლმე ირანის სხვა რეგიონებში მსახურების ჩასატარებლად, თუმცა მთავრობამ არ დაივიწყა მათი განდგომილების შესახებ.

როდესაც მოვიდა დრო ემანუელის საბავშვო ბაღში შესაყვანად, ბაღმა უარი თქვა მისი სიარულის დამოწმებაზე და მისთვის დაწყებით სკოლაში შესასვლელი დოკუმენტების გაცემაზე. აფრუზი ხვდებოდა, რაც მოხდებოდა: მთავრობა იტყოდა, რომ მან და მისმა ქმარმა ვერ უზრუნველყვეს თავიანთი ქალიშვილის განათლება. ოფიციალური პირები იტყოდნენ, რომ ისინი ცუდი მშობლები არიან და წაიყვანდნენ ემანუელს. აფრუზი და მისი ქმარი შეგუებულები იყვნენ იმას, რომ იესოს მიმდევრობა ირანში, შეიძლება, პატიმრობით დასრულებულიყო, მაგრამ იმაზე ფიქრი, რომ შეიძლება, დაეკარგათ თავიანთი ასული, რომელსაც დააშორებდნენ მათ და გაზრდიდნენ მუსლიმად, მძიმე ტვირთად ეწვა ორივეს.

ბევრი ლოცვისა და გულის გამოკვლევის შემდეგ, მათ გადაწყვიტეს, რომ არ შეეძლოთ გაერისკათ ემანუელის მომავლით. ისინი გაიქცნენ ქვეყნიდან, პირველად თურქეთში (სადაც შევხვდი და გავესაუბრე მათ), შემდეგ კი, სადმე დასავლეთით. მას შემდეგ, რაც აფრუზს შევხვდი თურქეთში, გავიდა რამდენიმე წელი. მე მივიღე ელ-ფოსტით წერილი მისგან. მას მოუსმენია რადიო-ინტერვიუ, რომელიც ჩავწერე და რომელიც

გავიდა ქრისტიანული რადიოთი იმ ქალაქში, რომლიდანაც ახლა რეკავდა. აინტერესებდა, ვიყავი თუ არა ის ტოდი, რომელსაც შეხვდა ის ეკლესიის ერთ-ერთ ოთახში, სტამბოლში? ძალიან სასიხარულო იყო მისი ხმის გაგონება და იმის მოსმენა, თუ როგორ იყენებდა კვლავაც ღმერთი მას და მის ოჯახს. სასიხარულო იყო, იმის მოსმენაც, რომ ახლა ისინი უსაფრთხოდ ცხოვრობდნენ.

აფრუზი განაგრძობს ქრისტეს მსახურებას თავის ახალ ქვეყანაში. ის თავის ისტორიას უზიარებს ქალებს და ამხნევებს მორწმუნეებს, რომ მთელი გულით იცხოვრონ ქრისტესთვის.

ფიქრისთვის

ხანდახან, ღმერთი მოგვიწოდებს ჩვენ, მტკიცედ ვიდგეთ მისთვის დევნისა და ძნელბედობის პირობებში, თუნდაც, დიდი რისკისა და ტანჯვის შემთხვევაში. სხვა დროს კი, იგი მიგვითითებს გავერიდოთ გარემოს, რათა ზეწოლა შემცირდეს ან თავი ავარიდოთ ძნელბედობას. მოციქული პავლე კალათით ჩამოუშვეს დამასკოს კედლიდან, რათა გაქცეულიყო მათგან, ვინც ცდილობდა მისი სიცოცხლის ხელყოფას. იგივე პავლემ მოითხოვა უფლება კეისრის სამსჯავროზე წარსადგენად, რათა დაეცვა საკუთარი თავი და რწმენა უმაღლესი ხელისუფლის წინაშე. ღმერთი განსხვავებული გზებით წარმართავდა მას სხვადასხვა ქვეყნებში, თავისი მსახურების დროს.

რისკენ ხართ თქვენ მიდრეკილი, იმისაკენ, რომ მტკიცედ იდგეთ წინააღმდეგობის დროს, თუ მოძებნოთ გზები დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად? თუ იყო ისეთი დრო თქვენს ცხოვრებაში, როდესაც ღმერთმა დაგავალათ ყოფილიყავით მტკიცე სახარების მოწინააღმდეგეების წინაშე, ან, თუნდაც, დევნის პირობებში? ან იყო ისეთი დროც, როცა გრძნობდით მის ხმას, რომ გარიდებოდით გარემოს, გაჩუმებულიყავით დროებით, ან გაქცეოდით პირდაპირ კონფრონტაციას? როდესაც უკან იყურებით, ხედავთ მის სიბრძნეს, თქვენი სავალის წარმართვასთან დაკავშირებით? რა შედეგები მოიტანა ამან ღვთის სასუფევლისთვის? დაწერეთ ამის შესახებ, თქვენს დღიურში.

ლოცვა

უფალო იესო, დამეხმარე, რომ მკაფიოდ მოვისმინო შენი ხმა და დავინახო შენი გეგმები ჩემთვის. მომეცი სიმამაცე და სიმტკიცე იმ დროს, როდესაც მომიწოდებ ვიყო მტკიცე. მომეცი სიბრძნე და მადლი იმ დროს, როდესაც მიმმართავ გავერიდო გარემოს, ან უკან დავიხიო. და ყოველთვის, ყოველგვარი სიტუაციის დროს, დამეხმარე, რომ ვიყო კურთხევა სხვებისთვის შენი სახელის სადიდებლად.

თქვენი დღიურისთვის

ჩემი დღიურიდან

ამის შემდეგ, ჩვენ შევხვდით ირანელ ქრისტიანს, რომლის შესახებაც გვაცნობეს [სახელი არ მქღავნდება] და ჩვენ ათი ფარსულენოვანი ბიბლია გავუგზავნეთ მას. ის მოვიდა ჩვენთან სასტუმროში. ჩვენ ვისაუბრეთ რამდენიმე წუთით, შემდეგ ის წავიდა, ვინაიდან, ვერ ვენდობოდით სასტუმროს ჰერსონალს იქ—ჩანდა, რომ მათ ზედმეტად აინტერესებდათ ის, ვინ მოვიდოდა და ვინ წავიდოდა და ვინ ისაუბრებდა ჩვენთან.... სასტუმროს ჰერსონალი ჩვენ ძალიან უცნაურად გვიყურებდა, როცა ოთახში შემოვიყვანეთ [ის ქრისტიანები, რომლებსაც შევხვდით]. მე არ ვიცი, რას ფიქრობდნენ ისინი, მაგრამ ამის გახსენებაზე ახლაც მაჟრჟოლებს—ძალიან, ძალიან გვაშტერდებოდნენ. საინტერესოა, უსმენდნენ ისინი თუ არა, ჩემს სატელეფონო საუბრებს. მე ვერ შევძელი თანამგზავრული ტელეფონის სიგნალის დაჭერა [რაც არავის მისცემდა ტელეფონის მოსმენის საშუალებას].

დღე 33

„ყურანიც კი ამბობს, რომ იესო მოვა“

„ყველა, ვისაც სწამს, რომ იესო არის ქრისტე, ღვთისგან შობილი და ყველას, ვისაც მშობელი უყვარს, მისგან შობილიც უყვარს. ღვთის შვილები რომ გვიყვარს, იმით ვიგებთ, რომ გვიყვარს ღმერთი და ვიცავთ მის მცნებებს, რადგან ღვთის სიყვარული ის არის, რომ ვიცავდეთ მის მცნებებს, ხოლო მისი მცნებები არ არის მძიმე.“

1 იოანე 5:1-3

.....

ბანგლადეში, 2005

როცა ჰასემ შარკარს შევხვდი, ის ორმოცდახუთი წლის იყო და მხოლოდ ექვსი თვე იყო გასული მას შემდეგ, რაც იესოს მიმდევარი გახდა, თუმცა იმ რამდენიმე თვეშიც რწმენა მას სახლად და სამსახურად დაუჯდა. მიუხედავად ამისა, ის არ ფიქრობდა გაჩერებას, მითუმეტეს, უკან დახევას. შარკარი გაუნათლებელი ადამიანი იყო. იგი დღიურად მუშაობდა იმ სოფელში, რომელშიც ცხოვრობდა. მუსლიმურ ოჯახში დაიბადა და მისდევდა თავისი მშობლებისა და მის სოფელში მცხოვრები სხვა ადამიანების სწავლებას მთელი

თავისი ცხოვრების განმავლობაში. შემდეგ, ევანგელისტი მივიდა შარკარის სოფელში და აჩვენა ფილმი „იესო“. შარკარმა დიდი ყურადღებით უყურა ფილმს. ისლამური სწავლებიდან მან იცოდა, რომ იესო იყო წინასწარმეტყველი, მაგრამ ის იესო, რომელიც მან ეკრანიდან იხილა, გაცილებით მეტი იყო, ვიდრე მხოლოდ ღვთისგან მოსული მაცნე. შარკარს მრავალი კითხვა ჰქონდა ევანგელისტთან. როდესაც მათ ისაუბრეს და მან გაიაზრა, რაც ნახა ფილმში, შარკარი დარწმუნდა იმაში, რომ იესო იყო ძე ღვთისა. იესოს ჰქონდა ის პასუხები, რომლებზეც მუჰამედი ვერ პასუხობდა. „მე მიყვარს ის,“ გვითხრა შარკარმა, „ვინაიდან, იესო ერთადერთი მხსნელია. მე მესმის ეს და მე ვიღებ იესოს. მე მიყვარს მისი საჩუქარი!“

როგორც დღიური მუშა, შარკარი უნდა გასულიყო სოფლის ცენტრში ყოველდღე, რათა ენახა, რომელ მიწის მფლობელს ან ბიზნესმენს სჭირდებოდა მუშები იმ დღეს, მაგრამ, როდესაც ხმები გავრცელდა, რომ შარკარი უკვე აღარ იყო მუსლიმი, არამედ განმდგარი უღმერთო, მას უკვე აღარ სთავაზობდნენ სამუშაოს დილაობით. მისი დანაზოგი სწრაფად გამოილია. ამის გამო შარკარის რწმენა არ შერყეულა, არც გაჩუმებულა დევნისგან შეშინებული. პირიქით, ის, აშკარად, ლაპარაკობდა იესოს შესახებ. სულ რამდენიმე კვირის შემდეგ, რაც თავად გახდა მორწმუნე, შარკარმა მის სოფელში მცხოვრები სხვა ახალგაზრდა კაცები მიიწვია, რომ მასთან ერთად წასულიყვნენ და დასწრებოდნენ ქრისტიანულ მსახურებას მეზობელ სოფელში. ისინი გაჰყვნენ მას, მოისმინეს უწყება და მათაც გადაწყვიტეს გამხდარიყვნენ იესოს მიმდევრები. ახლა შარკარი მხოლოდ განდგომილი არ იყო, ის მისიონერიც გახდა და სხვა მუსლიმებს არწმუნებდა მიეტოვებინათ თავიანთი რწმენა. უკვე აღარ იყო საკმარისი მორიდებოდნენ მას. ახლა მისი დასჯა იყო საჭირო.

გაბრაზებული სოფლელები დაუპირისპირდნენ შარკარს და მათი ბრაზით სავსე ყვირილი სწრაფად გადაიქცა მუშტებად. შარკარი სცემეს. ცემის შემდეგ მთელი მისი სახე გასიებული, გაწითლებული და დალურჯებული იყო. კაცმა, რომელსაც კითხვა არ შეეძლო, ამ დევნას ზეციდან დაშვებული დევნა უწოდა. „მე ჩემს სიცოცხლეს იესოს შევწირავ,“ მითხრა მან, „ამიტომაც ვთვლი, რომ ეს იყო გარკვეული სახის გამოცდა

იმის სანახავად, ვარ თუ არა ნამდვილი მორწმუნე.“ მან გაუძლო გამოცდას. თავისი ქრისტიანობის ექვსი თვის განმავლობაში, შარკარმა ოცდაათი მუსლიმი მიიყვანა ქრისტესთან. მისი უწყების ნაწილი იყო ის, რაც ბავშვობიდანვე ახსოვდა და ისწავლა ისლამურ სწავლებაში. „ყურანიც კი ამბობს, რომ იესო მოდის!“ აღელვებულმა თქვა. „ის ამბობს, რომ იგი (იესო) უძღვებოდა უკანასკნელი პარასკევის ლოცვებს. მათ იციან! ეს არის ისლამის სწავლება!“

როდესაც შევხვდი მას, ის უსაფრთხო თავშესაფარში ცხოვრობდა, რომელიც აიგო VOM-ის ფინანსური შემოწირულობით იმ ქრისტიანებისთვის, რომლებიც თავიანთი ოჯახებიდან და სოფლებიდან იყვნენ გამოგდებულნი ბანგლადეშში. ისინი ლოცვას იწყებდნენ ყოველ დილით ექვსის ნახევარზე. შარკარი პირდაპირ იწოვდა მოწაფეობასა და საევანგელიზაციო წვრთნას. მიუხედავად იმისა, რომ კითხვა არ იცოდა, შარკარი ბიბლიას აუდიო კასეტების მოსმენით სწავლობდა. მას ოთხი სახარება ჰქონდა ჩაწერილი კასეტებზე და ჰქონდა, ასევე, ხელის საკასეტო ფლეიერი; შესაძლებელი იყო სახელური გეტრიალებინა და მოგესმინა წერილი.

მალევე, როცა დავბრუნდი სახლში ბანგლადეშიდან, წავაწყდი ადგილს ოსვალდ ჩემბერსის წიგნში, რომელმაც კვლავ გამახსენა შარკარი.

> ჩვენ მიდრეკილნი ვართ იმისაკენ, რომ ვთქვათ: რადგან ადამიანს ბუნებრივი უნარ-ჩვევები აქვს, ის კარგი ქრისტიანი იქნება, თუმცა ეს არ არის ჩვენი უნარ-ჩვევების საკითხი, ეს ჩვენი სიღატაკის საკითხია. არა იმისა, რაც თან გვაქვს, არამედ იმისა, რასაც ღმერთი გვაძლევს და გვავალებს. ერთადერთი ფასეული რამ, არის დავემორჩილოთ ღვთის მიზანს და გავხდეთ მისი მეგობრები. ღმერთი მეგობრობს იმ ადამიანებთან, ვინც კარგად იცის თავისი სიღატაკე. როგორც ქრისტიანები, ჩვენ აქ საერთოდ არ ვართ ჩვენი საკუთარი მიზნისთვის — ჩვენ აქ ვართ ღვთის მიზნისთვის და ეს ორი რამ, არ არის ერთი და იგივე.[1]

1 Taken from My Utmost for His Highest by Oswald Chambers, edited by James Reimann, © 1992 by Oswald Chambers Publications Assn., Ltd., and used by permission of Discovery House Publishers, Grand Rapids MI 49501. All rights reserved.

ვკითხულობდი რა ამ ადგილს და ვფიქრობდი იმ ადამიანებზე, რომლებსაც შევხვდი ბანგლადეშში, მივხვდი, რომ ღრმად ვიყავი შეძრული შარკარის მოწმობით. თუ ჩვენ ვილაპარაკებთ „ბუნებრივ უნარებზე," შარკარი, ალბათ, ვერ მოხვდება ჩვენი სიის ზემო ნაწილში. მას არ შეუძლია კითხვა და ის მხოლოდ ექვსი თვეა, რაც ქრისტიანია, მაგრამ როდესაც საქმე ეხება „ღვთის მიზნის" აღსრულებას, შარკარი, ნამდვილად, არის ხსენებული სიის ზედა მხარეს! ექვსი თვეა ის დადის იესოსთან ერთად, მან „მოასწრო" საფრთხესთან დაპირისპირება—ცემეს! —ვინაიდან, არ ჩერდება და უნდა ხალხს ახაროს იესოს შესახებ! მან უკვე ოცდაათი მუსლიმი მიიყვანა ქრისტესთან!

დასანანია, ჩემი მობოდიშებები და ჩემი სიზარმაცე იმ გაბედულებისა და მგზნებარების ფონზე, რომელსაც ქრისტეს ერთგული, დამოწმების სულისკვეთებით სავსე, მამაცი, მორწმუნე შარკარი წარმოაჩენს!

ფიქრისთვის

რას გეუბნებათ თქვენ შარკარის ისტორია? ეყრდნობით თქვენს „ბუნებრივ უნარ-ჩვევებს" ქრისტეს მსახურებაში, თუ აძლევთ მას საშუალებას გაგაძლიეროთ და მიგავლინოთ ადამიანებთან თავისი შეხედულებისამებრ, მისი მიზნების საუკეთესოდ აღსრულებისთვის? სთხოვე ღმერთს გაჩვენოთ ის სფეროები, რომლებშიც თქვენი საკუთარი უნარების იმედი გაქვთ, ნაცვლად იმისა, რომ დაეყრდნოთ იმას „რასაც ღმერთი მოგცემთ და დაგავალებთ." დაწერეთ, ან ისაუბრეთ ქრისტიან მეგობართან, როგორ უნდა დაეყრდნოთ უფრო მეტად ქრისტეს და ნაკლებად საკუთარ თავს.

ლოცვა

იესო, მადლობა ჩემი ძმა შარკარის მაგალითისთვის. დამეხმარე, რომ ასეთივე მგზნებარება მქონდეს, რომ გემსახურო და ვახარო სხვებს შენ შესახებ. იმ ნიჭით, იმ უნარებითა და შემეცნებით, რომლებსაც მომცემ. მე კვლავ ვუძღვნი ჩემს თავს შენს მიზანს, რომელიც გაცილებით დიდი და მაღალია, ვიდრე ჩემი. ამინ.

თქვენი დღიურისთვის

ჩემი დღიურიდან

ვწვები ჩემს ლოგინზე, რომელსაც კოღოების გამო, დამცავი ბადე აფარია და ვემზადები დასაძინებლად. ჩვენ დღეს ხუთი საათი ვიარეთ დაკადან. ამაში შედის ბორანით ძალიან განიერი მდინარის გადალახვა. და ეს მშრალი სეზონის დროს! შემდეგ გავჩერდით, გადავკვეთეთ კიდევ ერთი მდინარე კანოეთი და გამოვიარეთ მეოთხედი მილი აქ არსებულ კომპლექსამდე. მანძილით, ტექნოლოგიებითა და კულტურულად, ეს იმდენად შორს არის ოკლაჰომადან, რამდენადაც შესაძლებელია!

ციტატები, რომლებზეც უნდა ვიფიქროთ

მიუხედავად იმისა, რომ ის საკმარისად არ გვაქვს ამ უხერხემლო რელიგიის ჰერიოდში, ბევრი ადგილია ბიბლიაში, სადაც საუბარია უფლის მსახურების დროს მორალური გაბედულების გამოჩენის შესახებ. ძველი აღთქმა გვეუბნება ჩვენ, რომ „იაკობმა აღთქმა დადო," დანიელმა „გადაწყვიტა." ჰავლემაც გადაწყვიტა „არაფერი [სცოდნოდა მათ შორის] გარდა იესო ქრისტესი, და ისიც ჯვარცმულისა." ეოველივეზე მეტად ჩვენ გვაქვს უფალი იესოს მაგალითი, რომელმაც „ჰირი იბრუნა იერუსალიმისაკენ" და წავიდა ჰირდაჰირ ჯვრისკენ. მათ და მრავალმა სხვამ დაგვიტოვეს სულიერი სიმაღლეების ჩანაწერები, რომლებიც იშვება ნებელობისგან, იმ ნებელობისგან, რომელიც ღვთის ნებას შეესაბამება! ისინი არ ცდილობდნენ ზეცაში სურნელოვანი ღრუბლით შესვლას, არამედ მზად იყვნენ, რომ „გულით გაეკვალათ გზა და მიწებებოდნენ უფალს." ჩვენ უნდა დავემორჩილოთ უფალს—და სწორედ ამ დიდებულ, მშვენიერ, წამს, შეიძლება, მოგვეჩვენოს, რომ ჩვენი ნება საუკუნოდაა გატეხილი, მაგრამ არ არის ასე. ჩვენი სულის დაჰერობისას, ღმერთი წმენდს ჩვენს ნებას და აკავშირებს მას თავის ნებასთან, მაგრამ არასოდეს ტეხავს მას!

ა. ვ. ტოზერი[2]

დაუმახეს მოციქულებს, სცემეს და უბრძანეს, აღარ ელაპარაკათ იესოს სახელით და გაუშვეს. გავიდნენ ისინი სინედრიონიდან გახარებულნი, რომ მისი სახელისათვის შეურაცხყოფის ღირსნი გახდნენ.

საქმეები 5:40-41

2 ა. ვ. ტოზერი „მორალური დეტერმინაცია" Sermon Index.net, accessed October 27, 2020, http://www.sermonindex.net/modules/articles/index.php?view=article &aid=4693.

დღე 34

ნაწამები ხელები– ნაწილი 1-ლი

> მაგრამ როგორ მოუხმონ მას, ვინც არ ირწმუნეს? როგორ ირწმუნონ ის, ვისზეც არ სმენიათ? რგორ მოისმინონ მქადაგებლის გარეშე? და როგორ იქადაგონ, თუ წარგზავნილნი არ არიან? როგორც წერია: „რა მშვენიერია სიკეთის მახარებელთა ფეხნი!“
>
> **რომაელთა 10:14-15**

.....

სეული, კორეა, 2008

არასოდეს დამავიწყდება ქალბატონ ჩოის ხელები—არც მისი ცრემლები. ჩვენ „ჩოი იანგ ჯინს“ სეულში, სამხრეთ კორეაში, შევხვდით, თუმცა ის იქ მოიყვანეს დემილიტარიზებული ზონის ჩრდილოეთი მხრიდან, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკიდან, გამოყოფილი სახელმწიფოდან, რომელიც სრულად არის იზოლირებული დანარჩენი მსოფლიოსგან. იმისათვის, რომ გავიგოთ ქრისტიანების დევნის ბუნება ჩრდილოეთ კორეაში, თქვენ უნდა გაიგოთ ცოტა რამ Juche-ს, ჩრდილო კორეული რეჟიმის, იდეოლოგიის შესახებ, რომელიც სინამდვილეში, თითოეული ჩრდილო კორეელი მოქალაქისთვის

დაწესებული რელიგიაა. Juche („საკუთარ თავში დარწმუნება“) ასწავლის, რომ კიმის ოჯახის წევრები, რომლებიც დომინირებენ ქვეყნის მთავრობაში, ფაქტობრივად, ღვთაებრივი არსებები არიან. ბავშვებს ასწავლიან „მადლობა“ თქვან ჭამის წინ: „მადლობა შენ, მამა კიმ ილ სანგ, ჩვენი საკვებისთვის.“ თითოეულ ჩრდილო კორეელს ასწავლიან კიმის განსადიდებელ „ჰიმნებს“ ეროვნული ჰიმნების კრებულიდან, რომელიც შეიცავს ექვსას ასეთ ჰიმნს. ასე რომ, როდესაც პიროვნება გახდება იესოს მიმდევარი, ეს მხოლოდ განსხვავებული რელიგიის მიღების, ან თუნდაც, „დასავლური“ იდეის მიყოლის საკითხი არ არის. გწამდეს ის, რომ იესოა უფალი ნიშნავს იმას, რომ გწამდეს, რომ კიმ ილ სანგი არ არის უფალი—ეს კი ღალატია, ამიტომაც ჩრდილოეთ კორეის მთავრობა დაუნდობლად ნადირობს მოღალატეებზე, განსაკუთრებით კი მათზე, ვინც ბედავს თავისი იდეები სხვებს მოახვიოს.

მისის ჩოი გათხოვილი იყო ძალაუფლების მქონე, ჩრდილო კორეელ, ოფიციალურ პირზე—კაცზე, ვისაც ისეთი ძალაუფლება ჰქონდა, რომ ერთი სიტყვის თქმითაც შეეძლო ვინმეს გათავისუფლება ციხიდან. ის თავდები გახდა თავიანთი ოჯახის მეგობრის და ეს კაცი გამოუშვეს ციხიდან. მადლიერების ნიშნად, ეს კაცი მივიდა მათთან სახლში და მიიტანა საჩუქრები: ნესტიანი, ობმოკიდებული, წიგნი, რომელიც დამალული, დამარხული იყო მიწაში. „აქ აღწერილია ამბავი ერთი კაცისა, რომელიც მოვიდა ზეციდან, ვინც ეხმარება საწყალ ადამიანებს,“ უთხრა იმ კაცმა ბატონ და ქალბატონ ჩოიებს. „გინდათ მისი წაკითხვა?“

ოჯახს არასოდეს სმენოდა ბიბლიის ან იესოს შესახებ, იმ კაცის ნათქვამი კი საინტერესო ჩანდა, ამიტომაც მათ მიიღეს საჩუქარი. ყოველ საღამოს, ქალბატონი ჩოი ყურადღებით ფარავდა თავისი სახლის ფანჯრებს, რათა დარწმუნებულიყო, რომ სინათლე არ ჩანდა გარეთ და არავის შეეძლო შიგნით შემოხედვა. ჩრდილოეთ კორეაში, მეზობლებს ევალებათ მთავრობას მოახსენონ ყოველგვარი უცნაურობა, რაც ხდება მათ ახლოს მცხოვრებ ოჯახებში. ქალბატონ ჩოის სურდა დარწმუნებული ყოფილიყო, რომ არაფერი იყო მოსახსენებელი. შემდეგ ის უნდა მიყუჟულიყო სახლის კუთხეში, თავი დაეფარა ზეწრით, უნდა შეექმნა პრივატულობის პატარა სივრცე, სადაც შეძლებდა კითხვას. შემდეგ უნდა აენთო სანთელი, ყოფილიყო ყურადღებით, რომ ცეცხლი

არ მოჰკიდებოდა ზეწარს და დაეწყო ძველი, ობმოკიდებული, წიგნის კითხვა. კაცმა, რომელმაც მისცა მათ ეს წიგნი, უთხრა, რომ პირველად, სანამ მთელი წიგნის კითხვას დაიწყებდნენ, წაეკითხათ მისი ხუთი ნაწილი: პირველი სექცია, რომელსაც „დაბადება“ ერქვა და შემდეგ ოთხი სხვა სექცია, რომელიც ერთი კაცის მიერ იყო დაწერილი და რომელსაც იოანე ერქვა. მან უთხრა მათ, რომ წაეკითხათ ეს ნაწილები სამჯერ, სანამ წაიკითხავდნენ დანარჩენ ნაწილებს.

მას ოთხი საათი უნდა ეკითხა ყოველ ღამე, სანამ სანთელი ჩაიწვებოდა, შემდეგ გამომძვრალიყო ზეწრიდან და დაედო წიგნი, მისთვის ყურადღებით შერჩეულ, სამალავ, ადგილზე. როცა ის გამოდიოდა ამ გადასაფარებლიდან მითითებული სექციების წაკითხვის შემდეგ, მისი ცხვირი სავსე იყო შავი ჭვარტლით, სანთლის ნამწვის გამო, ხოლო მისი გონება კითხვებით. ის აღტაცებული იყო იმ კაცით, იესოთი, რომლის შესახებაც წერდა იოანე. „მასში იყო სიცოცხლე,“ წაიკითხა მან იოანეს 1:4-ში. ის იყო ღვთის კრავი, ვინც იღებდა ქვეყნიერების ცოდვებს, ამბობდა იოანეს 1:29. იოანეს 7:7 ამბობდა, რომ ქვეყნიერებას სძულდა ის, ხოლო 1 იოანეს 3:13 ამბობდა, რომ ქვეყნიერება შეიძულებდა მათაც, ვინც გახდებოდა მისი მიმდევარი, თუმცა ამ წიგნში კარგი დაპირებებიც იყო, დაპირება გამარჯვებისა და კურთხევის შესახებ. „ეს არის ძლევა, რომელიც სძლევს ქვეყნიერებას, ჩვენი რწმენა,“ ამბობდა 1 იოანეს 5:4.

ამბავი ძალიან საინტერესო იყო, ქალბატონ ჩოის ბევრი კითხვა დაუგროვდა, თუმცა არავინ იყო, ვინც პასუხებს გასცემდა ამ კითხვებზე. რამდენიმე თვის შემდეგ, მან დაინახა, ზოგიერთ კითხვაზე პასუხის მიღების შესაძლებლობა. მისი ბიძა, რომელმაც დატოვა ჩრდილოეთი კორეა და ახლა ჩინეთში ცხოვრობდა, ჩამოვიდა. როდესაც ოჯახი შეიკრიბა ვახშმად, ჩოიმ შენიშნა, რომ სანამ დაიწყებდა თავისი ბრინჯის ჭამას, ბიძამისმა თავი დახარა ერთი წამით. როდესაც აკვირდებოდა მის ლოცვას, სულიწმიდა შეეხო მის გულს და ამბებმა, რომლებსაც კითხულობდა, მკაფიო სახე მიიღო. კითხვები გაქრა და მისი რწმენა დაიბადა.

მეორე დილით, ბიძამისმა ასწავლა მას საგალობელი: „საოცარი მადლია, რა ტკბილია ის ხმა, რომელმაც იხსნა ისეთი საცოდავი არსება, როგორიც მე ვარ!“ მოგვიანებით, მან მიიღო ნებართვა ჩასულიყო მასთან ჩინეთში და იქ ყოფნის დროს, ის პირველად წავიდა

მორწმუნეთა შეკრებაზე. ხუცესმა შეხვედრაზე ილოცა მასთან ერთად, სანამ ის გადაკვეთდა საზღვარს უკან, ჩრდილოეთ კორეაში. ქვეყანაში, სადაც ყველა მომართულია იმისათვის, რომ იჯაშუშოს ყველაზე. მისი რწმენა დიდხანს არ დარჩენილა საიდუმლოდ. მალე ქალბატონი ჩოი დააპატიმრეს, დაადანაშაულეს, რომ იყო „რელიგიური ჯაშუში“ და „ავრცელებდა ანტი-კომუნისტურ იდეებს.“

ატმოსფერო შეიცვალა ოთახში, როდესაც ის განაგრძობდა თავისი ამბის მოყოლას. ჩვენ გულში ვზეიმობდით და ვადიდებდით ღმერთს, როდესაც ვუსმენდით მას და დავინახეთ, თუ როგორ მისწვდა ღმერთი სახარებით და იხსნა ის, თუმცა ჩვენი გულები—შემდეგ კი თვალებიც—აცრემლდა, როცა მოვისმინეთ რა ფასად დაუჯდა მას ქრისტეს რწმენა. „დამიჭირა პოლიციამ,“ გვითხრა მან, „ძალიან სერიოზულად მაწამეს. ისინი მაიძულებდნენ დავმდგარიყავი მუხლებზე, შემდეგ კი ზედ მაბიჯებდნენ. მირტყამდნენ სახეში—სხეულის ყველა ნაწილში. სახე გასიებული და გაშავებული მქონდა. მეუბნებოდნენ მეღიარებინა ჩემი ჯაშუშური ქმედებები, მეკითხებოდნენ თუ ვინ მომიტანა ბიბლია. მე ვუთხარი მათ, რომ არ ვიყავი ჯაშუში და არაფერი ჩამიდენია ჩრდილო კორეული მთავრობის წინააღმდეგ. მე არ ვუთხარი იმ კაცის სახელი, და ასევე, ვუმტკიცებდი, რომ ბიბლიას მხოლოდ მე ვკითხულობდი.“ როდესაც წამებამ არ გამოიღო მათთვის სასურველი შედეგი, პოლიციამ შეცვალა ტაქტიკა...

ფიქრისთვის

ქალბატონ ჩოის და მის ქმარს არასოდეს უნახავთ ბიბლია და არანაირი წარმოდგენა არ ჰქონდათ იმის შესახებ, თუ ვინ იყო იესო. ცხადია, ადვილია იმაზე ფიქრი, რომ არიან ადამიანები ჩრდილოეთ კორეაში, რომლებსაც არანაირი წარმოდგენა არა აქვთ იესოს შესახებ, მაგრამ ეს ვერ იქნება სიმართლე დასავლეთში. თუმცა რატომაც არა, ეს შეიძლება სიმართლე იყოს აქაც. იცნობთ ვინმეს ვისაც არანაირი წარმოდგენა არა აქვს იესოზე, ან არასოდეს უნახავს ბიბლია? ალბათ, ეს ისეთი ადამიანი იქნება, რომელიც ემიგრანტია და სხვა ქვეყნიდან ჩამოვიდა თქვენს

ქალაქში. ან ეს შეიძლება იყოს ის, ვინც თავიდანვე აქ ცხოვრობდა, მაგრამ არასოდეს ყოფილა ქრისტიანების გვერდით. დაწერეთ, თქვენი მოსაზრებები იმის შესახებ, როგორ შეგიძლიათ დაიწყოთ საუბარი, რის დროსაც მათ გააცნობთ იესოს.

ლოცვა

იესო, გთხოვ, დამიცავი იმ მოსაზრებისგან, რომ ადამიანებმა ჩემ გარშემო იციან შენ შესახებ, ან მოსმენილი აქვთ შენი სიტყვა. დამეხმარე, მოვიძიო შესაძლებლობები, რომელთა დროსაც შევძლებ ვილაპარაკო შენზე და შენს ჭეშმარიტებაზე იმ ადამიანებთან, რომლებსაც ჯერაც არ მოუსმენიათ ეს.

თქვენი დღიურისთვის

ჩემი დღიურიდან

დღეს ისეთი რამ დამემართა, რამაც ძალიან შემაცბუნა! სავარაუდოდ, საშუალო კორეელი კაცი არ იწონის იმდენს, რამდენსაც მე, ვინაიდან, შუა საუბრის დროს ერთ-ერთ ჩრდილო კორეელთან, რომელსაც შევხვდით, ჩემი ჰლასტმასის სკამი გატეხა და იატაკზე დავეცი! ისე კი არ მომხდარა, რომ სკამის საზურგეს მივაწექი და გადავვარდი, არა, სკამი უბრალოდ დაიმტვრა! მათ ბევრი ბოდიში მოიხადეს და სწრაფად მომიტანეს ახალი სკამი, მაგრამ მე განაწუენებული დავრჩი. ვფიქრობ, დროა დიეტაზე ვიფიქრო, არა...?

დღე 35

ნაწამები ხელები– ნაწილი მე-2

> რადგან ყოველი ღვთისგან შობილი სძლევს ქვეყნიერებას. და ეს არის ძლევა, რომელიც სძლევს ქვეყნიერებას, ჩვენი რწმენა.
>
> 1 იოანე 5:4

……..

სეული, კორეა, 2008

როდესაც აწამებდნენ ქალბატონ ჩოის და ვერ აიძულეს ეთქვა იმ კაცის სახელი, ვინც მას ბიბლია მიუტანა, ჩრდილოეთ კორეის პოლიციამ შეცვალა ტაქტიკა. მათ გადაწყვიტეს ეცადათ მისი გულის წამება. პოლიცია მივიდა ბატონ ჩოისთან და უთხრეს, თუ ის დაამოწმებდა თავისი ცოლის წინააღმდეგ და ისინი აღიარებდნენ თავიანთ „დანაშაულს," რომ ჰქონდათ და კითხულობდნენ ბიბლიას, ამ შემთხვევაში ის მალე დაბრუნდებოდა სახლში და ისინი კვლავ ერთად იქნებოდნენ. შემდეგ დაბრუნდნენ უკან, ციხეში, ქალბატონ ჩოისთან და უთხრეს: „შენი ქმარი იქნება მოწმე შენ წინააღმდეგ," იქედნურად გადახედეს ერთმანეთს და განაგრძეს, „ასე რომ, შეგიძლია ყველაფერი აღიარო."

იხსენებდა რა ღალატს, ამდენი ხნის შემდეგაც, ქალბატონი ჩოი გაჭირვებით აგრძელებდა თხრობას, ხშირად ჩერდებოდა სულის მოსათქმელად და იწმენდდა ცრემლებს. „ამის შემდეგ, შემიკრეს ფეხები, დამკიდეს თავდაყირა და მცემეს. ციხეში ყოველდღე მცემდნენ, ხანდახან მთელი დღის განმავლობაში.“

„ერთხელაც, პოლიციელებმა მიბრძანეს ფეხზე ავმდგარიყავი და ხელები კარის გარეთ გამეყო, ვინაიდან, კარში მცირე ზომის დარაბა იყო. ისინი მირტყამდნენ თითებში და ხელებში მილით. ხელები სისხლში მქონდა მოთხვრილი და დაგლეჯილი. ოცი დღის განმავლობაში აღარ შემეძლო ხელების გამოყენება.“

როდესაც დაასრულა მოყოლა, მან ასწია ხელები, რათა ეჩვენებინა. ამ წამების ნიშნები ჯერაც კარგად ჩანდა, თითები აღარ ჰქონდა სწორი. მე არ შემეძლო წარმომედგინა, თითებში მილის დარტყმით გამოწვეული ტკივილი.

როდესაც დადგა ქალბატონ ჩოის გასამართლების დრო, მისი ქმარი მიხვდა, რომ პოლიციამ ის მოატყუა. ნაცვლად იმისა, რომ მოწმედ გამოსულიყო თავისი ცოლის წინააღმდეგ, მან გაბედულად დაიცვა ის. საოცარია, სასამართლომ, რომელიც ხუთ საათს გრძელდებოდა, გამოაცხადა, რომ ქალბატონი ჩოი „უდანაშაულოა.“ თუმცა „უდანაშაულოა“ არ იყო მისაღები ვერდიქტი რეჟიმისთვის, ამიტომაც მოსამართლის გადაწყვეტილება უგულებელყვეს და ბრძანეს ახალი სასამართლოს ჩატარება. მისი მეორე სასამართლო მხოლოდ ერთ საათს გრძელდებოდა. ქალბატონ ჩოის არ შეეძლო ელაპარაკა თავის დასაცავად, ვინაიდან, ის ისე ძლიერად იყო ნაცემი და მისი სახე ისე ძალიან იყო გასიებული, რომ არ შეეძლო ლაპარაკი. ამჯერად, ის დამნაშავედ სცნეს და მიუსაჯეს თხუთმეტი წელი ციხეში ჯდომა.

„მუდამ ვლოცულობდი ციხეში.“ გვითხრა მან, „მაშინაც კი, როდესაც ნაცემი ვიყავი მცველების მიერ.“ მას ახსოვდა ზოგიერთი მუხლი, რომელიც წაკითხული ჰქონდა იმ სველი, ობმოკიდებული, ბიბლიის გვერდებზე. მას ახსოვდა იესოს სიტყვები და ასეთი პერიფრაზირებით გადმოგვცა ისინი: „ყველას, ვინც გაგარტყამს მარჯვენა ლოყაში, მარცხენაც მიუშვირე.“ მას ძალას აძლევდა ის აღთქმები, რომლებიც წაიკითხა 1 იოანეს წერილში, რომ მისი რწმენა ძლევდა ქვეყნიერებას

და სწამდა, რომ ეს იყო ჭეშმარიტება, თუნდაც, იმ ქვეყნიერებაზე, სადაც კიმის რეჟიმი ბატონობდა.

ციხეში ერთი წელი ყოფნის შემდეგ, ქალბატონი ჩოი მხოლოდ სამოცდაორ ფუნტს იწონიდა. როდესაც მის მეუღლეს მისცეს მისი მონახულების უფლება, ის ევედრებოდა მას, რომ გაეყვანა ციხიდან. მან გაყიდა სახლი, შეაგროვა სახსრები მეგობრებისგან და ოჯახის იმ წევრებისგან, რომლებსაც სურდათ წვლილის შეტანა ამ საქმეში. ამ შეგროვილი თანხით დაბრუნდა უკან, ციხეში, გადაუხადა იქ მომუშავე მცველებს და ქალბატონ ჩოის მისცეს უფლება დაბრუნებულიყო სახლში. „ამ ამბებამდე," გვითხრა მან, „მჯეროდა, რომ ჩემი ქვეყანა საუკეთესო იყო მსოფლიოში, მაგრამ ციხეში მივხვდი, რა რეალობაც არის ჩრდილო კორეაში. მე ვუთხარი ჩემს ქმარს, 'თუ კვლავ შევძლებ ჩემი ჯანმრთელობის აღდგენას, აღარ მინდა ვიცხოვრო ამ მიწაზე, ვინაიდან, ახლა ვიცი, როგორია ეს ქვეყანა!" საბოლოოდ, ის გაიქცა, გადაკვეთა ჩინეთის საზღვარი და მიაღწია სამხრეთ კორეას.

ხანდახან, როდესაც ვხვდებით დევნილ ქრისტიანებს, ვხედავთ, რომ ზოგიერთებმა სრულად დაძლიეს დარჩენილი სიმწარე და მრისხანება და მივიდნენ სიყვარულთან და მიტევებასთან. ქალბატონი ჩოი ჯერ არ იყო მისული აქამდე. ფაქტია, მისი აღწერითა და წარმოდგენით კიმ ჯონგ იუ (ჩრდილოეთ კორეის ლიდერი იმ დროს) მკაცრად დაისჯება იმ საშინელი საქმეებისთვის, რომლებიც მან დამართა თავის თანამემამულეებს. ვუყურებდით რა, მის ცრემლებს და მის გამრუდებულ თითებს, ჩვენ კარგად გვესმოდა მისი მრისხანება.

როდესაც ჩვენ შევხვდით მას, ქალბატონი ჩოი იბრძოდა იმ ბოროტი რეჟიმის წინააღმდეგ, რომელმაც დაამონა მისი სამშობლო, თუმცა მისი ბრძოლა არ იყო იარაღით და ბომბებით, არამედ სულიერი საჭურველით. ახლა ის მუშაობდა ქრისტიანულ რადიოში, სეულში, რომელიც რადიომაუწყებელი იყო და ეთერში გადასცემდა წერილის ნაწყვეტებსა და სხვა ქრისტიანულ პროგრამებს, დემილიტარიზებული ზონის იქით, ჩრდილოეთ კორეაში. ამ რადიოსადგურის ერთ-ერთი მსახურება იყო ჩრდილოეთ კორეიდან გამოქცეულების, ქალბატონ ჩოის მსგავსების, დახმარება, რომ მათ, რადიოს საშუალებით, მოეყოლათ

თავისი თავგადასავლები, რათა ყველა ჩრდილო კორეელს სცოდნოდა სიმართლე მათი „ძვირფასი ბელადების“ შესახებ. სცოდნოდათ, ასევე, მეგობრებსა და ოჯახის წევრებს ის, რომ მან გააღწია, ცოცხალია და უსაფრთხოდ ცხოვრობს სამხრეთ კორეაში.

მისი თითები ნაცემი და დამტვრეული იყო. მისი ხელები ვეღარასოდეს აღიდგენენ იმ სისწრაფესა და ძალას, რაც ჰქონდათ მანამდე, სანამ მილით სცემდნენ, მაგრამ მისი ხმა ახლა უფრო ძლიერია, როდესაც ლაპარაკობს იმ რწმენაზე, რომელსაც შეუძლია ქვეყნიერების ძლევა—იმ ქვეყნის ძლევაც კი, რომელიც სრულიად განცალკევებით არსებობს და რომელსაც უმოწყალოდ მართავს კიმ ჯონგ უნი.

ფიქრისთვის

ნაწილი იმ ბერძნული სიტყვის განსაზღვრებისა, რომელიც თარგმნილია „სძლევს“

1 იოანეს 5:4-ში არის „დაპყრობა, გამარჯვებული გამოსვლა.“ ჩვენ, როგორც ქრისტიანები, მაშინ „ვძლევთ ქვეყნიერებას,“ როდესაც მტკიცედ გვწამს, ვართ გამარჯვებულები ცდუნებებზე და დევნაზე—თვით სიკვდილზეც.

ქალბატონი ჩოის გვერდით ყოფნამ და მასთან საუბარმა, გამახსენა ის უძნელესი საქმე, რომელსაც მიტევება ჰქვია. ძალიან კარგი იქნებოდა, ისე გვეფიქრა, რომ თითქოსდა, „ძლევა“ ნიშნავს იმას, რომ იესო ხელის ერთი აქნევით მოგვაცილებს იმ შედეგებს, რომლებიც სხვა ადამიანების ცოდვებმა გამოიწვია, მოგვაცილებს სიმწარეს, მრისხანებას და იმ მძიმე გრძნობებს იმათთან მიმართებით, ვინც ბოროტება გაგვიკეთა. ზოგნი ახერხებენ, განიცადონ ეს სასწაულებრივი ძალა, თუმცა ქალბატონი ჩოი ჯერაც მუშაობს და ცდილობს ძალები იპოვოს მიტევებისთვის. შესაძლოა, თქვენც ასეთივე მდგომარეობაში ხართ. თუ ეს ასეა, იყავით პატიოსანი—საკუთარ თავთანაც და ღმერთთანაც. სთხოვეთ მას, მოარბილოს თქვენი გული. მოიძიეთ მისი ღვთაებრივი ძალა, რომელიც დაგეხმარებათ „ძლევაში,“ სრულად მიტევებასა და იმ ტკივილის, მრისხანებისა და სიმწარის მოცილებაში, რომელსაც ჯერაც განიცდით.

ლოცვა

უფალო იესო, მადლობა იმისათვის, რომ მომიტევე ის ცოდვები, რომლებიც ჩავიდინე. მადლობა იმისათვის, რომ მოკვდი ჯვარზე, რათა გადაგეხადა ჩემი ბოროტი საქმეების გამოსასყიდი ფასი. მოარბილე ჩემი გული და მომეცი შენი ძალა, რათა „ვძლიო ქვეყნიერება“ და მივუტევო მათ, ვინც ბოროტება გამიკეთა ისევე, როგორც შენ მომიტევე მე. ამინ.

თქვენი დღიურისთვის

ჩემი დღიურიდან

ჩვენი ჩანთები სეულის აეროპორტში საკონვეიერო ლენტაზე დაბლა ეშვებოდა. ირგვლივ ფოლადის მავთული ჰქონდათ შემოხვეული. ეს მავთული ერთმანეთთან აკავშირებდა მათ, ხოლო გვერდით კაშკაშა ნათურა იეო დამაგრებული. ჩვენ წინა გაჩერებაზე თავისებური მოუვანილობის დანები ვიეიდეთ, რათა ჩვენს ბიჯებთან საჩუქრად ჩაგვეტანა, მაგრამ, როგორც ჩანს, სეულში ჩამოსვლის შემდეგ, ეს დანები გამოჩნდა ეკრანზე, როდესაც ბარგი შესამოწმებლად გაატარეს სპეციალურ დანადგარში. დანების ჰირები დაშვებულ ექვს ინჩზე უფრო გრძელი აღმოჩნდა, არადა ეს იეო ის მაქსიმუმი, რისი შემოტანის უფლებაც გვქონდა სამხრეთ კორეაში. ჩვენს ჩანთებზე მიმაგრებული კაშკაშა ნათურა, განბაჟების თანამშრომლებს ეუბნებოდა, რომ რაღაც ჰრობლემა იეო ამ ჩანთებთან მიმართებით... რამაც ჩვენ საკმაოდ გაგვანერვიულა! დანები უნდა ჩაგვებარებინა აეროპორტის განსაბაჟებელ ჰუნქტში, შემდეგ, როცა დავბრუნდებოდით უკან აეროპორტში, აშშ-ში გასამგზავრებლად და გადავიხდიდით დანების

შენახვის გადასახადს, შევძლებდით მათ აღებას, თუმცა აეროპორტში დაბრუნების შემდეგაც ბევრი რამ გადაგვხდა თავს. მებაჟემ აიღო პლასტიკურ პარკში გახვეული ორი დანა, ჩვენთან ერთად წამოვიდა თვითმფრინავისკენ, გაიარა კარი, ამოვიდა თვითმფრინავში, შევიდა პილოტების კაბინაში, რათა აეღო ნებართვა მათი ატანისთვის ბორტზე... ბოლოს, როგორც იქნა, დანები მოხიშნეს, როგორც დარეგისტრირებული ბარგი და მოათავსეს საბარგო განყოფილებაში. ამდენი „დავიდარაბა“ გადავიტანეთ ორი დანის გადასატანად აზიიდან ამერიკაში, რომელთა ფასი ოც დოლარზე ნაკლები იყო!

(ავტორის შენიშვნა: ეს ბოლო მგზავრობა იყო. ამის შემდეგ, აღარასოდეს მომიწადინებია, ბიჭებისთვის დანები ჩამომეტანა სხვა ქვეყნიდან!)

დღე 36

ერთი ქადაგება ლაოსში

იყავით სიტყვის შემსრულებელნი და არა მხოლოდ მომსმენნი თავის მოსატყუებლად. რადგან, თუ ვინმე ისმენს სიტყვას და არ ასრულებს, ჰგავს ადამიანს, რომელიც თავის ბუნებრივ სახეს სარკეში ათვალიერებს, შეხედავს თავის თავს, მიდის და მყისვე ავიწყდება, როგორია. მაგრამ, ვინც ჩაუღრმავდება თავისუფლების სრულყოფილ რჯულს და მასში დარჩება, მომსმენი და დამვიწყებელი კი არ იქნება, არამედ საქმის აღმსრულებელი. კურთხეული იქნება იგი თავის საქმეში.

იაკობი, 1:22-25

.....

ლაოსი, 2011

ჩვენ შევხვდით პატარა საეკლესიო შენობაში, ჩრდილოეთ ლაოსში. ეკლესია იყო ბეტონის იატაკზე დადგმული მარტივი ნაგებობა. პლასტმასის სკამები, რომლებსაც ისინი იყენებდნენ, მიდგმული იყო კედლებთან. ჩვენმა მასპინძლებმა ოთხი თუ ხუთი სკამი აიღეს, გამოიტანეს ეკლესიის შესასვლელთან და იქ დადგეს ჩვენთან

სასაუბროდ. ცხელოდა. ეკლესიაში მდგარი ვენტილიატორი მხოლოდ ცხელ ჰაერს ანაცვლებდა და ვერაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ სულ მცირე სიგრილე გვეგრძნო.

ჩვენ ინტერვიუ უნდა აგვეღო რამდენიმე ლაოსელი ქრისტიანისგან იმ დღეს, თუმცა ერთ-ერთი, რომელიც სამუდამოდ დამამახსოვრდა იყო „ძმა ფანი“ და ის პირველი ქადაგება, რომელიც მან მოისმინა. ფანი დაიბადა პატარა სოფელში, ჩრდილოეთ ლაოსის იზოლირებულ ნაწილში. როცა წამოიზარდა, მოიწადინა ქვეყნიერების ნახვა. მას სურდა, ჰქონოდა მეტი შესაძლებლობები, ვიდრე პატარა სოფლის გარემოს შეეძლო შეეთავაზებინა მისთვის, ამიტომაც ახალგაზრდა ფანი ჩავიდა ვიენტიანში, ლაოსის დედაქალაქში. პატარა სოფლიდან ჩასულ ფანს, ვიენტიანი ძალიან დიდ ქალაქად ეჩვენებოდა. მანქანების საყვირების ხმა, ათასობით მოტოციკლი, ადამიანების გუნდები და კაშკაშა სინათლეები თან აშინებდა და თანაც იზიდავდა ფანს, თუმცა ქალაქი არც ისეთი გულღია ჩანდა, როგორიც ეგონა მას და ის ეკონომიკური შესაძლებლობებიც, რომელთა შესახებაც სმენოდა, არც ისეთი ცხადი და ხელშესახები იყო. ის ქუჩაში დარჩა და ისიც კი არ იცოდა, რა უნდა ეჭამა, როცა შემდეგი ჭამის დრო მოვიდოდა.

ფანს გაგონილი ჰქონდა, რომ იყო ადგილები ქალაქებში, სადაც პიროვნებას შეეძლო უფასოდ მიეღო ბრინჯი. მან არ იცოდა, ეს სინამდვილე იყო თუ არა, თუმცა საკმაოდ მშიერი იყო და ამიტომაც გადაწყვიტა, რომ მოეძებნა ეს ადგილი. მას თავის სოფელში ისიც ჰქონდა მოსმენილი, რომ თუ იპოვიდა შენობას, რომლის თავზეც ჯვარი იდგა—ამის მთქმელმა ისიც აღუწერა როგორ გამოიყურებოდა ჯვარი, ვინაიდან, ფანს არასოდეს არ ჰქონდა ნანახი მანამდე ჯვარი—ასეთ შენობებში ხშირად იძლეოდნენ უფასო ბრინჯს. ფანს, ცხადია, ძალიან უნდოდა ბრინჯით სავსე ჯამის მიღება. ფანმა იპოვა ეკლესია და შევიდა შიგნით. როდესაც მომიყვა ეს ამბავი, მას არ უხსენებია არანაირი ბრინჯი, არც უფასო და არც სხვანაირი. ის, რაც მან თქვა იყო საოცარი რამ, რაც მოისმინა იმ ეკლესიის შიგნით, ამბავი შემოქმედ ღმერთზე, რომელმაც გამოგზავნა თავისი საკუთარი ძე, რომ მას გადაეხადა ფასი სასჯელისა ჩვენი ცოდვებისათვის ჯვარზე სიკვდილით, იმის გამო, რომ მას თითოეული ჩვენგანი ძალიან უყვარს. ფანი აღტაცებული

იყო ამ ამბის გამო და მაშინვე მიხვდა იმასაც, რომ იყო ცოდვილი და სჭირდებოდა ვინმე, ვინც გადაიხდიდა სასჯელის ფასს. დაელაპარაკა იმ ეკლესიის ხუცესს, ილოცა მონანიების ლოცვით და თავისი სიცოცხლე მიუძღვნა იესოს სამსახურს, ვინც მოვიდა და მოკვდა მისთვის. მე არ ვიცი, დააპურა თუ არა იმ ხუცესმა ფანი იმ დღეს—მას არაფერი უთქვამს ამის შესახებ, როდესაც მესაუბრებოდა. ის, რაც მან გაიხსენა, იყო მისი პასუხი იმ კეთილ ამბავზე, რომელიც ის ის იყო მოესმინა.

ფანს არ ასვენებდა იმაზე ფიქრი, რომ მის სოფელში არავინ არ იცოდა ამ საოცარი ისტორიის შესახებ, რომ მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა ეპოვათ ის მშვიდობა, რომელიც ახლახან გამოსცადა. ეს იმიტომ, რომ ეკლესია არ იყო მათ სოფელში, ამიტომაც მან თავის გულში მიიღო გადაწყვეტილება, რომ შეცვლიდა ამ მდგომარეობას. ასე რომ, ფანი ჩაჯდა ავტობუსში, დატოვა ვიენტიანი და ყველა ის ეკონომიკური შესაძლებლობები, რომელთა შეთავაზებაც მას შეეძლო მისთვის. მან მრავალი საათი იარა ავტობუსით ჩრდილოეთისკენ, თავისი სოფლისკენ, საიდანაც წამოვიდა. ჩასვლის შემდეგ შეკრიბა ხალხი, მოუთხრო მათ ყველაფერი, რაც მოისმინა და ისწავლა ვიენტიანში და რომლის მოსმენაც ყველა მათგანს ესაჭიროებოდა.

ფანის ადრეული მსახურების შედეგად თავის სოფელში, თექვსმეტმა ოჯახმა აირჩია მიეტოვებინა ბუდიზმი, წინაპრების თაყვანისცემის წესი და გამხდარიყვნენ იესოს მიმდევრები. ფანმა ასზე მეტი ადამიანი მიიყვანა ქრისტესთან, მხოლოდ ერთი ქადაგების მოსმენის შედეგად! ფანი იზრდებოდა რწმენით და როდესაც თავად გადიოდა დამოწაფების პროცესს, თავის მხრივ, ისიც იმოწაფებდა ახალ მორწმუნეებს თავის სოფელში, თუმცა თავისი რწმენისა და მსახურების გამო, მას მოუწია ფასის გდახდა, ისევე როგორც, სხვა ახალ მოქცეულებს მის სოფელში. ფანი გააძევეს სოფლიდან სხვა მოქცეულებთან ერთად, ვინც უარი არ თქვა „უცხოურ რელიგიაზე“, ანუ ქრისტიანობაზე და არ დაუბრუნდა წინაპრების გზას. უწყება იყო მკაფიო: „შენ შეგიძლია იყო ქრისტიანი, თუმცა ასეთ შემთხვევაში, ვეღარ იცხოვრებ ჩვენს სოფელში. ორივეს ერთად ვერ აირჩევ.“ ფანმა და სხვებმა აირჩიეს ქრისტე.

მთავრობის ოფიციალურმა პირებმა გაგზავნეს პოლიციელები და მანქანები და გამოაცხადეს, რომ ყველას, ვინც იყო ქრისტიანი, უნდა

დაეტოვებინა სოფელი. მათ, რომლებიც იესოს მიმდევრები იყვნენ, მოკრიფეს ყველაფერი, რაც ეკუთვნოდათ და რისი აღებაც შეძლეს, რადგანაც მათ აიძულებდნენ მანქანებზე ასვლას. შემდეგ, გაიყვანეს სოფლის გარეთ და უთხრეს აღარ დაბრუნებულიყვნენ უკან. საბოლოო ჯამში, ფანმა და მისმა სამწყსომ იპოვეს ახალი სოფელი, სადაც დასახლდნენ, მაგრამ, როდესაც შევხვდი ამ ადამიანებს, მას და სხვებსაც, მათი ახალი სოფლის მკვიდრები, ასევე, გაძევებით ემუქრებოდნენ. ფანს, როგორც ჩანდა, არ აშფოთებდა მათი მუქარები. მან უკვე იხილა ის, თუ როგორ იზრუნა ღმერთმა მათზე, როდესაც ისინი თავიანთი მშობლიური სოფლიდან გამოყარეს და დარწმუნებული იყო, რომ ღმერთი არც ახლა დატოვებდა ზრუნვის გარეშე.

იმ დროიდან, როცა შევხვდი მას, ფანმა გაცილებით ბევრი ქადაგება მოისმინა, როგორც პირვნებებისგან, ასევე, რადიომაუწყებლობით მისი ტომის მშობლიურ ენაზე. იმ რადიოთი, რომლითაც სახარებასაც გადმოსცემდნენ, თუმცა მე არასოდეს დამავიწყდება, რა გააკეთა მან, თავისი პირველი ქადაგების მოსმენის შემდეგ, თუ როგორ შეცვალა ამ ქადაგებამ მისი და მისი სოფლელების ცხოვრება. იმ ერთმა ქადაგებამ, პირდაპირი გაგებით, მარადისობა აჩუქა ასზე მეტ ადამიანს!

ფანთან შეხვედრის შემდეგ, გავიდა რამდენიმე წელი. მე, ჩემს თანამშრომელთან ერთად, ჩავედი სამხრეთ აზიაში და ვიკითხე მის შესახებ. ჩემს თანამშრომელსაც ახსოვდა ეს ისტორია, თუმცა მან ვერ შეიტყო ის ცნობა, რომ ფანი მოულოდნელად გარდაიცვალა. ახლა, ჩვენმა მეგობარმა მიიღო ის საუკუნო პატივი, რომლის შესახებაც მოისმინა იმ პირველ ქადაგებაზე—პატივი, რომელიც, რა თქმა უნდა, განუზომლად აღემატება ერთ ჯამ უფასო ბრინჯს!

ფიქრისთვის

მე ვარ ძე ხუცესისა და მისიონერისა და ვზივარ და ვიოფლები იმ ცხელ ლაოსურ ეკლესიაში, რომელშიც აღმოვაჩინე ძმა ფანის ისტორია, რომელიც საოცარი დამაჯერებლობით გამოირჩევა. მე, ცხადია, ერთ ქადაგებაზე მეტი მაქვს მოსმენილი. ფაქტობრივად, ალბათ, ათასობით

ქადაგება მაქვს მოსმენილი ბოლო ორმოცდაათი წლის განმავლობაში, მაგრამ რამდენად ხშირად გამოვდივარ ჩემი ეკლესიის, კოლეჯის სამლოცველოს, ან ბანაკის კარიდან—ან ვთიშავ ჩანაწერს—სადაც მესმის ღვთის უწყება და მივდივარ ჩემი გზით, თითქოს, არაფერი მომხდარა? თითქოსდა, ახლახან არ მოვისმინე უწყება, რომელსაც საუკუნო მნიშვნელობა გააჩნია ჩემთვის და ყველასთვის, ვისთან შეხვედრასაც ვაპირებ ამ კვირის განმავლობაში? უნდა ითქვას, რომ ძალიან ხშირად.

ძმა ფანი გამოვიდა იმ ეკლესიიდან, რომელშიც მოისმინა ის ერთი ქადაგება, ჩაჯდა ავტობუსში და მრავალი საათი იარა თავის პატარა სოფელში ჩასასვლელად. შემდეგ, თექვსმეტი ოჯახი დააყენა ხსნის გზაზე. სწორედ ეს არის ქადაგების ფასეულობის მაქსიმალური გამოყენება!

რას იტყვით თქვენზე? როდის იყო ბოლოს, როდესაც გამოხვედით თქვენი ეკლესიის კარიდან და ეძებდით ვინმეს, ვისაც სჭირდებოდა ღვთისგან გამოგზავნილი უწყების მოსმენა, რომელიც თქვენ ეს ესაა მოისმინეთ? ჩვენი, უმრავლესობის, შემთხვევაში, ეს იშვიათად ხდება.

როდესაც გამოხვალთ თქვენი ეკლესიის კარიდან ამ კვირა დღეს, გაიხსენეთ ძმა ფანი. თქვენი დღიურისთვის, დაწერეთ, სულიერი ჭეშმარიტება, წერილის ადგილი, ან ეფექტური ილუსტრაცია, რომელიც ახლახან მოისმინეთ. ახლა, დაწერეთ იმ პიროვნების სახელი, რომელსაც გაუზიარებთ უწყებას ამ კვირაში.

ლოცვა

უფალო, რამდენი რამ გვაქვს. გვაქვს მატერიალური კურთხევა და თავისუფალი წვდომა შენს სიტყვასთან და მისი ჭეშმარიტების გადმომცემებთან. გთხოვ, დაგვეხმარე, რომ ეს ჩვენი თავისუფლება კარგად გამოვიყენოთ! დაგვეხმარე, გვახსოვდეს, რომ შენი სიტყვა გასაღებია სიცოცხლისა და რომ ჩვენი ნებით, თავისუფლად და რეგულარულად, ვესაუბროთ ჩვენ ირგვლივ მყოფ ადამიანებს ამ სიცოცხლის შესახებ.

თქვენი დღიურისთვის

ჩემი დღიურიდან

ამრიგად, მე ვიმეოფები გასასვლელ რიგში, ანუ **Bangkok Airways**-ის ამ რეაქტიული თვითმფრინავის ჰირველ რიგში. ბორტგამცილებელმა ეს ესაა ამიხსნა, თუ როგორ უნდა გავხსნა [საავარიო გასასვლელის] კარი და როდის უნდა გავხსნა. მაშინ, (როდესაც კაჰიტანი გამოაცხადებს, „ევაკუაცია! ევაკუაცია! ევაკუაცია!“). შემდეგ, ღიმილით დაასრულა ახსნა-განმარტება და თქვა, „თუმცა იმედი ვიქონიოთ, რომ ჰრაქტიკულად არ დაგჭირდებათ ამის გაკეთება.“

ლოცვა დევნილი ქრისტიანებისათვის

პირველი თხოვნა, რომელიც ჩვენ გვესმის დევნილი ქრისტიანებისაგან, არის „ილოცეთ ჩვენთვის.“

მეორე თხოვნაა: „გამოგზავნეთ უფრო მეტი ბიბლიები.“

ჩვენს დევნილ მმებსა და დებს ძალიან კარგად ესმით ღვთის სიტყვის ძალა—ძალა, რომელიც მას აქვს, რომ ადამიანები მიიყვანოს იესო ქრისტესთან და ძალა, რომ მოამზადოს და გააძლიეროს მორწმუნეები, გამარჯვებით გადაიტანონ დევნა.

ილოცეთ დღეს ილოცეთ დღეს ბიბლიების გამავრცელებლებისთვის მსოფლიოში, განსაკუთრებით კი, მტრულად განწყობილ და თავისუფლებაშეზღუდულ ხალხში. ილოცეთ იმისათვის, რომ ასეთ ხალხში მცხოვრებ თითოეულ მორწმუნეს ჰქონდეს შესაძლებლობა, გააჩნდეს თავისი საკუთარი ბიბლია.

დღე 37

„ჩვენ ძალიან გვენატრება ის“

თუ ერთი ასო იტანჯება, მასთან ერთად ყველა ასო იტანჯება, ხოლო თუ ერთი ასო დიდებას მოიხვეჭს, მასთან ერთად ყველა ასო ხარობს.

თქვენ კი, ქრისტეს სხეული ხართ, ხოლო ცალ-ცალკე — მისი ასოები.
1 კორინთელთა 12:26-27

.....

სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, 2019

მისი ქმარი ორ წელზე მეტია არ ჩანს. ის მოიტაცეს მალაიზიის ქუჩიდან 2017 წელს, სამხედრო სტილის ქორეოგრაფიული ოპერაციის დროს, რომელიც მოიცავდა შვიდ მანქანას და თხუთმეტ კაცს. ამ ოპერაციას ორმოც წამზე ნაკლები დრო დასჭირდა, დასაწყისიდან დასასრულამდე. ხუცესი რაიმონდ კოჰი არ ჩანს იმ დღიდან და არც მისი მანქანის ადგილსამყოფელია დადგენილი. მისი ოჯახის წევრებს, რომ არ ევლოთ კარიდან კარზე და არ ეპოვათ სათვალთვალო კამერების ჩანაწერები მოტაცების შესახებ, შეიძლება, ადამიანს ეფიქრა, რომ რაიმონდი გაქრა.

და, აი, ახლა მე ვზივარ, ჩემი ციფრული დიქტოფონით და მიკროფონი მიჭირავს რაიმონდის მეუღლის, სუზანის, სახის წინ. „ჩვენ ძალიან გვენატრება ის," ამბობს სუზანი. მისი ცრემლები ჩვენი საუბრის აუდიო ჩანაწერშიც კი აშკარად ჩანს. „ყველაზე ძნელი ის არის, რომ არ იცი სად არის, რა დაემართა და როგორ არის ახლა." შემდეგ, მან მიამბო იმ სირთულეების შესახებ, რომელსაც ის და მისი შვილები იტანდნენ მოლოდინისა და საკუთარ მთავრობასთან ბრძოლის ამ ორი წლის განმავლობაში, მისი ქმრის შესაძლო ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის მოძიების პროცესში. ხვეწნასა და მოთხოვნებში გატარებული ორი წელი იმისათვის, რომ მალაიზიის ოფიციალურ პირებს, „გაუჩინარებაში" მხილებული დამნაშავეები პასუხისგებაში მიეცათ.

სუზანმა სული მოითქვა, რომ თავი მოეყარა ფიქრებისთვის, შეეშრო ცრემლები. მისი შემდეგი სიტყვები არ იყო ის სიტყვები, რომლებსაც მოველოდი: „მაგრამ ჩვენ მადლიერები ვართ ღვთისა." ის მადლიერი იყო ღვთის იმ სიყვარულის გამო, რომელსაც იჩენდნენ ქრისტიანები მათთან მიმართებით მთელი მსოფლიოდან—რაც გამოიხატებოდა ლოცვებში, ბარათებში, წერილებში—რამაც გაამხნევა ის და მისი ბავშვები და გააძლებინა იმ შავბნელი დღეებისა და გრძელი ღამეების განმავლობაში. მხოლოდ ღვთის ოჯახი არ იდგა მისი ოჯახის გვერდით, ასევე, იდგა თავად ღმერთი— „მამა მოწყალებისა და ყოველი ნუგეშის ღმერთი" (2 კორ. 1:3). „ღმერთი ძალიან რეალური და პერსონალური იყო ჩვენთვის," თქვა მან. „მახსოვს, პირველი სამი კვირა, გონებაარეული ვიყავი, პანიკური შეტევებიც კი მქონდა, მაგრამ ჩვენ გადავწყვიტეთ, შეგვენარჩუნებინა სიმშვიდე და ეს, მართლაც, დამეხმარა იმაში, რომ ყურადღება ღმერთზე გამემახვილებინა, მზერა მიმეპყრო იესოსთვის."

„ერთი მუხლი, რომელიც მომწონს არის ფსალმუნი 45:10: 'შეჩერდით და შეიცანით, რომ მე ვარ ღმერთი.' არ არის საჭირო, რომ ვიბრძოლო და ვივაგლახო. შემიძლია, დავმშვიდდე და მქონდეს იმის რწმენა, რომ ის ჩემთან არის და არასოდეს მიმატოვებს, და რომ ყველაფერი შეეწევათ მათ, ვისაც უყვარს ის და მოწოდებულია მისი მიზნისათვის. „მიუხედავად იმისა, რომ გარემოებები რთულია, შემიძლია დავინახო, რომ ღვთის მადლი საკმარისია."

სუზანმა ისიც მითხრა, რომ დარწმუნებული იყო, რომ ღმერთი ამზადებდა ხუცეს რაიმონდს იმ გამოცდისთვის, რომელსაც ის გადიოდა ახლა. მან თქვა, რომ თვეებით ადრე, სანამ მას მოიტაცებდნენ, მან შენიშნა, რომ მისი სულიერი პრაქტიკა უფრო გაღრმავდა. ის ჩვეულებრივზე გაცილებით მეტ დროს უთმობდა ლოცვას და იმახსოვრებდა წერილის მეტ ადგილს. „ის ადრიანად გადიოდა სახლიდან, ასე ვთქვათ, ლოცვითი ლაშქრობისთვის სამი საათის განმავლობაში,“ თქვა მან. „და ასევე, იმახსოვრებდა ბიბლიის ადგილებს და მეტყოდა ხოლმე; ‘იცი, ახლახან დავასრულე 1 კორინთელთას 15 თავის დაზეპირება.’ მე ვფიქრობდი, რომ ის, მართლაც, მისაბაძი მაგალითი იყო, ვინაიდან, ამ მხრივ, ძალიან დისციპლინირებული მიდგომა ჰქონდა.“ ის არ ფიქრობს, რომ მას წინათგრძნობა ჰქონდა იმასთან დაკავშირებით, რომ რაღაც ცუდი უნდა მომხდარიყო, თუმცა, ნათელია, რომ ღმერთი აღრმავებდა რაიმონდის რწმენას იმ თვეების განმავლობაში, სანამ მოიტაცებდნენ.

ის უფლის მადლიერი იყო იმის გამოც, რომ მან აღჭურვა რაიმონდი ისეთი თვისებებით, რომ გაეძლო ტყვეობაში. მან მითხრა, რომ ის ძალიან უბრალო კაცია, სრულად კმაყოფილი იყო იმით, რომ ჰქონდა სამი შარვალი და სამი პერანგი თავის გარდერობში. ისიც მითხრა, რომ ის ჯანმრთელია, რომ ფეხბურთსაც კი თამაშობდა ხოლმე ათწლეულებით მცირე ასაკის მქონე ახლაგაზრდებთან. მადლიერი იყო იმისთვისაც, რომ რაიმონდს არ ესაჭიროებოდა ყოველდღიურად წამალი, რომელსაც, ალბათ, არ მიაწვდიდნენ მისი გამტაცებლები.

სანამ მოიტაცებდნენ, რაიმონდმა იცოდა, რომ ის იდგა ამ რისკის წინაშე. რამდენიმე წლით ადრე გატაცებამდე, მან მიიღო პატარა ზომის ყუთი ფოსტით. როცა მან გახსნა ის, იპოვა ორი ტყვია. სუზანმაც მიიღო არასასურველი გზავნილი: კონვერტი თეთრი ფერის ფხვნილით, რომელიც, შესაძლოა, შხამი ყოფილიყო. უწყება იყო მკაფიო: შეწყვიტე მსახურება, თორემ... რაიმონდმა და სუზანმა არ შეწყვიტეს მსახურება. ისინი განაგრძობდნენ საწყალი ადამიანებისა და გასაჭირში მყოფების დახმარებას, სთავაზობდნენ მათ გვერდში დგომასა და იმედს იესოს სახელით. მათ იცოდნენ რისკები, მაგრამ არ წყვეტდნენ საქმიანობას. „დიახ, ის განაგრძობდა [მსახურებას] მიუხედავად გარკვეული შიშისა და შფოთისა. ის გრძნობდა, რომ უფალმა მოუწოდა მას დიდი დავალების

აღსრულებისკენ და რომ ეს ნიშნავს თითოეულ ტომს, ერსა და ენას. ღმერთი არ ასხვავებს ადამიანებს, ამიტომაც ჩვენ უბრალოდ განვაგრძობდით, საწყლების, გასაჭირში მყოფებისა და მარგინალიზირებული ადამიანების დახმარებას. ღვთის შემწეობით, ჩვენ გავუმკლავდით ამ ამოცანას. თითქმის ხუთი თუ ექვსი წელი ჩვენ აღარაფერი მიგვიღია და გვიგრძვნია, ამიტომაც ვიფიქრეთ, რომ საფრთხემ ჩაიარა."

ყველაფერი კარგად იყო, სანამ არ დადგა ის დღე, როცა მისი ქმარი აღარ დაბრუნდა სახლში. როცა სუზანი წავიდა პოლიციის განყოფილებაში, რათა განეცხადებინა დაკარგული პიროვნების შესახებ, ნაცვლად იმისა, რომ კითხვა დაესვათ მისთვის, თუ სად იყო მისი მეუღლე იმ დღეს, ან ვის ნახვას აპირებდა, ან რა მარკის მანქანას ატარებდა, პოლიციამ დაიწყო სუზანის გამოკითხვა იმ საქმიანობის შესახებ, რომელსაც ის და მისი ქმარი ასრულებდნენ. მათ არანაირი ინტერესი არ გამოუმჟღავნებიათ რაიმონდის საპოვნელად, თუმცა დიდი ინტერესი გამოიჩინეს იმაში დასარწმუნებლად, რომ მუსლიმური რწმენის მქონე მალაიზიელები არ გამხდარიყვნენ ქრისტიანები. ბოლოს და ბოლოს სუზანი ადგა და წამოვიდა. სწორედ მისმა ოჯახმა—და არა პოლიციამ—იპოვა ვიდეო მასალა გატაცების შესახებ.

მე ვკითხე სუზანს, რა განცდები ჰქონდა იმ ადამიანებთან მიმართებით, რომლებმაც გაიტაცეს ხუცესი რაიმონდი 2017 წლის იმ დღეს. მისმა პასუხმა წარმოაჩინა მისი სულის საოცარი მოწიფულობა, ამავე დროს, ბრძოლა ამ მოწიფულობის მისაღწევად. „თავიდანვე გადავწყვიტე მიმეტევებინა მათთვის, ვინაიდან, არ იცოდნენ, რას აკეთებდნენ და მივბაძე ჩვენი უფლის, იესოს, მიერ მოცემულ მაგალითს. ასე რომ, არაფერია ჩემს გულში ბნელი," მითხრა მან, „რადგან მინდა, რომ ღმერთმა იმოქმედოს ჩემი მეშვეობით." „თუმცა ეს არ ყოფილა ადვილი. ამ ორი წლის განმავლობაში, როცა მე მომიწია იმ პოლიციელებთან საქმის დაჭერა, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას წარმოადგენდნენ, იყო მომენტები, როდესაც მინდოდა ხელები წამეჭირა მათთვის ყელში, რადგან ურცხვად ტყუოდნენ. ისინი არ თანამშრომლობდნენ. მახსოვს ერთხელაც, ჩემი მანქანის მართვისას, დამადანაშაულეს პოლიციასთან მიმართებით ცუდ დამოკიდებულებაში და მე ცრემლიანი თვალებით მოვინანიე უფლის წინაშე, რომ უნდა მელოცა პოლიციისთვის. მთელი სისტემა

გამსჭვალულია კორუფციით, სავსეა სკანდალებითა და ბოროტებით და მე ვფიქრობ, რომ უფრო სრული სურათის დანახვა მჭირდებოდა. მთლიანი სურათი კი, რომელიც მე უნდა დავინახო, შემდეგია: ღმერთი წმენდს მალაიზიას და მან დღის სინათლეზე უნდა გამოიტანოს მთელი სიბნელე და ბოროტება, რათა საცნაური გახდეს ყველაფერი. ჩვენ, ქრისტიანები, მარილი და ნათელი ვართ ქვეყნიერებისათვის. საჭიროა, ვილოცოთ და დავინახოთ, თუ როგორ სრულდება ღვთის ნება მალაიზიაში.

„ასე რომ, ღმერთმა პირველად ჩემს გულში უნდა მოაგვაროს საქმე, რათა მივუტევო მათ და ვილოცო მათთვის, რადგან მათ სჭირდებათ, რომ გაიცნონ უფალი. თუ გვინდა ცვლილებები და ტრანსფორმაცია მალაიზიაში, ეს უნდა მოხდეს ცალკეული ადამიანების ცხოვრებაში.“.

ფიქრისთვის

ერთადერთი რამ, რამაც გააძლებინა სუზან კოჰს იმ წლების განმავლობაში, რაც მისი ქმარი მოიტაცეს, არის ლოცვა და სიყვარული ქრისტესთან მიმართებით. თქვენი დღიურისთვის, აღწერეთ ის დრო, როცა ქრისტეს სხეული გაძლიერებთ განსაცდელისას. არის რომელიმე ქრისტიანი ძმა ან და, რომელსაც სჭირდები შენ, აი, ახლა, რათა გაუწიო ქრისტეს სხეულობა, გააძლიერო, დაეხმარო და დაიმედო?

ლოცვა

უფალო, იმოქმედე ჩემს გულში იმავე გზით, რა გზითაც მოქმედებდი სუზანის გულში. დამეხმარე მიტევებაში. დამეხმარე, რომ მიყვარდეს ჩემ გარშემო მყოფნი შენი სამეფოსთვის—ისინიც კი, ვინც ზიანი და შეურაცხყოფა მომაყენა.

თქვენი დღიურისთვის

ჩემი დღიურიდან

[სუზანმა] თქვა, რომ ისინი რეალურად ცდილობენ რაიმონდის ამბავი საზოგადოებაში გახმაურდეს და, ასევე, ცდილობენ მთავრობისაგან მიიღონ ახსნა-განმარტება იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოხდა, ასე რომ, ფიქრი იმაზე, რომ ცხრაასზე მეტი რადიოსადგური ილაჰარაკებს ამ შემთხვევის შესახებ, მისთვის ძალიან ჰოზიტიური გახლდათ.

მოსმენისთვის

თქვენ, სუზან კოჰთან იმ დღეს ჩაწერილი ინტერვიუ, შეგიძლიათ მოისმინოთ www.VOMRadio.net/Koh. -ზე.

დღე 38

ძილი სასაფლაოზე

მიანდე უფალს შენი ბედი და ის განგამტკიცებს, არასოდეს არ დაუშვებს მართლის წაბორძიკებას.

ფსალმუნი 54:23

.....

სულეიმანიაჰი, ერაყი, 2008

ის დაწვა, პირდაპირ მიწაზე, შუა სასაფლაოზე. მჭიდროდ მიეყრდნო ქვებს, რომლებიც ერთ-ერთი საფლავის საზღვრებს აღნიშნავდა. „მე ამ ქვებთან ახლოს უნდა დავწვე," გვითხრა ჩვენ, „იმისათვის, რომ ქარისაგან დამიფაროს. ვინაიდან, ალბათ, იცით, რომ ღამით, მართლაც, ცივა აქ."

ჩვენ მიგვიყვანეს ამ სასაფლაოზე სპეციალურად, ასე რომ, ზარგუოსს შეეძლო ეჩვენებინა ჩვენთვის, როგორ უნდა დაეძინა, როგორ უნდა გადარჩენილიყო, იმ ექვსი თვის განმავლობაში, როცა ის უსახლკაროდ იყო. უსახლკაროდ კი იმიტომ იყო, რომ დატოვა ისლამი და გახდა იესო ქრისტეს მიმდევარი.

პირველად, ზარგუოსმა იესო სიზმარში იხილა. მას ზუსტად ახსოვს თარიღი, ვინაიდან, ეს დედამისის სიკვდილის წინა ღამეს იყო. ამ

სიზმარში, იესო გამოეცხადა მას. გამოეცხადა, როგორც დაუჯერებლად ბრწყინვალე ნათელი, იმდენად ბრწყინვალე, რომ ზარგუოსმა თვალები დახუჭა, რადგან თვალს ვერ უსწორებდა ამ ბრწყინვალებას. იესომ სიყვარულით მიმართა მას: „ნუ გეშინია. მოდი ჩემთან.“

სიზმრის შემდეგ ზარგუოსი პირველად ტრადიციულ ეკლესიაში წავიდა, მაგრამ უკან მიატრიალეს: „მუსლიმები აქ არ დაიშვებიან,“ უთხრა მღვდელმა. მან იყიდა რადიო და დაიჭირა ქრისტიანული პროგრამების არხი. რადიოსადგურმა მისცა მისამართი და ზარგუოსმა წერილი გაგზავნა, რომელშიც აღწერდა თავის სიზმარს და გამოხატავდა თხოვნასაც, რომ სურს, მეტი შეიტყოს იესოზე და მის სწავლებაზე. მიიღო პასუხი ახლო მცხოვრები ქრისტიანების სახელებითა და ტელეფონის ნომრებით. მან დარეკა და შეუთანხმდა შეხვედრაზე. შემდეგ, იმ მორწმუნეებთან ერთად ილოცა, მოინანია და საკუთარი სიცოცხლე ქრისტეს მიუძღვნა.

„ვირწმუნე თუ არა, დევნაც დაიწყო,“ მითხრა ზარგუოსმა, როდესაც ვისხედით მის მიერ დაქირავებული სახლის მისაღებ ოთახში. პირველი პიროვნება, რომელსაც უთხრა თავისი ამბავი, იყო მისი ცოლი, ჩიმინი. ის პირველი იყო, ვინც გაუბრაზდა. ის იმამის ასული და მეორე იმამის და გახლდათ, ამიტომაც წარმოუდგენლად მიაჩნდა, რომ მისი საკუთარი ქმარი განდგომილი გახდა. რას ეტყოდნენ ისინი თავიანთ ოჯახებს? ზარგუოსის ცოლის ოჯახი შთააგონებდა და ეხვეწებოდა მას დაბრუნებოდა ისლამს, მაგრამ, როდესაც წყნარმა საუბარმა და შეგონებებმა არ გაჭრა, სიტუაცია დაიძაბა—პირველად იყო ყვირილი და მუქარა, შემდეგ საქმეში იარაღიც ჩაერთო. ზარგუოსის ორი მეგობარი, რომლებიც მან წაიყვანა, რათა დახმარებოდნენ ცოლის ნათესავებთან მოლაპარაკებაში, მოკლეს. სამი კაცი გაიქცა.

ჩიმინის ოჯახმა უარი თქვა იმაზე, რომ ის, თავის ორ ასულთან ერთად ზარგოუსთან წასულიყო. ეს ეწინააღმდეგებოდა ისლამურ რჯულს. მას ქრისტიანთან ერთად ოჯახი ვერ ექნებოდა. ჩიმინის მამამ ბრძანა, ვინაიდან, ზარგუოსი იყო ქრისტიანი, ის უფლებას არ მისცემდა თავის ასულს და მის შვილებს მასთან დარჩენილიყვნენ. ზარგუოსი მარტო დაბრუნდა სახლში. ორი კვირის შემდეგ, როდესაც იჯდა მისაღებ ოთახში, ვიღაცამ ხელყუმბარა შეუგდო წინა ფანჯრიდან. ხელყუმბარა აფეთქდა,

თუმცა ზარგოუსი სასწაულებრივად გადაურჩა ამ აფეთქებას. მას წაართვეს ცოლი და ორი ქალიშვილი და ახლა მისი სიცოცხლეც საფრთხის ქვეშ იყო. დატოვა სახლი და ექვსი თვის განმავლობაში ქუჩაში ცხოვრობდა. მეგობარს ესესხა რამდენიმე დინარი, რათა საკმარისი საკვები ეყიდა და არ ეშიმშილა. ღამით კი, ქალაქის სასაფლაოზე უნდა წასულიყო და იქ უნდა დაწოლილიყო დასაძინებლად.

მე ვკითხე ზარგუოსს, წერილის რომელი მუხლები აძლევდა მას ძალას, რათა დაეძინა სასაფლაოზე, დაშორებოდა თავის მეუღლესა და ქალიშვილებს. მან მყისიერად გაიხსენა 54-ე ფსალმუნის 23-ე მუხლი: „მიანდე უფალს შენი ბედი და ის განგამტკიცებს, არასოდეს არ დაუშვებს მართლის წაბორძიკებას.“ ჩავეძიე. ზარგუოს, მართლაც, გრძნობდი, რომ ღმერთი ზრუნავდა შენზე, როდესაც იწექი სასაფლაოს მიწაზე და გეძინა, როდესაც ოჯახს მოგწყვიტეს? „მე ვგრძნობდი, რომ ღმერთი ჩემთან იყო მთელი ეს დრო,“ მიპასუხა მან. „ლოცვისა და სულიერებისათვის ეს მშვენიერი დრო იყო ჩემთვის, საუკეთესო დრო ღმერთთან ერთად.“

როცა ზარგუოსი მიყვებოდა ამ ამბავს, ჩიმინი თავისი ქმრის გვერდით, ტახტზე, იჯდა. მისმა ოჯახმა ის ექვსი თვით დააშორა ქმარს, მაგრამ შემდეგ, მან არჩია, რომ ჯობდა ქრისტიანის ცოლი ყოფილიყო და ეს სირცხვილი აეტანა, ვიდრე გაყრილი ქალის სირცხვილი, ამიტომაც დაუბრუნდა ქმარს. როდესაც დაბრუნდა, ის ჯერაც ძალიან იყო გაბრაზებული ზარგუოსზე. როგორ შეეძლო მას ამის გაკეთება? რატომ გააკეთა? კი, იცხოვრებს მასთან, მაგრამ ბედნიერი ვერ იქნება ამის გამო.

თუმცა შემდგომი ორი წლის განმავლობაში, ის ყურადღებით აკვირდებოდა თავის ქმარს, აკვირდებოდა მის ცხოვრებას, მისი რწმენის გამოვლენასა და საქმეებს. მიუხედავად დიდი მსხვერპლისა—ზარგუოსმა დაკარგა სამსახური—მან შეინარჩუნა რწმენა. დაკარგა თავის ოჯახთან ურთიერთობა, მაგრამ უარი არ უთქვამს თავის რწმენაზე. ცოლი ცუდად ეპყრობოდა, თავის ბრაზს ანთხევდა მასზე. ზარგუოსი იღებდა ამას, მაგრამ უბრუნებდა კურთხევასა და სიყვარულს. ბოლოს და ბოლოს, მას აღარ შეეძლო წინააღმდეგობა და ძველებურად გაგრძელება.

მე შევეკითხე ჩიმინს, რამ შეცვალა შენი გონება, იმან, რომ იესოა ჭეშმარიტება? მან მიპასუხა: „მისი [ზარგუოსის] რწმენა იმდენად ძლიერი იყო, რომ მე აღარ შემეძლო საკუთარი თავის კონტროლი, ამიტომაც გადავწყვიტე მეც გავმხდარიყავი იესოს მიმდევარი. მადლობელი ვარ ღვთის, ჩემი ქმრის რწმენის გამო. იმის გამო, რომ მისი რწმენა ასეთი ძლიერია. მე არ შემეძლო მტკიცედ ვმდგარიყავი მისი რწმენის წინააღმდეგ, ამიტომაც გადავწყვიტე ვყოფილიყავი მასთან ერთად.“

ჩიმინმა იცოდა, რომ თუ ის მიიღებდა თავისი ქმრის რწმენას, მისი ოჯახი სრულად გაწყვეტდა მასთან ურთიერთობას. მან იცოდა იმ მსხვერპლის შესახებ, რომელიც უნდა გაეღო, მაგრამ იმან, რაც მან დაინახა თავის ქმარში, ისეთი ზეგავლენა იქონია, რომ ყველაფერს აიტანდა, რაც ასატანი და მოსათმენი იყო, რათა ჰქონოდა ის, რაც მას ჰქონდა.

მე ვკითხე ორივეს, თუ რას ნიშნავდა მათთვის ერთად ყოფნა რწმენის გზაზე. „ასე ბევრად უკეთესია,“ მიპასუხა ჩიმინმა და დაამატა, რომ ის კვლავაც ლოცულობს თავისი ოჯახისთვის, რომ მათ ირწმუნონ ქრისტე, მიუხედავად იმისა, რომ გონებით მას ეს ვერ წარმოუდგენია. „მაგრამ,“ თქვა მან, „ღვთისთვის ამის გაკეთება ადვილია.“

როდესაც დავასრულეთ ჩვენი საუბარი, ვკითხე მათ, თუ როგორ შეეძლოთ თავისუფალ ქვეყნებში მცხოვრებ ადამიანებს მათთვის ლოცვა. მათ თქვეს, რომ ელოცათ მათი სახლისთვის, ვინაიდან, სახლის ქირის გადახდა ძნელი იყო ქრისტიანული წყვილისთვის. მათ, ასევე, ითხოვეს ლოცვა ერთ-ერთი თავისი შვილის საჭიროებისთვის.

„ჩვენ გვინდა, რაღაც გადავცეთ ამერიკულ ეკლესიებს,“ თქვა ზარგუოსმა, რომელიც თვალებში მიყურებდა. „უერთგულეთ, ჩაეჭიდეთ ბიბლიას!“ „ეს ძალიან კარგი უწყებაა ამერიკისთვის ახლა,“ ვუპასუხე მათ. „ჩვენი გამოცდილებით ვიტყვით, რომ სწორედ ბიბლიის წყალობითაა, რომ გვაქვს ასეთი ოჯახური ცხოვრება.“

ორი საათი დაგვჭირდა ჩვენს სასტუმრომდე მისვლისთვის. სანამ იქ მივიდოდით, იარაღიანი კაცებით სავსე ბევრი საკონტროლო პუნქტი გავიარეთ. გზაში, მე ვფიქრობდი კაცზე, რომელსაც სასაფლაოზე ეძინა და აღარც ოჯახი ჰყავდა, იმის გამო, რომ არ უარყო თავისი ქრისტიანული რწმენა. ჩემთან საუბარში კი იმ დროს, როცა ის ღია ცის ქვეშ ათევდა ღამეს, ღმერთთან თავისი ურთიერთობის საუკეთესო დრო უწოდა.

ფიქრისთვის

ხედავდა რა თავისი ქმრის რწმენას, მიუხედავად იმისა, რომ გაბრაზებული იყო და ცუდადაც ექცეოდა მას, ამ რწმენამ შეცვალა ჩიმინი და მას „აღარ შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა.“ მას უნდა მიეღო ის, რაც ჰქონდა! გინახავთ ასეთი რწმენა ვინმეში თქვენ ირგვლივ? რამ იქონია თქვენზე უფრო მეტი ზეგავლენა. იმან, რომ ამ ადამიანს წარმატებული ცხოვრება ჰქონდა, თუ იმან, რომ ის რთულ მდგომარეობაში იმყოფებოდა? გადაუხადეთ მათ „მადლობა“ იმ მაგალითისთვის, რომელიც გაჩვენეს?

და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ისე ცხოვრობთ თქვენი რწმენის შესაბამისად, რომ თქვენ ირგვლივ მყოფთ, რომელთათვისაც თქვენ მაგალითი ხართ, „არ შეუძლიათ წინააღმდეგობის გაწევა?“ თქვენი დღიურისთვის, დაწერეთ, როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს ასეთი ცხოვრება და რწმენა.

ლოცვა

უფალო, მადლობა იმისათვის, რომ „არასოდეს დაუშვებ მართლის წაბორძიკებას.“ მადლობა იმისათვის, რომ გვიყენებ—თვით ტკივილისა და უქონლობის ჟამს—რათა მოვმართოთ სხვები შენკენ. გთხოვ, დამეხმარე, რომ ისეთი რწმენა მქონდეს, როგორიც აღძრავს ჩემ ირგვლივ მყოფ ადამიანებს გადაუდებლად მოიწადინონ იესოს შემეცნება—ისეთი ძლიერი რწმენა, რომ ვეღარ შეძლონ წინააღმდეგობის გაწევა.

თქვენი დღიურისთვის

ჩემი დღიურიდან

ჩვენ, „ფურგონი“, მანქანით მივდიოდით ზოგიერთ ერაყელ ქრისტიანთან ერთად, რომლებიც გვეხმარებოდნენ აქ. კირკუკისკენ მიმავლები, ისეთ ადგილზე, სადაც, თითქოსდა, არაფერი იყო, ჩვენ გაგვაჩერეს საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე. იქ იდგა ორი ბიჭი კამუფლიაჟით და ხელში **AK-47**-ით. ერთ-ერთმა მათგანმა ჩვენი საბუთები მოითხოვა. როდესაც დაინახა ორი ამერიკული პასპორტი, თითქოსდა, თვალები გაუბრწყინდა და მე და [ჩემს თანამშრომელს] გვითხრა ჩავსულიყავით და გავეოლოდით მას. ამერიკელების გამოცალკევებას „ფურგონში“ მეოფი დანარჩენი მგზავრებისგან, არ უჩანდა კარგი ბოლო. ნამდვილად, ამიჩქარდა გული, როცა ამ იარაღიანმა ბიჭმა ჩვენ მაღლობის იქით მხარეს წაგვიყვანა, მოშორებით გზიდან, საიდანაც აღარ შეგვეძლო მანქანის დანახვა. თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენ გაგვიტაცებდნენ.

მან მიგვიყვანა თხლად გადახურულ მცირე ზომის შენობასთან, სადაც მის მეთაურს სურდა პერსონალურად მოგვსალმებოდა ჩვენ და ეთქვა, თუ რა ძალიან უყვარს ამერიკა და რა კარგია, რომ ჩვენ ახლა ქურთისტანში ვიყავით! როცა სუნთქვა დამისტაბილურდა, მინდოდა მეთქვა მისთვის, რამდენად უკეთესი იქნებოდა, რომ თავად მოსულიყო „ფურგონამდე“ და იქ ეთქვა ჩვენთვის ეს! კინაღამ, შარვლის გამოცვლა დამჭირდა!

აღმოჩნდა, რომ ესენი იყვნენ ფესმერჯის ქურთული რაზმები და მართლაც, ნამდვილად, უყვართ ამერიკა!

დღე 39

ლოცვა თავისი მწამებლისთვის

ასევე, ცოლებო, დაემორჩილეთ ქმრებს, რათა ისინი, რომლებიც არ ემორჩილებიან სიტყვას, სიტყვის გარეშე გახდნენ მოგებულნი თავიანთი ცოლების საქციელით, როცა დაინახავენ თქვენს უბიწო ქცევას მოშიშებით.

1 პეტრე, 3:1-2

.....

ეთიოპია, 2005

„ნეგაზი“ მართალი იყო იმაში, რომ მისი ქორწინება მისიონერული იქნებოდა, მაგრამ ცდებოდა იმაში, წყვილიდან რომელი იქნებოდა წარმატებული მისიონერი!

ნეგაზს მე შევხვდი სამხრეთ ეთიოპიაში მდებარე ეკლესიაში—ქვეყნის იმ ნაწილში, რომელშიც მოსახლეობის უმრავლესობა მუსულმანია. ამ ეკლესიას, ასევე, ჰქონდა დაწყებითი სკოლა—ოთხი კლასის ჩათვლით—და როდესაც ვესაუბრებოდით დევნილ ქრისტიანებს, ჩვენ გვესმოდა ბავშვების ჟრიამული და ფანჯრიდან ვხედავდით მათ, როცა ისინი ფეხბურთსა და სხვა თამაშებს

თამაშობდნენ. ნეგაზი იყო ერთ-ერთი ხუცესი, რომელიც ესწრებოდა საწვრთნელ სემინარს ეკლესიაში—და ასევე ის კაცი, რომელიც უნდა შეხვედროდა „ფერენჯის“ (უცხოელებს).

მე ვკითხე ნეგაზს თუ იყო ის მუსლიმი ადრე. ჰო, ვიყავი—მიპასუხა. ვკითხე, თუ რატომ გადაწყვიტა ისლამის დატოვება და იესოს მოწაფეობა. „ჩემზე არ იყო არჩევანი,“ მიპასუხა სწრაფად. „თავად იესომ—მან ამირჩია მე!“

შემდეგ, მომიყვა თავისი მისიონერული ქორწინების ამბავი. ნეგაზს შეთვალიერებული ჰყავდა ახალგაზრდა ქალი, ვისაც ჩვენ იფეს დავუძახებთ და ერთ დღეს ის გამოეხმაურა მას, როდესაც მან წარმოთქვა სიტყვები „იესოს სახელით.“ ნეგაზმა იცოდა, რომ იფე მუსლიმური ოჯახიდან იყო და იფიქრა, რომ ისიც მასავით მუსლიმი იყო, თუმცა ისიც იცოდა, რას ნიშნავდა მისი სიტყვები. ნიშნავდა იმას, რომ ეს ქალი იყო ქრისტიანი. იცოდა, რომ ის ქრისტიანი იყო, თუმცა მაინც წაიყვანა თავის სახლში და აიძულა ექორწინა მასზე. „მან ძალით იქორწინა მასზე“, ასე ამიხსნა ჩემმა მთარგმნელმა ეს. გულახდილად რომ ვთქვა, აღარ მინდოდა ბევრი კითხვის დასმა, ვინაიდან, ეს საშინლად ჟღერდა. როგორ შეეძლო კაცს, რომელმაც აიძულა ქალი ექორწინა მასზე, გამხდარიყო ხუცესი? და საერთოდ, შეიძლება, ასეთი ქორწინებიდან, რომელსაც ასეთი დასაწყისი აქვს, რაიმე გამოვიდეს? მითუმეტეს, მისიონერული ქორწინება, როგორც შემდეგში აღმოჩნდება.

იფე გულმოდგინედ ლოცულობდა თავისი ქმრისთვის. მიუხედავად იმისა, რას აკეთებდა ის, განაგრძობდა მისთვის ლოცვას. ნეგაზის მიზანი იყო თავისი ცოლი უკან, ისევ ისლამზე, დაებრუნებინა, ყველა საჭირო საშუალებით. „სამი წლის განმავლობაში ვცემდი მას და ორი წლის განმავლობაში ვაწამებდი, თუმცა ის ძალიან მტკიცე იყო თავის რწმენაში და არასოდეს უთქვამს მასზე უარი,“ თქვა ნეგაზმა. წლების შემდეგაც, ის აღტაცებული იყო მისი სიმამაცითა და მხნეობით. ქორწინების სამი გაუსაძლისი, წამებით სავსე, წლის შემდეგ, იფეს ლოცვები შეისმინა ღმერთმა.

ერთ ღამეს, ნეგაზი თავის ოთახში, ჩაკეტილი კარის შიგნით, იმყოფებოდა და იმეორებდა სალათს, ისლამურ ლოცვას. კარი, როგორც ვთქვით, დაკეტილი იყო, შუაღამე იყო, თუმცა მოულოდნელად, ოთახი

სინათლით აივსო და ისა (იესო) გამოჩნდა ოთახში. ნეგაზმა თქვა, რომ იხილა იესოს დაჩხვლეტილი ხელები. „ვისთვის ლოცულობ?“ ჰკითხა მას იესომ. შემდეგ უთხრა ნეგაზს, რომ ის გაცილებით დიდია, ვიდრე მუჰამედი და რომ იცნობს ნეგაზს თავისი დედის წიაღიდანვე. „მე ვარ ის, ვინც ზრუნავდა შენზე ამ დრომდე.“

როდესაც მზე ამოვიდა, ნეგაზი გავიდა მდინარესთან, რომელიც ეკლესიის ახლოს მოედინებოდა. კვირა დღე იყო და ეკლესიის წევრები იკრიბებოდნენ თაყვანისცემისთვის. მათ ძალიან არ გახარებიათ, როცა დაინახეს ნეგაზი, რომელსაც თავგადაკლულ მუსლიმად და ქრისტიანების მდევნელად იცნობდნენ—თავისი საკუთარი ცოლის ჩათვლით. „აქ რას აკეთებ?“ ჰკითხეს მას ეკლესიის წევრებმა. „შენ ხომ გძულს იესო.“ „სწორედ იესომ მომიყვანა აქ,“ უპასუხა მათ ნეგაზმა. ევანგელისტმა დამატებითი კითხვები დაუსვა მას და დარწმუნდა, რომ ნეგაზს სინამდვილეში უნდოდა გამხდარიყო იესოს მოწაფე. სანამ ილოცებდნენ მასთან ერთად, მათ აუხსნეს, რა იქნებოდა თუ დატოვებდა ისლამს და გახდებოდა იესოს მიმდევარი. იქნებოდა დევნა. „ადამიანები შენ წინააღმდეგ იმოქმედებენ,“ უთხრეს მათ. „იმის გამო, რომ ხარ ქრისტიანი, დევნილი იქნები. მათ, შეიძლება ზიანი მოგაყენონ, ხელით შეგეხონ, როგორ უპასუხებ?“ ნეგაზის პასუხი უბრალო იყო: „იესო, რომელმაც მომიყვანა აქ, იზრუნებს ყველაფერზე. ის არ მიმატოვებს.“

ეკლესიიდან სახლისაკენ როდესაც მიდიოდა, მოვიდა დრო მისი მუსლიმური ლოცვების წარმოთქმისთვის. შეძენილი ჩვევისა და წვრთნის გარეშე, ნეგაზმა მუხლი მოიყარა სალოცავად, თუმცა ისლამური ლოცვების ნაცვლად, მან სთხოვა იესოს გაეხსნა მისი გონება, მისი ბაგეები და მისი გული, რომ მეტად შეეცნო ის. როცა ნეგაზმა უთხრა თავის ცოლს, რომ იესო მივიდა მასთან, იფემ ხმამაღლა დაიწყო განდიდება—„ალილუია!“ იმდენად ხმამაღლა, რომ მეზობლები შეშფოთდნენ, რამე ხომ არ ხდებაო.

გვახსოვს, რომ ეკლესიის წევრებმა გააფრთხილეს ნეგაზი დევნის შესახებ და ეს გაფრთხილება მალევე აღსრულდა. რამდენიმე დღეში ადგილობრივმა მუსლიმებმა დაიჭირეს ნეგაზი და მოითხოვეს მისგან მუსლიმური ლოცვის გამეორება. იმის გამო, რომ ის არაბულს სწავლობდა, სცადა დაეცვა თავი ყურანის მეშვეობით: „ყურანი თავად ამბობს, რომ იესო ღმერთის ძეა, ხოლო მუჰამედი—მხოლოდ

წინასწარმეტყველი.“ მუსლიმები ამან არ დააკმაყოფილა. მათ ერთი კვირა მისცეს ნეგაზს, რომ შეეცვალა გონება და დაბრუნებოდა ისლამს. თუ არ გააკეთებდა ამას, აღუთქვეს, რომ დაბრუნდებოდნენ და აღასრულებდნენ ჯიჰადს მის წინააღმდეგ.

ერთი კვირის შემდეგ, დაბრუნდნენ და ერთ-ერთმა მუსლიმმა მახვილი მოუღერა ნეგაზის კისერს. კაცი, რომელიც სამი წლის განმავლობაში სცემდა თავის ცოლს, იქცა გაბედულ ევანგელისტად, სამ კვირაზე ნაკლებ დროში. „თუ მე მოვკვდები, ჩემი ძე იქნება მქადაგებელი“, უპასუხა მან თავმოყრილ ბრბოს. „თუ ხელს აღმართავთ ჩემზე, ყველა, ვინც შეეხება ჩემს სხეულს, გახდება ქრისტიანი და იმ ადგილზე, სადაც მოვკვდები, ეკლესია აშენდება.“ სასწაული მოხდა, ბრბომ დატოვა ხელშეუხებლად, თუმცა მუქარა გრძელდებოდა. სხვა დროს, რადიკალი მუსლიმები მივიდნენ ნეგაზის სახლთან, თუმცა ის არ იყო სახლში. მათ იფე და მათი შვილი ჩაკეტეს სახლში და ცეცხლი მოუკიდეს. ქალმა, რომელიც სამი წელი უძლებდა ცემას და ლოცულობდა თავისი ქმრისთვის, გამოამჟღავნა ასეთივე რწმენა, როდესაც მისი სახლი იწვებოდა და თავად შიგნით იმყოფებოდა შვილთან ერთად. „შადრაქის, მეშაქისა და ყაბედ-ნეგოს ღმერთი ჩემი ღმერთია!“ ხმამაღლა იძახდა ის, როცა ცეცხლის ალი ძლიერდებოდა. ის და მისი შვილი უვნებლები გამოვიდნენ ცეცხლმოკიდებული შენობიდან.

როდესაც შევხვდი მას, ნეგაზმა თქვა, რომ ის და იფე, ორივენი, ევანგელისტები არიან. ის კაცებთან შრომობს, იფე კი ქალებთან. ისინი იძულებულები გახდნენ წამოსულიყვნენ თავიანთი მშობლიური სოფლიდან, მაგრამ განაგრძობენ იესოზე ქადაგებას ყველგან, სადაც მოუწევთ წასვლა და ვისთანაც მოუწევთ შეხვედრა. მართლაც, მისიონერული ქორწინებაა, მიუხედავად იმისა, რომ თავიდან ნეგაზს სულ სხვა გეგმები ჰქონდა.

ფიქრისთვის

მე არასოდეს ვურჩევ რომელიმე ქალს დარჩეს ისეთ ძალადობრივ სიტუაციაში, როგორშიც იყო იფე, თუმცა ღმერთმა გამოიყენა მისი თავდადება იმისათვის, რომ სასიკეთოდ მოებრუნებინა ბოროტება.

გამოიყენა, ასევე, მისი სიმტკიცე ლოცვაში, რათა შეეცვალა მისი ქმრის გული და ჩაება ის გასაოცარ მსახურებაში. არის რომელიმე სფერო თქვენს ცხოვრებაში, რომელშიც უნდა გამოიჩინოთ სიმტკიცე მადლსა და ლოცვაში? თქვენს დღიურში, ან თქვენს ქრისტიან მეგობართან დისკუსიაში, გამოიკვლიეთ ის სფერო, რაშიც გესაჭიროებათ სიმტკიცე, თუნდაც, გრძნობდეთ, რომ გინდათ შეწყვეტა ან გაცლა.

ლოცვა

იესო, მადლობა იმისათვის, რომ საშინელი კაციც კი არ არის შენი მადლის გარეშე. დამეხმარე, რომ არასოდეს შევწყვიტო ლოცვა მათთვის, ვინც მოიყვანე ჩემს გზაზე, ვინც ჯერ არ გიცნობენ შენ— თუნდაც ისინი მრისხანენი და ბოროტები იყვნენ ჩემთან მიმართებით.

თქვენი დღიურისთვის

ჩემი დღიურიდან

ბოლო კაცი, რომელსაც ვესაუბრეთ [დღეს] იეო მუსლიმი, ვინც ქრისტიან ქალზე იქორწინა ძალდატანებით. სამი წლის განმავლობაში ის სცემდა მას და ცდილობდა, კვლავ ისლამურ რწმენაზე დაებრუნებინა, მაგრამ შემდეგ იხილა იესო, რომელმაც უთხრა, „გამომეევი მე.“ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, ამ ქალის მდგომარეობა, რომელიც სამი წელი იტანდა ცემას, რათა მიეევანა თავისი ქმარი ქრისტესთან? საოცარია! როდესაც ის გახდა ქრისტეს მიმდევარი, მას სცემეს და კინაღამ მოკლეს, მაგრამ კვლავაც აგრძელებს თავის საქმესა და მსახურებას.

ციტატები, რომლებზეც უნდა ვიფიქროთ

სიკვდილი ჩვენი ცხოვრების უბედნიერესი დღეა. ჩვენ ყველაზე მეტად ამ დღით უნდა გავიხაროთ, ვიდრე სხვა რაიმეთი, რადგან ამ დღეს ჩვენს ნამდვილ სამშობლოში შევალთ.

მაურისიო ტორნეი (1910-1949)[1]

1 ჯონ ფოქსე და წამებულთა ხმა, ფოქსე: წამებულთა ხმა (Washington, DC: Salem Books, 2019).

დღე 40

მემკვიდრეობის დატოვება

ეტყვის მას მისი ბატონი: „კარგი, კეთილო და ერთგულო მონავ! ... შედი შენი ბატონის სიხარულში“.

მათე 25:21

.....

ჰალმაჰერა, ინდონეზია, 2003

უკანასკნელი ოცდასამი წლის განმავლობაში, ჩემს სამუშაოსთან დაკავშირებული უმეტესი მოგზაურობის საუკეთესო ნაწილია ამ მოგზაურობის დასასრული. მე ძალიან მიყვარს სახლში ცოლთან და ჩემს ბიჭებთან დაბრუნება! სახლისაკენ ფრენა ყოველთვის ხანგრძლივი ჩანს, თითქოსდა, დასასრული არ უჩანს. ან იქნებ, მოუთმენლობა მიპყრობს, რომ გულში ჩავიკრა ჩემი ცოლი, დავიძინო ჩემს საწოლზე, გავხსნა და ამოვალაგო ჩემი ჩემოდანი და მოგზაურობიდან ჩამოტანილი ამბები. ჩვენი ორმოც დღიანი მოგზაურობა ერთად სრულდება. ვიმედოვნებ, რომ თქვენ გარკვეულ დროს დაუთმობთ იმ ისტორიების გააზრებას, რომლებიც გაგიზიარეთ და რაც უფრო მნიშვნელოვანია, იმ გაკვეთილებს,

რომლებიც, შესაძლოა, ღმერთმა გასწავლათ დევნილი ქრისტიანების მაგალითების მეშვეობით მსოფლიოში.

ბოლო ისტორიის ნაცვლად, მინდა, დაგტოვოთ თქვენ ფოტოსთან:.

ყოველთვის, როდესაც ვუყურებ ამ ფოტოს, რაღაც მემართება. ეს ფოტო ინდონეზიაში, 2003 წელს გადავიღე. ეს საფლავია, თუმცა ის ცარიელი საფლავია.

მე და ჩემი თანამშრომელი ვიყავით კუნძულზე, რომელსაც ჰალმაჰერა ჰქვია და რომელიც აღმოსავლეთ ინდონეზიაში მდებარეობს. რეგიონში, რომელსაც მოლუკა ეწოდება—რეგიონში, რომელიც გამოირჩეოდა ინტენსიური დევნით ჩვენი ჩასვლის წინა წლებში. პირველი ადამიანები, რომლებმაც ქრისტიანობა მიიტანეს კუნძულზე, იყვნენ ჰოლანდიელი მისიონერი წყვილი, რომელიც ჰალმაჰერაზე 1860-იან წლებში ჩავიდა. მე თითქმის არაფერი ვიცი ამ ოჯახის შესახებ, გარდა იმისა, რომ ისინი იმ კუნძულზე ჩავიდნენ

სახარების საქადაგებლად, იქვე გარდაიცვალნენ და დაკრძალულები არიან კუნძულზე. იმ სახლის გვერდით, რომელიც ააშენეს და რომელშიც ცხოვრობდნენ. სახლი მაღლობზე იდგა და გადაჰყურებდა ლამაზ, მტკნარი წყლით სავსე, ტბას. არც ის ვიცი, რომელი დენომინაციის წევრები იყვნენ, რამდენი შვილი ჰყავდათ და რამდენ ხანს ცხოვრობდნენ აქ, სანამ მარადისობაში გადავიდოდნენ. არ ვიცი, იხილეს თუ არა მათ ქრისტესთან მოსული კუნძულელების გუნდი, თუ მრავალი წლის განმავლობაში მხოლოდ იმიტომ შრომობდნენ, რომ ერთი ორი გაქრისტიანებული ინდონეზიელი ეხილათ. ან იქნებ, საერთოდ არ უნახავთ, თუნდაც, ერთი მოქცეული. მხოლოდ ის ვიცი, რომ ეს წყვილი ცხოვრობდა, მსახურობდა და მოკვდა აქ, ამ კუნძულზე. ისინი ამ საფლავში დაკრძალეს. ამ ფოტოს მიხედვით, ძნელია რაიმე თქვა (მე ვფიქრობ, რომ ჰალმაჰერას მიწაზე კაცმა, შეიძლება, ჯოხი ჩაარჭოს და ექვსი თვის შემდეგ იქ ხე იქნება!), მაგრამ ახლა ეს საფლავი ცარიელია. იმ საფლავში, რომელშიც დამარხეს მისიონერი წყვილი, აღარ არის ძვლები.

ერთი ორი წლით ადრე, სანამ იქ ჩავიდოდი, რადიკალი მუსლიმები შეესივნენ ჰალმაჰერას. ჩვენმა გუნდმა ნახა მათ მიერ გადამწვარი რამდენიმე ეკლესია. ჩვენ შევხვდით ქრისტიანებს, რომლებსაც თავს დაესხნენ და დაჭრეს, რომლებმაც იხილეს თავიანთი ოჯახის წევრების მხეცური მკვლელობები. ეს რადიკალი მუსლიმები არა მხოლოდ ეკლესიებს, ქრისტიანულ სახლებს, ან, თუნდაც, ქრისტიანებს დაესხნენ თავს. მათ სიძულვილსა და მძვინვარებას არ ეყო მხოლოდ ეკლესიაზე თავდასხმა.

გაშმაგებული ბრბო კიდევ უფრო გააშმაგა ამ საფლავის—რომელიც ას წელზე მეტი ხნის იყო— ხილვამ, მათ ამოთხარეს ამ ჰოლანდიელი მისიონერი წყვილის ძვლები და დაწვეს. მათ აანთეს კოცონი, რათა დაეწვათ მისიონერების ძვლები და თავიანთი მუსლიმური კუნძულიდან წაეშალათ ქრისტიანობის კვალი, რისთვისაც მიუბრუნდნენ თავდაპირველ „წყაროს,“ პირველ ქრისტიანულ მოწმობას, რომელიც ოდესღაც არსებობდა კუნძულზე... თითქმის არაფერი ვიცი ამ ოჯახის შესახებ, მაგრამ ვიცი ეს: ამ ჰოლანდიელმა მისიონერმა წყვილმა საოცარი სულიერი მემკვიდრეობა დატოვა. ამ მისიონერი წყვილის სულიერი

მემკვიდრეობა იმდენად დიდი იყო, რომ მათი გარდაცვალებიდან საუკუნის შემდეგ, მტერი კვლავაც გამძვინვარებული იყო ცხოვრების იმ წესით, რომლითაც ცხოვრობდნენ. ის გამძვინვარებული იყო იმით, რომ ვიღაც მოვიდა და სახარების დროშა ააფრიალა „მის“ ტერიტორიაზე. გამძვინვარებული იმით, რომ დაკარგა თავისი მიწის, თუნდაც, ერთი გოჯი, თუნდაც, ერთი გული, რომელიც ახლა მარადისობას ზეცაში გაატარებს. რა მაგრები იყვნენ ისინი! სიკვდილიდან ას წელზე მეტი ხნის შემდეგ, ადამიანები აჩვენებდნენ იმ ადგილს, სადაც მათი ძვლები განისვენებდა და ამბობდნენ, „ისინი ქრისტიანები იყვნენ.“

ძვირფასო მკითხველო, თუ სატანა კვლავაც გამძვინვარებული იქნება თქვენი გარდაცვალებიდან ასი წლის შემდეგ, თქვენი ცხოვრების წესით და თქვენი მოწმობით ქრისტესთვის, ეს დიდი პატივისა და საოცარი სულიერი მემკვიდრეობის ნიშანია! ჩვენი ორმოც დღიანი მოგზაურობის დროს, ჩვენ შევხვდით ადამიანებს, რომლებსაც ისეთი ცხოვრება ჰქონდათ და აქვთ, რომ სატანა კვლავაც დიდხანს იქნება მოუსვენრად.

ფიქრისთვის

რა გინდათ, რომ იყოს თქვენი სულიერი მემკვიდრეობა? გსურთ, რომ ის ისეთი იყოს, რომ სატანა თქვენი მარადისობაში გადასვლიდან კიდევ დიდი ხნის განმავლობაში იყოს გამწარებული? თქვენი დღიურისთვის, დაწერეთ, იმ მემკვიდრეობის შესახებ, რომელიც გინდათ, რომ დატოვოთ. რას გააკეთებთ დღეს, რათა კიდევ ერთი აგური დაუმატოთ იმ სულიერ მემკვიდრეობას, რომლის დატოვებასაც ფიქრობთ?

ლოცვა

უფალო იესო, გამაძლიერე, რათა ვიცხოვრო შენთვის ისეთი გაბედულებით, როგორიც გამორჩეული იქნება მომავალი წლების განმავლობაში და მარადისობაშიც იმ ადამიანების მეშვეობით, რომელთაც შეეხები ჩემი საშუალებით. დამეხმარე, რომ დავტოვო მემკვიდრეობა. დღითიდღე, საქმითა და საუბრით წარმოგაჩინო შენ და წარმოვაჩინო შენი სიყვარული ჩემ ირგვლივ მყოფებისადმი.

თქვენი დღიურისთვის

ჩემი დღიურიდან

თავდამსხმელები (**Laskar Jihad**) ზღვიდანაც მოვიდნენ და ჯუნგლებიდანაც, ამიტომაც სოფლის მცხოვრებლებს გასაქცევი არსაით ჰქონდათ. ჩვენ, ალბათ, ოცამდე ადამიანი ვიდექით ერთად, რათა ფოტო გადაგვეღო მათთან ერთად, რომლებმაც ოჯახის წევრები დაკარგეს თავდამსხმელების შემოტევის დროს...

მე ვკითხულობდი რომაელთა წერილს ამ მოგზაურობისას და ვკითხულობ მას დღესაც: „ჰირველად, ჩემს ღმერთს ვმადლობ იესო ქრისტეს მეშვეობით ყველა თქვენგანისათვის, რადგან თქვენი რწმენა იხარება მთელ ქვეყანაზე“ (1:8). მე ვფიქრობ, რომ ეს კარგი მუხლია **VOM**-ისთვის– ჩვენ ვაცხადებთ დევნილი მორწმუნეების რწმენას მთელ მსოფლიოში.

მადლიერება

ის ფაქტი, რომ ხელში გიკავიათ ეს წიგნი, არის იმ ოცნების ასრულება, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მქონდა. ოცნებები არ სრულდება დახმარების გარეშე! პირველყოვლისა, მადლიერებას გამოვხატავ იმ დევნილი ქრისტიანებისადმი, რომელთაც შევხვდი და გავესაუბრე ბოლო ოცდასამი წლის განმავლობაში. ხშირად ის, რის შესახებაც ველაპარაკები მათ, მათი ცხოვრების ალბათ ყველაზე მტკივნეული და ძნელი მომენტებია, თუმცა ისინი მთანხმდებიან და მიყვებიან თავის ამბებს, ნებას მაძლევენ დავსვა კითხვები და მანდობენ თავიანთ ძვირფას მოგონებებს. მე ვიცი, რომ მათ მიერ გადმოცემული ისტორიები წმინდა და პატივის ღირსია. მადლობა თქვენ, ჩემო ძმებო და დებო. იმედი მაქვს, რომ კარგად გადმოვეცი თქვენ მიერ მოთხრობილი ისტორიები.

მადლიერებას გამოვხატავ ჩემი ცოლის, შარლოტასადმი, ვინც დაუნანებლად მიშვებდა ყველგან, მსოფლიოს რომელი კუთხეც არ უნდა ყოფილიყო და ხანდახან ჩემთან ერთადაც მოდიოდა, რათა შეხვედროდა რწმენის გმირებს, რომლებსაც ემსახურება VOM-ი. ის ჩემი პარტნიორია ცხოვრებასა და მსახურებაში და ჩემი საუკეთესო მეგობარიც. არავინ არის უკეთესი, ვისთან ერთადაც ვიმგზავრებდი და დავბრუნდებოდი სახლში! კემერონი და კედრიკი, ჩვენი ვაჟები, ლოცულობდნენ ჩემთვის, ყურადღებას აქცევდნენ დედას და ისმენდნენ იმ ამბებს, რომელთაც ვუყვებოდი ყოველი მოგზაურობის შემდეგ! ახლა, ისინი კაცები არიან. ჰყავთ ცოლები, აქვთ პასუხისმგებლობები და სამუშაო. მე მადლიერი ვარ, მათი ცხოვრება აჩვენებს, რომ უყვართ იესო! დანიელა და ლაურა ჩვენს ოჯახს ამ წლებში შემოუერთდნენ. შემოგვიერთდა ორი ასული წლებისა და მხოლოდ ძეების შემდეგ. ჩვენმა ბიჭებმა კარგი არჩევანი გააკეთეს. ჩვენ ძალიან გვიყვარს „ჩვენი“ გოგონები!

ჩემი მშობლები, ფილი და ლუსი ნეტლტონები, მისაბაძი მაგალითები იყვნენ ქრისტეს და მისი სხეულის მსახურების საქმეში. VOM-ში მუშაობის ჩემს პირველ ნაბიჯად მივიჩნევ 1982 წლის იმ დღეს, როცა ჩვენმა ოჯახმა დატოვა შტატები და გაემგზავრა პაპუა ახალ გვინეაში, რათა მისიონერები ყოფილიყვნენ იქ. მას შემდეგ, ჩემმა მშობლებმა ბევრ ადგილზე იმსახურეს სხვადასხვა საქმეზე, გამოიცვალეს მრავალი თვითმფრინავი! მათი ერთგულება, ემსახურონ ღმერთსა და ადამიანებს, კვლავ რჩება შთაგონების წყაროდ.

წლების განმავლობაში მინდოდა, დამეწერა ეს წიგნი, მაგრამ ვერასოდეს აღმოვჩნდი საკმარისად მოწესრიგებული, რომ წინსვლა მქონოდა ამ საქმეში. ეს შეიცვალა მაშინ, როცა მხარდაჭერა მივიღე ჩემი მეგობრისგან, ყოფილი თანამშრომლისა და კოლეგის, „დოდჯერსის“ გულშემატკივრისგან, დოქ. სიდ ვებისგან, რომელიც ჩემი პარტნიორი გახდა წიგნის წერისას. მისი დახმარების გარეშე, ეს წიგნი, რომელიც ახლა თქვენს ხელშია, ჯერაც წერის პროცესში იქნებოდა. მადლობა ძვირფასო სიდ!

მადლიერი ვარ იმ სიყვარულისა და მხარდაჭერისათვის, რომელიც VOM-ელმა მეგობრებმა და თანამშრომლებმა გამოამჟღავნეს. მადლობელი ვარ კოლე რიჩარდსის—ჩემი უფროსის, რომელიც ახლა VOM-ის პრეზიდენტია—ის იცავდა და მხარს უჭერდა ამ წიგნს, VOM-ის რადიოს და პირადად მე. მადლიერი ვარ მისი წინამძღოლობისთვის. ღრმად მადლიერი ვარ ჯიმ დაუსი, VOM-ის ყოფილი პრეზიდენტისა, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი VOM-ის რადიოს ამუშავებას. პირველი ეპიზოდისთანავე, ჯიმს სჯეროდა ამ საქმის და მხარს უჭერდა მას (და მეც)— მამხნევებდა და ბიუჯეტსაც ავსებდა. მადლობა შენ, ჯიმ.

კრის რობინეტე დამეხმარა, რომ ეს ხელნაწერი მუდის საგამომცემლო სახლში მოხვედრილიყო და იშრომა საგამომცემლო დეტალების მოსაგვარებლად, რათა მე შემძლებოდა, რომ მთელი ყურადღება ამ ისტორიების უკეთ გადმოცემაზე მიმემართა.

შერილ ოდენმა დამიქირავა, რათა მემუშავა VOM-ში მრავალი წლის წინ, რითაც შეცვალა ჩემი ცხოვრების მიმართულება. მან მიმიწვია, შევერთებოდი დევნილი ქრისტიანების მსახურების საქმეს. ის და დევიდ რობინსი დიდად დამეხმარნენ ამ წიგნში გამოყენებული წერილის

მუხლების შერჩევაში, ლოცვების გამართვასა და წიგნის შინაარსთან მისადაგებაში. მადლიერი ვარ მათი წვლილისთვის.

მადლიერი ვარ VOM-ის საერთაშორისო მსახურების თანამშრომლებისა—მათ არ უნდოდათ, მათი სახელების ჩამოთვლა!—ისინი მშვენიერი პარტნიორები არიან მსახურებაში და ჩვენი ოჯახის დევნილი წევრების გასაოცარი მსახურები. თითქმის ყოველი მოგზაურობისას, რომელთა შესახებაც წაიკითხეთ, ეს ადამიანები ჩემს გვერდით იყვნენ მგზავრობასა და შეხვედრების დროს. მათ იშრომეს დეტალებზე, მიმითითეს საუკეთესო ისტორიებზე, ისინი პოულობდნენ მთარგმნელებს, უზრუნველყოფდნენ კონტექსტს, ზრუნავდნენ ჩემს უსაფრთხოებაზე და ყოველთვის მეხმარებოდნენ, რომ საქმე გაეადვილებინათ. მახარებდა მათთან ერთად მგზავრობის ყოველი შესაძლებლობა, რათა უკეთ გამეცნო ისინი, როგორც თანამშრომლები, როგორც ძმები და დები და მეგობრები.

ტიმმა, ოლივიემ და ჰუგმა საკვანძო როლი ითამაშეს VOM-ის რადიოგადაცემების საქმეში. ჯერემი ბარტონი ზარს რეკავდა ჩემთვის და ამ წიგნისთვის. ჯონ ვილკე ჩემი პუბლიცისტი იყო, რომელმაც მომცა შესაძლებლობა ურთიერთობა დამემყარებინა ათი ათასობით ადამიანთან, მასობრივი ინფორმაციის სხვადასხვა საშუალების მეშვეობით. როჯერ კემპმა და მისმა გუნდმა RK Media-ში (მე მათ „VOM-ის რადიოს დასავლეთი სანაპიროს ოფისს“ ვეძახი) გეომეტრიული პროგრესიით გაზარდეს VOM-ის რადიოს წვდომა და შესაბამისად, ჩვენი ოჯახის წევრების დამოწმებებზე წვდომაც.

მადლიერი ვარ VOM-ის ოჯახის თითოეული წევრისა—მინდოდა ყველა მათგანის სახელი მეთქვა... მათ უზრუნველყვეს თითოეული კვირის რადიო პროგრამის მასალები, გამოაქვეყნეს დევნილი ქრისტიანების ისტორიები VOM-ის ყოველ თვიურ ჟურნალში წერილობითი ფორმით, ფოტოების სახით, დიზაინის კუთხით, აზიარებდნენ ინფორმაციას სოციალურ ქსელებში და VOM-ის კონფერენციებზე, ფუთავდნენ და გზავნიდნენ დახმარებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით, პოულობდნენ თვითმფრინავის ბილეთებს, ხელმძღვანელობდნენ შემოწირულობების საქმეს, ზრუნავდნენ იმაზე, რომ ჩვენს კომპიუტერებს გამართულად ემუშავათ, იხდიდნენ

გადასახადებს და ზრუნავდნენ, რომ ჩვენს შენობას სასიამოვნო სახე ჰქონოდა. დიდი პატივია, იმსახურო ამ ძმებისა და დების გვერდით, რომლებსაც უყვართ იესო და ერთგულად ემსახურებიან მის ეკლესიას.

მუდის საგამომცემლო გუნდთან მუშაობა საოცარი კურთხევა იყო. ემი სიმპსონი სწრაფად ჩასწვდა ამ წიგნის ჩემეულ ხედვას და განაპირობა ის, რომ ეს წიგნი ჩემი კომპიუტერიდან თქვენს ხელში მოხვედრილიყო. დოქ. კევინ ემერტმა შეასწორა და გამართა ხელნაწერი და უზრუნველყო, რომ თითოეული ამბავი უფრო გამორჩეული და მკაფიო ყოფილიყო, ხოლო მუდის დიზაინერთა გუნდმა წიგნს მშვენიერი ყდა შეუქმნა, რომელიც ამ მოგზაურობათა მოტივს ძალიან ლამაზად წარმოაჩენს. უნდა აღინიშნოს შიდა გვერდებიც, რომლებიც, ასევე, შესანიშნავია. მადლობას ვუხდი ყველა მათგანს!

და ბოლოს, ძვირფასო მკითხველო, მადლობა შენ! იმედი მაქვს, რომ ჩვენი დევნილი ოჯახის წევრებთან გატარებული ამ ორმოცი დღის შემდეგ, თქვენი რწმენა განსხვავებულია. რა ფასიც, რა მსხვერპლიც არ უნდა გავიღოთ, იესო ღირსია ამ ფასის და ამ მსხვერპლის!

შინაარსი

გამგზავრების დღე: ფრენის წინა სია 9
დღე 1: ჩვენი კონტროლის მიღმა 17
დღე 2: „მე ვცემდი მას“ 23
დღე 3: „ყველაფერი გვაქვს, რაც გვჭირდება“. 29
დღე 4: „კინაღამ დავიხრჩე შხაპის მიღებისას“ 35
დღე 5: „რომელი მათგანია ცუდი“ 41
დღე 6: „ის იმედი მაძლებინებდა მე“ 49
დღე 7: ვისწრაფვით ვიყოთ უკეთესები – ნაწილი 1 55
დღე 8: „ჩემი ცხოვრების უტკბესი დრო” 61
დღე 9: დევნა მოლოდინია და არა შემთხვევა. 69
დღე 10: „ჩვენ დიდხანს ვლოცულობდით...“ 75
დღე 11: შიში ერიტრეაში 83
დღე 12: „თუ ღმერთს შეუძლია ჩვენი გამოყენება“ 89
დღე 13: სიწმინდის ნიმუშები 95
დღე 14: ტყვიებისგან დატოვებული ხვრელები
შენს მოსასხამზე 103
დღე 15: მოწმობა მიწაზე. 109
დღე 16: „მშვენიერი დრო იყო“ 115
დღე 17: „მას ახლა უფრო მეტად უყვარს ღმერთი“ 121
დღე 18: ღვთის გეგმით გამოწვეული სიხარული. 129
დღე 19: ცისის ბიბლია. 135
დღე 20: „ჩვენ ყველამ ვიცით“ 141
დღე 21: ორმაგი წილი – ნაწილი 1. 149
დღე 22: ორმაგი წილი – ნაწილი 2 155
დღე 23: ორმაგი წილი – ნაწილი 3 161
დღე 24: ორმაგი წილი – ნაწილი 4 169

დღე 25: ორმაგი წილი – ნაწილი 5 175
დღე 26: „თუ მთელი მსოფლიო იარწმუნებდა“ 181
დღე 27: დაკრძალვის მსახურება 187
დღე 28: „გამოიყენე ის საპირფარეშოში“ 193
დღე 29: „ვერავინ შეძლებს სახარების შეჩერებას“. 199
დღე 30: მოციქულთა კვალზე. 205
დღე 31: „მე მოგცემ შენ სიმშვიდეს“. 211
დღე 32: „დაამტკიცეთ, რომ ქრისტიანები ხართ“ 217
დღე 33: „ყურანიც კი ამბობს, რომ იესო მოვა“ 223
დღე 34: ნაწამები ხელები–ნაწილი 1-ლი 229
დღე 35: ნაწამები ხელები–ნაწილი მე-2. 235
დღე 36: ერთი ქადაგება ლაოსში 241
დღე 37: „ჩვენ ძალიან გვენატრება ის“ 249
დღე 38: ძილი სასაფლაოზე 255
დღე 39: ლოცვა თავისი მწამებლისთვის. 261
დღე 40: მემკვიდრეობის დატოვება 267
მადლიერება 273

მოგზაურობა დევნილ ქრისტიანებთან შესახვედრად

ოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ტოდ ნეტლტონმა (რომელიც წამებულთა ხმის რადიოს მასპინძელია, VOMradio.net) შემოიარა მსოფლიო და ესაუბრა ასობით დევნილ ქრისტიანს, რომლებიც იესოს სახელის გულისათვის იყვნენ დევნილები. ახლა, ის გიწვევთ თქვენ, მიხვიდეთ მასთან და შეხვდეთ ამ გაბედულ ქრისტიანებს, რომელთა რწმენა შთაგაგონებთ, რათა თქვენი სვლაც ქრისტესთან ერთად განმტკიცდეს და გაღრმავდეს. ისინი იდგნენ თავის მხსნელთან, მაშინაც კი, როდესაც ეს ძვირად უჯდებოდათ. მათი ისტორიები დაგვეხმარება, რომ იგივე გავაკეთოთ.

ამ წიგნის გაყიდვით მიღებული ავტორის ჰონორარის 100% მოხმარდება დევნილი ქრისტიანების დახმარებას.

The Voice of the Martyrs

ISBN: 978-617-503-251-0
9 786175 032510

GE